

## ნუგზარ ერგემლიძე

### ისევ საბჭოთა კავშირში

წვერმოშვებული, პალტოგაღვლილი, ოდნავ ნასვამი ბრგე მამაკაცი ყვითელ ფოთლებს სევდიან მზერას აყოლებდა. სადღაც შორს, უხსოვარ მოგონებებს აღვიძებდა მისი გონება.

- გალაკტიონ! - მოესმა ქუჩის მეორე მხრიდან. გალაკტიონმა მიმოიხედა. არეული მოძრაობით ეძებდა ძახილის მისამართს.

- გალაკტიონ, მე ვარ, კალმახელიძე! ვერ მიცანი? ქოშინით მიუახლოვდა შუახანს გადაცილებული, ინტელიგენტური (XIX საუკუნის მწერალს მოგვაგონებს) გარეგნობის მამაკაცი.

- რამდენი ხანია აღარ მინახიხარ! სადა ხარ, შე კაცო, - გადაეხვია გალაკტიონი, მას შემდეგ, რაც თავისი ნაცნობი შეიცნო.

- გესაუბრო მინდა...

- მერე ასე? - დამცინავად შეხედა გალაკტიონმა.

- არა. „ისე“! როგორც გვჩვენია! - ამ „ისეს“ ხელის მოძრაობაც მიაშველა, თითქოს ჭიქა უჭირავსო.

- შენ მე ლოთი გგონივარ? - შედგა გაბუტული გალაკტიონი.

- არ მინდოდა შენი წყენინება.

- ყველანი ლოთს მეძახიან, ამით ამართლებენ თავის უნიჭობას. კაცი ღვინოს დარდს ვატან, თქვენ კი... - ხელი ჩაიქნია და ნაბიჯს აუჩქარა.

უცებ შეჩერდა.

- მაინც რა მოხელე ჩიქვანი ხან, არ მეტყვი? სად მუშაობ, წერ რამეს?

- მკითხველი ვარ! ხომ იცი, როგორ მიყვარს შენი ლექსები, ვაღმერთებ!

გალაკტიონმა ჩაიციხა.

- ხო, ვიცი, რომ გიყვარს. ამასწინათ ისე კითხულობდი, რომ სხვისი ლექსები მეგონა.

კალმახელიძემ თავი დაუკრა.

- მაშინ მე და შენ ამ სარდაფს შევაფართოთ თავი. „ეს არის ჩვენი თავშესაფარი!“ „გარეთ სიცივე, გაუტანლობა, ვის არ დახვრიტავს ჩვენი მთავრობა“, - წაიმღერა გალაკტიონმა.

- ეს არ ვიცი! - გაიცინა კალმახელიძემ.

- არ მიბუჭდავენ! - ჩაიქირქილა პოეტმა.

- წამო, ძამია, თითოც გადავკრათ, რომელი ღვინო გიყვარს, რომელი?

- ეი, ბიკენტიჩ, ნახე რა ბიჭები მოგივედით. შენს ადგილას სიხარულით გაგვიჟდებოდი. შენ კი...

- რა ვქნა ბატონო, მიხარია, მობრძანდით, მარა... - კალმახელიძეს ჩასჩურჩულა:

- ფული გაქვთ? - ამ უკანასკნელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- აგაშენა ღმერთმა. სტუმრის დანახვა მე მიხარია, თუ მიხარია, რას მიირთმევთ?

- მოგვიტანე, რაც გაქვთ, - თქვა კალმახელიძემ.

- ბევრი ჭამა არ გვინდა. მჭავუ, ყველი, ღვინო...

„თუ გსურს სურვილი რომ გაიღვივო,

ძველ მეგობართან სვი ძველი ღვინო“. - მერამდენედ მხვდები ძამიკო?

- მესამედ.

- მესამე და სამართალი! ერთხელ ქუთაისში დამიჭირეს, დამიჭირეს თუ არა, მეფე დაამხეს, ასე! ბოლშევიკებმა ეს იცოდნენ და არ დამიჭირეს, შეეშინდათ, ჩვენც არ დაგვამხონო.

- მართლა იჯექი, გალაკტიონ? რამდენი ხანი?

- ორი დღე-ღამე. ღმერთის მადლობელი ვარ, ამათ რომ არ ჩამსვეს. ესენი დიდხანს არ გადადგებიან.

- კი! კაი ხანი! რა მინდა, რომ გკითხო: „აი, რა მზის სიზმარია, აირვეი ივერიაო“, რომ წერ, რა იცი რომ აირვეა?

- რა აირვეა, ვერ გავიგე!

- საქართველო, ივერია. ასე არ ამბობ: „აირვეი ივერია?“

- რა ვიცი, ეგ პოეზიაა, პალინდრომი ჰქვია. ასეთი ლექსი წაღმა-უკუღმა ერთნაირად იკითხება: აირვეი - უკუღმა - ივერიაა! რა ვიცი, აირვეა კი? ამ დაპინოზებულ ცხვრებს აღარაფრის თავი აქვთ. არც მე და არც შენ! - გულმოსული გალაკტიონი სტალინის სურათს მიუახლოვდა.

- ვისაც არ უყვარდა, დახვრიტა, „ფუჰ, ფუჰ“ - ჩანგალი პისტოლეტივით ეჭირა. - ესენი კი, მათი შვილები, ტირიან. - რა ეშველება ამ ქვეყანას?

- შენი ამბები მომიყვი, შევეშვათ ამ სისულელეს! - ჭიქა დასცალა. არავინ იცის, უსმენდა თუ არა ვინმეს სერიოზულად, მაგრამ ახლა ისე გაყუჩდა - კალმახელიძემ სადღეგრძელო წამოიწყო:

- შენს ნიჭს და საქართველოს გაუმარჯოს, თავს გაუფრთხილდი, გალაკტიონ!

- წავიდეთ, აღარ მინდა დაღევა, შენ კარგი კაცი ჩანხარ, ფული გაქვს, ძამიკო?

კალმახელიძემ წითელი თუმნიანები ამოიღო, 1961 წელს გამოშვებული.

მედუქნე ბიკენტიჩმა უნდობლად გადახედა ლენინის თავებს.

- რაა ეს? ფული მომეცით!

- ეს ფულია, მეგობარო, სამ წელიწადში გამოვა და ხარჯე რამდენიც გინდა.

- რას ამბობს ეს კაცი, გალაკტიონ? მატყუებს? - შემზარავი ნოტები შეეპარა ბიკენტიჩს ხმაში.

- შენ დახატე, ძამიკო, ეს ქაღალდები? - გაიცინა გალაკტიონმა. - კაი, მე დამაწერე, თუ კაცი ხარ, ეს დანახარჯი! - კიბეებისკენ უბიძგა კალმახელიძეს.

- დავბრუნდები და გადაგიხდი! მანამდე ეს საათი დაიტოვე თავლებში.

- კალმახელიძემ ელექტრონული საათი მაჯიდან მოიხსნა და ბიკენტიჩს გადასცა. ბიკენტიჩმა ერთხანს ყურადღებით ატრიალა უცნაური ნივთი და გალაკტიონს გაუწოდა. - არც ეს არის საათი!

- აბა, რაა, ძამიკო, კომპასი? - გაიცინა გალაკტიონმა, მაგრამ ისრები რომ ვერ დაინახა, კითხვით სავსე მზერა კალმახელიძეს მიაპყრო.

- ხომ ხედავ, აწერია 19 საათი, ე.ი. შვიდი საათია, თან უკრავს! - დილაკს ხელი დააჭირა, მუსიკა გაისმა. სარდაფს აღტაცების შეძახილმა გადაუარა.

- სად იშოვე ასეთი საათი? - იძახდა გალაკტიონი.

- ციგნებში ვიყიდე, იაფად!

- უყურე მაგ ციგნებს, შენ? ხედავ, ბიკენტია, ორ მუავე პომიდორში რა საათს გიტოვებთ?

- ამ საათში... მიირთვით რამდენიც გენებოთ, - ბიკენტისი გავიდა.

- ეგ კოსტუმიც ციგნებში იყიდე?

- არა, „სეკენდ ჰენდში“ ავიღე...

- „სეკენდ ჰენდი“ რაღა ჯანდაბაა?

- მეორადი ტანსაცმელი, ე.ი. ჩემამდე ვიღაცას ეცვა... ამ ტანსაცმელს გერმანელები გვიგზავნიან, - გაიცინა მოგზაურმა.

- როგორ, ჩვენ, საბჭოთა ხალხს, გერმანელები გვეხმარებიან? წარმოუდგენელია!

- კიდევ ბევრი რამ მოხდება წარმოუდგენელი, გალაკტიონ, მაგრამ შენ თავს გაუფრთხილდი, თავის მოკვლაზე ფიქრს შეეშვი! - გალაკტიონი ამიღვრა.

- ვინ გეკითხება, შენ, რაზე ვფიქრობ?! -

\* \* \*

1993 წლის ზაფხული იდგა. ირაკლიმ ხის კიბეები აიარა, გასაღები ჩამოშლილ, დეფორმირებულ კარებს მოარგო და მის თვალწინ სილატაკე გადაიშალა. აი, აქ უნდა ეცხოვრა მას! ეს იყო მისი შეცდომის საფასური! ორმოცი წლის ასაკში ენერგიული, ნიჭიერი და (ჯერ კიდევ იმედისმომცემი) ირაკლი ჩიქოვანი უბინაოდ დარჩა! არა, უსახლკაროდ-მეთქი ვერ ვიტყვი, ასე თუ ისე ჭერი, რომელიც, როგორც ჩანდა, ცოტაოდენ წყალს ოთახებში უშვებდა, მაინც თავშესაფარი გახლდათ, მაგრამ უბინაოდ ნამდვილად დარჩა... ირაკლი მატრასგადაფარებულ ტახტზე დაჯდა და კედლების თვალიერებას შეუდგა... არადა, რა საინტერესოა წვიმით აჭრებულ, ყავის ნალექივით მისატულ-მოსატული კედლების ცქერა და ფიქრებში ამ ნახატების გაცოცხლება! აი, ეს... ცხვირი, აი, თვალები... იქით კიდევ - ქალები, ქალები... აი, ეს ფიგურა საღდაც ნაღდად უნახავს! ვის ჰგავს? ვის? ჰო, თავის მევალეს! გჰ, ყველგან ერთი და იგივე ელანდება, სულ ერთ რამეზე ფიქრობს...

როგორც ასეთ ვითარებაში ხდება (საქართველოში მაინც) კარებზე დააკაკუნეს. ირაკლი წამოდგა, კარები ჯაჭვზე ჩამოაგდო და ისე შეხსნა. „ამ ბინას ვინ გაძარცვავს?“ - გაუელვა თავში. შეცდომა სასწრაფოდ გამოასწორა და უცნობს ოთახში შეუძღვა!

- ძალიან კარგი, ძალიან კარგი! - თქვა ირონიული ღიმილით უცნობმა...

- არც არაფერი, ბატონო ჩემო, არაფერი კარგი... ხმის იმავე მიმოსვრით უპასუხა ირაკლიმ...

- „მეზობელო კარისაო“ ... როგორ არის? ძალიან გამეხარდა რომ დაგინახეთ... ახალი მეზობელი!

- რა, ძველი მეზობელი არ მოგწონდათ?

- ისე, სიტყვაზე ვთქვი, გული დამწყდა, რომ გადავიდა. ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. ნაღველი შეეპარა - იმან ფული იშოვა და ფრ... გაფრინდა ალბათ პრესტიჟულ უბანში, ჯერ არ მოსულა, არ ვიცი... „მე კი დავრჩი მტკვრის პირას უსახელო პოეტი“.

- ჰო... პოეზია გყვარებიათ! უპასუხა ირაკლი ჩიქოვანმა - კი, პოეზია აქ ნამდვილად მისწრება იქნება... თანაც ვისი ლექსი მითხარით!.. თუ არ ვცდები, ტერენტი გრანელის? - კი, კი უხდება, - წამით შეეყოვნა, კედლებს ისევ მოაველო მზერა.

- ნამდვილად უხდება, - თქვენი სახელი?

- მოგზაური კალმასელიძე.

- თავადი ჩიქოვანი!

- ოო... თავადო, იქნებ ჩემოდანი კარადაზე შეგვეგდო ან აი აქ... ტახტის ქვეშ. ზურიკელას თუ დაგუჯერებთ, ჩემოდანი ტახტის ქვეშ უნდა იყოს და ცოტა იქნებ... - კალმასელიძემ სამი თითი კისერზე მიირტყა და ეშმაკურად თვალი ჩაუკრა ახალმოსახლეს.

- „ნოვოსელიე“ არ უნდა აღვნიშნოთ?

- რა მაგის პასუხია და სად მოგზაურობთ ბატონო ირაკლი, მოგზაურები მიყვარს ძალიან, აი, ის... კუსტო... არა?

- პრჟევალსკიც გაგიგიათ და მიკლუხო მაკლაიც...

- უკაცრავად, მაგრამ კალმასელიძე ნამდვილად არ გამიგია...

- გაიგებთ, თავადო, გაიგებთ... ფიქრი ჩაუდგა მოგზაურს თვალებში... კალმასივით ვმოგზაურობ, თუმცა ამაზე სხვა დროს...

ირაკლი ჩიქოვანი შეერთა, „გიჟია“, - გაუელვა უეცრად...

არადა, ახლა, თავიდან რომ შეათვალეირა კარის მოგზაური თუ მეზობელი, რაღაც უჩვეულო შეიგრძნო მასში, ზუსტად კი ვერ დააფიქსირა, რა ეხამუშა ამ კაცში: ეს ზოლებიანი „პიჟამო“, მკერდიდან ბადურა მაისურის ნაწილს რომ აჩენდა, თუ ეს „პრიმა“, რაღაც სხვანაირწითლად რომ იყურებოდა... „სად იშოვა ნეტავი?“ - სხვათაშორის გაიფიქრა...

- ჰო, ხვალ დავლიოთ ბატონო...

- ნუგზარ, ნუგზარ კალმასელიძე!

- მე კი ირაკლი ჩიქოვანი... ხვალ დავლიოთ, ბატონო ნუგზარ, რაღაც პრობლემები მაქვს... და ხვალ თუ შეიძლება...

- ავეჯი გაქვთ გადმოსატანი? - ვარსკვლავები ჩაუჯდა თვალებში ნუგზარ მოგზაურს...

- უჰ, ავეჯიც იქ დავტოვებ... ყველაფერი იქ... - ხვალ, შევთანხმდით?

- ხვალ? ხვალ შეიძლება აქ არ ვიყო... მაგრამ არაუშავს... როცა იქნება. - მოგზაურმა დასძინა:

- კალმასხეც მაშინ ვისაუბროთ...

კარებამდე მიაცილა სტუმარი ჩიქოვანმა. - მართლა, ალბათ იმას გულისხმობთ, მდინარეში რომ ქვირითს ყრის და ზღვაში რომ კვდება ბოლოს... კალმახელიძე გარეთ გავიდა, ნახევრად შემობრუნდა და რაღაც უცნაური, საიდუმლო და თეატრალური ხმით კარის მეზობელს უთხრა:

- ადმა რომ აუყვება, თავადო, ადმა რომ აუყვება, იმ მოგზაურობას ვგულისხმობ! ამით ჰგავს ჩემი მოგზაურობა კალმახისას... მოკლედ... მომავალ შეხვედრამდე!

- კარგად ბრძანდებოდეთ, - დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ჩიქოვანმა. არადა, ამ კაცთან კი დაღვედა დღეს... ისე, ტყუილად დაღვედა. ცოტა გიჟია, მაგრამ ახლა ისეთი დროა, ცოტათი ყველა გიჟია, ჰმ! უცებ ნერვიულად ჩაეცინა: „ჩემზე მეტი გიჟი მაინც არაა“. „ყველასაგან ვიცოდი, მაინც შემეშალა. ეჰ, რაც იყო... იყო... უფრო სწორედ რაც არის, ეს არის... კიდევ კარგი ტელეფონი მაინც რომ მაქვს“.

ჩიქოვანმა ნომერი აკრიფა და ყურმილში ვიდაცას უთხრა:

- ნიშნობა გადაიდო, მამაშენს უთხარი, ნუ ინერვიულებს, მე ქუჩაში დავრჩი, ასე რომ, სხვა საქმრო უნდა ექებო!

ყურმილი დაკიდა...

ტახტს რაღაც ნაჭერი გადააფარა და ნახევრად წამოწვა, მთლიანად წამოწოლას რატომღაც ასე ამჯობინა, თან სკამზე ფეხები შემოაწყო... ისევ კედლის „გამოფენას“ მიუბრუნდა... ის სად არის? ჰო, აგერ კუთხეში, მის გამო ახლა, ორმოცი წლის ასაკში თავი ბანკროტად გამოაცხადა და კიდევ ვერ მოიყვანა ცოლი. სანამ ბინას არ გაიკეთებს, ნათიას აქ მოყვანაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სასიამოროს მაინცდამაინც არ ეხატებოდა გულზე: ხნიერიო, ნათიასთვის უთქვამს. თხუთმეტი წლით უფროსიაო, ჩემი ტოლიაო! (?) ეს რამ ათქმევინა იმ ჩერჩეტს. თვითონ ოცდაათი წლით უფროსია თავის ქალიშვილზე, მე თხუთმეტით, ოცდაათს მინუს თხუთმეტი... რეებს ჩმახავს! სწრაფად წამოდგა, ყოჩაღად. ხაზგასმულად „გაეჯიბრა“ ნათიას მამას, ბატონ თამაზს, - მაგას ვნახავთ კიდევ ვინაა მოხუცი!

\* \* \*

ზარის ხმა:

- ალო, გისმენთ... ნათია ვარ!
- მაია ვარ, ნათი. ეს რა დაგმართნიათ, მართალია?
- არ ვიცი, მაიკო, არაფერი ვიცი, ირაკლიზე მეუბნები?
- არაფერი გაგიგია?
- დღეს დამირეკა და ნიშნობაზე უარი მითხრა, ქუჩაში დავრჩიო და ყურმილი დამიკიდა. ჭკუაზე არ ვარ. არც ვიცი, სად დავრეკო, რა ჭირს, რით ვუშველო! რაო, რა მოხდა?
- ნათი, მომისმინე, ჰო... დაწყნარდი... რაც ახლა ხდება, ხომ იცი?
- სესხი?
- ჰო, შუაში ჩამდგარა, რად უნდოდა ეგ ამბები...
- ფულის გულისთვის?

- არა მგონია. ძმაკაცს უთხოვია ფული მაშოვნინეო, მაგას ვიღაც მევახშისაგან აუღია და მიუცია.

- მერე? არ დააბრუნა?

- სადღაც გადაიკარგა ის ძმაკაცი და ამ დილით ირაკლის ბინა იმ მევახშემ წაიღო და სადღაც დასაკარგში სამოწყალოდ ერთი ქოხი მიუგდო, გაიგე? ალო!.. ალო!

ზუმერის ხმა. ნათია აღარ უსმენდა... ის სადღაც შორს, გაურკვეველობაში იცქირებოდა...

\* \* \*

ირაკლი ჩიქოვანი უმუშევარი იყო. ასე ვთქვათ „ბიზნესმენი“, რომელიც საქმეს ეძებს, მაგრამ არა აქვს. გაუჭირდა ირაკლის კაპიტალიზმთან შეხმატკბილება, თუმცა ვის არ გაუჭირდებოდა. ძნელია მდინარის თევზისათვის მარილიან წყალში შესვლა, მაგრამ შესაძლებელია, შეგუება უნდა! ძველად, იცოცხლე, იცოდა როგორც გადავიდოდა კაპიტალიზმში, როგორ წამოწებოდა იახტაზე ქერათმიან გოგონებში, როგორ დაღევედა „ჩინხანოს“ და საერთოდ მილიონერი რომ იქნებოდა, მაგრამ რეალობას ღლღლ ჯიუტად არ სურდა ირაკლი ჩიქოვანის იმედებს მორგებოდა. რეალობა ჭუჭყიანი ფანჯრებიდან ქუჩის კუთხეში გათოშილი ხალხის კილომეტრიან რიგს აჩვენებდა...

ფანჯრიდან შემობრუნებულს თავის ახალ სამყოფელს - საძაგელ, აუტანელ ოთახს ღუპით გადიდებულს ანახებდა ეს უტიფარი რეალობა! რა არ იფიქრა, რა არ იღონა, რომელი რგოლი რომელ სარს არ წამოაგო, რომელი ქუდი რომელ თავს არ მოარგო, მაინც არაფერი გამოვიდა, ბოლო მომენტში ვიღაც ერთი აფერისტი აღმოჩნდა. ასეთი ყოფილა დიად გარდატეხათა დროება! მისთვის ილუზიათა არე დაპატარავდა: იახტიან-გოგონებიან-კუნძულებიან ოცნებებიდან საოცნებო ერთიღა დარჩენილიყო: „ბინა!“

მოგზაური კალმახელიძე არ გამოჩენილა. ერთი კვირა თუ ათი დღე გავიდა და არ გამოჩენილა. სამაგიეროდ შემობრძანდნენ და ახალი მეზობელი გაიცნეს ქალბატონმა შუშანამ და ბატონმა ერვანდმა, ყოფილმა რკინიგზელმა ჩხარტიშვილმა ვაჟიშვილთან ერთად, შემდეგ ჩხარტიშვილები და ბატონი ერვანდი ქალბატონ შუშანასთან ერთად ეწვივნენ ირაკლის. სვამდნენ, ისე რა... ერთხელაც ირაკლი ჩიქოვანი ყოფილი რკინიგზელის ბინაში მიიწვიეს ვახშამზე. რამდენიმე ჭიქა კონიაკის შემდეგ მასლაათი გააბეს...

- დიდი პრესტიჟი იყო, ბატონო ვახტანგ, რკინიგზელობა - ქათინაური მიართვა ჩიქოვანმა ჩხარტიშვილს. ნასროლი ზუსტად ათიანში მოხვდა...

- რკინიგზა, - ჩემო ირაკლი, - სახელმწიფო სახელმწიფოში გახლდათ. ჩვენ გვქონდა ჩვენი სახლები, აგარაკები, ავტომომსახურება, კლუბები და კინოთეატრები. - გაგიგიათ, ალბათ, სადგურზე დადგომა და მატარებლის გაშვებაც დიდი საქმე იყო თავის დროზე და მატარებლის ბრიგადირსა და სადგურის უფროსზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც არ ღირს... ეჰ, დრონი, დრონი!

- ეგ ვიცი. რა მაგის პასუხია, ბატონო ჩემო და ერთი ანეკდოტი გამახსენდა: ზესტაფონელი გამცილებელს ეკითხება: „აი ვაგონი რბილია?“, „უკბინე და გეიგებ“, - უპასუხნია გამცილებელს... ყველამ იცინა, უცებ ბატონი ვახტანგი სტუმარს მიუბრუნდა:

- „ის“ არ იყო თქვენთან?

- ვინ... „ის“, ბატონო ვახტანგ?... თუმცა კარგად იცოდა ვისზეც იყო საუბარი, მაგრამ ასე ამჯობინა.

- вечный путешественник! - დამცინავად ჩაარუსულა...

- მართლა მოგზაურია? - წამოცდა ირაკლის...

- ყოფილა! ყოფილა! - ახარხარდა სუფრა...

- რაო, წარსულში მოგზაურობა არ შემოგთავაზა?

- წარსულში? - გაოცდა ჩიქოვანი - არა... არ შემოუთავაზებია, საერთოდ არ გვისაუბრია...

- აბა, რა იცოდით, რომ ის მოგზაურია? - ნიშნის მოგებით მიმართა ბატონმა ვახტანგმა...

- ისე, თითო სიტყვა გავცვალეთ, პირველ დღეს მინახულა, გამეცნო, კარგი კაცი ჩანს, ცოტა სხვანაირია, მაგრამ მერე რა... ახლანდელ დროში...

- ცოტაო?! ცოტა სხვანაირიაო?... გაწითლდა ყოფილი რკინიგზელი, ცოტა კი არა, გიჟია, გიჟი!

- ნუ ნერვიულობთ, - ირაკლი ჩიქოვანმა მშვიდად აგრძნობინა მასპინძელს, რომ ყველაფრის თავიდან ბოლომდე მოსმენა აინტერესებდა.

- ...დაწყნარდით, იქნებ ახალგაზრდობაში მოგზაურობდა კიდევ...

- ბატონო ირაკლი! - უცებ მიუბრუნდა ერთ-ერთი მეზობელი: - რამდენი ხანია არ გინახავთ კალმახელიძე?

- მხოლოდ ერთხელ ვნახე... აქ რომ გადმოვედი იმ დღესვე, მეორე დღისთვის დაღევა დავთქვით, მაგრამ აღარ გამოჩენილა...

- ჰო, არ არის აქ... ამჟამად... - გააგრძელა საუბარი ჩხარტიშვილმა... - ეგ ახალგაზრდობაში კი არა, სწორედ ახლა მოგზაურობს...

- რა? - გაეცინა ირაკლის - იმდენი ფული აქვს, რომ ღუბაიში და ინდოეთში დადის?

- მაგას რომ ჰკითხო, ეგ უფულოდ დადის...

- კი მაგრამ, - მოუთმენლობა დაეტყო ჩიქოვანს, - უფულოდ ახლა მთავრობის ხალხიც ვეღარ დადის... რაღაც გაუგებრად მესაუბრებით... - ვიღაც ნახევრად ლამაზი გოგონა თვალს არ აცილებდა: „რომ დავლევ, გალამაზდება“, გაიფიქრა ჩიქოვანმა. - ნეტავ ვინ არის?

- მოდით, ბატონო ვახტანგ, თან ცოტა დავლიოთ...

- მე მინდა, ჩვენი სუფრის მანდილოსნები დავლოცო, თქვენს მეუფლეს გაუმარჯოს, ბატონო ვახტანგ, თქვენ გაგიმარჯოთ, ქალბატონო შუშანა და თქვენც... უკაცრავად, თქვენი სახელი არ ვიცი...

- მარინა, - გაწითლდა ქალიშვილი. „მოვწონვარ“, გაიფიქრა ირაკლი ჩიქოვანმა და თავადიშვილური პეწით შესვა სავსე სასმისი...

- ასე მტერი დაგეცალოს! - უკვე მარტო მარინას მიმართა...

- ეგ იცი, როგორ მოგზაურობს? - მოულოდნელად იკითხა ბატონმა ვახტანგმა.

- კარგი რა, ბატონო ვახტანგ, ძალიან გთხოვთ...

- არა, არა! უნდა... გითხრათ!  
- გეყოფა, ვახტანგ! ნუ შეაწუხებ სტუმარი, სულ ეგრე იცი, აღარ გეყო?  
- საუბარში მეუღლე ჩაერია.

ირაკლი ჩიქოვანი მიხვდა, რომ ვახტანგ ჩხარტიშვილმა, ყოფილმა რკინიგზელმა, ამ რაღაცის სათქმელად დააპატიუა, რაღაც უნდა, რომ გააგებინოს მას.

- ეგ თავის ახალგაზრდობაში მოგზაურობს!  
სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ ჩიქოვანს შეხედა...

კალმახელიძის მოგზაურობის ამბავი ყველამ იცოდა. ახლა ირაკლი ჩიქოვანის აზრი აინტერესებდათ მხოლოდ და მხოლოდ. მარინას, ეტყობოდა, სულ სხვა რამ აინტერესებდა.

- ეჰ, - სიჩუმე დაარღვია ჩიქოვანმა, - ახალგაზრდობაში მეც ვმოგზაურობ, მიყვარს ჩემი სიყმაწვილის გახსენება: ფეხბურთი, ცურვა, გიტარა, სიყვარული, ლექსები, პაემანი... - აბა, ახალგაზრდობაში მოგზაურობას გაუმარჯოს! ყველანი სახტად დარჩნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ, სტუმართან კამათს აზრი არ ჰქონდა...

ბატონმა ვახტანგმაც შესვა ახალგაზრდობაში მოგზაურობის სადღეგრძელო.

- ახლა კი ცეკვა! - გამოაცხადა ჩიქოვანმა და მარინას გადახედა, ყველასათვის ნათელი იყო, რომ მხოლოდ ირაკლი და მარინა იცეკვებდნენ...

მუსიკა იყო ძველი, ღამაზი და მელოდიური, ირაკლი ჩიქოვანი მთვრალი იყო, მარინა კი - უკვე ღამაზი.

\* \* \*

- რა კაცი ხარ, კაცო შენ, მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდი?  
- მე, იმ არეული საქართველოდან ვარ, ანუ მომავლიდან! - მშვიდად მიუგო კალმახელიძემ.

- ეს საათიც იქიდანაა? - ფიქრში ჩაიძირა გალაკტიონი.  
- ჰო, ეს საათიც იქიდანაა!  
- საოცარია, საოცარია!

\* \* \*

ისინი ჩიქოვანის ახალ „სასახლეში“ იწვნენ... თენდებოდა. ირაკლის თავქვე ამოედო ხელები, ჭერს მისჩერებოდა და წუხანდელ ამბებს იხსენებდა:

- მე უნდა წავიდე, გვიანია, - განაცხადა მარინამ...  
- მე გაგაცვილებო, - მტკიცედ წარმოთქვა ირაკლიმ. არც მარინას უთქვამს საწინააღმდეგო. ისინი მიდიოდნენ ჩუმად. გავიდნენ ქუჩაში, დაარტყეს უბანს წრე და მეორე მხრიდან ისევ იმ ეზოს მიაღვინენ. მარინამ კითხვაჩამდგარი თვალებით შეხედა ირაკლის, ირაკლიმ ოდნავი შეხებით გზა მიანიშნა, ორივენი უხმოდ აუყვანენ ხის კიბეს, რომლის ბოლოში



ჩამოშლილი, დეფორმირებული კარები ელოდათ... ახლა ჩიქოვანის „სასახლიდან“ უკეთ „მოჩანდა“ წუხანდელი დამე. უცნაური საუბარი და რაღაც გაურკვეველი ნაღველი გულთან, რაღაც ყვავილები, რაღაც შამპანურები, ანეგლოტები, შეხვედრები, სიმღერები, ცეკვები, შოკოლადიანი ნაყინი, რესტორნები და აღმოხდა:

- ნეტავ, მართლა შემეძლოს მოგზაურობა ახალგაზრდობაში!

ნათიამ დარეკა.

- ირაკლი, ჯერ ერთი, მთავარი ბინა არ არის და მეორეც, კიდევ არის რაღაც... თუნდაც მეგობრობა, რის გამოც ვაღდეულები იყავი, შენი ამბავი მე მცოდნოდა...

- ვინ მოგცა ტელეფონის ნომერი? - წუხანდელმა გმირმა ტახტს გადახედა. მარინა იცმევედა.

- მისმინე. ვაჟამ დარეკა მოსკოვიდან. შენი ამბავი გაუგია. ამ ფულს მოგკედები და მივცემო. გესმის?! არ იჯავროსო. ისევ კარგ ბინაში კი არა, სასახლეში შევიყვანო, ეგ ჩემი გულისთვის როგორ უნდა დაიჩაგროსო, გესმის?...

- რა იყო, „გესმის“, „გესმის“, ყრუ ხომ არა ვარ? „გაუგია“. რა, არ იცოდა ასე რომ იქნებოდა? ეგ ვინ ყოფილა... ჩემი ნომერი ვინ გითხრა?

- კაცი იყო ვიღაცა... მოკლედ, ვაჟა თვითონ დაგირეკავს. მივეცი შენი ტელეფონი, ნუ გეშინია, როდის შევხვდეთ?

- ვინ კაცი იყო, გამაგებინე ერთი...

- არ ვიცი, ვიღაც თევზაძე იყო!

- თევზაძე?

- ჰო. როდის გნახავ, მისამართი მაინც მითხარი...

- მე თვითონ დაგირეკავ, ნათი... გაიგე? - მარინამ მხარზე ხელი შეახო:

- „მე წავედი“, ირაკლიმ თვალებით ანიშნა, დარჩიო, მარინა გავიდა. ირაკლი ყურმილს მიუბრუნდა - მოკლედ, დავლაგდები და დაგირეკავ, კარგად იყავი, მენატრები...

- კარგად იყავი, ირაკლი... თევზაძე კი არა კალმახელიძე იყო. კარგად იყავი! გელოდები!

- რაო?...

წყვეტილი ზუმერი ისმოდა. მარინა წასულიყო. ირაკლი ჩიქოვანი დიდხანს იდგა გაოგნებული.

\* \* \*

როგორც გრძნობთ, კაკუნი, რომელიც ამ მომენტში გაისმა, ნუგზარ კალმახელიძეს ეკუთვნოდა. არც შემცდარხართ!

- სად ბრძანდებოდით, ბატონო ნუგზარ? - დაბნეულად ჩაილაპარაკა მასპინძელმა...

- ვიმოგზაურე ცოტა... გავინავარდე, გახსოვს „ეჰ, გავინავარდოთ?“ ნაკითხი კაცი ჩანხარ, ილფი და პეტროვი გემახსოვრება. მართლა თუ იყო ნეტავ ეგ ოსტაპ ბენდერი, თუმცა, მართლა რომ ყოფილიყო...

- მოკლედ, ჩემო ირაკლი, - (ბოდიში ფამილარობისათვის...).

- არა უშავს, არა უშავს, მაგრამ...

- რამე ხომ არ მოხდა? - გამომცდელად შეხედა მოგზაურმა თავადიშვილს.

- არა... ისეთი არაფერი მაგრამ...

- მესამე „მაგრამზე“ პენალტით დაჯარიმდები: სამი კუთხური - ერთი პენალტი! ხომ გახსოვს?

- მე როგორ არ მახსოვს, მაგრამ თქვენ?

- აჰა, დარტყმა... არის! სლავა მეტრეველიც გახსოვს? „ტორპედოს“ კარში, პენალტი ტაშკენტში! ეროსი ამბობდა ცხონებული: „გამოექანა... დარტყმა... არის!!“

- მაშინ პატარა ვიყავი, ათი წლის, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ მახსოვს!

- გემახსოვრება. ასეთი ამბები არ ავიწყდება ხალხს...

- იმასაც თუ დავამატებთ, ყველა არეულობის დროს მაგ თამაშის ჩანაწერს რომ გვიჩვენებდნენ...

- ჰო... მე ჩანაწერი დიდი ხანია აღარ მინახავს, ისე კი დავესწარი ერთი-ორჯერ...

- რას დავესწართ, ბატონო ნუგზარ, ერთი-ორჯერ?

- მაგათ თამაშს. არაფერი, არაფერი. ეს ისე... ჩემთვის.

- ბატონო ირაკლი, - ხომ არ გწყინთ მაღალფარდოვანება?

- არა, სულაც არა!

- შეპირებული ახალსახლობა სად არის? - თემა შეცვალა კალმახელიძემ.

- მე, ბატონო ნუგზარ, მეორე დღისთვის გელოდით, თქვენ კი არ გამოჩნდით.

- არა უშავს... დღეს სადამოს ხომ არ...

- იცით... ცოტა ქესეტად ვარ, მდაბიურად რომ ვთქვა, ძალიან მეუხერხულება, მაგრამ...

- ისევ „მაგრამ“! მაგრამ არის გამოსავალი.

- რა გამოსავალი?

- საერთოდ, ჩემო კარგო! საერთოდ არის საშუელი და გამოსავალი, მაგრამ ახლა კონკრეტულად: სადამოს მე გიმასპინძლებთ. ჩემი და-ნა-ზოგებით! - დამარცვლა კალმახელიძემ და დააყოლა: - მეგობარ გოგონასაც თუ მოიყვან, პატივს დამდებთ, ხომ იცი, ქალის გარეშე... თუმცა არ გინდა, ამ სადამოს არ გინდა, თვალებში გატყობ რაღაც გაინტერესებს და ეს ამბავი ჩვენს გარდა არავინ უნდა იცოდეს, - თან ფეხის წვერებით უკან-უკან იწევედა. კარებთან მისულმა უცნაურად ჩაიციინა და წავიდა.

მაგიდაზე სიგარეტის კოლოფი იდო. ბატონ ნუგზარს დარჩენოდა. ირაკლიმ კოლოფი აიღო, მექანიკურად შეატრიალა და გაშრა. კოლოფს ეწერა: „თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკა. 1972 წელი“.

\* \* \*

- ირაკლი! ირაკლი!

ჩიქოვანი გამოერკვა. ნათია იდგა ეზოში. ნათია მაღალი, ლამაზი, ფაქიზი, ნაზი, ჰაეროვანი ნათია ჩემოდნით იდგა პატარა, ვიწრო, ღარიბულ ეზოში. ირაკლიმ არაფერი იცოდა, ასეთი შემთხვევისათვის არც სათქმელი ჰქონდა რაიმე, არც რაიმე პასუხს ელოდა. გულმა ყველაფერი ამცნო. ერთადერთი რაც აბრკოლებდა, ეს იყო სირცხვილი, გამოწვეული ნათიას მის ოთახში მოსალოდნელი შეპატიუებისა, მაგრამ ეს უკვე გარდაუვალი გახდა.

- ირაკლი, რა ვქნა არ ამოვიდე?!

- მოიცა, ჩამოვალ, - ძლივს წარმოთქვა. - ფეხი არაფერს წამოკრა ამ ეშმაკის სახელში... კიბეებზე ბრაგაბრუგით ჩაირბინა. თავჩაღუნული იდგნენ ცოტა ხანი.

- ირაკლი, მე შენთან მოვედი!

- ვიცი, - უპასუხა ირაკლიმ.

\* \* \*

რაც უნდა ღირიული იყოს ეს სცენა, მაინც ვერ მოგატყუებთ: არც ნათიას დაეხატა გულზე ეს „ღარიბშოუ“. ის თანამედროვე, კომფორტის მოყვარული გოგონა გახლდათ, რა თქმა უნდა, პირველ პლანზე სიყვარულის წამომწვევი... ნათია კარებში იდგა, შესვლას არ ჩქარობდა, თითქოს მომავალი ყოფის პლიუს-მინუსებს თვლიდა. არავინ იცის, რა ანგარიშით დამთავრდებოდა ნათიას გონებაში მომავლის დადებით თუ უარყოფით მოვლენათა წამიერი ბალანსი, რომ ამ დროს... (როგორც წესი) ტელეფონს არ დაერეკა. ჩიქოვანი მოძრაობაში ტელეფონის დარეკვით გამოწვეულმა საჭიროებამ მოიყვანა. ყურმილი აიღო და ხუმრობით იტალიურად წარმოთქვა:

- პრონტო!

- что – что?

- ჩიტო, ჩიტო, ჩიტო მარგალიტო - წაუძღერა ირაკლიმ.

ნათიამ გაიცინა

- ვინ არის? - ნათიამ გაარჩია რუსული წინადადება: - это квартира Чиковани?

ჩიქოვანმა მოსაუბრეს სწრაფი „და“ მიუგდო, თან ნათიას ჩაულაპარაკა:

- მოსკოვია, მგონი!

- კი მაგრამ, ეგ რუსი ვინდაა?

- Извините, я с кем говорю?

ჩიქოვანმა თავისი სახელი უთხრა.

- Важа ждет вашей помощи, у него долг.

ირაკლი მოიდრუბლა,

- რაო? - გვერდით ედგა ნათია და ყურმილისაკენ მიიწვედა.

- позвоните по номеру 210-10-01

- ჩაიწერე, ჩაიწერე, - ირაკლი კალამს ეძებდა, ნათიამ ნომერი ჩაიწერა...

- пока.

- პაკა! პაკა! პაკა!

ირაკლი დაეშვა.

- პაკა! პრიესხალი! ნომერი მითხარი.

- 210-10-01.

- ნომერი ნაღდად გიჟურია, მაგრამ მე საბოლოოდ დამერხა!

- ირაკლი, ნუ გიყვარს ჟარგონებით ლაპარაკი!

- აბა, ჩემი კარგი ქართული და თავადიშვილობა კაი ასი წელია ფეხზე ჰკიდია ყველას. სასწრაფოდ გვჭირდება ფული!

- ჯერ დარეკე ვაჟასთან და კარგად გაარკვიე, ვინ დარეკა, რატომ დარეკა და საერთოდ ეგებ გაგეხუმრა ვინმე...

- გამეხუმრა? შეიძლება... ერთი ეს მითხარი, კაცს ვიღაცის ვალი ჰქონდეს, ვერ დაუბრუნოს, იმ კაცის გამო სხვას ბინა წაართვან, არაფრის გულისთვის ქუჩაში გააგდონ, მერე იმ კაცმა კიდევ მის გამო გასახლებულს ფული უნდა თხოვოს?

პაუზა ჩამოვარდა.

- ერთი შესწორების შემდეგ ყველაფერი გასაგები გახდება ირაკლი!

ირაკლიმ ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრო:

- კაცს კი არა... ძმაკაცს! ის ალბათ შენს მეტს ვერავის გაუმხელდა...

- გაუმხელდა კი არა... ალბათ ჩემს მეტი სხვა ცხვირს დაუნაყავდა...

- რა ძველმოდური ხარ, ირაკლი! ცხვირს დაუნაყავდა კი არა, მოკლავდა!

- ჰოდა მოკლავდა და ძალიან კარგსაც...

- ირაკლი!

ირაკლი ჩიქოვანი მიხვდა, რომ სისულელე თქვა. ის სხვა კაცი იყო. ის მეგობარს კი არა, მტერსაც არ მოკლავდა. რა ექნა, ასეთი იყო ირაკლი ჩიქოვანი!

\* \* \*

ის იყო ნათია ქვარიანი (აწ უკვე ჩიქოვანი) ბინის თუ ბიძია თომას ქოსის დალაგებას მორჩა, კარებში ნუგზარ კალმახელიძე გამოჩნდა.

- მობრძანდით, მობრძანდით! ნათია, აი, ეს არის, რომ გეუბნებოდი, ბატონი ნუგზარი, ჩვენი მეზობელი! ნათიამ ისე შეხედა ირაკლის, რომ სტუმარი უმალ მიხვდა, გოგონასთვის არავის არაფერი ეთქვა.

- ა, ეს თქვენ დარეკეთ? ნათია! - ხელი გაუწოდა.

- სასიამოვნოა. ნუგზარ კალმახელიძე - თქვენი უფროსი მეგობარი და მონა-მორჩილი. - ბატონი ნუგზარი დაიხარა და თითებზე ნაზად ეამბორა ქალიშვილს.

- ბატონო ნუგზარ, ნათია დღეიდან ჩემი მეუღლეა!

ნუგზარ კალმახელიძეს ვიღვეტის კოსტუმი ეცვა, წვრილი ჰალსტუხი ეკეთა, რომელზედაც წითელი ლალი კიაფობდა. „ბავშვობიდან მასსოვს ასეთი ტანსაცმელი“ - გაიფიქრა ირაკლიმ.

- სასიამოვნოა! რა სისულელე ეთქვი! სასიამოვნო კი არა, საბედნიეროა! ჰოდა, ახალსახლობა და ქორწილი ერთად! ააა... ასე არ გამოდის?!

- რა ვიცი, - ჩაიბუბუნა ჩიქოვანმა, სანამ ფული და სახლი მქონდა, არ გამომყვა - და!

- მე ზღაპრები მიყვარს ირაკლი... და იმიტომაც მოგადექი, მინდა, ზღაპარში ვგრძნობდე თავს...

- „კრუგომ“ ზღაპარში არ ვარ?! მაგისტვის რად წუხდებოდით, - გაიცინა ჩიქოვანმა.

- ბატონო ირაკლი, ხომ ხედავთ: პრინცესა, მზეთუნახავი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ერთად მერგო წილად! კიდევ კარგი, „კომსომოლკა“ არაა!

- ჰოდა, ძალიანაც კარგი! კიდევ ერთი რამე თუ იცის?

- სადილის მომზადება? - შესცინა ნათიამ სტუმარს...

- ამჟამად - მხოლოდ სუფრის გაშლა. ყველაფერი მზად მაქვს, მხოლოდ ლამაზი დიასახლისის გემოვნებაა საჭირო... მანამდე ჩვენ ამ ძველი ნარდით შევიქცევთ თავს.

ბატონმა ნუგზარმა თავის ოთახში გაიყვანა ნათია და სამზარეულოს საქმეები მიანდო. აჩვენა, სად რა იდო, და რომელი სასმელი გამოეტანა...

ირაკლიმ ნარდი დაიწყო. სიგარეტს მოუკიდა, არც უნდა აღნიშვნა, რომ ის პირველად ეწევა ჩვენს წინაშე. არ ვიცი, ჯანმრთელობის გამო, არ ვიცი, ეკონომიკური მოსაზრებებით, ჩიქოვანმა თითქმის მოწევას თავი დაანება, მაგრამ ახლა რაღაცის მოლოდინში, ამდენი ემოციის შემდეგ ღრმად და სიამოვნებით ჩაისუნთქა „მაგნას“ მძაფრი კვამლი.

\* \* \*

- „დუ სე, დუ სე! გადაყვევი რუსებს“ - წაიღიღინა მოგზაურმა.

- ეგ რომელ რუსებს, ქალებს? - გაიცინა თავადმა.

- ყველა რუსს! გენაცვალოს ჩემი თავი. „დუბეში დუბეში მტრედი მიზის უბეში!“

- თქვენთან, ბატონო ნუგზარ, ნარდის თამაშიც სასიამოვნო ყოფილა, ლექსების თანხლებით. ლექსი ყველაფერზე იცით?

- როცა მოვა, მაშინ გეტყვით: ისე „დუბეშზე“, „ქალი შემყავს კუპეში“ ჯობია, არა?

- ეჰ, ბატონო ნუგზარ, ამ ოთახში ქალის მოყვანას ყველგან მოყვანა ჯობია, მე თუ მკითხავთ...

- აბა, ეგეთები არ იყოს!

- ოო, ნათიაც შემოსულა და ბიჭოს, რა სუფრა გაუშლია. აჰა, ოინი, ოინი, ბატონო ნუგზარ!

- ისე მარსია, მაგრამ თუ გნებავთ, ყაიმი იყოს!

- მობრძანდით, მაგრამ გულახდილად გითხრათ, თავი სიზმარში მგონია!

ნათია ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე ამბობდა ამას. ირაკლი ჩიქოვანი შემფოთებული ათვალთვლებდა წინწკლებიან კალმასს, შავ ხიზილალას, „ლუბიტელსკი“ ძეხვს, შევიცარულ ნახვრეტებიან ყველს, გიშრის ქვებივით შავ ზეთისხილს... და ორ ბოთლ კონიაკს, რომელსაც ხუთი ვარკველი ეხატა...

- აი, ეს კი ვერ გამომივიდა მთლად კარგად... ფული არ მეყო! - ბრძანა კალმახელიძემ.

- რას ამბობთ? გავგიჟდები! რას ჰქვია, კარგად არ გამოგივიდათ. სად იშოვეთ ეს კონიაკი, რამდენი ხანია აღარ მინახავს!

- ჩვენს წინ, აგერ - გასტრონომში.

ჩიქოვანი მოცვლილივით დაეხეთქა სკამს...

სიჩუმე ჩამოვარდა.

- ახლა ამ ჭიქით, - სიჩუმე დაარღვია ნუგზარმა, - მე მინდა თქვენი ბედნიერების სადღეგრძელო შევსვა, ამ ოცი წლის კონიაკით, ხუთჯერ ოცი წელი გეცოცხლოთ და ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს!

მოგზაურმა კონიაკი გადაჰკრა. ჩიქოვანს ხმა არ ამოუღია, სულმოუთქმელად დაცალა ორთომელი. ცოტა ხანს შეყოვნდა. გაიხედ-გამოიხედა და აქაოდა, არავინ დამიშალოსო, ისევ შეავსო და სასწრაფოდ დალია, სკამზე გადაწვა და კალმახელიძეს უთხრა:

- მართლა „იქედან“ არის?

- ჰო, წელი წაიკითხე. აი, ნახე - 1973 წელი. - ეს საშუალოა, ამაზე კარგები იყო: „ენისელი“, „გრემი“, „ვარციხე“, „ძალიან ძველი“, „ოჩენ სტარი“. აი, იმის ფული რომ მქონოდა, იცოცხლე! რამდენი წლის იქნებოდა ახლა?

- არა, მე მართლა გავგიჟდები...

- კარგი რა, ირაკლი, ბატონ ნუგზარს არაჩვეულებრივი წარმოსახვის უნარი აქვს და შენც გაერთე ამით... საუბარში ჩაერთო ნათია.

კალმახელიძეს არ სწყენია. გაიცინა და წარმოთქვა:

- სწორია! ისე ხომ კარგი იქნებოდა? რამდენი გაქვს ახლა ფული?

- ასე 200 მანეთი!

- ოო, ეს სოლიდური თანხაა! ჩვენს წინ გასტრონომში გადაირბენდი ახლა ძველი დრო რომ იყოს. ა, ეს კონიაკი რომ გამოუშვეს, ვთქვათ ის დრო და რა გინდა, სულო და გულო! მაგრამ სამწუხაროდ, ეს ჩემი წარმოსახვაა!

ირაკლი ჩიქოვანს აღმური მოედო, გული აუბაგუნდა.

- გული დაგწყდა, არა, ჩემო ირაკლი? კიდევ ერთხელ ბოდიში, შენობით რომ მოგმართავ, მაგრამ უკვე ახლობლად გთვლი... მოდი, ამ ჭიქით პატარა ნათიას გაუმარჯოს! აუცილებლად კანფეტები და შოკოლადები უყიდე...

ირაკლიმ გაოცებით შეხედა მოსაუბრეს: „დათვრა“ - გაიფიქრა...

- ისე მაგას ბევრს ნუ დაღვევთ, გადაჩვეულები ხართ!

- ქალბატონო ნათია, მე ამას ვსვამ, უფრო მეტად!

- ნათიას გაუმარჯოს! - ჩიქოვანი ფეხზე ადგა - ბედი რომ კარზე თავისი ჩემოდნით მოგადგება, იმას გაუმარჯოს!

- ისე ვნერვიულობ, ბატონო ნუგზარ, მამაჩემზე, დედაჩემს კიდევ არაუშავს, მამაჩემის მეშინია, რამე არ დაემართოს, იქნებ დამერეკა... თქვენ რას მირჩევთ?

- ჰო, უკვე საღამოა. სულ გამოვითიშე, - ირაკლი ადგა, ტელეფონთან მივიდა.

- მე თვითონ ვეტყვი ყველაფერს, რაც მოხდება - მოხდეს.

- არაა საჭირო, ირაკლი, მე დავრეკე უკვე!  
ორივენი გაქვავდნენ. ძველი საათის ჩხაკუნი ისმოდა მხოლოდ.
- თქვენ?
- თქვენ რატომ დარეკეთ?
- მე ხომ დავირეკეთ, ქალბატონო ნათია, მე არ ვითხარით ირაკლის ტელეფონი?  
ნათიამ ირაკლის გადახედა და რატომღაც დამნაშავესავით თავი ჩაღუნა.
- კი მაგრამ, რა უთხარით მამამისს?
- მე მას შორიდან ვიცნობ, გავახსენე ჩემი თავი და ვთხოვე თქვენს სიყვარულს წინ არ აღდგომოდა... და ისიც აღფუთქვი, რომ აუცილებლად ბედნიერები იქნებიან-მეთქი.
- ირაკლის მოულოდნელად გაეცინა.
- ძალიან კარგი! ესეც ასე. ახლა ჩემი თავი სხვა რამითაა დაკავებული. მაშ, ერთიც დავლიოთ, ბატონო ნუგზარ. მოდიოთ, იმ თქვენს კალმახს გაუმარჯოს!
- ნათია, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდა, კალმახისკენ გაექცა თვალი:
- მართლაც რა მშვენიერი კალმახია, წითელი და ლურჯი წინწკლებით მოქარგული!
- ეს კალმახი სიმბოლურად მოვიტანე, ვიცოდი ჩემს სიტყვებს გაგახსენებდა, თან კალმახელიძე ვარ.
- ესე იგი, - წარმოთქვა ირაკლიმ - კალმახი აღმა აუყვება მდინარეს და... - წარმოსახვა დაძაბა. - მდინარე ამ დროს დროა, არა? გამოვიცანი!
- აი, ბატონებო! რატომ მიყვარს ჭკვიან ხალხთან საუბარი. არავინ მიჯერებს, გესმით?! დრო მიედინება, ხოლო მე, ანუ კალმახი - გაიცინა - დროის სათავისკენ მივცურავ დინების საწინააღმდეგოდ.
- შესანიშნავი შედარებაა, მაგრამ სამწუხაროდ - ირაკლი ჩიქოვანი გამომცდელად შესცქეროდა მოგზაურს - სამწუხაროდ, ეს მხოლოდ პოეზიაა და არა ფიზიკა, მითუმეტეს - კიბერნეტიკა... ან იქნებ ვცდები?
- ოო, ჩემო კარის მეზობელო, შენ უკვე, ჩემო თავადიშვილო, ფილოსოფიის ხასიათზე ხარ. მაშ, ერთიც დავლიოთ!
- დავლიოთ, მაგრამ ნათია...
- ნუ შეწუხდებით, არა უშავს, - დაღლილი ხმით წარმოთქვა ნათიამ.
- ნათია, შვილო, მე და თქვენს მეუღლეს კიდევ რაღაც გვექნება დასაღვევი, არ მოგერიდოს, ჩემი ოთახი გვერდით არის და იქ მოთავსდით...
- მერე დავაღაგებთ აქაურობას და აქეთ გადმოვიყვანთ. ნათიას დიდი თავპატიჟი არ დაუწყია, ერთხელ კიდევ მოიხადა ბოდინში და ბატონ ნუგზარს გაჰყვა.
- ულამაზესი გოგონაა! - აღტაცებით შესძახა დაბრუნებულმა კალმახელიძემ.
- გმადლობთ, გმადლობთ.  
მოგზაური მაგიდას მიუჯდა. სკამი საქმიანად მიიწია და იკითხა:
- დრო როგორია, იცი?
- ვიცი, ჩქარა გადის, - ნაღვლიანად უპასუხა თავადიშვილმა...

- ესე იგი, დრო წრფე გგონია არა? ხაზი, რომელიც სადღაც იწყება და სადღაც დასაქარგავში მიდის?

- ჰო, ასეა, და ეს ძალიან საწყენია.

- კალმახსაც ასე ჰგონია!

- როგორ?

- ჰგონია. აღმა რომ აუყვება, იმ წრფის სათავეს მიადგება. უფრო სწორად, მე მეგონა ასე. მაკარონივით სწორი და დაუმთავრებელი მეგონა დრო. იტალიური მაკარონივით, ხომ გინახავს?

- კი, ბავშვობაში მინახავს. მთლიანად ვყლაპავდი და არ წყდებოდა.

- ჰოდა, იცოდე: დრო სპაგეტივითაა, ანუ ჩანგალზე დახვეული მაკარონია. წარმოიდგინე: ყველა წელი გვერდი-გვერდაა დაწყობილი და ერთმანეთში გადასასვლელი აქვს...

- ასე მარტივია? ვიყიდოთ მაკარონი და...

- მე, ჩემო ირაკლი, სუფრის ენაზე გესაუბრები, მოკლედ, დრო პარალელურია და მისი ნაწილები დიფუზიას განიცდიან... უფრო სწორად, მსგავსს რაღაცას...

- აი, ეს სიტყვა მახსოვს ფიზიკიდან...

- მთავარი ის არის, რომ გადასასვლელი არსებობს! გაუმარჯოს გადასასვლელს, ის აძლევს სიცოცხლეს აზრს და ინტერესს...

ირაკლი ჩიქოვანი ისეთი მთვრალი იყო, რომ ერთი საათი საუბრობდა ჭიქით ხელში ხიდებზე, გზებსა და მიწისქვეშა გადასასვლლებზე.

\* \* \*

ნათიამ სიცოცხლეში პირველად გააღვიძა ასაკით უფროსი თავისი მეუღლე და ტელეფონზე გთხოვენო, უთხრა. ირაკლი ბუზღუნით წამოდგა.

- ისევე მოსკოვია, - უთხრა ნათიამ, - ვიღაც რუსია.

- Здравствуйте, поговорите с Важой.

ძველებურ ტელეფონში ხმა ნათიასაც მკაფიოდ ესმოდა.

- გამარჯობა, ირაკლი!

- გამარჯობა!

- მოკლედ, ახლა ბევრს ვერაფერს გეტყვი, მისმინე: ფული გამოიცვალა.

- რა გამოიცვალა?

- ფული. 1961 წელს გამოშვებული ფული გაუქმდა, გაიგე?

- მერე მე რა? მაგისტვის მირეკავ? ჩემს ვალს რა უნდა უყო...

- ირაკლი, მისმინე, იშოვე ვინმე მილიონერი და სასწრაფოდ ჩამოფრინდი. აქ ასურდავებენ, ჩქარა ქენი! ეს შანსი დაგვრჩენია შენც და მეც, გესმის, დღესვე!

- ბიჭო, მე შენ ნორმალური მეგონე, დღეს მილიონერი კი არა, საერთოდ არ გავდივარ გარეთ, ცოლი მოვიყვანე.

- ვინ?

- ნათია ქვარიანი.

- ჰო, მომილოცავს. აკოცე ჩემს მაგივრად კაი გოგოს, ნათიასაც აუხსენი, ვინმეებს დაურეკეთ, იცოდე, ახლა გაკეთდება ხალხი.



- შენ რა იცი?
  - ასე ხდება ხოლმე. ჭკვიანი ხალხი ამბობს აქ.
  - ესე იგი, რომ ვიშოვო, ფულით უნდა ჩამოვიდე?
  - აუცილებლად და საჩქაროდ!
  - კარგი, კარგი. კარგად იყავი, დაგირეკავ, თუ რამე მოვახერხე. ყურმილი დაკიდა. თავზე ხელები გადაისვა და ზანტად წარმოთქვა:
  - ამ ორ კვირაში თუ არ გავგიჟდი, მერე არაფერი მომკლავს. ნათიას შეხედა.
  - მე ყველაფერი მოვისმინე, დაქალებში დავრეკავ.
  - კარგი, დარეკე. მე გარეთ გავალ, ვნახავ ერთი, რა ხდება ქვეყანაზე, მომეცი ის ორი კაპიკი, რომ დავდე საღაცა, გაფუჭებულია და ეგება სადმე დავხარჯო.
- რამდენიმე წუთში ირაკლი ჩიქოვანი თავის ძველ „ფიატს“ თბილისის ქუჩებში ნელი სვლით მიაგორებდა.

\* \* \*

რა ხდებოდა თბილისში? ჯერჯერობით - არც არაფერი. თორმეტის ნახევარი იქნებოდა. კარგი ამინდი იდგა, ბუნება თავისი კურსის შეცვლას დღეს არ აპირებდა. ირაკლი ჩიქოვანმა თავისი წვრილი ფულით (იცოცხლე, ერთ დროს ფული იყო), მანქანაში ზეთის გამოცვლა გადაწყვიტა, ამ საქმეზე თუ ეყოფოდა თავისი ხუთი ათასმანეთიანი, მის ბავშვობაში კი მანქანას იყიდდა კაცი. არც ხელოსნებმა იცოდნენ რამე. გადახდის დროს ირაკლიმ ხელოსანს კი უთხრა, ამ დილით ფული შეიცვალაო, მაგრამ დიდი არაფერი მოყოლია ამ ცნობას, შეიცვალა და შეიცვალოსო, უთხრა გაზეთილხალათიანმა და ფული ზედა ჯიბეში ჩააცურა. ერთი საათი გასულიყო. თბილისი აშკარად შეცვლილი ჩანდა.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფებად იყრიდა თავს. რაღაცაზე ხელებით საუბრობდნენ, კამათობდნენ. კომერციული ჯისურები ერთმანეთზე მიყოლებით ზედიზედ ხურავდნენ დარაბებს. ბატონი ერვანდი და ქალბატონი შუშანა შემოხვდნენ. მანქანა გაუჩერა. ჩასხდნენ...

- შვილო, ირაკლი. ცოტაოდენი ფული გვიფუჭდება და იქნებ მოშორებით გაგვატარო, აქ ყველაფერი დაკეტეს!

- რამდენი გაქვთ, ძია ერვანდ, თუ საიდუმლო არაა? - სარკიდან გახედა ჩიქოვანმა...

- გვაქვს ერთი ოცდაათი ათასი!

- ცოტაა... პაუზის შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

- ცოტა კია, ახლანდელი გაგებით, მაგრამ ამ ფულს დიდი ხანია ვაგროვებთ. ასე ვთქვათ, დასამარხად გვინდოდა და აი, რა დღეში ჩავყვარეს...

დიდხანს იარეს. ზოგმა მესამედი ფასი შესთავაზა. უმეტესობამ არაფერი. დღეს ვერაფერს გადაგიცვლითო, გაიძახოდნენ ფულის მაქინატორები, ხელებში სხვადასხვა ქვეყნის ბანკნოტები რომ ეჭირათ და ბოშა ქალებივით რომ ტრიალებდნენ ერთ ადგილას, თითქოს „ჟუჟაჩკას“

ან სიგარეტს ყიდდნენ. „არა, ნამდვილად შეიცვალა თბილისი“ - ჩიქოვანს ბოლოდროინდელი ფიქრი წამოუტივტივდა.

- რა კუპიურებით გაქვთ, ძია ერვანდ...

- ოცდახუთიანები და თუშნიანებია, 61 წელს გამოშვებული.

- ძალიან კარგი, - მაშინაღურად ჩაილაპარაკა საჭესთან მჯდომმა, - ძალიან კარგი... მე მყავს მეგობარი მოსკოვში, ვინც გადაგიცვლით მაგ ფულს, რა თქმა უნდა, პროცენტს დაიტოვებენ, მაგრამ იმას ბევრი უნდა...

- მაინც რამდენი?

- მილიონები.

- ეჰ, მილიონების პატრონი რომ ვიყოთ, ისეთ ბინაში ხომ არ ვიცხოვრებდით...

- გაიკითხეთ, იქნებ ნაცნობებში იყოს ვინმე ფულიანი, უფრო სწორად ყოფილი ფულიანი...

- შეიძლება, მაგრამ ჩვენს გასაჭირს რა ეშველება?

ეს ისეთი სასოწარკვეთით ითქვა, რომ ირაკლი ჩიქოვანმა მანქანა დაამუხრუჭა და თანამგზავრებს ანთებულნი თვალებით შეხედა.

- კარგი, - გადაწყვეტით თქვა, - მე მომანდეთ ეგ ფული! ახალი კუპიურებით ერთი-ერთზე დაგიბრუნებთ!

- როგორ, შვილო, შენ რატომ უნდა იზარალო, როგორც იქნება, ისე დავახურდავებთ, შენ რატომ წუხდები...

- არა, არა, ახლავე მომეცით...

ძალიან ერიდებოდათ, მაგრამ ასეთ წინადადებაზე უარის თქმაც ძნელი იყო, მითუმეტეს მათ ასაკში... ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე კაცი მხარში ამოდგომას სთავაზობდა და მათაც უყოყმანოდ ჩაუთვალეს ოცდაათი ათასი მანეთი. ირაკლი ჩიქოვანი მხოლოდ ბანკნოტების გამოშვების თარიღებს ამოწმებდა, რატომღაც ყველას წითლად ეწერა „1961 წელი“. ირაკლიმ ცოლ-ქმარი სახლთან ახლოს ჩამოსვა და თვითონ მეგობართან შეიარა. იქაც იგივე პრობლემა დახვდა. ცოტ-ცოტა ფული ყველას შერჩენოდა. ირაკლიმ 61 წელს გამოშვებული დაიანგარიშა და 35 ათასი იქაც ვალად აიღო. სხვა ფულს, ბოლო დროს გამოშვებულს, ხელი არ მოჰკიდა, რითაც ყველა გააკვირვა.

ბოლო სიტყვა დააგდო, თუ ვინმე მილიონერს იპოვით, ფულს მოსკოვში ცვლიანო და წავიდა. დანჩენილებმა მხრები აიჩეჩეს, არ ვიცით, გვეცოდინება და გავითვალისწინებთო.

სახლში მისვლისთანავე ნათიას უთხრა, ჩემი ძველი პასპორტი ხომ არ გინახავსო და უჯრებს ეცა. ნათიას ირაკლის პასპორტი თვალითაც არ ენახა.

- პასპორტი უნდა იყოს ძველი სადღაც, - ხმამაღლა ფიქრობდა თავადიშვილი. ვინმემ რომ გამაჩეროს და ახალი პასპორტი ვუჩვენო - დამიჭერენ, არადა სადღაც ნამდვილად მაქვს ის. მწვანე პასპორტი 75-ში თუ თექვსმეტში წითლით შეიცვალა. წესით ორივე უნდა მქონდეს. მაგრამ ასაკი?!

- რა ასაკი, ირაკლი, რაზე ლაპარაკობ? - შეშინდა ნათია.

- არაფერი, ისე, ჩემთვის ვთქვი, თორემ უპასპორტობას არაფერი სჯობია. მთავარია, იყოს ფული. როგორაა იმ სიმღერაში? ჰოდა თუ

მთავარი ფულია, ჩემი ანგარიშით და თუ რაიმე არ მატყუებს, უფრო სწორედ ვინმე, მე ახლა დიდი ფულის პატრონი ვარ!

- საიდან, ირაკლი, რას ამბობ? რა დაგემართა?

- ჰო. ცოტა გაგაფრინე. ამ ფულის შეცვლამ სულ ამომადლო კალაპოტიდან. ხომ არ გაგიკითხავს მეგობრებში?

- ვაჟამაც დარეკა, როგორაა ჩვენი საქმეო. უამრავმა ხალხმა კიდევ ვინმე ხომ არ გყავთ ფულის გადაცვლა რომ შეუძლიათო, გვყავს-თქო ვუთხარი და ახლა შენ იცი! ტელეფონები ჩავიწერე, მაგრამ მოსკოვში მაგ ფულით გაფრენა საშიში არაა?..

- რა ვიცი, საშიშია ალბათ, მაგრამ ვიდუფილმებში ვინმე უწვა-ლებლად გამდიდრებული გინახავს?

- ირაკლი, ჩვენ გამდიდრება არ გვჭირდება. ჩვენ მხოლოდ შენი ბინის დაბრუნება გვინდა.

- ვიცი, ვიცი ნათი. ისე კი მინდოდა ადრე ზღვაში იახტებით გრიალი, მაგრამ რას იზამ... „ლაჟვარდების კიდეო, დაბურულ ზმანებით, ლურჯო მონტევიდეო თეთრი ხელთათმანებით...“

- მაგარი ბიჭი ხარ, - სიყვარულით შესცინა ნათიამ.

- რატომ?!

- ამ ჭუჭყში გალაკტიონი რომ გაგახსენდა!

- მე, ხომ იცი, როგორი ტვინი მაქვს? ცალი ნახევარსფერო ფულზე ფიქრობს, მეორე პოეზიაზე!

- მე რომელში ვარ?

- პირველში, მინდა ერთი ნახევარსფეროს დახმარებით მეორეში გადაგიყვანო და სამოთხეში, პოეზიით გაქდენთილ სამოთხეში შეგასახლო!

- მამაჩემმა დარეკა!

- კარგი გადასვლა იყო ჩემმა მზემ!

ასე თუ გიყვარდა, ნამდვილად არ ვიცოდით. მე კი ბავშვობიდან მიყვარს-მეთქი, ვუთხარი.

- ტყუილი უთხარი, ბავშვობიდან როდის მიცნობდი?

- შენ არ გიცნობდი, მაგრამ შენ გგავდა!

- მაეჭვიანებ?

- არა, სულელო (ეს ისე წარმოთქვა, რომ ირაკლის ესამოვნა კიდევ), მამაჩემთან მოდიოდა ვიღაც ბიძა, კანფეტებით მასაჩუქრებდა.

- კიდევ, რით გასაჩუქრებდა? - ეს იორინიული ღიმილით იკითხა.

- ნაყინით.

- კიდევ?

- კიდევ ერთხელ ცირკშიც წამიყვანა, ზოოპარკში და ხომ ხედავ, დღესაც მახსოვს. ასეა: - ბავშვს ვინც კარგად მოექცევა, ის ამახსოვრდება. იმ ბიძიამ იცოდა ეს და ხომ ხედავ...

- კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

- შენ გგავდა-მეთქი, ხომ გითხარი. მერე შენ რომ გნახე იმას ჰგავხარ... ამიტომაც ვუთხარი მამაჩემს, ბავშვობიდან მიყვარს-მეთქი. გაიგე?!

- სისულელეა და მეტი არაფერი.

- მეც ვიცი, რომ სისულელეა.

- კარგი. მოკლედ მამაშენი არ მირბის მილიციაში, თუ პოლიციაში, არ ეძებს ნაცნობ პროკურორებს, თუ ძველებიჭებს, არავის ეძებს ხომ?

- არ ვიცი. უფრო სწორად არ ეძებს, მე მელოდება!

- როგორ გელოდება?

- ყველაფერი ვიცი, სადაც ცხოვრობო. შენ ჩემი შვილი ხარ და მე მგაეხარო, ამიტომ გამოვიანგარიშე და ერთ თვეში სახლში დაბრუნდებიო...

- რა სიამამრი მყოლია. შენ რა უთხარი?

- მე ვუთხარი დედას ვგავარ-მეთქი!

ორივენი ჩაბჟირდნენ. ტახტზე დავარდნენ და ისე იცინოდნენ კარებზე კაკუნის კინაღამ ვერ გაიგეს. ზღურბლთან მოგზაური მეზობელი ნუგზარ კალმახელიძე იდგა. ირაკლი წამოდგა. ნათია კიდევ იცინოდა, ამიტომ ირაკლიმაც ბოლომდე ვერ დაიწყო სახე და სანახევროდ გაღიმებულმა ნუგზარს უთხრა:

- მე მზად ვარ!

- ვიცი, - უპასუხა ნუგზარმა.

\* \* \*

- ჩემოდანი სადგურის შემნახველ საკანში დატოვე, ფული თან არ ატარო, ნაწილი ჩაიდე ჯიბეში, - პატარა, ნარინჯისფერ ჩემოდანს გასადებით კეტავდა ნუგზარ კალმახელიძე.

- ბატონო ნუგზარ! თქვენ რა, არ წამომყვებით? ვნერვიულობ.

- არა, მე ვერ წამოგყვები, სახიფათოა ჩემთვის. შეიძლება გადასასვლელი ჩაირაზოს და იქ დავრჩეთ! მე მოვხუცდი. ჩემთვის ძნელია...

- რა ვიცი, რამდენი ნატრობს იქ დამაბრუნაო!

- ძნელია, ძნელი. შენ თვითონ ნახავ, ყურადღებით იყავი, ნაცნობებშიც ფრთხილად მოიქეცი, არავინ გიცნოს...

- არ მიცნონ? რა მოხდება, რომ მიცნონ?

- მე არაფერი ვიცი, რა მოხდება და რადგან არ ვიცი, ამიტომ ვრიდე. მე მხოლოდ ერთ-ორ ადგილას დავდივარ. რა უნდა გააკეთო, იცი?! გეგმა გაქვს?

- ვიცი. ბინა უნდა დავიბრუნო!

- ეს გასაგებია, მაგრამ კონკრეტულად. ყველაზე კარგია ოქროს ან ბრილიანტის წამოდება. ლენინის მოედანზე, აღმასკომის გვერდით ყრია... ხომ იცი...

- აბა საიდან, ისე მახსოვს, ბუნდოვნად.

- ჰო, მაგაში პასპორტს არ მოგთხოვენ, ბევრი არ იყიდო საშიშია. კარგად დაზვერე, ვინმე არ გითვალთვალებდეს. იქ შარიანი ხალხი ცხოვრობს. ერთხელ რომ იყიდი, მეორეთ სხვას თხოვე, რამე მოიმიზეხე და იმას აყიდვინე და ძალიან ღირიული ნუ იქნები. შეიძლება ბავშვობიდან კიდევ ბევრი რამ გაგახსენდეს და ცრემლებიც მოგადგეს, მაგრამ გახსოვდეს, შენ მოქმედებ სწრაფად, საქმიანად და სადამოსთვის სახლში ხარ! გაიგე? ნათიამ არ უნდა გაიგოს!

- მერე, რომ გაიგოს?  
- მერე მერემ იკითხოს.  
- ნათია! - გასძახა საქმეზე ფიქრით დაძაბულმა ჩიქოვანმა, მე საღამომდე ვერ მოვალ.  
- სად ისადილებ, ირაკლი?  
- სადმე, იაფად.  
- კარგი, აბა ჭკუით!  
- იაფად ნამდვილად ისადილებ, - გაიცინა ნუგზარმა.  
მერე ეზოდან გავიდნენ, მანქანაში ჩასხდნენ და ნელი სვლით დაიძვრნენ.

- ბატონო ნუგზარ, საით მივდივართ?  
- „ჩელუსკინელებზე“.  
ჩიქოვანმა გაკვირვებით შეხება, მაგრამ არაფერი უთქვამს.  
- იქ მოვუხვევთ და მანქანას ცირკთან დავაყენებთ. მე ფეხით გავივლი. მანქანის ნუ გეშინია, გასაღები დამიტოვებ. მოვალ და დაგხედავ ხოლმე. საღამოსათვის მანქანაში დაგხვდები.

„ლადა“ ცირკთან შეჩერდა. მანქანა დაკეტეს და ფეხით გაუყვნენ მოფილაქნებულ გზას, რომელიც ცირკთან მეორე მხრიდან აღის. კალმახელიძე ყვებოდა, ირაკლი ჩიქოვანი კი სმენად იყო ქცეული...

- ერთხელ, ამ ოციოდე წლის წინათ, ციური ნათება დაადგა შარავანდედით ამ ბორცვს, მიტინგივით დიდძალი ხალხი შეიკრიბა, მფრინავი თეფში ეგონათ. მეც იქ აღმოვჩნდი. ალბათ სრულიად შემთხვევით, იქნებ კანონზომიერადაც. კარგა ხანს იყო ასე. რას არ ამბობდა ხალხი. მერე ნათება რომ გაქრა... მე ერთი ეჭვი გამიჩნდა. ახლავე გეტყვი. გაზეთები წერდნენ, რომ ეს არ იყო მფრინავი თეფში, რომ ეს იყო ბუნების ჯერ კიდევ შეუსწავლელი გამოუცნობი მოვლენა. მეცნიერებიც გამოიყვანეს ტელევიზიით, რადიოთი და ყველა ამტკიცებდა, რომ ეს არის რაღაც ისეთი, რომელიც არსებობს, მაგრამ მისი არსი ჯერ არავინ იცის. მე ავდექი და ჩემი თეორია შევქმენი გადასასვლელის შესახებ, რომელიც შენ, ნასვამს მოგიყევი და შენც უმალ დაიჯერე...

- მართლაც და რატომ დავიჯერე ასე უცებ?!  
- გინდოდა და დაიჯერე, სხვა გზა არ გქონდა.  
- მეც ისე მჭირდებოდა ამ გადასასვლელის პოვნა... მოკლედ თვალი დავადგი ამ პატარა გორაკს. აქ, ტყუილად არ იქნებოდა-მეთქი ციალი, ჩავიჭედე ჩემთვის... მაგათ არ იციან, თუ რა შეიძლება იყოს ეს და ძალიანაც კარგი-მეთქი ვფიქრობდი ჩემთვის და უკვე მტკიცედ ვიწამე, რომ გადასასვლელი აქ იყო!

- კი მაგრამ ადგილი? ზუსტი ადგილი იცოდით?  
- არა, მაგრამ ამის დასადგენად საფეხურები იყო საჭირო. ვიცოდი სამეცნიერო ფანტასტიკიდან. ის ზუსტი მეცნიერება არაა, მაგრამ ისე მჭირდებოდა გადასასვლელის პოვნა, რომ ამ ვერსიას ჩავებლაუჭე... დააკვირდი ამ გორაკს, ცენტრალური, კაპიტალური კიბე გასდევს ფასადის მხრიდან, ძალიან პომპეზურია, არა? ეს საფეხურები დავიარე და ვერაფერი აღმოვაჩინე. ეს ქვაფენილიც, უკანა მხრიდან ბოლომდე რომ აყვებოდა გორაკს, იმედს არ იძლებოდა და აი, ყურადღების დაძაბვით ეს პატარა

მიწანაყარი კიბე აღმოვაჩინე... გულმა რეჩხი მიყო! იცი, ინტუიციით ვიგრძენი, რაც უნდა მექნა. ზემოდან მოვექეცი კიბეს და ფრთხილად შევდგი ფეხი. მეშინოდა, არ ჩატეხილიყო. ახალგაზრდა აღარ ვიყავი უკვე... შემდეგ მეორე საფეხური მოვსინჯე, მესამე... თან გუნებაში ვითვლიდი, არც არაფერი იცვლებოდა, ხოლო მეცხრეზე...

- რა მოხდა მეცხრეზე?!

- წარსულში აღმოვჩნდი! ზუსტად ოცი წლით ადრე.

- ახლა ხომ ყველაფერი წესრიგშია? - შიშნარევი ხმით იკითხა ირაკლი ჩიქოვანმა, - ხომ არაფერი შეიცვლებოდა?

- საერთოდ, ეს მოგზაურობა საშიშია, გადასასვლელი შეიძლება ერთგან ჩაიკეტოს და მეორე ადგილას გაიხსნას, მაგრამ ჩემი აზრით, ეს საუკუნეში ერთხელ ან სულაც არ ხდება, მაგრამ ღირს რისკად!

- რომ ჩაიკეტოს, რა მომივა? - შეყოვნდა ჩიქოვანი.

- შეგეშინდა, თავადო! არ ჩაიკეტები! თუ არა და, - უცნაურად გაიღიმა - ფული ხომ გექნება თავზესაყრელი? სხვა ქალაქში წადი და იცხოვრე!

- ვითომ რატომ სხვა ქალაქში?

- რა ვიცი. შენ თავს რომ არ შეხვდე...

ჩიქოვანი გაფითრდა.

- ახლა მეუბნებით მაგას, ბატონო ნუგზარ? მე გადავიფიქრე...

- არავითარი გადაფიქრება. წადი, წადი, დანაჩენს შენ თვითონ მიხვდები. - ხელმოხვეული მიიყვანა ახალბედა მოგზაური კალმასელიძემ კიბესთან - აი, აქ. აქ შედგი ფეხი და ნელა, დინჯად ჩაუყვივი მეცხრე საფეხურამდე.

ჩიქოვანმა ხავსიან კიბეს ფეხი შეახო.

- აქ ვერც ჩაირბენ, ძალიანაც რომ ვსურდეს.

- ეტყობა ასეა საჭირო! - ეს ხმა უკვე ზარივით მოესმა. მოიხედა და ნუგზარი იქ აღარ იდგა. ხელში ჩემოდანი ეჭირა და ჩასვლაში უშლიდა. წელში მოხრილი ჩადიოდა კიბეებზე. აი, მეცხრე საფეხურის ჯერიც დადგა: „რატომ მაინცდამაინც მეცხრე“. - გაუელვა ჩიქოვანს. თავისი კითხვის უპასუხოდ დატოვება არ სჩვეოდა: „სამი გზა, სამი დრო, როგორც ზღაპარშია... სამჯერ სამი - ცხრა...“ უკვე მეცხრე საფეხურზე იდგა წელში გამართული ჩემოდნით ხელში, რაღაც დიდი ზათქის, ელვის, ჭექა-ქუხილის მოლოდინში. მსგავსი რამ წაეკითხა კიდევ, მაგრამ ზღაპარი სულ სხვაა, ხოლო შეუცნობადი ცხადი სულ სხვა... რამდენიმე ხანს ასე იდგა... გაუკვირდა. არაფერი რომ არ მომხდარა, ისევ იმავე ქუჩას ხედავდა გორაკიდან, ისევ ისე იდგა კიბეზე, ხალხიც ისევ ისე მიმოდოდა და მანქანებიც... თუმცა, თუმცა მანქანები მომრავლებული ეჩვენა.\* ჩემოდანი დადგა, თვალები მოიფშვნიტა... და გარემოს გადახედა: მოპირდაპირე თერთმეტსართულიან სახლზე წითელი ტრანსპარანტი ეკიდა: „დიდება სკკპ“!

---

\* 1993 წელს თბილისში არ დადიოდა არცერთი ტაქსი. იშვიათი იყო სხვა ავტოსაშუალებანიც. ავტორის შენიშვნა.

\* \* \*

ძმაო, აბესალომ!

საოცრებები ხდება ჩემს თავს... ერთი კაცი დამიახლოვდა - კალმახელიძე. მომავლიდან ვარო, გესმის? არ დაიჯერებ, ვიცი, არც მე მჯერა, მაგრამ საათი მაჩვენა ისეთი - ისრები არა აქვს, ელექტრონით მუშაობს... წარმოგიდგენია? ამბებს მიყვება, - ჭკუიდან შეიშლები- რაც მთავარია: ჩემი ლექსები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა... ხვდები, ძმაო, ლექსი მარტო ლექსი კი არაა, როგორც ზოგიერთ ხეპრეს ჰგონია, არამედ უამრავ საიდუმლოს უნახავს შთამომავლობას, ისინი გაშიფრავენ მას... ახლა უფრო გამძაფრდა ჩემში მარტოსულობის განცდა. მარტო ვარ, გესმის? ეს წერილი წაკითხვისთანავე დაწვი! ასე სჯობს. იქნებ შენ მაინც გამიგო. ვნახოთ, რა მოხდება!

შენი გატუნია.

\* \* \*

ეზოსთან კალმახელიძეს ვახტანგ ჩხარტიშვილი შეხვდა.

- ოო, როგორ ბრძანდებით, ბატონო ვახტანგ?

- გმადლობთ, თავად როგორ გიკითხოთ, როგორ მოიარეთ სიჭაბუკის ტრასები?!

- ისე, ჩემო ვახტანგ. ოცი წლის წინ შენ სადგურში მუშაობდი ხომ?

- კი, ორმოცი წლის წინ დავიწყე და სულ ბოლომდე იქ ვიყავი.

- რა მოგცეს მერე მაგაში?

- პენსია კუპონებით. რა უნდა მოეცათ?

- აბა, რა დრო დადგა, ბიჭო?!

- რა იყო ნუგზარ, რატომ მკითხე, იქ ხომ არ გინახივარ... ამ დღეებში,

- ჩაიქირქილა რკინიგზელმა ვეტერანმა.

- არა, არა! ერთი ეს მითხარი, ის ავტომატურსაკეტიანი შესანახი კამერები ხომ იყო სანდო იმ დროს?!

რკინიგზელი ვერ მიხვდა, დასცინოდა თუ სერიოზულად ეკითხებოდა...

- მეგრელი რომ დაჯდა თვითმფრინავში, იცი?

- არა!

- გადახედა მგზავრებს და იკითხა: „ეს თვითმფრინავი სანდოა?“ „ანი“ არის და სანდოაო, - უთხრეს. „რატომო?“ „რატომო, და ან აფრინდება ან არაო, გაიგე?“

- ესე იგი, შენ ამბობ... - ჩაფიქრდა მოგზაური.

- ჰო... ხანდახან ზოგი დაბადების წელზე აწყობდა კოდს და ცნობდნენ.

- ეს როგორ? კარგად ამიხსენი.

- უბრალოდ. შემოვა ვინმე სანდომიანი მგზავრი. დადლილია, რიცხვების დამახსოვრების თავი არა აქვს, თავისი დაბადების დღე და წელი არ ავიწყდება არავის, იცი, შენ.

- მერე, მერე?  
 - მერე ზის აგერ ვიღაც ქურდბაცაცა და აკვირდება ამ დაღლილ მგზავრს, რამდენი წლისაა, იმის გამოცნობა უნდა. მერე რომ მივიდეს და გააღოს!

- ხშირად გამოიცნობენ? - მღელვარება შეეპარა კალმახელიძეს.  
 - საკმაოდ ხშირად. რამდენად ხშირადაც თავისი ასაკის კოდს კრეფენ და რამდენად ხშირად ადამიანს თავისი წლები ეტყობა!  
 ნუგზარმა შევებით ამოისუნთქა. მოეშვა.  
 - ასაკს ნამდვილად ვერ შეატყობენ!  
 - ვისზე ლაპარაკობ, ნუგზარ?  
 - აი, ფული რომ გამოიცვალა, რას შევები? - ბანზე აუგდო სიტყვა კალმახელიძემ.  
 - რა უნდა ვქნა... ვარ უფულოდ. სამაგიეროდ მდიდრებივით გულზე არ ვარ გამსკდარი და ღამეც წესიერად მიძინავს... არც შენ უნდა გქონდეს ჩემი ანგარიშით დარდი...  
 - ეს, ჩემო ვახტანგ, მე და დარდი არ მქონდეს?  
 ვახტანგ ჩხარტიშვილმა ათკითხვიანი მზერა გააყოლა კიბეებზე მიმავალ თავისკბილა გამოუსწორებელ ფანტაზიორს.

\* \* \*

თერთმეტსართულიანი სახლი. „დიდება სკკპ-ს“.  
 ირაკლი ჩიქოვანი მიხვდა, სადაც იმყოფებოდა. „შ“ ნაყლაპივით გაჰყურებდა სიზმარეულ ჩვენებებს. მოჭადრაკულ ტაქსებს, ახალთახალ გაზ-24, ჟიგულებს, იქვე, გორაკის ქვევით მდგარი ბენზინგასამართი მანქანაც გამქრალიყო\* ... ახალგაზრდებს ტრაპეცია შარვლები ეცვათ, ბიჭებს უმეტესად გრძელი თმები ჰქონდათ და ტანზე შემოტმანსილი პერანგები და პლატფორმებიანი ფეხსაცმელები ეცვათ. ეს მას ყველაფერი უნახავს წარსულში... რაღაც აუხსნელი სევდა შემოაწვა და კალმახელიძის სიტყვები გაახსენდა:

\* 1993 წ. არცერთი ბენზინგასამართი სადგური აღარ მუშაობდა. ბენზინს ავტოცისტერნებით ჰყიდოდნენ. ავტ. შენიშვნა.

„საქმიანად მოიქეცი, საღამოს სახლში უნდა იყო“. როგორც წყლიდან გამოსული ძაღლი დაიფერთხავს წყლის წვეთებს, ისე მოიცილა ჩიქოვანმა სტრესული მდგომარეობა. ფრთხილად ჩამოვიდა ქუჩის სავალი ნაწილისაკენ. იქ შემადლებული კედელი დახვდა, ჩამოხტა და ტროტუარზე მოსეირნე ხალხს შეერია. „ასე! ახლა პირველ რიგში მჭირდება ტაქსი სადგურზე გასასვლელად“. ყვითელი ოცდაოთხი ზუსტად სადგურის მიმართულებით იდგა... რაღაც გაახსენდა, მაგრამ ახალ დროში მივიწყებული: „სადგური!“ დაიძახა ტაქსისტმა. ჩიქოვანმა თავი დაუქნია და „ვოლგისკენ“ გაიქცა...

- გამარჯობათ! - ჩაჯდომისთანავე მიახალა ირაკლიმ მძღოლს.



- ვა, ეს რა რეტრო ფასონზე გაცვია, ჯიგარო, - გადახედა ტაქსისტმა და ჩიქოვანმანც თავი შეითვალა.
- კინოში ვიღებენ? - ორბორტიანი პიჯაკი, ბოლოში დავიწროებული მანუეტებიანი შარვალი და ფეხზეც „ინსპექტორები“ ეცვა...
- პიტიდისიატიეს მოდაა. აი, „პობედები“ რამე...
- რა, არ ვარგა?
- არა, კარგია, მაგრამ, მაგრამ ეგრე არ გაიარო, დაგცინებენ... ირაკლიმაც უცებ გადაწყვიტა ნაკლებშესამჩნევი ყოფილიყო.
- აბა, მაღაზიასთან გააჩერე!
- მანქანა - იქვე სადგურთან მდებარე მეღაზიასთან შეჩერდა.
- მაიცა, რა, დრო არა მაქვს! ფული მაიტა და კარგად იყავი. ვერ დაგელოდები, ძმაკაც!
- დამელოდები. დღეს დამჭირდები!
- როგორ? დაგჭირდები კარგია. რა უნდა მამცე? გეგმა მაქვს.
- ხუთ თუმანს მოგცემ.\*

\* 1973 წელს ეს იყო ნახევარი თვის საშუალო ხელფასი. ტაქსი ღირდა 1-2 მანეთი.

მძლოლმა უსიტყვოდ გამორთო ძრავა და მომლოდინე კაცის პოზა მიიღო. ირაკლიმ ჩემოდანს დახედა.

- მოდი, ჯერ სადგურის საკანში ეს ჩავაბაროთ, მერე კი მაღაზიაში შევიდეთ, - ჩუმად უთხრა საკუთარ თავს.

ჩიქოვანს ბევრი არც უფიქრია, ისე ააწყო კოდში თავისი დაბადების წელი: 1953 და ინსტინქტურად ირგვლივ მიმოიხედა. ჭაღარაშეპარული ირაკლი ჩიქოვანი არაფრით გავდა 1953 წელს დაბადებულს, ამ წელს დაბადებულები მეოცე ზაფხულს ითვლიდნენ. ოპერაცია „ჩემოდანი“ დამთავრდა. ახლა საჭირო იყო ფართოტოტებიანი შარვლის „შლაკების“ და ვიწრობორტებიანი პიჯაკის შექმნა ორ დღეზე, თუმცა ისე ცხელოდა, პიჯაკი არც იყო საჭირო. მაღაზია ნაირნაირი საქონლით იყო გატენილი. პიჯაკები, პალტოები, პულოვერები, სვიტრები, მაცივრები, ვენტილატორები, შავ-თეთრი და ფერადი ტელევიზორები. „ასეთი ტელევიზორი ჩვენც გვაქვს“, - იცნო „რუბინი“ ირაკლიმ.

მაინცდამაინც არ მოეწონა ირაკლის, რომ მაღაზიაში მარტო პოლონური და ჩეხური კოსტუმები იყო.

ტაქსისტი უკვე მის გვერდზე იდგა, ირაკლის შეხედა.

- არ მოგწონს, არა? შენ გეტყობა „ფირმა“ გინდა. ეგეთები 120 ღირს, „ფირმა“ - 300!

- გეგულება?!
- კანეშნა. ჩვენთან, მეიდანზე.
- წავედით?
- წავედით...

ნახევარ საათში ირაკლი ჩიქოვანი პოლ მაკარტნის ჰგავდა, ახალგაზრდობაში, რა თქმა უნდა.

- ერთი რუსთაველზე გავიაროთ. იქ ოქროულობის მაღაზიაა, ხომ იცი?

- ლენინის მოედანზე?  
 - თავისუფლების მოედანზე! - ირაკლიმ პირდაღებულ მძღოლს შეხედა და გაეცინა.  
 - ჰო, თუმცა ჯერ ადრეა. შესვენება იქნება. მოკლედ, ახალ სად მინდა იცი, სად და სადაც ვცხოვრობდი, იმ უბანში... ნუცუბიძეზე დააწევი... მერე მოვიდეთ აქ.  
 მანქანა რბილად მიქროდა თბილისის ქუჩებში, ალბათ „93“ თუ ესხა მანქანას ავზში, არც „კლაპანების“ ჩხაკუნი ისმოდა და „დიორგანიაც“ არ ჰქონდა. შეშურდა ტაქსისტის. ფანჯრიდან ხელი გადმოეყო და გრილი ნიავეთ ნებივრობდა. ის სიზმარში იყო! აი, ჩაიარეს ფილარმონია, გმირთა მოედანი, ტელევიზიასა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ჩაუქროლეს.  
 - რადიო ჩართე, - თხოვა მძღოლს.  
 - ლაყობაა...  
 - ჩართე, ჩართე.  
 რადიოში სიმფონიური მუსიკა ისმოდა...  
 - კომუნისტებს არ ასეთი მუზიკა მოწონთ! - „იანგლა“ მძღოლმა.  
 - შენ რა გქვია?  
 - გარიკა.  
 - გარიკ, არ მოგწონს კამუნისტები?  
 - შენ რა, „კაგებეშნიკი“ ხარ? - ირაკლის გაეცინა.  
 - არა, არა, გარიკ, მაგრამ ბევრი რამე ვიცი.  
 - მერე ის აღარ იცი, კამუნისტები როგორები არიან? სულ ეგეთ მუზიკას უკრავენ. გეგონება მაგრა ესმით!  
 - თუ არ ესმით, რატომ უკრავენ?  
 - ობრაზი უჭირავთ, რა, ვითომ სვეტები არიან, კამუნისტი და ბეთჰოვენი არ გამიგია. მაგათი მუზიკა „ჩინკა-ჩანკაა“.  
 - კი, მაგრამ ნოდარ დუმბაძე პარტიულია, ყველა ერთი ხომ არაა?  
 - რა ვიცი!  
 - ...ბიჭო, გარიკ, შენ დისიდენტი ხარ?  
 - ეგ არ ვიცი რა სიტყვაა...  
 - აი, სხვანაირად რომ ფიქროს კაცი...  
 - ეგ არ ვიცი. უმეტესობა ჩემსავით ფიქრობს. სხვანაირად ეგენი ფიქრობენ...  
 ჩიქოვანი ჩაბჟირდა...  
 - ყოჩაღ, გარიკ, ყოჩაღ! ესე იგი დისიდენტები კომუნისტები ყოფილან?  
 - ეგრეა, რა,  
 - რა ვიცი, ჩვენთან რომ ჰკითხო ხალხს...  
 - სად ჩვენთან, ძმაკაც?  
 - ჩვენთან. - უცებ შეყოვნდა - ჩვენთან, სამსახურში.  
 - სად მუშაობ?  
 - ფულის გაცოცხლების სამმართველოში...  
 - ვა, ეგ რაღაა, ბავრი მუშაობთ?  
 - მე ვისაც ვიცნობ, ახლა ყველა იქ მუშაობს...  
 ამასობაში მანქანა ნუცუბიძის ქუჩაზე გავიდა...  
 - გარიკ, ეს მშენებლობები რას ნიშნავს?

- სახლებს იშენებენ რა, კერძო პირები.  
- ძნელია?  
- ძნელიცაა და ძვირიცაა. ჯერ ძვირია - მერე ძნელი.  
- რატომ?  
- ჯერ ფული უნდა გქონდეს რო სახლის აშენება გადაწყვიტო. ფული რო გექნება, შეგეშინდება, არ გაგიგონ და არ დაგაპატიმრონ, ფული საიდან გაქვსო, არ გითხრან. მერე - ვინც უნდა დაგაპატიმროს, ფული იმას უნდა მისცე, რომ სახლის აშენების ნებართვა მოგცენ. და ასევე...

- ფული გაქვს?  
გარიკამ მუშტრის თვალით შეხედა თავის კლიენტს.  
- შენ მართლა „კაგებეშნიკი“ ხარ. დასაჭერი ჩემს მეტი ვერავინ ნახე?  
- დაიკარგე. სუკის აგენტი თვითონვე ხარ. ისე გეკითხები. კაცურად, გაქვს თუ არა?  
- ისე რა!  
- მამა გეყოლება დიდი კაცი, ან „ბუფეტჩიკი“!  
- ეგ რა გადასვლა იყო, გარიკ?  
- „ბუფეტჩიკებს“ კამუნისტების ტოლი შემოსავალი აქვთ.  
- კარგი გეყოფა შავი „აჩკებიდან“ ყურება. რადიოს ხმა აეწია. დიქტორი კითხულობდა: „სახაროვი შავი სათვალისა და უცქერის საბჭოთა სინამდვილეს. ჩვენი ხალხის წინსვლას, ძლიერებას. ამიტომაც ვკიცხავთ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები“.  
- ეს ახლა მოხდა? - ფიქრიანად იკითხა ირაკლიმ.  
- რა მოხდა, არავინ იცის. უცებ დაუწვეს გინება, ყველა ერთად აგინებს. ეს შაქაროვი არ ვიცი, ვინ არი, მაგრამ რაკი ყველა ერთად აგინებს, „ზნაჩიტ“ კარგი კაცია.  
- ალბათ კარგი კაცია, გარიკ. აქ გამიჩერე.  
- წავიდე?  
- არა, დამელოდე. რამდენი დაიწერა?  
- „სოჩიკი“ გამოვრთე...  
- სახელმწიფოს ატყუებ, გარიკ?!  
- არა უშავს, გეგმას შევიტან...  
კარგი წითელი აგურისაგან აშენებულ ორსართულიან სახლს კარ-ფარჯრები და რემონტი აკლდა. ირაკლი ჩიქოვანი მშენებლებს მიუახლოვდა. შუადღე იყო, სადილობდნენ.  
- მშვიდობა აქაურობას! - მიესალმა ჩიქოვანი.  
- ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. - ერთხმად უპასუხეს.  
- ვისია ეს სახლი?  
- დავუძახებთ ახლავე, მეზობელთანაა, ბატონო...  
- დაველოდები.  
სახლის შესწავლა დაიწყო: „პირველ სართულზე ოთხი და მეორეზეც ოთხი ოთახი. ეზოში აუზის გაკეთება შეიძლება. პროექტი ცოტათი ძველმოდურია, მაგრამ არა უშავს, ნეტავ ეს სახლი თუ შემიმჩნევია როდისმე. „იქ“ როგორ გამოიყურება? ეს სახლები თითქმის ყველა მახსოვს ალბათ. ამასაც ვიცნობ, როცა დამთავრდება“. ამასობაში სახლის პატრონიც წარუდგინეს.

- რა გნებავდათ, ბატონო? - რიდით იკითხა მასპინძელმა.

- სახლის ყიდვა მინდა.

- მეც არ ვიფიქრე... გული გამისკდა... აღმასკომიდან მეგონეთ... არა, კოსტუმზე არ გეცნობოდათ!

- როგორი კოსტუმი აცვიათ იმათ?

- რა ვიცი, უცებ გამოარჩევ. რით გამოარჩევ არ ვიცი, მარა ყველა ერთნაირია!

ჩიქოვანმა გაიცინა.

- ეგ ძალიან კარგი, ბიძაჩემო, სახლს არ მომიყიდი?

- მე სახლის გამყიდველს ვგავარ? სახლი ჩემი შვილებისგან უნდა იყიდო! ხომ გაგიგია ძველი...

- თქვენი სახელი?

- ამბაკო, ამბაკო ცერცვაძე.

- ჰოდა, ბატონო ამბაკო, რა ღირს ახლა ასეთი სახლი?

- ასეთი სახლი? - ამბაკო ცერცვაძემ მეპატრონის თვალთ პირველად შეხედა სახლს: ოცდაათი ათასი ეღირება, ალბათ - გააბოლა და კვამლის სიღრმიდან გახედა ციდან ჩამოვარდნილ კლიენტს.

- ერთი წუთით, - ირაკლი მანქანასთან მივიდა. გარიკა თვლემდა, ხელი მხარზე შეახო.

- ჰა, ჯან!?

- გარიკ, ასეთი სახლები რა ღირს ახლა?!

- 20-25 - ასეა, რა. შეიძლება ცოტა იაფიც... ჯერ დამთავრებული არ არის.

- კარგი, დამელოდე!

- ბატონო ამბაკო, ერთი წუთი გვერდზე გამობრძანდით.

- რამე რომ იყოს, კიდევ ერთ სახლს ვერ ააშენებდით, აგერ გვერდზე...

- არ მესმის... ამ ბინას ჩემთვის ვიშენებ და ის ვის ავუშენო.

- მე ეს დამითმეთ, ის თქვენთვის აიგეთ, უკეთესი!

- უკეთესი... უკეთესი ფული დაჯდება.

- მე იმდენს მოგცემთ, ამ სახლსაც დამითმობთ და მეორესაც აიშენებთ.

- თქვენ თითონ აიშენეთ, ბატონო, აიღეთ ნებართვა აღმასკომში. მერე დაამტკიცეთ პროექტი, მერე სულადობა... თქვენ მთვარეზე ცხოვრობთ?

- სამოც ათას მანეთს მოგცემთ! - ერთბაშად მიახალა ამბაკოს.

ამბაკო დამუნჯდა, ოფლმა დაასხა და თვალებით ლაპარაკი დაიწყო. მერე იქვე ონკანი მოუშვა და წყალი შეისხა... ერთბაშად ამოუშვა ჰაერი...

- მაგრამ საბუთები არ მექნება.

ამბაკო უფრო დამშვიდდა. წვრილად გამოკითხა სახლთან დაკავშირებული საბუთების ამბები, აღმოჩნდა, რომ ჩიქოვანს პასპორტიც არ ჰქონდა...

ამბაკო ცერცვაძე ეჭვებმა შეიპყრეს. ირაკლი ჩიქოვანი გულში გამაველ ეჭვს მიუხედა ამბაკოს.

- ბატონო ამბაკო, მე სხვაგან ვმუშაობ და არ უნდა გამოჩნდეს ჩემი ვინაობა, - საიდუმლოდ ჩასჩურჩულა ირაკლიმ. ამბაკო უფრო აფორიაქდა.

- ნუ გეშინიათ, მე დაგიტოვებთ ფულს, თქვენ დაწერთ ანდერძს ჩემს სახელზე, ნოტარიუსი კი დაამოწმებს.

- პასპორტი რომ არ გაქვთ?

ჩიქოვანი საგონებელში ჩავარდა - ჰო! - გაუნათდა გონება: - პასპორტით მოვა და ხელს მოაწერს ჩემი მოსახელე და მოგვარე. თქვენ - დაურეკავთ და მოვა, გასაგებია? არ, ტელეფონის ნომერი. მე როგორმე გავაფრთხილებ. ოცი წლის ბიჭია, ზედმეტი არაფერი ელაპარაკოთ. შეიძლება ჩემი შვილი გეგონოთ, მაგრამ ჩემი შვილი არ არის.

- კი, ბატონო, ფულს როდის მომცემთ?

ირაკლიმ ჯიბიდან კუპიურების დასტა ამოიღო.

- ბეს დაგიტოვებთ ათი ათასს... ერთ კვირაში აქ ვიქნები. მერე აღარ მოვალ. ოცი წელი ვერ ჩამოვალ, ისეთ ადგილას ვმუშაობ. სახლი იქნება თქვენს სახელზე, ანდერძს ერთ კვირაში გამატანთ მე. გასაგებია? ერთი ასლი თქვენთან დარჩება, რომ სახელზე პრეტენზია არავის ჰქონდეს, ერთი ასლი იმ ბიჭს გაატანეთ.

- ეს ბიჭი როდის დავიბარო?

- თუ გინდა ხვალვე... ხვალ შესაძლებელია?

- დიას.

- მაშინ მე დაურეკავ და გავაფრთხილებ...

\* \* \*

ტელეფონის ხმა.

- ირაკლი, შენ ხარ?

- ჰო, ირაკლი ვარ...

- ირაკლი, ცუდად ისმის!

- არა! მე კარგად მესმის.

- ირაკლი, ბიძაშენი ვარ, ნოდარი, გესმის?

- ჰო, ნოდარ ბიძია, როგორა ხარ? საიდან რეკავ?!

- მოსკოვიდან. ირაკლი! ხვალისთვის პასპორტი მოამზადე, კაცი დაგიტოვებს, ამბაკო ცერცვაძე, ნოტარიუსთან წაყვეი და ხელი მოაწერე, გასაგებია?

- გასაგებია ნოდარი ბიძია, ვისი სახლია?

- ეგ საბუთი შეინახე! არ დაკარგო. სახლის საბუთია, ახლა მაგ სახელში შენ არ შეგიშვებენ, მაგრამ დრო მოვა და შენი იქნება, გაიგე?!

- დიდი მადლობა! ვერ გავიგე, მაგრამ გავაკეთებ.

- ჩემი თხოვნაა, იცოდე. არ დამაღალატო!

- ისე როგორა ხარ? უკეთ ხარ?

- რა ვიცი ვავადმყოფობ ცოტას, მაგრამ უუძლებ. აბა კარგად, ირაკლი!

- ნახვამდის, ნოდარი ბიძია.

- მშვიდობით!

ირაკლი ჩიქოვანმა ამოიგმინა... გული ამოვარდნაზე ჰქონდა, ეს უკვე სიგიჟე იყო... „ნოდარი ბიძიას ჩემთვის მოსკოვიდან არ დაურეკავს, რამდენიმე თვე იავადმყოფა და ჩამოასვენეს“ - გაიფიქრა მას შემდეგ, რაც

ცოტათი დაწყნარდა. ტელეფონის ჯიხურიდან გამოვიდა და ამბაკოს მიაშურა.

- ბატონო ამბაკო, ესე იგი ხვალ მოაწერთ ანდერძს ხელს, ანდერძის მოწერამდე აიღებთ ფულს. მე თქვენ გენდობით, იმიტომ, რომ როგორც ხვდებით, ვერსად გამექცევით.

- ფულს სად ავიღებ, აკი ერთ კვირაშიო?

- ერთ კვირაში გნახავთ, თუ ყველაფერი წესრიგში არ იქნა. ამას დღესვე გავიგებ... უფრო სწორად ხვალვე, თუმცა ეს თქვენ არ გაინტერესებთ - ამბაკო პირდაღებული მისჩერებოდა - ამ საქმეში დალატი არ იქნება. როცა ნოტარიუსთან ირაკლის დაიბარებთ, ამის შემდეგ წადით სადგურში, გახსენით რკინის ავტომატური კამერა, 9 კოდია, 1953, გაიგეთ?

- და იქ ორმოცდაათი ათასი იქნება?

- ზუსტად ორმოცდაათი ათასი. თუ ცოტა მეტი იყოს, თქვენთვის მიჩუქნია!

- ჩიქოვანი ტაქსში ჩაჯდა.

- ცირკთან, გარიკ! გაპრიალებულ ასფალტზე მანქანა გასრიალდა.

„ახლა გამონდება ყველაფერი!“ რადიოში „ორერა“ მღეროდა: „ცოცხალი ვარ ცოცხალი, შენი ემხით ვიწვები“... ცირკთან შეაჩერებინა მანქანა.

- ჰა, ხუთი თუმანი და კარგად იყავი.

- მადლობა, ძმაკაც. ეს კოსტუმი სად წავიღო?

- ამ კოსტუმს მე ჩავიცმევ, შენ კი ეს წაიღე, „ღირმა“.

- ეს შენთვის არ იყიდე?!

- გაჩუქე, გარიკ, გაჩუქე! ისე, შენ სად ცხოვრობ?

- სადაც ვიყიდეთ. „ხლებნი პლოშადზე“ გვერდითა სახლია, გარიკას იკითხავ...

- კარგი, კარგი, გარიკ, გნახავ, ალბათ.

- დიდი მადლობა, - საჩუქრით გახარებული გარიკა ცრემლებს ვერ იკავებდა: - ღმერთმა შენნაირი ხალხი ახაროს!

- ამინ!

ირაკლი ჩიქოვანი დაელოდა, როდის წავიდოდა გარიკა და აღმართს აუყუა. მივიდა თავის კიბესთან და ისევ ისე, ზემოდან რვა საფეხური ჩაიარა. მეცხრე საფეხურზე გაჩერდა, კარგა ხანს იდგა. რამდენიმე „პობედა“ დაინახა. სხვა ცვლილება ვერაფერი შეამჩნია. ქუსლებიდან ფეხის წვერებზე გაასრიალა ფეხები. „რა, ისევ აქა ვარ?“ გაიფიქრა და კიბიდან გადმოვიდა და ისევ თავქვე დაეშვა. ტროტუარზე ხალხი ირეოდა. პატარა ბავშვი მოდიოდა ველოსიპედით, შეაჩერა და ჰკითხა: „ბიძიკო, რომელი წელია ახლა?“

- ოლმოცდაცამეტი! - გაუცინა პატარამ. გაოგნებულმა ქუჩას გადახედა: თეთრი ტილოს შარვლები, ტილოს ფეხსაცმელები, ჩინური მზის ქოლგები და „პობედები“, „პობედები“ კინოფილმ „ახეზარაში“ ეკონა თავი! „მოიცა, რომელი წელია? ოლმოცდაცამეტის ივნისის თვე, მაშ მე სამი თვის ვარ. მამაჩემი ოცდაათოთხმეტი წლისაა, დედაჩემი ოცდაექვსის და სადღაც ნაჭირავებში ვცხოვრობთ. საფეთქლები ეტკინა ისე დაეძაბა გონება. რატომ მოვხვდი აქ? ნუთუ დაავიწყდა ეთქვა როგორ

დავბრუნებულყავი უკან? რა უნდა ვქნა? 1953 წელს მყავს კი ვინმე ნაცნობებში. ამ დროს ბაბუაჩემი ფოთში ცხოვრობდა ალბათ, თუმცა აქაც რომ იყოს რა ვუთხრა შენი შეილიშვილი ვარ თქო? ნაღდად მომკლავს. ფიცხი იყო ცხონებული. „ცხონებულზე“ უცნაური გრძნობა დაეუფლა. ის ხომ იმ დროში იმყოფებოდა, როცა მთელი მისი ოჯახი ბედნიერი იყო, ყველანი ცოცხლები და ჯანმთრელები იყვნენ! ამასობაში თეთრ კიტელსა და გალიფე შარვალში გამოწყობილი მილიციელი მიუახლოვდა:

- ამხანაგო, თქვენი საბუთები!
- არ მაქვს საბუთები! რა მოხდა ჩემთვის ვდგავარ. არ შეიძლება?
- წარმოადგინეთ თქვენი საბუთები! - ხმა გაამკაცრა მილიციელმა.
- კაცო, შენ ქართული არ გესმის? რამე დაგიშავე?
- როგორ ბედავთ, ამხანაგო! - აღშფოთდა მილიციელი.

„ახლა ეს ცოცხალი აღარ იქნება“ - გაიფიქრა ჩიქოვანმა და უეცრად პატივისცემით განიმსჭვალა წარსულის ექსპონატისადმი.

- კარგი, მაპატიეთ, ბიძაჩემო!
- ვინ არის შენი „ბიძაჩემო“, რას კადრულობთ, თუ იცით, თქვე „სტილიაგავ“, თქვენა!

ირაკლი ჩიქოვანს კინოში ეგონა თავი და სიცილი წასკდა. ის იყო მილიციელს სასტვენი უნდა ჩაებერა, რომ ჩიქოვანი ადგილიდან მოწყდა და გორაკისკენ გაიქცა. წესრიგის მსახური სტვენა-სტვენით გამოეკიდა. „დამნაშავემ“ გორაკს შეაფარა თავი. სტვენაზე სხვა თანამშრომლები მოცვივდნენ, გადაკეტეს ქუჩა. რამდენიმე მათგანი გორაკს აუყვა. რუპორით ტექსტებს აწევდნენ „დამნაშავეს“:

- ამხანაგო! თქვენ ალყაში ხართ! დაგვნებდით!

მაღალ ბორდიურზე უკვე ორი მილიციელი აფორთხდა და გორაკის ფერდს ზევით აუყვა. ირაკლი ჩიქოვანი იძულებული იყო პატარა ხავსიან კიბეს აპყლოლოდა ზევით, მდევარი ზურგსუკან ქშენდა, რომელიდაც საფეხურზე შეჩერდა, წამით მოიხედა და... ირგვლივ არავინ ჩანდა. დაღლილმა, დევნილმა და დროაბნეულმა ირაკლიმ თავისი „ფიატი“ დაინახა, მანქანასთან ნუგზარ კალმახელიძე იდგა და ხელს უქნევდა:

- ძალიან ვინერვიულე, - უთხრა ახალდაბრუნებულს.
- ჭკუაზე არა ვარ. სხვალ ყველაფერს გიამბობთ.
- ნათია გელოდება, წავიდეთ!

ირაკლიმ მანქანა დაძრა. წამით შეაჩერა და ნუგზარს თვალი თვალში გაუყარა. უცებ საჭე მარცხნივ აიღო და საბურთალოს მიმართულებით გაქანდა. ბატონი ნუგზარი ხმას არ იღებდა. ის იჯდა დინჯად და სადღაც შორს იყურებოდა. „ფიატი“ ნუცუბიძის ქუჩაზე თოხარიკივით შეიჭრა.

- წყნარად, არ დაგაგვიანდება! მრავალაზროვნად წარმოსთქვა კალმახელიძემ.

ირაკლი ჩიქოვანმა მანქანა ვარაუდით მშენებლობის ადგილას მიაგდო და მანქანიდან ისე გადმოხტა, უცხო იფიქრებდა, გადმოაგდესო. წელში გასწორდა, თავი ზე აღმართა და ორსართულიანი კოხტა სახლი დაინახა.

- ხარი დარეკე, სახლშია, - ისევ ბატონმა ნუგზარმა დაარღვია სიჩუმე. ირაკლიმ ხარი დარეკა.

ვიდრე კარები გაიღებოდა, საუკუნე გავიდა. ჯერ წინა მხარეს შუქი აინთო. ირაკლი შენელებულ კადრებად აღიქვამდა ყველაფერს, შემდეგ კარები ღვრილი, შემდეგ ვიღაც ქალმა გაუღიმა.

- ირაკლი, რატომ შეგაგვიანდა? მამაჩემია სტუმრად და გელოდება. მობრძანდით, ბატონო ნუგზარ, მობრძანდით.

ირაკლი ჩიქოვანმა თავისი მეუღლის, ნათია ქვარიანის ხმა იცნო.

\* \* \*

ნათია ქვარიანი გააკვირვა მეუღლის საქციელმა: ირაკლიმ ერთი კი ჰკითხა, როგორ ხარო და აკოცა, მაგრამ შემდგომ უცნაურობათა კასკადი დაახვავა: ჯერ იყო და მისაღებ ოთახში შევარდა, შემდეგ, ჩვენ სად გუძინავსო, ჰკითხა. ევეჯი შეათვალიერა, აბაზანა, გათბობის სისტემამაც დააინტერესა. გაოგნებული დაჰყვებოდა ნათია მეუღლეს და ვერ მიმხვდარიყო რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ბოლოს, როგორც იქნა, გაიღიმა ირაკლიმ და ამოღერდა - მაშ, ასე... ყველაფერი მოგვარდა! ჰო, სად არის მამაშენი? - ნათიას მამა სასტუმრო ოთახში გაშლილ სუფრასთან ბატონ ნუგზარს ესაუბრებოდა...

- ხომ კარგად ხარ, ირაკლი? - შინაურულად მოიკითხა სიმამრმა.

- კარგად, გმადლობთ, თქვენ როგორ გიკითხოთ?

- მივატრევ წუთისოფელს.

- თქვენ სამაგისო არაფერი გეტყობათ.

უცებ ერთი აზრი დაებადა ირაკლი ჩიქოვანს...

- რაღაც ჩვენი შეუღლების დღეები დადგა მგონი, ხომ არ დამავიწყდა - და ისეთი სახე მიიღო, თითქოს თითებზე რიცხვებს ითვლიდა. როდის იყო?

- შარშან ამ დროს ირაკლი, რა დაგემართა! ნაწყენი ხმით მიმართა ნათიამ. ირაკელისთვის ამჟამად ესეც დიდმნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო. მაგრამ კიდევ აინტერესებდა რაღაც...

- თუ გახსოვს ნოტარიუსის დამოწმებული ანდერძი სად მიდევს? გამგებლობაში ჭირდებათ.

- მე, რაც შენ გიცნობ, თან ატარებ ერთ ასლს და ერთი ც საბუთების კოლოფში გიდევს.

ირაკლი ჩიქოვანს ხველა აუტყდა... თვალები სასაცილოდ გადმოეკარკლა... ზურგზე ბრაგუნის აუტყხეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაწყნარდა... „დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ“. ნელ-ნელა დამამშვიდებელი იმპულსები მოჭარბდა გონებაში. „ესე იგი, ცხოვრება ასე თუ ისე ამიწყვიტა. სახლი მაქვს, ცოლი მყავს და სიმამრიც არ მეჩხუბება. ერთი გადასვლით - ძალიან მაღალი რეზულტატია! დღეს დავიძინებ, სტრესებისგან გავთავისუფლდები და კარგად მოვიფიქრებ, რა ვქნა მომავალში, უფრო სწორად წარსულში... თუ როგორც არის! სუფრა ირაკლის დაღლილობის გამო დუნედ წარიმართა. ხშირად გადახედავდა ბატონ ნუგზარს ირაკლი ჩიქოვანი, მაგრამ ის თვალებით ანიშნებდა, რომ არაფრის თქმა საჭირო არ იყო. ვერც იმღერეს, ერთხელ კიდევ იქცა



ყურადღებად ახალბედა მოგზაური, როდესაც ბატონმა ნუგზარმა ირაკლის ბიძა, ნოდარ ჩიქოვანი ახსენა...

- იმ ადამიანმა შენ ეს სახელი დაგიტოვა. კარგად იცი შენ ეს ირაკლი, - თვალი თვალში გაუყარა „პროფესიონალმა“ დამწყებმა და ამ საქმეს, ამ სიკეთეს შენ ვერასოდეს დაივიწყებ!

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... მე, ალბათ, ბევრჯერ მიაბნნია თქვენთვის. ოცი წლის წინ ბიძაჩემმა სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე რაღაც საბუთზე მომაწერინა ხელი... თურმე როგორ საჩუქარს მიმზადებდა. დმერთმა გაუმარჯოს და ჭიქა დასალეუად შემართა.

- გაუმარჯოს კი არა, აცხონოს, ირაკლი! შეუსწორა სიმამრმა... ირაკლიმ დალია: „აცხონოს“. ეს ლეგენდა თავისი მონაწილეობით იხილა იმავე დღეს, თულ რამდენიმე საათით ადრე. და ეს ძნელადწარმოსადგენი ფანტასმაგორია ირაკლი ჩიქოვანისთვის რეალური ცხოვრების კონტურებს იღებდა უკვე.

\* \* \*

შაბათის დილა გათენდა. საუზმე სამზარეულოში დაახვედრა ნათიამ... „მენიუს“ შეთვალეერებისას გონებაში გაურბინა: „რა სულელი ვარ, გასტრონომში ვერ შევიარე? არა, შემდგომში უფრო მომზადებული წავალ“. ჩაის სვამდა უკვე, როცა ნათიამ „ამქვეყნიური“ პრობლემების შესხენება დაუწყო.

- ირაკლი, ვაჟას აინტერესებს, თუ იპოვე ვინმეო?

- ვიპოვე, ვიპოვე! ორშაბათამდე უნდა მაცალოს!

- ადექი და შენ თვითონ დაურეკე, რაღაც უჭირს იმ კაცს და არ უნდა იკითხო? - ირაკლის შეეშინდა ეთქვა, რომ ვაჟაზე ნაწყენი იყო. შეიძლება ამ „ვარიანტში“ სრულიად გაუგებრად გამოჩნდეს ვაჟასადმი მისი გუშინდელი თუ გუშინწინდელი განწყობილება.

- მომეცი ერთი... ნომერი... კიდევ მოსკოვშია? - გამომცდელად იკითხა ოჯახის უფროსმა.

- 210-10-07. აბა, სად იქნება, დაჭერილი ჰყავთ!

ირაკლი ნომერს კრეფდა უკვე, როცა სიტყვა „დაჭერილი“ გაიგონა, ვითომ, დიდად გაკვირვებული, გაფართოებული თვალებით გადახედა ნათიას, „არტისტი ვარ!“ - თან გაიფიქრა.

- ალო, მოსკოვია?

- ჰო, მოსკოვია, რომელი ხარ?

- ვაჟა... მე ვარ, ირაკლი.

- ბიჭო, ხუთ მილიონს მთხოვენ ორშაბათამდე. დაჭერილი ვყავარ ბინაში ამათ.

- რამდენი არიან?

- ოთხი-ხუთი კაცია. მაგრამ ჩემთარ მუდმივად ორი იმყოფება...

- რა მოგივიდა, დააშავე რამე?

- არა, ბიჭო, რაღაც მოვილაპარაკეთ მე და ვასკამ... ვასკა ხომ იცი?...

ჰო... შუაში ჩავდექით ამათ და ჩეჩნებს შორის გამიგე?..

- ჰო... ყველაფერი გასაგებია!
  - ახლა ესენი „იასნია“ ჩვენგან ითხოვენ. ვასკა გარეთ ჩალიჩობს, მაგრამ დროა ცოცა!
  - თუ არა და?
  - დაგვხოცავენ!
  - დღეს შაბათია, ვაჟა, ვერ გიშოვი მაგრამ, მაგათ უთხარი ბრილიანტებს მოგცემთ-თქო...
  - ...(ვაჟა რაღაცას ეუბნებოდა „იმით“).
  - ესენი თანახმანი არიან. მხოლოდ ამბობენ, ეს „ზალოგი“ იქნება მესამედ ფასში, თუ ფულს არ მოიტანთ, დაგეკარგებათ.
  - ახლა მაგათ ჰკითხე, რა რაოდენობაზეა საუბარი?
  - კარატზე ზევით უნდა იყოს ყველა, ოქროც შეიძლება, ფასები მაგათ იციანო.
  - კარგი. სწორია. ეგ პრობლემა არარის. ესე იგი თხუთმეტი მილიონის ქონება უნდათ?
  - ჰო. დროებით. სანამ დავუბრუნებ...
  - მოვიფიქრებ რაღაცას. დღეს დაგირეკავ...
  - აბა, შენ იცი, მიშველე და მე ვიცი შენი პატივისცემა. უცებ ირაკლის ნაპერწკალმა გაუელვა.
  - სადაურები არიან, ჰკითხე ყველაფერი, სათითაოდ - მისამართები...
  - ჩივილი ჩაიშალა. აქ სხვა ცხოვრებაა!
  - ყველგან სხვა ცხოვრებაა. შენ ეგ გამიგე და მერე მე ვიცი! შენ ვერ მეტყვი - ვასკამ დარეკოს...
- ყურმილი დადო ირაკლიმ და წვერის პარსვას შეუდგა, თან საკუთარ თავთან კონსულტაციებს მართავდა სხვადასხვა თემაზე. კერძოდ, როგორ გამოჩნდებოდა პლაჟზე ამ ზაფხულს, ან რომელი კბილი ითხოვდა სასწრაფოდ მკურნალობას, ან რამდენი ნაოჭით მოიმატა მისმა ასაკმა და ა. შ. და ა. შ. გონება რაღაც არნახულ ხრიკს იგონებდა... წინასწარი გამარჯვების მოლოდინში საკუთარ ორეულს უცინოდა... უცებ გამოაფხიზლა „შინაგანმა“ ხმამ: „სარკეში გაცინება არ ვარგა“. გაჩუმდა, დაიბღვირა და თავის თავს ენა გამოუყო. - ბევრი რამ შემორჩა ბავშვობიდან, მაგრამ ეს უღმობელი დრო? „დროს მე მოვუვლი“ - გაიფიქრა ჩიქოვანმა და ზღურბლს გადააბიჯა.
- დღესაც დაიკარგები? - დაადევნა კითხვა ნათიამ.
  - არ ვიცი. თუ დამაგვიანდება, დაგირეკავ. არ იჯავრო, ნუგზარ კალმახელიძე უნდა ვნახო!
- ...ნაცნობი კიბეები ჭრიალით აიარა, ეზოდან მამაკაცის ხმა მოესმა:
- ვისთან ხართ, ბატონო, თქვენ?
- გადაიხედა, ვახტანგ ჩხარტიშვილი იყო. გაოცდა.
- ბატონო ვახტანგ, ვერ მიცანით?
  - ოჰ, უკაცრავად. ერთ-ორჯერ ნუგზართან მოხვედით მგონი. ჩიქოვანი მიხვდა, ბინიდან გასახლება და მასთან დაკავშირებული ამბები მთლიანად ახლებურად იყო „დამონტაჟებული“, ეს პერიოდი მისი ცხოვრებიდან ამოვარდნილიყო... კარები მოგზაურმა ნუგზარ კალმახელიძემ გაუღო:
  - იმედია, თქვენ მაინც მიცანით, ბატონო ნუგზარ!

- როგორ არა. თქვენი ჩემი კარის მეზობელი იყავით, როცა გამდიდრდით, ფრრ... პრესტიჟულ უბანში... მე კი დავრჩი მტკვრის პირას...

- კარგით, გეყოთ - ყურებზე ხელები მოიჭირა ირაკლიმ. - ტვინი ამერია!

- შემოდი, შემოდი, ჩემო ირაკლი...

ირაკლი ჩამოჯდა. ბატონი ნუგზარი მაგიდაზე რაღაც-რაღაცეებს ალაგებდა. შვეიცარული ყველის დანახვაზე გარიკა გაახსენდა რატომღაც. „ნეტა ახლა თუა ცოცხალი? ცოცხალი იქნება. ისე, ყველის გადმოტანაც შეიძლება დიდი პარტიებით“, - თავის ფიქრზე გაეცინა. მე მანდ ამბები ავტეხო, ჯერ ეს ვაჟას ამბავი გაგზარხო და მერე მე ვიცი...

- ბატონო ნუგზარ, ჩასვლა კი მასწავლეთ, მაგრამ ამოსვლა თქვენთვის დაიტოვეთ? კინაღამ ბავშვობაში შევრჩი...

- ოო, ეგ კარგი დრო იყო. არც ინანებდი! გეხუმრები, შენ წარმოიდგინე დამავიწყდა, იმიტომ ვერ გითხარი... მომისმინე, ვალები გაისტუმრე?

- სამოცდახუთი ათასი მაქვს ვალი, მაგრამ...

- რა იყო, ვერ ისტუმრებ?

- არა, როგორ არა... ვის მივცე, აღარ ვიცი, ყველაფერი შეცვლილი დამხვდა. ჩხარტიშვილმაც ვერ მიცნო... არ ვიცი, ერვანდის ვალი ისევ მაქვს თუ არა? გაიცინა, მოგზაურმაც გაიცინა და იხითხითა. ზოლიანი პიჯამო კალმახელიძის ღიპზე ათამაშდა...

- მოდი, ახლა ისე ვქნათ, ერვანდის ჰქონდეს ჩემი ვალი!

- ანდა შენ იყო ერვანდი და ის ჩიქოვანი! - ამაზე სულ ჩაბუიროდნენ... - ან, შენ იყო ვაჟა და ის იყოს აქ.

ჩიქოვანი დადუმდა, მოიღრუბლა.

- ასეთ ამბებს საიდან იგებთ? რაიმე ხომ არ არის თქვენთვის საიდუმლო, მისტიკური?

- შენ გერიდება და გინდა მკითხო, ვარ თუ არა კუდიანი?

- არა, შვილო ირაკლი! - ამ „შვილოზე“ ირაკლი უხერხულად შეიშმუნა.

- კუდიანი რამდენად არ ვარ! აგისსნი: დროთა გადასასვლელის ყოველ გამოვლაზე, რაღაც შეცვლილი, ახლებურად დალაგებული გხვდება კაცს, აი თუნდაც შენი მაგალითი: წარსულში თითქოს პატარა რაღაც შეიცვალა და აქ, დროის პროზმაში, რამდენი სხვაობა მოგვცა, შენი გადასვლა-გადმოსვლა მთელ ცხოვრებად გეჩვენება უკვე. ეს კი გავიწყდება, რომ შენი წასვლის შემდეგ მე შეიძლება დავბრუნებულიყავი სახლში, გვერდით ოთახში შენი მეუღლე მენახა. მას შეეძლო ჩემთვის მოეყოლა ვაჟას ამბავი. გასაგებია? თან ისიც ეკითხა, ვინმეს ხომ არ ვიცნობდი, ვისაც გაფუჭებული ფულის გადაცვლა უნდოდა ახალ ბანკნოტებში... ჩიქოვანი უხმოდ უქნევდა თავს. პაუზაზე თავი ასწია: - ჰო, ერვანდის ვალი მაინც გაქვს. „ახალ ვარიანტში“ მან მე მკითხა ფულის გადაცვლა ხომ არ შეგიძლიათ და შემეცოდა, შენზე ვუთხარი, ორშაბათს მოგიტანს-თქო!

- ამ ორშაბათამდე რამდენი საქმე მქონია დაგროვილი!

- სამშაბათს იყოს, ეგ არაფერი. შენ ის მითხარი, მოიფიქრე რამე?

- თქვენი რჩევა ახლა უნდა შევასრულო. ბრილიანტები და ოქროულობა უნდა ვიყიდო „იქ“ ... და ვაჟა გამოვიხსნა... პასპორტიც გავამზადე, ნაწილს გავყიდი და ვალეებსაც გავისტუმრებ და სხვა რამესაც...

- მერე შენ რა დაგრჩება?

- მაცადეთ, ბატონო ნუგზარ! რაც დამრჩება, დამრჩება...

მცირე შეყოვნების შემდეგ ჩიქოვანმა იკითხა:

- მე შემოდია თქვენგან დამოუკიდებლად ვიმოქმედო?

- შენ უკვე ყველაფერი შეცვალე, აწი სულერთია...

- ისეთი რა შევცვალე, ბატონო ნუგზარ...

- უნდა გეყიდა ოქროულობა. აქ გაგეყიდა და შენი მეუფლე ამ ქოხიდან გადაგეყვანა შენს ყოფილ ბინაში... რა, ასე არ აპირებდი? მერე შეგირიგდებოდა სიმაძრი...

- დაშავდა რამე?

- არა, უბრალოდ ეს ყველაფერი უშენოდ მოხდა, შენ არ განგიცდია!

- ბატონო ნუგზარ, ეგ რა არის, ჩემს ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. მე იმდენი რამ მოვიფიქრე! ისეთი გადასარევი რამეების გაკეთება მაქვს გადაწყვეტილი, ქვეყანას გადავრეგ, მე ახლა ასაფრენად გამზადებული ბარტყი ვარ, მეჩქარება. ო, როგორ მეჩქარება, ფრთების გაშლა და ქარის საწინააღმდეგოდ ფრენა!

- ჩემს „კალმახის პერიოდს“ მაგონებს. არა უშავს, გააფრინე, გააფრინე! ოღონდ გახსოვდეს არავისთან კრინტი! - ტუნებზე თითი მიიღო კალმახელიძემ. მოდი, ამ ჭიქით შენს ნიჭს გაუმარჯოს, მომაკალი და მიყვარს. ახალგაზრდა, შეუპოვარი, ფანტაზიითა და ენერგიით სავსე მოგზაურები!

- გაუმარჯოს! თქვენც გაგიმარჯოთ, ჩემო უკვდავო მასწავლებლო! სიტყვა „უკვდავზე“ მოგზაური შემოფოთდა, ეჭვით გახედა ახალბედას...

- მოკლედ მე წავედი, მალე გნახავთ!

- გნახავ-გნახავ! ერვანდის ვალი არ დაგავიწყდეს, დიდხანს არ შერჩე იქ!

\* \* \*

გალაკტიონმა სადარბაზოს კარები შეაღო. გაზეთების ყუთი შეათვალიერა, შემდეგ ჯიბეში ჩაიყო ხელი, გასაღებს ეძებდა, ყუთის პატარა გასაღებს. ნუგზარ კალმახელიძემ დაბალი ხმით, თითქოს ფრთხილობდა არ შევაშინო, ჩაილაპარაკა:

- ნეტავ რა წერია მაგ გაზეთში?

გალაკტიონი უცებ არ მოტრიალებულა, კარგად გაიაზრა, ვინც უნდა ყოფილიყო.

- მაინტერესებს, რა ხდება ქვეყანაზე.

- რომელ ქვეყანას გულისხმობ? - გაიღიმა კალმახელიძემ.

- ჩვენს დიად საბჭოეთს. სხვას რომელს?

- ბერიას დაიჭერენ... ხვალ! - უცებ მიახალა მოგზაურმა.

- სსსუ! - გალაკტიონი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. - ასეთი ხუმრობისათვის ციმბირი არ აგცდება!

- აი, წაიკითხე... ხვალინდელი „კომუნისტია“.

გალაკტიონმა გაზეთი შეათვალიერა... შემდეგ მოცახცახე ხმით ამოიკითხა: ნილაბი ჩამოხსნეს იმპერიალიზმის აგენტს, ხალხის მტერს ლავრენტი... აღარ გააგრძელა... მონუსხულივით იჯდა ერთხანს...

- სად იგოვე ეს გაზეთი?

- საჯარო ბიბლიოთეკაში ავიღე „იქ“, ვიცოდი დაგაინტერესებდა... ასე რომ...

- ბერიას ბოლო დღეა? - ჩაიწურჩულა გალაკტიონმა - საოცარია, უფალო, შენი გზები!

ამ დროს სადარბაზოსთან ტყავის პიჯაკიანმა ჩაიარა, შეჩერდა. უკან მობრუნდა, მოსაუბრენი ყურადღებით შეათვალიერა და რიხიანად მიმართა:

- სადამო მშვიდობისა, ამხანაგებო!

- გამარჯობა! - მიუგდო გალაკტიონმა - ამასაც მიაყოლებენ?

- კი, ამასაც მიაყოლებენ და ხრუშოვიც მოვა!

- ვინ ხრუშოვი, ნიკიტა? - გაიცინა გალაკტიონმა, მაგას კი ვეღარ დაგიჯერებ, თანაც ყველაფერს ერთად ნუ მეტყვი: გააფრენს კაცი! შემდეგ ეშმაკურად დასძინა: „იგი მხოლოდ გაფრენა, არის შემოქმედება! იგი მხოლოდ გაფრენა, არის შემოქმედება!“

\* \* \*

ირაკლი სხვადასხვა წვრილმან საქმეში ჩაეფლო ცოტა ხნით, მაგრამ ამ საქმეებში მას არაფერი აინტერესებს, არც ჩვენ გვაინტერესებს. მთავარი, რაც მოხდა, იყო ის, რომ ვასკამ დარეკა. საუბრიდან გაირკვა: ბანდის მეთაური ვინმე სტეპანე პანკოვი გახლდათ, დაახლოებით 1955 წელს დაბადებული, მოსკოველი, ბავშვობა არბატზე ჰქონია გატარებული. თავიდანვე „ძველი ბიჭი“, პანკოვის ერთ-ერთი ბავშვობის ძმაცაცი კოლკა ანდრეევიც ვაჟას „იცავდა“ ამუამად.

- რომელ სკოლაში სწავლობდა ეგ სტიოპა? - იკითხა ჩიქოვანმა.

- რა ვიცი, მაგის ოხერი დედა ვატირე!

- როგორ უნდა ვიცნო?

- შენ რად გინდა მაგის ნახვა?

- თუ ძმა ხარ, ერთი ეს მითხარი, მაგის ნაცნობებს იცნობ? - ჩიქოვანის ტვინი კომპიუტერით ამუშავდა. ფიქრები წითელი და მწვანე შუქებით აწყდებოდნენ საფეთქლებს.

- ვიცნობ ერთ ქალს, მაგის საყვარელი, თუ იყო, ზუსტად არ ვიცი.

- მაგ ქალის სურათი მჭირდება, თუ ვერ იშოვე, სხვა რამეს მოვიფიქრებ. მაგრამ ჯერ სურათი მოსინჯე...

- მერე როგორ მოგაწოდო?

- დღეს სადამოს ლევანის ოფისში ვიქნები, რვიდან ათამდე დაგელოდები, ტელექსეროქსით გამოგზავნე!

- კარგი, ნახვამდის.

- ხვალ ქალაქში არ ვიქნები, დღეს უნდა მოახერხო! - მოაყოლა და ყურმილი დაკიდა.

\* \* \*

ირაკლი ჩიქოვანს „დიდი ექსპერიმენტის“ ჩატარება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ჯერჯერობით ზუსტად გათვლილი არ ჰქონდა შესაძლო ვარიანტები. ძნელი იყო გათვლა, აქ უფრო ინტუიციას უნდა დაყრდნობოდა. სხვა გზაც არ ჰქონდა. წარსულში გადასვლა და ასეთი რაოდენობის ძვირფასეულობა ერთბაშად დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, კარს მომდგარი ორშაბათიც აჩქარებდა. საჭირო იყო უფრო სწრაფი, უფრო ვერაგული, ვარიანტის ცხოვრებაში გატარება. უსურათოდაც შეიძლებოდა არბატელი სტეპანე პანკოვის პოვნა, თუ ყველა არასასურველი შემთხვევითობის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი. ეს უკვე განგების ნება იყო. ჩიქოვანმა კი მტკიცედ გადაწყვიტა, კვირა დილიდან, უფრო სწორედ შაბათი ღამიდან დაეწყო ეს ოპერაცია. ოფისში მხიარულად შეხვდნენ. კარგი საქმის წამოწყება კომპანიონებთან ერთად თითო ჭიქა ალუბლის ლიქიორით აღნიშნეს.

- რა გასმევთ მაგ საწამლაეს?
- რა ვქნათ, ჩემო ირაკლი, გვიჭირს ამ ასაკში არყისა და ღვინის სმა!
- მე დაგაღვივინებთ ამ დღეებში კაი ძველებურ სასმელებს. ოღონდ დღეს აქ მამყოფეთ მარტოდ ერთი-ორი საათი, ვასკამ ფაქსზე უნდა დარეკოს.
- როგორაა მაგათი საქმე? - ისეთი გამომეტყველებით იკითხა ლევანმა, თითქოს ეთქვას: აბა, რა ეგონათ, გამდიდრებას რომ აპირებდნენ.
- ცუდად, მაგრამ იმედი არის, როგორმე უნდა გუშველოთ. ხუთ მილიონს ვერ ვისესხებთ?
- მერე ვინ ჩაასესხებს? - ჯერ ერთი და მეორეც, არავინ ასესხებს. მე, ბატონო, ერთ ნახევარ მილიონს, ვთქვათ, ვასესხებ, ეგ ყოფა? სხვა არავინ ასესხებს.
- კარგი, ეგ ნახევარი მილიონი არ მინდა. ძველი ფული თუ გაქვს ცოტა.
- გამიფუჭდა ერთი მილიონი!
- მე სულ ძველზე გეუბნები, ლენინის თავიანთ ორმოცდაათიანებზე, ასიანებზე, სამოცდაერთი წლის ფულზე.
- ეგ აღარ იშოვება, არავის სჭირდება და იმიტომ თუ საჭირო იქნება, შოვნაც შეიძლება.
- რა ვიცი, კიდევ ხურდავდებაო და...
- სამი წელია შეცვალეს.
- მოკლედ, იფიქრე! თუმნიანები კი გექნება თავზე საყრელად.
- სიმართლე რომ გითხრა, გუშინ გაეუშვი მოსკოვში თვითმფრინავით, ახლა იმას ვჯავრობ, რით დამთავრდება ყველაფერი - ამოიოხრა ლევანმა და კედლის საათს შეხედა.
- ლევან, ნუ გამაცინე, 50000 მანეთიც არ დაგრჩა?

- 50000 კი იქნება ქვედა უჯრაში და ნახე...  
 უჯრაში 50000 მართლაც იყო.

- გაიცანით, ეს ჩემი მეგობარი ირაკლი ჩიქოვანია!

- სასიამოვნოა, ჩვენთან დაბრძანდით, - ირაკლი რბილ ტყავადაკრულ სავარძელში ჩაჯდა. მეოცნებე თვალებით შეათვალიერა ლევანის სამფლობელო და ეშმაკურად იკითხა:

- ისე, რა ღირს შენი ოფისი, ა?

ამ დროს ფაქსი ჩაირთო.

- გეძახიან! - ლევანმა ყურმილი აიღო.

- ჰო, გისმენთ. ვასკა შენა ხარ... როგორა ხარ, აქ არის, კი მზადაა... ჩაირთო, მოიცა, ჩართულია, მიდი! - თვალები ყველას ქსეროქსისკენ გაექცა... ქაღალდზე ქალ-ვაჟის სურათი ამოიბეჭდა - ვინ არიან, ბიჭო, ესენი?... ამ ღლაპს ყავხარ გამოჭერილი?... ოცი წლის წინანდელი? გასაგებია, - მოდი ელაპარაკე, - ხელით ანიშნა ჩიქოვანს.

- ალო, ეს ის გოგოა?

- ის ქალია, ერთად ყოფილან გაზრდილები.

- ასე მალე როგორ დააბი?

- ვიცნობ კარგად, ყვავილებით ავაკითხე. ცოტა მეც მომწონს და ვითომ ჩემი და მისი ვარიანტით ავედი...

- ეს არის სტიოპა?

- ჰო, მაგრამ ახლა თმები არა აქვს, მელოტია, შეიძლება მაგ სურათით ვერ იცნო.

- ამ სურათით... მე ვიცნობ.

- აბა, შენ იცი, თუ კარგ რამეს იზამ. შენზე ვართ ახლა დამოკიდებული.

- ზეგ დაგირეკავთ!

- ფული მაინც გაიკითხე, ირაკლი!

- ვეძებ, ალბათ ვიპოვი. სად ცხოვრობს ეგ ქალი?

- ზედ არბატზე, „მზიური“ რომაა იქ. ნატაშა ორლოვა. ნახვამდის. - ირაკლიმ ჩაიწერა: ნატაშა ორლოვა.

- დამარეკინე რა, - სთხოვა ირაკლიმ ლევანს...

- რამდენჯერაც გინდა, ტელეფონი შენს განკარგულებაშია. ისე რად გინდა ის ხუთთუმნიანები?

- ყალბ ფულად კეთდება!

- ვის ატყუებ? - ლევანმა ღიმილით ჩაიქნია ხელი.

ირაკლიმ ნომერი აკრიფა.

- ალო, ნათია! მე ლევანთან ვარ, ოფისში. ლევანი ხომ იცი? დღეს რაღაც მოლაპარაკება მაქვს, მერე - ბანკეტი. უცხოელები ღარიან. შეიძლება ვერ მოვიდე. სხვალ სადამოს ჩვენთან ლევანი და რამდენიმე მოსკოველი მეგობარი იქნება. - ლევანს თვალი ჩაუკრა, - ხვალ თუ არა, ზეგ... მოკლედ, მე წინასწარ დავრეკავ.

- რატომ ატყუებ? - ალალი კაცის იერით თქვა ლევანმა.

- სამაგიეროდ შენ არ გატყუებ. ხვალ სადამოს ჩემთან! ახლა წავედი.

- ჰო, რამე ძველი კოსტუმი არ შემოგონა?

- აღარ მეტევა არც ერთი.

- ეგეც სწორია. არც მე მომივა...

ირაკლი დაემშვიდობა ნაცნობ-უცნობს და შებინდებულ თბილისში ჩელუსკინელების ხიდისკენ გასწია. მანქანა ტროტუარზე შეაყენა, საბარგულიდან ხელჩანთა ამოიღო და მანქანა ჩაკეტა. ნელ-ნელა აუყვა ქვაფენილს. შემდეგ მარჯვნივ ბუჩქებში გადავიდა, ხეებს ამოეფარა. სიბნელეში ცოტა ხანი იდგა, წამიერად იელვა და სახე გაუნათდა. ირაკლი ჩიქოვანი თავის თავს არა ჰგავდა.

ძირს დაუყვა კიბეებს, ისევ ბუჩქნარში გადმონაცვლა და კედლის სიმაღლე ბორდიურიდან ტროტუარზე ჩამოხტა. მანქანა იქ აღარ იდგა.

მეორე მოგზაურობა ისევ იმით დაიწყო, რითაც პირველი. ტაქსი გააჩერა. თბილისი გაჩახახახებულიყო.\* თერთმეტსართულიანზე რეკლამა ენთო: „დალიეთ ქართული ღვინო“. სიყმაწვილეში ამ რეკლამაზე იცინოდა: „გეგონებათ ფრანგული და ესპანური ღვინოები იყოს მაღაზიაში და ესენი ქართულ ღვინოს გვირჩევენო“. ეს ახლა ყველანაირი ღვინოა, საწამლავიდან - ფრანგულ შამპანურამდე. ფული თქვი შენ, თუ არა... ფულს ვიშოვით, - მტკიცედ ჩაებეჭდა გონებაში.

\* 1993 წ. საქართველოში ძლიერი ენერგოკრიზისი იყო.

- გარიკას იცნობ? - ტაქსისტს ჰკითხა.

- გარიკა ვინ არის?

- ტაქსისტი.

- გარიკა ჩემს „სმენასაც“ ჰქვია, როგორი ბიჭია?

- სომეხია.

- აბა, გარიკა ამერიკელი ხომ არ იქნება, - გაიცინა ტაქსისტმა.

- იქნება, - გაერთო ჩიქვანი. - გარიკ ბელაფონტე არ გაგიგია? არც ამერიკელი სომეხი?

- ჰო, გაგიგია, ოღონდ „კ“ არ უნდა თქვა!

- მოკლედ „ხლებნი პლოშადზე“ ცხოვრობს!

- ეგ არის ჩემი „სმენა!“

- ესე იგი გვიმართლებს. გამართლების ზოლში ვართ!

ტაქსი „ხლებნი პლოშადზე“ იდგა. გარიკა პირველ დაძახებაზე ჩამოვიდა. „სმენა“ იცნო. გაუკვირდა.

- კლიენტმა მოხოვა შენთან მოსვლა, - თავის მართლებასავით გამოუვიდა ტაქსისტს. გარიკამ ჩიქოვანის დანახვაზე პირი „კაშალოტივით“ დაალო:

- ვა, ჯიგარო ჯან... ე... საიდან მოიყვანე?

- ცირკთან იდგა...

- ეს ცხოვრება ნაღდად ცირკია, რა. მაშინაც ცირკთან იდგა...

- გარიკ, შენთან საქმე მაქვს!

- ჰო, გისმენ, მითხარი.

- ის კოსტუმში მათხოვე ხვალ სადამომდე. ხვალ დაგიბრუნებ. გარიკას სახე შეცვლას იწყებდა. ჩიქოვანმა დაასწრო - ჩემს კოსტუმს დაგიტოვებ. მოსკოვში მივდივარ და ხომ იცი...



- კი, ბატონო, სახლში შევიდეთ...  
ათ წუთში ელევანტური, მზით გარუჯული, ჭადარაშქარული  
მამაკაცი ტაქსით აეროპორტის ტრასაზე მიჰქროდა.

\* \* \*

ბილეთი არ ჰქონდა და არც იშვებოდა. ისე იაფი ღირდა, მაგრამ არასოდეს იშოვებოდა. ჩიქოვანი პირდაპირ პილოტს მიეჭრა და ხელში ფულის დასტა შეაჩეჩა, პილოტს ჯერ უნდოდა რაღაც უკმეხად ეთქვა და ფული მიეყარა, მაგრამ კუპიურების სისქელემ ძირს დაახედა, ამდენი ფული მისი ექვსი თვის ხელფასი იყო.

- მობრძანდით, - თითქმის ჩურჩულით უთხრა.

- იგივე „მეთოდით“ ირაკლი ჩიქოვანი სასტუმრო „უკრაინის“ ლუქსშიც გამოიჭიმა. ამ დამით არბატზე გასეირნებას აზრი აღარ ჰქონდა. ფანჯრიდან 70-იანი წლების დასაწყისის მოსკოვი ჩანდა. თუმცა მოსკოვის ცენტრს ამ გადასახედიდან დრო სულაც არ ეტყობოდა. მოსკოვი მოგზაურს საუკუნეებში გარინდული დახვდა.

აბაზანაში შევიდა, შხაპის ქვეშ დადგა და წყლის მაცოცხლებელი ნელ-თბილი ნაკადის ქვეშ თავისი გეგმის დეტალურ დამუშავებას შეუდგა. ხვალ არბატზე საექვო ბიჭებში გაიკითხავდა სტეპანე პანკოვს, ანდრეევსაც იპოვიდა და თბილისში „დიდ საქმეს“ შესთავაზებდა, ვითომც ვინმეს მოკვლა ან გატაცება სჭირდებოდა. ამათ შორის, რომელ ვარიანტს აირჩევდნენ, თვითონ პანკოვთან საუბარი უჩვენებდა. შეპირდებოდა ამ დროისათვის გრანდიოზულ თანხას 20-25 ათას მანეთს, ისინი (ჩიქოვანი ამაში დარწმუნებული იყო), თბილისში გამოჰყვებოდნენ. 1993-ში გადმოსვლის შემდეგ გაუშვებდა თავისი სახლის „ასაღებად“, ამ დროს დარეკავდა პოლიციაში და დააჭერინებდა 18-18 წლის „განგსტერებს“, სტუმრებს წარსულიდან. რა თქმა უნდა, ორშაბათს ვაჟას მოკვლას ვედარ შეძლებდნენ. ჩიქოვანს ხმამაღლა გაეცინა. წყლის ჭავლში ბუებუყით წარმოთქვა: „იყვნენ მერე თბილისის ციხეში, ოცი წლით გასხვავებულ დროში, ეგება ხალხიც კი დადგნენ! ისე მოეწონა ეს ვარიანტი, გული აუჩქარდა, დრო ძალზე ნელა გადიოდა. დამის თერთმეტი საათი იყო. „გავალ“ - გაიფიქრა, - კომუნისტური ბანაკის წითელ დედაქალაქში, ბარს ვესტუმრები, ცოტას დავლევ და კარგად გამოვიძინებ“. კარგი მეტრდოტელმა, ალბათ ყოფილმა პოლკოვნიკმა გაუღო, თავი დაუქნია, ჩიქოვანმა თუმანი ჩაუღო, მეტრდოტელი მაღლიერების ნიშნად სერუანტივით მოიკაკვა.

აჰა, მოსკოვი, აჰა ბელადების პორტრეტები! წითელი ტრანსპარანტები, წესიერი, სათვალეებიანი, თავისი ხელფასის შესაფერისად ჩაცმული, მორჩილი ადამიანები მისეირნობდნენ კუტუზოვის პროსპექტზე. ირაკლი ჩიქოვანიც მათ რიცხვს შეუერთდა. ჯიბეში ორმოცდაცხრა ათასამდე ფული ედო... რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლა, ფულს როცა შეეხო, და ყოველის შემძლეად წარმოჩნდა იმ ადამიანებთან შედარებით, მის გვერდით რომ მიაბიჯებდნენ. რამდენჯერ უნატრია ახალგაზრდობაში, ერთი ათასი მანეთი მაინც ჰქონოდა მოსკოვში ჩამოსულს. არ ჰქონდა. სამაგიეროდ

ახლა 1973 წლის ზაფხულის თბილ სადამოს დიდი ფულით სასწაულების მოხდენა შეეძლო. ვის შეუძლია დაურკოს? გონების ციფერბლატზე გვარებმა, სახეებმა და წლებმა ჩაირბინეს. ამ წელს მას მოსკოველი ნაცნობი არ ჰყავდა. იძულებული იყო, ახალი ნაცნობობა გაეხა. ღამის ბართან ახალგაზრდები იდგნენ მეტრდოტელი აღარავის უშვებდა ბარში. - ადგილები აღარ არის - დროგამოშვებით აცხადებდა ბოხი ხმით.

ჩიქოვანმა ლამაზი ქერა ქალიშვილი გამოარჩია და მორიდებით ჰკითხა, კომპანიონობას ხომ არ გამიწვევდით, მარტო ვარ ჩამოსული, ამ ქალაქში არავინ მიცნობს, ცოტას ერთად დავლევდით, ვიცეკვებდითო. გოგონამ გაიცინა. - ძალიან მაცდური წინადადებაა, მაგრამ ჩვენ ხუთნი ვართ...

- ჩემთვის პრობლემა არ არსებობს, ქალიშვილო, გთხოვთ, თქვენს მეგობრებს უთხრათ, რომ ქართველები სტუმართმოყვარენი ვართ!

- ო, დიდი მადლობა... წავედით, გოგონებო! - ჯგუფის „თავმა“ კარებისაკენ გაატარა თავისი „სამწყსო“...

- თქვენ რა გქვიათ? - იკითხა ქერათმიანმა ქალიშვილმა.

- ირაკლი.

- კარგი სახელია, გამიგონია. მე ნატაშა მქვია.

- ო, არაჩვეულებრივია... ნატაშა! - ქათინაურის მოფიქრება არ გაუჭირდა ჩიქოვანს. გოგონა მართლაც უჩვეულოდ ლამაზი იყო. ირაკლი ჩიქოვანი რიგს თავში მოექცა, მეტრდოტელს თვალი ჩაუკრა, მან კი კარები გაუღო. ქართველმა სხვებისათვის შეუმჩნეველად რამდენიმე თუმნიანი ჩაუღო ხელში... მატრდოტელმა ბოხი ხმით გამოაცხადა: - „გრუპა ინტურისტოვ პო ბრონი!“ კეთილმა ქართველმა ჯგუფის ხუთივე წევრი გაატარა... თავადაც შეერია მოცეკვავე, შეზარხოშებულ, თამბაქოს კვამლით გაბოლილ საბჭოთა მოქეიფეების საკმად დიდ რაზმს. მათთვის მაგიდა რა თქმა უნდა, ცალკე გამოყვეს.

- რას დავლევთ? - იკითხა მიმტანმა.

- რასაც ესენი იტყვიან, - უპასუხა დედაქალაქის სტუმარმა.

- ჩვენ დავლევთ არაყს, არა?

- შამპანურს არ დალევთ?

- მაგარი სასმელი გვირჩევენია, აი მაგალითად „ნაპოლეონი“. კარგია, მაგრამ ძვირია, ასე მანეთი ღირს.

ჩიქოვანი ფხიზელი იყო, მას კარგად ახსოვდა დიდი ფულის გამოჩენა 1973 წელსაც საშიში იყო.

- ძვირი კი ყოფილა, მაგრამ რაც ფული დამრჩა, ეყოფა, თანაც ხვალ თბილისში ვბრუნდები, მოიტანეთ, გეთაყვა, „ნაპოლეონი“.

მოსკოველებმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს:

- ყოჩაღ, ნატკა! კარგი ქართველი გიპოვნია!

ირაკლი ქადაგად იქცა. სასმელმა, ახალგაზრდა თანამესუფრეებმა და ნატაშამ ისეთ ხასიათზე დააყენეს, რომ ანეკდოტს ანეკდოტზე ყვებოდა...

ერთხელ ბრეჟნევი შეხვდა ჩინელს - ის გაეცნო: - ხან ჰუი... უცებ შეწყვიტა თხრობა: „თუმცა, მოდით, მე მინდა ნატაშას სადღეგრძელო დავლიო!

- გაუმარჯოს!

- სტიოპა, ხომ კარგი ვქენით, აქ რომ მოვედით, - ღიმილით უთხრა ნატაშამ ჯგუფის „თავს“. ჩიქოვანი გაისუსა: სტიოპა - ნატაშა!... გავგიჟდები ესენი რომ იყვნენ! შემდეგ ცეკვა დაიწყო. ჩიქოვანმა განგებ მეორე გოგონა გაიწვია „ინფორმაციის“ ასაკრეფად... ელ ტონ ჯონი მდეროდა, ეს სიმღერა კარგა ხანია აღარ მოესმინა... ჩიქოვანს ნეტარების ჟრუანტელმა დაუარა.

- თქვენ კარგად ცეკვავთ, - უთხრა სიმპატიურმა გოგონამ.

- სტიოპა რა გვარია? - ყურში ჩასჩურჩულა კავალერმა...

- ნაკოვი!

ჩიქოვანი შედგა, მაგრამ არ შეიმჩნია, პაუზის შემდეგ ისევ მუსიკის რიტმს მიჰყვა. ერთბაშად გადაწყვიტა, მოვლენები თავის ნებაზე მიეშვა... ცეკვის შემდეგ ყველანი მაგიდას მიუსხდნენ. ირაკლიმ ანეკდოტი წამოიწყო.

- თქვენ რა გქვიათ? - უჩურჩულა დაჯდომისას გოგონას.

- ალიონა!

- ბრეჟნევი გორბაჩოვს ურეკავს...

- ვინ არის გორბაჩოვი? - გაოცებით იკითხა ნატაშამ.

- ჩიქოვანი წამით შეეყონდა, - მოფიქრებისათვის მეტი არ დასჭირდებოდა.

- სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანია ერთი...

- ო, დიდი ვინმე ყოფილა - აგდებით უთხრა პანკოვმა...

- მოდით, პოლიტიკაზე ნუ ვისაუბრებთ - განაცხადა ნატაშამ.

- მამამისი პარტბიუროს მდივანია - ჩაულაპარაკა მეორე გოგონამ.

- ეგ სად?

- ქარხანაში.

- გასაგებია. ნატაშა რა გვარია?

- ორლოვა. - ყველაფერი ნათელი იყო, გეგმა მოულოდნელად შეიცვალა.

ბარიდან სტუმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ. „ჩვენი“ მაგიდა კი არსად წასვლას არ აპირებდა. მესამე ბოთლი „ნაპოლეონის“ აღმართს შესდგომოდა.

- ბოდიში, სტიოპა, მაგრამ მაინტერესებს რას საქმიანობ? - უკვე შინაურულ საუბარზე გადავიდა ირაკლი.

- არაფერს. ჯარში წავალ ალბათ ამ შემოდგომაზე, - ნაღვლიანად უთხრა სტეპანემ - წავალ და ნატაშასაც დავკარგავ! - ისეთი ხმით თქვა პანკოვმა, რომ ირაკლის გულთან რაღაც ჩაუწყდა...

- როგორ?... რატომ? თან რაღაც რუსული ფილმების გმირები გაახსენდა... ჯარიდან ჩამოსულებს გათხოვილი საცოლეები რომ მხვდებოდნენ.

- რატომ? არ ვიცი, - ამოიოხრა სტიოპამ, - მაგრამ ჩემები სახლში ცოლის მიყვანის ნებას არ მაძლევენ... ჯერჯერობით არ შრომობ და ცოლ-შვილს ჩვენ ვერ გირჩენთო... მამაჩემი გენერალია. ხომ იცი გენერლების ამბავი... ცოტა უცნაური ხალხია! - ჩიქოვანმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ნატაშა მართალია გოგონებს ესაუბრებოდა, მაგრამ ყურადღება მათკენ ჰქონდა მიპყრობილი...

- იმას უყვარხარ? - თანაგრძნობით ჰკითხა ირაკლიმ...

- ძალიან. მაგრამ ჩემს ჩამოსვლამდე ვიცი გათხოვდება... წინასწარ ვგრძნობ... ღამაზია, არ მოასვენებენ...

ღარბაზში შუქი გამორთეს და აანთეს...

- დაიწყო, - თქვა სტიოპამ - წასვლის დროა. გეძინებათ?

- მე არ მეძინება! ხვალ თბილისში უნდა ვიყო! იცით, რა ვქნათ, გინდათ, ჩემთან ავიდეთ ნომერში და იქ დავვლიოთ?

- სტიოპამ ნატაშას გადახედა მუდარის თვალებით...

- ბევრნი რომ ვართ? - იკითხა სტიოპამ, როცა გარეთ გამოვიდნენ. ირაკლიმ ორაზროვნად მხრები აიჩეჩა, აქაოდა, კარგი იქნებოდა უფრო კომპაქტური შემაღვენლობაო.

- მაგრამ რას იზამ, რაც არის ეს არის! - ნატაშა რამდენიმე ნაბიჯით უკან მომავალ მეგობრებს მიუბრუნდა:

- ალინა ჩვენთან წამოვა... თქვენ კი ხვალამდე, „პაკა“.

- „პაკა“, უხალისოდ უპასუხეს თანამეინახეებმა და პროსპექტს გაუყვნენ. სასტუმროს ოთხნი მიადგნენ. მეტროტელმა, რა თქმა უნდა, იცნო გულუხვი სტუმარი. ჩიქოვანმა 25 მანეთიანი ჩაუდო გამზადებულ ხელში და მანაც სტუმრებიანად გაატარა ირაკლი.

- თქვენ მაგათ იცნობთ? - ჩასჩურჩულა შვეიცარმა...

- დღეს გავიცანი, - უდარდელად უპასუხა ჩიქოვანმა...

- ფრთხილად იყავით! - ჩიქოვანს მაინდამაინც არ ესიამოვნა ეს გაფრთხილება. - ალბათ ფულს მომპარავენ - გაიფიქრა...

- ცოტას დავლევთ და ტაქსით გაუშვებ სახლში. ლიფტით ავიდნენ, ნომრის გასაღები უკვე ეჭირა და კარებს აღებდა, როცა სართულის მორიგე დაეწია: - ესენი სადღა მიბრძანდებიან?

- სტუმრად, - მიუგო პანკოვმა.

- სტუმრად თერთმეტი საათის შემდეგ სასტიკად აკრძალულია! - „პროტოკოლივით“ წაიკითხა მორიგემ...

- გამონაკლის შემთხვევაში, - ჩიქოვანმა თუმნიანების „თაიგული“ ნაზად ჩაუდო ხელებში წესრიგის მეხოტბეს. - შესაძლებელია, ალბათ - გაუცინა ჩიქოვანმა და სტუმრები ღია კარებში შეუშვა... სართულის მორიგეს ხმა აღარ ამოუღია.

- რა კარგია! - თქვა ნატაშამ, - ერთი ასეთი ბინა ჩვენ მოგვცა!

ირაკლიმ ჭიქები გადმოიღო, „ნაპოლეონი“ ცოტ-ცოტა ყველას დაუსხა...

- რა ღირს ახლა ასეთი ბინა მოსკოვში?

- ნატაშამ პანკოვს შეხედა...

- თხუთმეტი ალბათ, თავის გაფორმებიანად.

- თბილისში უფრო ძვირი ღირს! - ამოიოხრა ქართველმა მასპინძელმა.

- თქვენთან ყველაფერი შედარებით ძვირიაო, ამბობენ, ჩაერთო ალიონა.

- რატომ? რა მიზეზით ნეტავი? - სერიოზულად დაინტერესდა ჩიქოვანი.

- რა ვიცი, ქართველებს ფული გაქვთ... ყველა მდიდარია... ალბათ ამის გამოა თქვენთან სიძვირე!

- კი მაგრამ, რა მანქანებით... საიდან? - ჩაეკითხა ჩიქოვანი.

- როგორ საიდან? ყველგან თქვენი ჩაი იყიდება, ეს ციტრუსებიო...

- ეგ არაფერ შუაშია, - მოუჭრა ჩიქოვანმა - ნამდვილად ვიცი ეგ არ გაგამდიდრებს! - „სამოცდაათიანელები“ გაცეცხლებული შეჭყურებდნენ დედაქალაქის სტუმარს...

- მაგ „სიმდიდრის“ მიზეზი ე. წ. „პრიპისკებია“.

- საქართველოს გაუმარჯოს, - შეაწყვეტინა პანკოვმა და კონიაკი გადაკრა...

- გაუმარჯოს! - უპასუხა ჩიქოვანმა და ყველას თვალებში ჩახედა: - გაუმარჯოს პატარა, გატანჯულ, თქვენთვის უცნობ საქართველოს!

- ასეთი რამ ჯერ არ გამიგია! აღმოხდა ნატაშას...

- ოდესმე გაიგებთ, თუმცა მე რომ შემეძლოს... უფრო სწორედ რომ ვიცოდე, რა მოვიმოქმედო, იქნებ ეშველოს კიდევაც, მაგრამ...

- თქვენ მეტი აღარ დალიოთ! - მუდარანარევი ხმით უთხრა ალიონამ. ჩიქოვანმა ალიონას მხარზე ხელი გადახვია და აკოცა... ასეთი უცერემონიო საქციელი მასვე გაუკვირდა, მაგრამ ვითომც აქ არაფერიაო, სიტყვა გააგრძელა...

- ჰო, მიწერებზე ვსაუბრობდით...

პანკოვი ყურადღებით უსმენდა, თითქოს რაღაც უცნაურს გრძნობდა შინაგანად.

- ვითომ ვიღაცამ ლიმონი დაკრიფა, ვიღაცამ ძროხა მოწველა, ვიღაცამ ღვინო დაწურა, დაიწერება ქალაქები, გადმოფრინდება მოსკოვში... ჩაიდება ფულის დასტები აქაური ბობოლეების ჯიბეებში, იმ ქალაქებს დაერთყმევა ჩაქუჩ-ნამგლიანი ბეჭდები და ფრრ... უკან - საქართველოში. იქ დაფიქსირდება გეგმის შესრულება. გამოიწერება პრემიები... და ა. შ. კიდევ ვიცი ერთი მეთოდი: „გლაგკაში“ ჩახვალ და მშენებლობისათვის მილიონებს გამოართმევ...

- ამდენი საიდან არის „გლაგკაში“? - მიაშიტურად იკითხა ალიონამ.

- მართალი ბრძანდებით, საყვარელო, არც ისე ბევრია, მაგრამ „გლაგკას“ როცა აქვს, აძლევს იმას, ვინც ჯიბეში უტოვებს რაღაცას... სხვები მოიცდიან! რესპუბლიკაში აშენდება რაიმე - მშრომელები მადლობას იტყვიან საჩუქრისათვის, მშენებლებს ქების სიგელებს დაურიგებენ და... ფული - ჯიბეში! გასაგებია? ჩიქოვანი თავბრუსხვევას გრძნობდა...

დიდხანს იყვნენ მდუმარედ.

ჭიქა მაგიდაზე დადგა... - დავწვეთ არა? - იკითხა მოულოდნელად.

- დავწვეთ, - უპასუხა ალიონამ... ნატაშა და სტიოპა მეორე ოთახში გავიდნენ...

- ვისაც გნებავთ, გრილი შხაპი მიიღეთ, წყალი მოდის!\* წარმოთქვა ირაკლი ჩიქოვანმა. გაკვირვებულმა ალიონამ უპასუხა:

\* 1993 წ. თბილისში ცხელი წყალი გაზის შეწყვეტასთან ერთად ფუფუნებად იქცა.

- ყველამ შხაპი უნდა მიიღოს და წყალიც ყოველთვის მოდის...  
ჩიქოვანმა თავის სისულელეზე გაიცინა.  
შხაპის შემდეგ ირაკლი ჩიქოვანი გამოცოცხლდა, სიმთვრალემ უკან დაიხია... ალიონა უკვე იწვა...  
- ჰო, მართლა! სტუმრების გასაგონად თქვა ირაკლიმ - ხვალ დილით ერთად ვსაუზმობთ რესტორანში და მერე მე თბილისში მივდივარ!  
- კარგი! - გაისმა პანკოვის ხმა მეორე ოთახიდან...  
ოთახში ბნელოდა... ირაკლი ჩიქოვანი ნახევრად ზეწარდაგაფარებულ ქალიშივლს უცქერდა... ალიონამ გაუღიმა და ხელები გაუწოდა... ირაკლიმ ზეწარი განზე გადასწია და ალიონას მღელვარე სხეულში ჩაეფლო... ეს უკვე ნამდვილი, სრულფასოვანი დაბრუნება გახლდათ წარსულში...

\* \* \*

გათენდა. ჩიქოვანმა შარვალში ფეხები გაუყარა და შარვლის უკანა ჯიბე საიდუმლოდ მოსინჯა. ფული ადგილზე იდო. სამივენი ჩაცმულები, გაღამაზებულები იყვნენ...

- ოო, ამხანაგ ირაკლის გაუმარჯოს, - ერთხმად გაიცინეს ახალმა მეგობრებმა...

- ალიონა, ხომ არ გაგაჯავრა ქართველმა? - ხუმრობანარევი ხმით იკითხა პანკოვმა...

- არა... ის ძალიან კარგია! - მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა ალიონამ...

ჩიქოვანს ესიამოვნა მოხუცებში რომ არ ჩაწერეს...

აბაზანაში შევიდა... შხაპი მიიღო, წვერი გაიპარსა... „მოვიფიქრე“ უთხრა სარკეში თავის თავს, „უეჭველად გაამართლებს“ - დაუდასტურა ორეულმა.

მაღე ისინი სასტუმრო „უკრაინის“ რესტორანთან იდგნენ...

- ჯერ თითქოს ადრეა, - თქვა პანკოვმა... ჩიქოვანი დაფიქრდა.

- იცით, რა? დრო გაქვთ?

პანკოვმა გოგონებს გადახედა და მზერა ისევ ჩიქოვანს მიაპყრო, აქაოდა, რა დროზე გვეკითხებითო.

- მე კარგი იდეა მაქვს! წავიდეთ ტაქსით აეროპორტში, დროც გავა, მეც გამაცილებთ, თან აეროპორტის რესტორანში თქვენთვის სიურპრიზი მაქვს.

ახალგაზრდები გამხიარულდნენ. მათ უყვართ, როცა უფროსები იხდიან!

- რამდენი წლისაა, არ ჰკითხე? - ჩაუხურჩულა ნატაშამ ალიონას.

- თითქმის ტოლები ვართო, ასე მითხრა, - დაბნევით უპასუხა ალიონამ.

- ჰო, წუხელ მაგარი მთვრალი იყო, - ჩაილაპარაკა ნატაშამ.

- არც ისე. - მოუჭრა ალიონამ.

ტაქსი უცებ გამოჩნდა...

- აეროპორტისაკენ! - დაუძახა პანკოვმა.

- 15 მანეთი! - ბრძანა ტაქსისტმა. პანკოვმა კითხვა მიაპყრო ჩიქოვანს.  
- თორმეტად არ იქნება? - გაეხუმრა ჩიქოვანი.  
- იქნება. დასხედით!  
- ეკონომია გავაკეთე, - ჩაიციხა თავისთვის მოგზაურმა.  
ჩიქოვანს პანკოვმა ბილეთიანი კაცი მიუყვანა. გაყიდვა უნდაო, ჩიქოვანმა ბილეთში ორმაგი გადაიხადა.  
- უცნაური კაცი ხართ. - ჩაილაპარაკა სტიოპამ. - ტაქსისტს სამი მანეთი დააკლებინეთ და ამას კი ორმაგი მიეცით!  
- ვერთობი, - გაიციხა ირაკლიმ. - წავიდეთ, რესტორანსაც ვასწრებთ თვითმფრინავის აფრენამდე...  
- მხოლოდ ჩასხდომამდე, - გაუსწორა ალიონამ.  
რესტორანში სხვადასხვა რასისა და რჯულის ხალხი შეკრებილიყო. - ასეა დიად საბჭოეთში - გაიფიქრა ირაკლიმ. - აი, აქ ფანჯარასთან დაესხდეთ და ჩემი თვითმფრინავიც გამოჩნდება. - ბავშვობიდან მიყვარს ფანჯარასთან ჯდომა...  
- გარბუშკა არ გიყვარდათ? - გაიციხა ნატაშამ...  
- ყველა ბავშვი ერთნაირია! - განაცხადა ჩიქოვანმა და ჭიქა ასწია.  
- მოდით, ჩვენს ბავშვობას გაუმარჯოს, ჩვენს უღრუბლო ბავშვობას!  
- გაუმარჯოს, გაუმარჯოს, - აიტაცეს ყოფილმა ბავშვებმა, ბავშვური აღტაცება ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდათ...  
- მე მინდა თქვენი სიყვარულის სადღეგრძელო ვთქვა...  
- გმადლობთ, ირაკლი, - ჩუმად წარმოთქვა ნატაშამ. - იმედი მაქვს, ბედნიერებს ვნახავთ, როცა იქნება...  
- დიდი მადლობა, თქვენც სიყვარულს გისურვებთ! - პანკოვმა ალიონაზე მიანიშნა ჩიქოვანს.  
- ოო! - გაიღიმა ირაკლიმ - მე და ალიონა აუცილებლად ვნახავთ ერთმანეთს, პირობას გაძლევთ.  
- თქვენ ხომ არ დამივიწყებთ? - დადებითი პასუხის მომლოდინე ხმით ჰკითხა ირაკლიმ ქალიშვილს...  
- ირაკლი! ჩემი მეგობრების თანდასწრებით ვაცხადებ: „მე თქვენ არასოდეს დავივიწყებთ“, - თან გადაიხარხარა, ირაკლის ვნებიანად აკოცა.  
- ყოჩაღ, ალიონა, აი, ეს მესმის! შენ შორს წახვალ!  
ალიონამ კი, მშვიდად იყავით და თქვენს თავს მიხედეთო, ხელით ანიშნა დამსწრეთ და კოცნა განაგრძო.  
- კარგი, გეყოფა, თორემ ცუდად გავხდი! - თავი მოისაწყლა ქართველმა სტუმარმა. - მე მინდა, შენი სპონსორი ვიყო! - ჩასჩურჩულა ხუმრობით ალიონას. ალიონა გაოცდა:  
- ეგ სიტყვა კიდევ რაღაა? - სპონსორი...  
ჩიქოვანი გონს მოეგო...  
- არაფერი! ისე, დროს ნუ ვკარგავთ, თვითმფრინავის გასვლამდე ნახევარი საათი დარჩა.  
- ჩასხდომამდე, - შეახსენა ნაპკოვმა...  
- მე მინდა, ჩემი გაცნობის სადღეგრძელო გითხრათ. ძალიან მომეწონეთ! თქვენ, სტიოპა და თქვენც ნატაშა და ...თქვენც, ჩემო ალიონა!

- ალიონა მარცხენა ხელით მხარზე მიიხუტა: მე ვარ ირაკლი ჩიქოვანი, გაიმეორეთ!

- ირაკლი ჩი-ქოვანი, დამარცვლეს მეგობრებმა... და მე, ირაკლი ჩი-ქოვანი ... გეუბნებით, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა!

- კეთილი იყოს...

- ნუ მაწვევებთ. მე ცოტა სხვა რამეს ვგულისხმობ... მინდა ჩვენი შეხვედრა მომავალში სასიამოვნო მოგონებად დაგრჩეთ. მეც - აგრეთვე, რა თქმა უნდა. გადავწყვიტე ისეთი რამ გაგიკეთოთ, ოცი წელიც რომ გავიდეს, არ დაგავიწყდეთ...

- არ არის საჭირო, ირაკლი, - ისევ შეაწვევტინა ალიონამ. ხომ გითხარი უკვე, არასდროს დამავიწყდება-მეთქი.

ირაკლი წამით გაჩერდა. შემდეგ ფული ამოიღო და მათ წინაშე დათვლა დაიწყო...

- რას შეგებით, ირაკლი! შეინახე! - უთხრა შეშინებულმა პანკოვმა... ირაკლიმ ახედა. პანკოვი გაფითრებულიყო.

- ჰო, - ჩაილაპარაკა ირაკლიმ, - საშიშია. ფულიანი ხელი ჯიბეში ჩაიღო.

- მოკლედ: მე თქვენ გაძღვეთ ოცდათხუთმეტ ათას მანეთს - ორივე გაშტერებული იყო ქართველის მოქმედებით.

ნატაშასა და სტოპას 25 ათასს, ბედნიერების ასაწყობად... მე მგონი, გეყოფათ, პირველი ნაბიჯებისათვის. რომ იტყვიან - ნატაშა და სტოპა მოულოდნელობისაგან ენაჩავარდნილები ისხდნენ.

- შენ, ჩემო ალიონა, კარგო გოგო, იმისათვის, რომ არ დამივიწყო... არა რას ვამბობ... იმისათვის, რომ კარგად იყო, მე გიტოვებ ათი ათასს...

- აუცილებლად იყიდე რამე ჩემგან სამახსოვრო...

ალიონა გაოგნებული იჯდა. ხმას ვერაფერ იღებდა. ირაკლიმ აიღო ქაღალდი. ფული შეახვია და ზედ დააწერა „ირაკლი ჩიქოვანი... მომავალამდე“. ფული პანკოვს გადასცა.

- ბატონო ირაკლი, რატომ აკეთებთ ამას? - მრავალმნიშვნელოვნად იკითხა ამ უკანასკნელმა.

- ნუ გეშინიათ, არც „კაგებეშნიკი“ ვარ და არც „ცერეუს“ აგენტი. მე ახლა თბილისში წავალ და ვერაფერ გაიგებს თქვენი ფულის შესახებ, ისე კი, - დასძინა ირაკლიმ, - თქვენი შეკითხვა საფუძვლიანია. რატომ ვაკეთებ ამას მე? სრულიად უცხო ადამიანებს ვაძლევ ამხელა თანხას. გიპასუხებთ: ჯერ ერთი, აღარ გთვლით უცხოებად და მეორეც, არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელსაც ახლა ვერ დაგისახელებთ, მაგრამ აგისხნით პრინციპს. მე მინდა წარსულში სიკეთე დავთესო და მომავალში კეთილი ნაყოფი ვიხილო... ანუ თქვენი ბედნიერება!

- საერთოდ ასეთ საჩუქარს ძნელად მიიღებს ადამიანი, - ფიქრიანად წამოიწყო მომავალი ბანდის მეთაურმა, - მაგრამ თქვენი სიტყვები და თავდაჯერებულობა, მაძლევს ნებას, მივიღო თქვენი საჩუქარი. დაე, ასრულდეს ის, რისთვისაც თქვენ ამას სჩადიხართ!

- ასრულებას გაუმარჯოს! - ფეხზე წამოდგა მოგზაური.

- მომავალ შეხვედრამდე...

- რეგისტრაცია დაიწყო, ვიჩქაროთ...



- მე მინდა საუკუნო მეგობრობა შემოგთავაზოთ, არ გეგონოთ, რომ...
- არაფერიც არ მგონია... მჯერა თქვენი.
- მაშ, ასე, წავედით!
- ირაკლი, დამირეკე! (ეს ალიონა იყო) ნომერი...

ასაეთი საუბარით ჩვენი ახალი მეგობრები გასასვლელისკენ გაემართნენ. ირაკლის სასმელი ოდნავ მოჰკიდებოდა, მაგრამ ის სიტუაციის ზღაპრულობით უფრო იყო მთვრალი და ადელეკებული... სამთავე გადაკოცნა, მერე მცირე ხნით ალიონას ცალკე ესაუბრა და ტრაპისაკენ წავიდა... ზემოდან გადმოჰყურებდა ირაკლი ჩიქოვანი თავის გამცილებლებს, რაღაცაზე გულიც დასწყდა, რაღაც გაურკვეველი ნაღველიც დააწვა უცებ და შეამჩნია, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა. ირაკლი ჩიქოვანი საერთოდ არ ტიროდა...

\* \* \*

ტაქსი ცირკთან შეჩერდა. ირაკლიმ სალაროსთან თავშეყრილ ხალხში პატარა ნათია და მამამისი თამაზი შეიცნო... გული უცნაურად შეუთამაშდა, მანქანიდან ძლივს გადმოვიდა... ქუჩა სირბილით გადაჭრა და მოპირდაპირე სახლის ქვემოთ მდებარე გასტრონომში შევიდა... შოკოლადებით გაეფორმებინათ ვიტრინები, სასწრაფოდ იყიდა შოკოლადის კანფეტები და წამში ცირკის სალაროსთან აღმოჩნდა. ნათიას მამა ვიღაცას ესაუბრებოდა. ნათიას ცალი ხელი მამისთვის ჩაეკიდა, მეორეში კი ბუშტი ეჭირა... დიდი, ფერადი ბუშტი. საოცრად ლამაზი იყო პატარა ნათია, ირაკლი ჩიქოვანის მეუღლე: ირაკლი უცერემონიოდ მივიდა ბავშვთან და გამოესაუბრა...

- შენ რა გქვია?

ნათიამ ხმა არ გასცა. მამამისი მოსაუბრისაგან წამით განთავისუფლდა და უცნობ მამაკაცს დააკვირდა:

- ბოდიში, ვერ გიცანით!

- არაფერი, ბატონო ჩემო, ბავშვები მიყვარს და კანფეტები მინდა ვაჩუქო. ირაკლიმ სხვა ბავშვებსაც დაურიგა კანფეტები. შემდეგ ნათიას დიდი შოკოლადის კოლოფი მისცა და შუბლზე აკოცა. თამაზი გაკვირვებული შესცქეროდა უცნობს, რომელიც ზრდილობიანად გაეცნო...

- მხატვარი ვარ, მიყვარს სილამაზე... ბავშვები...

- ძალიან სასიამოვნოა...

მალე უცნობი აღმართს აუყვა და ბატონი თამაზის მხედველობის არედან გავიდა... რამდენიმე წუთში ირაკლი ჩიქოვანი თითქმის უტრანსპორტო, ცარიელ ქუჩაში იდგა...

უკვე 1993 წელი იდგა... კარები ნათიამ გაუღო.

- როგორ გაზრდილხარ, ნათია! - ღიმილით უთხრა მეუღლემ და გადაეხვია.

- შენ ასე ხშირ-ხშირად თუ არ იარე ოჯახში, მალე მოხუცებული დაგხვდება, - ნახევრად საყვედურით შეაგება ნათიამ მეუღლეს...

ირაკლი ჩიქოვანი ცოტა მოსულიერდა თუ არა, ტელეფონზე მოსკოვის კოდი აკრიფა... ზუმერს დაელოდა, იქიდან უპასუხეს...

- ვაჟას თხოვეთ!

- ...

- ვაჟა, ხვალ პანკოვს უთხარი, რომ შენ ირაკლი ჩიქოვანის ძმაკაცი ხარ. დანარჩენს ის გეტყვის...

- ...

- სულ ერთია, რაც უნდა გითხრან, შენი პირველი წინადადება იყოს: „მე: ირაკლი ჩიქოვანის ძმაკაცი ვარ!“

ირაკლიმ ტელეფონი დადო. ტახტზე წამოწვა და ფიქრებს მიეცა... ცდილობდა, რაც შეიძლება ზუსტად წარმოედგინა მოსკოვში გათამაშებული სცენა.

\* \* \*

პანკოვი მოღუშული იდგა...

- ბოლოსდაბოლოს, აბრუნებთ თუ არა იმ ფულს?

ვაჟა ფეხზე წამოდგა. რაღაც გაურკვეველი ბურუსი აწვებოდა თვალებზე... ერთ ხანს უხმოდ იდგა, შემდეგ კი ყოველგვარ იმედს მოკლებულმა, მოშვებული ხმით განაცხადა:

- მე ირაკლი ჩიქოვანის მეგობარი ვარ!...

სიჩუმე ჩამოვარდა. ანდრეევს გაეცინა და თავი გადააქნია. პანკოვს სახე ეცვალა... სიჩუმე გამეფდა...

- მე ირაკლიმ მითხრა, რომ თქვენთვის მხოლოდ ეს მეთქვა, სხვა არაფერი.

- ის არის! - თქვა პანკოვმა... ანდრეევი გაოცებული ისმენდა მისთვის ყოველად გაუგებარ სიტყვათა ცვლას...

- ის არის... ირაკლი ჩიქოვანი. ჩემი მეგობარი! - დაამატა პანკოვმა. ვაჟა ისე შეირხა, თითქოს გაქვავებულს სიცოცხლე შთაბერესო, სიგარეტს მოუკიდა, პანკოვს თანამოსაუბრის თვალთ გახედა.

- მე ბავშვობიდან ვიცნობ - კლასელები ვართ! - პანკოვი თითქოს დაბრკოლების წინაშე იდგა, წამით შეეყვნდა... შემდეგ რიხიანად შესძახა:

- ანდრეევ, მაცივარში არაყია, აქ მოიტა!

არაყი მოართვეს... სტიოპამ ორი ჭიქა სასწრაფოდ შეავსო, ერთი ვაჟას მისცა, მეორე თვითონ აიღო.

- მე მინდა ირაკლი ვაღდღეგრძელო! - თქვა და უცებ გადააკრა. ვაჟას არაფერი უთქვამს, პანკოვს მიბაძა.

- როგორ არის?

- არა უშავს! - მოკლედ მიუგო ვაჟამ.

- სად შემიძლია ვნახო?

- თბილისში... თბილისში ცხოვრობს... ტელეფონიც ვიცი, დავრეკო?

- დაურეკე, ოცი წელია არ მინახავს, დაურეკე! დაურეკე!

- პანკოვმა კიდევ გადააკრა. ანდრეევი ვერ მიმხვდარიყო, ვისზე საუბრობდნენ, მაგრამ გუმანით მიხვდა, ვაჟასგან ფულს ვეღარ აიღებდნენ.

\* \* \*

ნუგზარ კალმახელიძემ „პრიმა“ გააბოლა და კვამლის ნახვრეტიდან ირაკლის გამოსხედა...

- კარგი საქმე გიქნია...
- ჰო, რა ვიცი, ასე გამოვიდა. პირველად სხვანაირად მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ საბოლოოდ ასე გამოვიდა.
- ვაღს როდის აბრუნებ? - გაიღიმა მოგზაურმა.
- ერთხელ კიდევ გადავალ, კომერციული აზრები მაქვს... გავისტუმრებ... წყნარად იყვნენ, გავისტუმრებ კი არა, პატივსაც ვცემ.
- სასმელი არაფერი იყიდე?
- სულ დამავიწყდა. მაპატიე, ისეთი ამბები გადამხდა, ჭკუაზე როგორ ვარ, ის მიკვირს...
- ასეც ვიცოდი. მე ვიყიდე სამაგიეროდ!
- კიდევ იყავით?
- მე საყიდლებზე ხშირად დავდივარ, იცი შენ ეს.
- სხვა რამეს რატომ არ აკეთებთ, ბატონო ნუგზარ?
- ჩემი აზრი მაქვს ცხოვრებაზე... წითელი ღვინო დაასხა.
- ო, რა ღვინოა, ბატონო ნუგზარ, „ხვანჭკარა“, მეც კაი რაღაცეები ვსვი იქ, უწინ... გაეცინა - მოდით, ჩვენს ცხოვრებას გაუმარჯოს!
- ჩვენს თუ ჩვენებურ ცხოვრებას?
- ეგ ვიგულისხმე. კარგია რაღაცით სხვანაირი რომ ხარ თურმე. ჩვენნაირი თუ ყოვილა ვინმე კიდევ?
- იქნებოდა ალბათ... ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. ვინ იცის, იქნებ გენიოსებს რომ ვეძახით, იმათაც გადასასვლელი ჰქონდათ ნაპოვნი მომავალში და იმიტომაც ჭვრეტდნენ მომავალს... ან წარსულს აღწერდნენ რეალურად... ეჰ, დავლიოთ ცოტა, თორემ ასეთი ფიქრები შეგშოლის კაცს...
- ირაკლიმ წითელი, ბლანტი სითხე ნელ-ნელა ნეტარებით მოსვა.
- ამ ღვინის გადმოტანაც შეიძლება, - გაიფიქრა. - ერთი ყუთის მეტს ვერ გადმოვიტან, ცოტაა.
- ბატონო ნუგზარ, ერთი „ბუტკა“\* გაგეხსნათ ჰა? რა მაგარი იქნება... გადმოიტანთ წარსულიდან ძეხვს, ლუღს, „კოსმოსს“ და თქვენ კი გეყოფოდით.

---

\* 1993 წ. ბილისი კომერციული ჯიხურებით იყო მოფენილი.

ნუგზარმა ჭიქა შეათამაშა...  
- მე „ბუტკაზე“ საინტერესო რამეებს ვაკეთებ.  
ჩიქოვანი უკეთ მოკალათდა სავარძელში და საინტერესო საუბრის მოლოდინში კიდევ დაისხა ღვინო...

- მაინც რას აკეთებთ ისეთს?  
- გალაკტიონთან დაგილევია? - კითხვა შეუბრუნა მოგზაურმა.  
- არა. მე ორმოცდაცამეტიანი ვარ! - დაბნევით უპასუხა ჩიქოვანმა.  
- მაგას რა მნიშვნელობა აქვს? მიხვალ, როცა დუქანში ქეიფობს და დალოცავ! ისიც აგიწევს ჭიქას...  
ჩიქოვანი ფიქრებმა გაიტაცეს...  
- ისე, გაახალგაზრდავება რომ შეიძლებოდეს, რა კარგი იქნებოდა.  
- რას იზამდი?  
- ერთი გოგო მიყვარდა და მივაკითხავდი.  
- ასე მიაკითხე, რა. დაგიწუნებს?  
- რა ვიცი, მოვეწონები? ან რა ვუთხრა, რამ დამაბერა-მეთქი...  
- მოიგონე რამე... შენ არ გაგიჭირდება, - ბოლო სიტყვები ხაზგასმით წარმოსთქვა ნუგზარ კალმახელიძემ...  
- ესე იგი, უამრავი, საინტერესო რამის გაკეთება შემიძლია... მერე ეყოფა ამას მთელი ჩვენი ცხოვრება?  
- ამაშია საქმე... რაღაც უნდა ამჯობინო, მერე - ყველაფერს ვერ მოედები, ყოველ შემთხვევაში მე ასეთი გზა ავირჩიე...  
ჩიქოვანმა თვალი თვალში გაუყარა მოგზაურს.  
- თანაც ეგ თქვენი გზა ნაკლებ სახიფათოა არა?  
- შეიძლება ასეც ითქვას. წარსულში დიდი საშიშროებაა. შეიძლება იქ ჩარჩეს ადამიანი... დიდი კონტროლია ყოველ მხრიდან. ამიტომაც ვფრთხილობ, მაინცდამაინც თვალში არავის მოვხვდე.  
- როგორ უნდა გადავიდე მომავალში? - უეცრად იკითხა ჩიქოვანმა...  
- ჩვეულებრივად, - მცირედი დაყოვნების შემდეგ უპასუხა კალმახელიძემ. - ზემოდან აღარ ჩამოხვალ, ქვემოდან აუყვები კიბეს... იქაც მეცხრე საფეხური... თუმცა არ გირჩევ, იქ „საშენო“ ბევრი არაფერია.  
- სათქვენო?  
- საჩემო მითუმეტეს. მე იქ საერთოდ არ ვარ.  
- ეს როგორ გავიგო, ბატონო ნუგზარ?  
- მკვდარი ვარ.  
ჩიქოვანი გაშრა. ასეთ პასუხს არ ელოდა.  
- ასე რომ, მომავალი, - გააგრძელა მოგზაურმა, - უფრო საშიშია, ვიდრე წარსული, თუმცა გონებით და მოხერხებით იქან შეიძლება მოგზაურობა.  
ირაკლი ჩიქოვანმა ისევ დაასხა წითელი ღვინო.  
- არ ვიცი, არ ვიცი. ყველაფერი მოსაფიქრებელია... მე მინდა, სარგებლობა მივუტანო სხვებს - რიტორიკულად განაცხადა ახალბედა მოგზაურმა.  
- ეგ ძველი პრობლემაა... სხვებსაც სურდათ საყოველთაო სიკეთის მოტანა, მაგრამ საყოველთაო გაუგებრობა და უბედურება კი გაამეფეს...  
- ჩვენ ხომ შევთანხმდით, ჩემი არჩევანი თავისუფალია!  
- კი, იმოქმედე როგორც საჭიროდ ჩათვლი!  
კიდევ შესვეს რამდენიმე ჭიქა. ბატონმა ნუგზარმა ისევ გამოიტანა შევიცარული ყველი, ძეხვი და სხვა დელიკატესები. გვიან დამემდე იჯდა ორი უცნაური ქართველი ერთმანეთის პირდაპირ... საუბრობდნენ ათას

რამეზე, თუმცა ჯერჯერობით ამ საუბრის შინაარსით ჯერ ნუ დავინტერესდებით.

\* \* \*

ლევანმა დარეკა.

- გაიგე ახალი ამბავი? - ირაკლის არაფერი გაეგო.  
- ელცინმა ფულის შეცვლა გადაავადა აგვისტომდე!  
- მერე რა?  
- ახლა აღარავის ჭირდება ფულის გადახურდავება იმ პროცენტებში.  
- მე მაინც არავინ მყავდა ისეთი...  
- შენ რომ მკითხე ის აღარაა... ხუთთუმნიანები და ასიანები... ჰო, მართლა, როდის დავლიოთ? რაღაც კარგ სასმელებს შემპირდი ამას წინათ...

- აუცილებლად, ლევან, აი, ვაჟა ჩამოვა და ჩავუსხდეთ!  
- როგორ არის მისი საქმე? ფული უშოვე?  
- შენ რომ მომეცი იმაზე მეტი ვერ ვიშოვე, მაგრამ ვიმყოფინეთ...  
- გადამრევე, შენ! ხუთი მილიონი არ უნდოდათ?! ორმოცდაათი ათასი როგორ ეყო?

- ნოლები დავაწერე, ჩემო ლევან, ნოლე-ბი... - უცებ კარგ ხასიათზე დადგა. - ვაჟა მალე ჩამოვა ალბათ ერთ სტუმართან ერთად... ის გიამბობს ყველაფერს. ახლა წავედი. დაგირეკავ...

- ჰო, კარგი... გელოდები...

ირაკლი სამზარეულოში შევიდა. ნათია ჩაის ასხამდა ფაიფურის ჭიქებში. ირაკლის ეს ჭიქები ბავშვობას ახსენებდა. ყოველ ჭიქას უკანა მხარეს მწვანე ან წითელი წარწერა ჰქონდა, საბავშვო ბაღში ბავშვებს წითელი წარწერიანი ჭიქის შეხვედრა უხაროდათ. „გარბუშკასი“ არ იყოს. საუზმის ჩუმი, ფიქრიანი მდინარეა ნათიამ დაარღვია...

- ვალი რომ გქონდა ვილაცხვების დააბრუნე?

- ჯერ არა. დავაბრუნებ!

- მერე და რით გინდა გაისტუმრო?

- გავყიდი რამეს.

- არაფერი გვაქვს ისეთი, თანაც ახლა არაფერი იყიდება, თუ იყიდეს, ჩალის ფასში უნდათ ყველაფერი...

- მე ვიცი ისეთი ადგილი, სადაც ერთი-ათად გადაგვიხდიან.

ნათიამ გაიკვირვა, მაგრამ მოეჩვენა, რომ ასეთ აბსურდზე შეკამათებაც არ ღირდა.

- ვიდუო მათხოვე, რა! - ბავშვური მიამიტობით წამოისროლა უცებ ირაკლიმ.

- ვიდუო რად გინდა? (ვიდუობაში კარგახნის ჩავლილიყო და აღარავინ უყურებდა).

- გავაქირავენ.

- ირაკლი, რა უცხოპლანეტელივით იქცევი? - გაიცინა ნათიამ. ვის უნდა დღეს ჩვენი ვიდუო, ფილმების კორიანტელია ტელევიზორში.

- უნდათ, ნათია უნდათ! - აზარტში შესული კაცის ხმით წამოიძახა მოგზაურმა. - უნდათ და მერე როგორ! ტელევიზორი რომ შემოვიდა (შენ ეს დრო არ გახსოვს), ისე უნდათ ვიდეო, მაგრამ არა აქვთ.

- აფრიკაშიც აქვთ ახლა ვიდეომაგნიტოფონები, ახალ ზელანდიაშიც, გრენლანდიაშიც... არ ვიცი, რა ხდება. სად ეშმაკებში ქირავდება მითხარი?! ირაკლი უცებ დასერიოზულდა, ჩვეულ ჯებირში მოექცა. მიხვდა, ზედმეტი მოუვიდა.

- არსადაც არ უნდათ. ოფისში მიმაქვს ლევანთან. კომპიუტერზე მისაერთებლად. რაღაც გაუფუჭდა და ორი დღით მათხოვეო.

- თავისი არა აქვს? - ტყუილში დამტკერი ხმით მოუგო მეუღლემ.

- გაფუჭდა! - მოჭრა ჩიქოვანმა.

- ვალები მაინც გასასტუმრებელია! - ნიშნის მოგებით მიუგო ნათიამ და სამზარეულო დატოვა. „კარგი მოფიქრებაა ვიდეო“ ჩიქოვანი ენერგიით აივსო... მისი ფანტაზია ტალღებად აიშალა! წარმოსახვა ერთიმეორეზე შთამბეჭდავ კადრებს აცოცხლებდა გონებაში. ეს მისი სტიქია იყო! ამის არხილვა მას არ შეეძლო. ირაკლი ჩიქოვანმა მტკიცედ გადაწყვიტა: წარსულში ვიდეომაგნიტოფონი გადაეგანა თავისი ფილმებით... ის დარწმუნებული იყო: ასეთი კომერციული ნაბიჯი თვით ჰანტსაც\* არ ექნებოდა გადაადგმული.

\* ჰანტი - ამერიკელი მილიარდელი.

ტელეფონთან მივიდა. ნომერი აკრიფა.

- ვაჟა არ ჩამოსულა?

- კვირის ბოლოს? კარგი, ნორა დეიდა, ისე ხომ კარგად ვარო?

- კარგი, კარგად ბრძანდებოდეთ.

რაღაც უნდა მოეფიქრებინათ რამდენიმე დღით სახლიდან წასვლის მორალური უფლება რომ მიეღო. ბატონი ნუგზარი გაახსენდა... ისევ აკრიფა ნომერი.

- ბატონო ნუგზარ, - უთხრა ჩიქოვანმა მოკითხვის შემდეგ, - მე რამდენიმე დღით რაჭაში მინდა წამოგყვით. თქვენს საქმეებზე...

ნუგზარ კალმახელიძემ ყურმილში ჩაიციინა.

- გაგიტკბა მოგზაურობა?

- დარეკავთ ხომ, ბატონო ნუგზარ? - უპასუხოდ დატოვა კალმახელიძის შეკითხვა. - ხვალ წავიდეთ დილიდან რაჭაში...

- ისე, რაჭაში მართლაც რომ წავიდეთ, არ იქნება ურიგო!

- მაგას მოვასწრებთ... „იქ“ ისეთი საქმე მაქვს, გაგიჟდებით, რომ გაიგებთ, თავბრუდამხვევი პროექტია!

- კარგი, დავურეკავ...

ყურმილი დადო. მაშ ასე, გეგმა დალაგდა: ხვალ დილით რაჭაში წავა რამდენიმე დღით ნუგზართან ერთად. ბატონი ნუგზარი ამ დღეებში არ გამოჩნდება. ლევანთან მიიტანს ვიდეოს, ლევანს გააფრთხილებს, რა თქმა უნდა. ეს - ინფორმაცია ნათიასთვის - ცხადია. სინამდვილეში კი ირაკლი

ჩიქოვანი ხვალ სასწაულს მოახდენს... ის მეცხრე საფეხურზე შედგება ჩანთით ხელში, რომელშიც ვიდეომაგნიტოფონი და კასეტები იქნება. ვიდეომაგნიტოფონი კი არნახულ ფასად გაიყიდება იქ - 1973 წელს.

\* \* \*

ირაკლი საფეხურზე შედგა... საფეხური შეირხა და გამოეცალა. ირაკლიმ მეორე საფეხურს დააბიჯა, ისიც სადღაც უკან წავიდა... ირაკლის მესამე, ახალი საფეხური უახლოვდებოდა... ახლა იმაზე შეაბიჯა. მესამე საფეხური უფრო სწრაფად გამოეცალა, საფეხურების წყება წამოვიდა ირაკლი ჩიქოვანისკენ, ის უკვე აღარ აბიჯებდა, ის მირბოდა ამ სადღაც მიმავალ საფეხურებზე... სუნთქვა გაუხშირდა, ეშინოდა, ფეხი აეცილებინა მოახლოებული საფეხურისათვის, უნებლიეთ ზემოთ აიხედა. უკან წასული საფეხურები რკალად ტრიალებდნენ მის თავზე, შემდეგ ისევ წრედ იკვრებოდნენ და კვლავ ირაკლის ფეხქვეშ ექცეოდნენ, ის კი ხელახლა აბიჯებდა მათ, რათა სადღაც ქვემოთ, უფსკრულში არ ჩავარდნილიყო. საფეხურები თავბრუდამხვევი სისწრაფით დატრიალდნენ, ოფლად გაღვრილი ჩიქოვანი სპრინტერივით მირბოდა... ეს იყო საშინელი, წარმოუდგენელი ტემპი, მას ფეხი დაუცდა, ხელებით წინა საფეხური მოინაცვლა და დაოთხილმა გააგრძელა საფეხურების მონაცვლეობა. ტემპი კიდევ უფრო გაიზარდა, პულსი ყურებში გუგუნებდა, წნევა თვალეში აწვეებოდა, ის ველარაფერს ხედავდა საფეხურების გარდა. საჭირო იყო კიდევ ერთი საფეხურის მონაცვლეობა, კიდევ, კიდევ, და ასე დაუმთავრებლად, თორემ სადღაც ჩავარდებოდა... გადაიჩეხებოდა... ვიღაც დიდი თეთრწვერა მოხუცი შესცქეროდა გატანჯულ მორბენალს.

ჩიქოვანს უნდოდა ეყვირა: „ვინა ხარ, შენ?“ უნდოდა, მაგრამ ვერ შეძლო. პირიქით გამოუვიდა: „ვინა ვარ, მე?“ თან მიხტოდა, სადღაც მიხტოდა დაუსრულებლივ, შეუყოვნებლივ, შეუნელებლივ მიხტოდა და ყვიროდა: „ვინა ვარ მე?“ ამის ატანა ფიზიკულად შეუძლებელია, ახლა ის მოკვდება, გული გაუჩერდება, მაგრამ გაჩერებაც წარმოუდგენელია: „ვინა ვარ? ვ-ი-ი-ნ-ა-ა- ვ-ა-არ...“ გვირაბში დაძახილივით მოესმა საკუთარი ხმა... მოხუცმა მშვიდად უთხრა: „შენ ხარ ციყვი ბორბალში“, ირაკლის გამოეღვიძა. ოფლში ცურავდა. ეს იყო საშინელი სიზმარი, მაგრამ მაინც სიზმარი. იგი გადარჩა. ის იწვა თავის სახლში, მეუღლის გვერდით და მას არაფერი ემუქრებოდა. მოგზაური ადგა. აბაზანაში შევიდა, ონკანი გააღო და სიზმარი წყალს უამბო, სიზმარი წყალმა წაიღო...

\* \* \*

ბინის კარები რატომღაც ღია დახვდათ...  
- ქურდები? - გაოცებით იკითხა კალმახელიძემ.  
- არა მგონია! აქ რაღაც სხვა ამბავია, - ბუტბუტებდა გალაკტიონი. ოთახში შუქი ენთო.

- ამხანაგო, თქვენი გვარი? - ორი მამაკაცი ერთხმად შეეკითხა კალმახელიძეს, ორი „კაგებეშნიკი“ - როგორც ჩანდა. ერთ-ერთი მათგანი გალაკტიონს მიუბრუნდა:

- ამხანაგო გალაკტიონ, თქვენ აქ დაბრძანდით და ჩვენს საუბარში ნუ ჩაერევით! - გალაკტიონი დაჯდა.

- ეს დაკითხვაა? - კითხვა დაუბრუნა მოგზაურმა.

- დიახ. თქვენი საბუთები?

- კალმახელიძემ პირადობის მოწმობა ამოიღო და დამხვდურებს გადასცა.

- ნუგზარ კალმახელიძე! - ამოიკითხა უფროსმა (ზედ ეტყობოდა!) - ტელევიზიის ინჟინერი. გაცემით ამოხედეს ბატონ ნუგზარს:

- ტელევიზია რა არის?

- რადიო, ოღონდ ყველა ჩანს, ვინც ლაპარაკობს, ან მღერის. - გაიცინა მოგზაურმა.

- დაგვცინის, - მკაცრად წარმოთქვა უფროსმა.

- იქ გაიცინებს, სადაც ჯერ არს, - კვერი დაუკრა თანაშემწემ.

- პასპორტი რატომ არ გაქვს? - მოწმობა საქალაქოში ჩადო დამკითხავმა.

- არა მაქვს, საბჭოთა პასპორტს არ ვატარებ.

- ოო, აქ 58-ე მუხლის სუნი მცემს! კარგი, აი, ეს რა არის? - ორი წითელი ათმანეთიანი ცხვირთან აუფრიალა სახეგაბრწყინებულმა უფროსმა ბატონ ნუგზარს.

- ფულია, რა უნდა იყოს? - ჩაიცინა კალმახელიძემ.

- კიდევ იცინი? ყალბი ფულის ჭრა, ამხანაგ ლენინის პორტრეტებით, ეს იცით, რას ნიშნავს? სახელმწიფოს დაღატს! თქვენ ხალხის მტერი ხართ!

- სად გინახავთ ასეთი ფული? - ჩაიქირქილა გალაკტიონმა.

ჩეკისტებმა ერთმანეთს გადახედეს.

- ბიკენტიჩმა ჩაგვიშვა, ბერიას კუდი ყოფილა! - დასძინა გალაკტიონმა.

- თქვენ რას კადრულობთ, ამხანაგო ტაბიძე! პატივცემული ადამიანი ბრძანდებით! ამას აჰყევით? - წითლად უპრიალებდა თვალები შინსახკომელს. გალაკტიონი განრისხდა: - ბერიას კუდებო! ბერიას კუდებო! - გაცემულ ჩეკისტებს გაზეთი მიუგდო:

- ეს წაიკითხეთ, თქვე საცოდავებო!

ორთავემ გაზეთში ჩაჰყო თავი: „დაპატიმრებულ იქნა ხალხის მტერი და იმპერიალიზმის აგენტი ლავრენტი ბერია“.

- ეს გაზეთიც ისეთივე ყალბია, როგორც ეს ფული და ეს საბუთი! დაგხვრიტავ ადგილზე! - იარაღისკენ წაიღო ხელი უფროსმა.

გალაკტიონი გადაეღობა.

- ვერ გაძეხით, ხომ? სისხლით ვერ გაძეხით?!

- დილით რადიო ჩართეთ და ზუსტად იმას მოისმენთ რაც ამ გაზეთში წერია, ასე რომ, გირჩევთ საკუთარ ბედზე იფიქროთ, - მშვიდად წარმოთქვა კალმახელიძემ.



- ეს დავტოვოთ! - უფროსმა უმცროსს გალაკტიონზე მიუთითა. - ეს კი გავიყვანოთ და მივახვრიტოთ! კალმახელიძეს ეცნენ და ხელები გადაუგრიხეს.

\* \* \*

საფეხურებს ფრთხილად ჩაუყვა. ხავსიან, დილის ნამმოკიდებულ ხის კიბეზე ფეხსაცმელები სრიალებდნენ. უძვირფასესი საქონელი გულზე ჩახუტებული მიჰქონდა ჩიქოვანს. ირგვლივ მიმოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო..?. მისთვის არავის ეცალა. ყველა თავის საქმეზე მიიჩქაროდა, არც შეეძლოთ დაენახათ ირაკლი ჩიქოვანი, ისეთი ხშირი ფოთლები იყო გამვლელებსა და მას შორის. მეცხრე საფეხურზე ჩიტი დაჯდა და რაღაცის კენკვა დაიწყო, ირაკლი გაინახა, ჩიტი ერთხანს კენკავდა, მერე მის ირგვლივ ნათება დაიწყო, ჯერ ფრთები გაუფერმკრთალდა, შემდეგ სხეული, ბოლოს კი, ფაფუ - გაქრა. „წარსულში გაფრინდა“, - გაიფიქრა ირაკლიმ.

„ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“! ეს ჩიტი ხიდან ოცი წლით გაახალგაზრდავებულ ხეზე გადაფრინდა! მთავარი მაინც იყო ის, რომ ჩიტი ვერასოდეს გაიგებდა ამას. ის ვერ შეამჩნევდა თერთმეტსართულიან სახლზე უეცრად გაჩენილ ტრანსპარანტს წარწერით; „დიდება სკკპ!“ ვერც უკან გადმოფრინდებოდა ალბათ და თავის წინაპრებთან დარჩებოდა სამუდამოდ, თუ არა შემთხვევა, მაგრამ ჰქონდა კი ამას ჩიტისთვის აზრი? ირაკლი ჩიქოვანმა ეს არ იცოდა, მაგრამ იცოდა: მის ამ გადასვლას წარსულში დიდი აზრი ჰქონდა წინასწარ განუჭვრეტელი შედეგებით. ის მზად იყო ამისთვის. როგორც ზღვათმსვლელს არ ძალუძს შეჩერდეს, სიფრთხილის გამო და აფრა დაუშვას, ირაკლი ჩიქოვანს აღარ შეეძლო გაჩერება. გემი გაცურდა პორტისკენ სახელწოდებით „წარსული“. ნაცნობი სურათის დანახვისთანავე მიხვდა: დრო შეცვლილი იყო. დაეშვა დაბლა, ტროტუარზე. ამჯერად ჯიბეში მას ფული არ ედო. მას ჰქონდა განძი, მაგრამ არ ჰქონდა ფული, ამიტომ ფეხით პირდაპირ მეგობრის სახლისკენ გასწია, რომელიც საბურთალოზე, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ცხოვრობდა. პირველად იფიქრა, თმები გაემუქებინა, სათვალე გაეკეთებინა და ახალგაზრდად წარსდგენოდა თავის მეგობარს, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა. ის ადიოდა კიბეებზე, თავის მეგობართან, რომლის ბაბუასაც მთელი საქართველო იცნობდა, რომელიც ალბათ ახლა სახლში იყო... ზარი დარეკა. კარი იპოლიტე ხვიჩიამ გააღო, ყველასათვის საყვარელმა მსახიობმა. ირაკლი ჩიქოვანი დარეტიანებული უყურებდა. მის წინაშე იდგა კაცი, რომელსაც ფილმებით ყველა იცნობს და ახლა საბურთალოს პანთეონში განისვენებს...

- ავთო თუა სახლში? - ძლივს ამოღერდა სტუმარმა.
- რა იყო, კინოში სხვანაირი ვარ? - გაიღიმა ბატონმა იპოლიტემ.
- არა, ბატონო იპოლიტე, ფეხით ამოვედი და ცოტა გული ამიჩქარდა!
- ნაკლები უნდა სვათ! ისე რა საერთო გაქვს ამ ღლაპთან?
- მხატვარი ვარ!

- რა იყო, ხომ არ რიცხავენ აკადემიიდან? - ირაკლის გაეცინა, გაახსენდა ავთოს მარადიული პრობლემა.

- ავთო, კაცია შენთან, მხატვარი! - გასძახა ბატონმა იპოლიტემ და ოთახის სიღრმეში შევიდა... ირაკლის პუდსი უფრო აუჩქარდა, საფეთქლები ეტკინა... ავთო გამოვიდა. გადაჭრილი ჯინსები ეცვა და მაისური ზოლებით, მეზღვარებს რომ აცვიათ ისეთი, ოღონდ უსახელო. მუსიკის ხმა მოდიოდა: „ო, ჰანი დონო“, - „ბითლზებს“ უსმენდა ავთო. სტუმარს ამოხედა და სიტყვის თქმა დააპირა, რომელიც იქვე გადაიფიქრა. ახალი სიტყვის ტალღამაც უთქმელად ჩაიარა, ეს ყველაფერი სახეზე დაეხატა კარდიოგრამასავით. ავთო ჩუმად იყო. თვალებით პასუხს ითხოვდა კითხვაზე: „ვინ ბრძანდებით?“.

- ჰო, ავთო, მე ვარ, ირაკლი! - ხმადაბლა უთხრა მოგზაურმა.

- რა დაგემართა, ირაკლი? ავად ხარ?

- არა, დავბერდი, ესეც ავადმყოფობაა... - ავთომ თვალები მოისრისა... ისევე შეხედა.

- არ ხარ შენ... ირაკლი ჩიქოვანი.

- ეგეც მართალია. ის ირაკლი არ ვარ, მაგრამ... სახლში არ მიშვებ? - ავთო გაიწია, გზა დაუთმო, ახლა უკნიდან მიაღწენა მზერა მისი ოთახისკენ მიმავალ სტუმარს, რომელსაც ნამდვილად იცნობდა, მაგრამ არასოდეს ენახა ასეთი. „გრიმი ხომ არ აქვს?“ - გაიფიქრა უეცრად. ირაკლიმ მეხსიერებაში აღიღვინა ეს ბინა, შემდეგ მოგვიანებით რომ გადაკეთდა... ბატონი იპოლიტეს ოთახიდან ომახიანი ხმით მოსაუბრე ოხუნჯობდა... ერთად იცინოდნენ...

- ვინ არის ავთო თქვენთან? - კარებზე თვალებით მიუთითა ჩიქოვანმა.

- პიპინია, ხომ იცით? ვასილ ჩხაიძე... აი, ის არის ჩვენთან...

ირაკლის გაახსენდა ერთხელ იქ, ზუსტად იგივე შეკითხვა დასვა და იგივე პასუხი მიიღო. ბატონი ვასილიც ნახა, მაგრამ წელი, რომელი წელი იყო, ზუსტად არ ახსოვს... ახლა სამოცდაცამეცია, ჯერ „შერეკილები“ გადაღებული არაა, პიპინიას ყველა იცნობს „არაჩვეულებრივი გამოფენიდან“... არა, ირაკლი ამ წელს ავთოსთან ვერ მოვიდოდა, ზღვაზე იყო.

- შენ ზღვაზე არ წახვედი? - მიუხვდა თითქოსო - ჰკითხა ავთომ...

- დასალევი გაქვს რამე?

- ბაბუაჩემის ამბავი ხომ იცი, მიწყრება.

- უთხარი, ლექტორია ჩემი-თქო, - მტკიცედ თქვა ირაკლიმ.

ავთო უსიტყვოდ დაემორჩილა. ეტყობოდა, გონს ვერ მოსულიყო.

- გაჯაგრებთ, ბატონო, თქვენი სტუდენტი? - ბატონი იპოლიტე კონიაკით ხელში იდგა.

- არა, ბატონო იპოლიტე, ნიჭიერია!

- ცელქობს? - ავთოს გადახედა. კონიაკი ჭიქაში დაასხა და ლექტორს მიაწოდა. თან კითხვა გააყოლა თვალებით, ხომ არაფერი დაუშავებიაო...

- არამც და არამც! პრაქტიკები აქვთ ახალციხეში და ამის თაობაზე მოვაკითხე - ნუთუ ვერ მცნობს? - გაიფიქრა ჩიქოვანმა. - ვერ მიცნობს. - ეს ისე დაუჯერებელია. ავთო მიცნობს. ამ დროისათვის ბევრჯერ

შეგხვედრილვარ, ერთხელ ბოტანიკურ ბაღშიც დაგვიჭირეს, თუ ეს მერე იყო“.

- კარგი, მე დაგტოვებთ!
- ერთი წუთით, ბატონო იპოლიტე, მე მინდა, თქვენ დაგლოცოთ.
- არაა საჭირო, ბატონო!
- მინდა გითხრათ, ბატონო იპოლიტე, - თქვენ ისეთი ადამიანი ბრძანდებით, როცა აღარ იქნებით, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, თქვენს სახელს დაარქმევენ ამ ქუჩას!
- იპოლიტე ხვინიას ცრემლები მოერია... ირაკლიმ იგრძნო, რომ ამ წუთას მისი ნათქვამი ცხადად მოეფინა მსახიობის გონებას, მან დაინახა ეს...
- გმადლობთ! - ოდნავ დაუკრა თავი მასპინძელმა და სტუმრებთან დაბრუნდა.
- რას აატირე ეს კაცი?
- რა, არ ეუბნებიან ასეთ სადღეგრძელოებს? არ აქებენ?
- აქებენ კი არა, ცაში აჰყავთ, მაგრამ არ უტირია, - დაფიქრებით თქვა ავთომ.
- რაღა ამ ქუჩის გადარქმევაზე ატირდა?
- იმიტომ, რომ მე სიმ ართლე ვთქვი! - პაუზა გამეფდა. ავთომ დალია. ირაკლიმ დაასხა და მანაც დალია.
- ავთო, მე მომავლიდან მოვედი... - ავთომ გიჟი შეიცნო სტუმარში.
- არაფერი მითხრა. - არ გატყუებ! მე მომავლიდან მოვედი, თუ ლგინდა, დაგიმტკიცებ ახლავე...
- ცუდად ვართ, - თქვა ავთომ და კიდევ დალია.
- კარგი, დაწყნარდი. მერე ვილაპარაკოთ... ირაკლი მაგნიტოფონთან მივიდა, ცოტა ხმას აუწია: - როგორი ტელევიზორი გაქვს?
- ჩვეულებრივი, როგორი უნდა მქონდეს?
- არა, ისე გკითხე, შავთეთრია თუ... პასუხის მოლოდინში შეყვონდა.
- ფერადი ვისა აქვს, გაგიჟდი? ხანდახან არის ფერადი გადაცემები...
- მაჩვენე ერთი, თუ არ გეზარება...
- რა დროს ეგ არის... რომელი მომავლიდან ვარო, როგორ შეაყრობდი?
- ბოლო სიტყვა დამაჯერებლად არ უღერდა... რადგან ავთო გრძნობდა, რაღაც გაუგებრობაში იყო მოხვედრილი... ეს კაცი ირაკლი იყო, მაგრამ სხვანაირი, შესუქებული და ჭადარაშეპარული.
- რა გითხრა: ისეთი რამ გითხრა რაც იცი - არ გაგაკვირვებს, რაც არ იცი, ის რომ გიამბო - არ დამიჯერებ!
- მითხარი მაინც, იქნებ... დაგიჯერო... მოიცა, საჭმელს გამოვიტან ცოტას... - ირაკლი მიხვდა, ავთო ინტერესში ჩავარდა. სიგარეტი ამოიღო „“, ბენზინის სანთებელათი მოუკიდა, რომელიც მაგნიტოფონთან იდგო, მაგნიტოფონს შეხედა, წარწერა ჰქონდა „იაუზა“. გაიღიმა. წარსული ცოცხლობდა თავისი სისხლსავსე ცხოვრებით, ის არსად წასულიყო... ბატონი ნუგზარი მართალი გამოდგა. დრო პარალელური აღმოჩნდა. ეს ისეთივე ცხადი იყო ირაკლი ჩიქოვანისათვის, როგორც ეს მაგნიტოფონი, რომელიც აგერ ოცი წელია არ უნახავს. ჯონ ლენონი მღეროდა „როკ-ენ-

როლ მიუზიკ“... ავთო შემოვიდა. კარტოფილი, ხორცის ნაჭრები და სალათა შემოიტანა...

- დილიდან ვთვრებით?

- რა, მოხდა მერე... გარეთ არ გაისვლება, დღეს სიცხრე იქნება.

- არ იქნება.

- რა იცი?

- გუშინ გრილოდა და ის ვიცი.

- გუშინ სად იყავი?

- გუშინ „იქ“ ვიყავი, ჩვენთან, შემომხნევია „იქაც“ და „აქაც“ ყოველთვის ერთი ამინდია რატომღაც. ასე რომ, აქ დადგენილი ამინდი ოცის წლის მერე იწინასწარმეტყველე და პირველი სინოპტიკოსი იქნები!

- მოიცა, მოიცა! შენ არ ხუმრობ მგონი, თუ ხუმრობ, მაინც კაია, მიყვარეს ეგ თემა... - ავთო კარგად მოკალათდა.

- არ ვხუმრობ, ავთო, არა! მოდი ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს ოცი წლის მერე... შენთვის და ოცი წლის წინ ჩემთვის, - გაეცინა: - ვერაფერი გაიგე, არა?

- არა, გაეიგე... არ მჯერა!

- ეს კაცი, ახლა რომ მღერის, როდის მოკვდება იცი?

- ეგ არ მოკვდება...

- 1980 წელს მოკლავენ თავის სადარბაზოში ნიუ-იორკში...

- რა ვიცი, არ მჯერა.

ავთომ სიგარეტს გაადევნა თვალი.

- რას ეწევი?

- „ “

- სადაურია?

- ამერიკული.

- ვა, ამერიკულ სიგარეტს ეწევი? მომიკიდე! - ირაკლიმ ბენზინის სანთებელათი მოუკიდა. ავთომ ცისფერი რგოლი გამოუშვა პირიდან.

- რბილია...

- ასეთებია ახლა მოდაში!

- რა, „მარლბორო“ არ არის? - ირაკლის გაეცინა:

- არის, მაგრამ ცოტა ძვირია...

- რა ღირს?

- ათას მანეთამდე, - ანგარიშმიუცემლად მიუგო ჩიქოვანმა.

- ახლა კი ააფრინე! - ნერვიულად უთხრა ავთომ... - ათასი მანეთი კინოკამერა ღირს, უფრო იაფიც...

- კურსი დაეცა, - მშვიდად მიუგო ჩიქოვანმა. - ეჰ, ჩემო ავთო, შენ იმდენი რამ გაგიკვირდება... მოდი, ჯობია საქმეზე გადავიდეთ...

- მოიცა, მოიცა, დავლიოთ და ვილაპარაკოთ, რა გვეჩქარება... შენ ერთი ის მითხარი, გიტარაზე ხომ უკრავ ისევ.

- ჩემთვის ვუკრავ, ხომ იცი.

- აბა, ისეთი სიმღერა დამიკარი ამათი, - მაგნიტოფონისკენ გაიწვდინა თითი, - მე რომ არ მომისმენია...

- ირაკლის აზრი მოეწონა, სავარჯელში გადაიწია, გიტარა მოიმარჯვა და ლენონის ბოლო დისკიდან წაიმღერა „გუმენ“.

- კარგია, ფანტასტიურია, შენ დაწერე, არა? - ეშმაკურად მოწკურა თვალები...

- თუ გინდა, ეგრე იფიქრე, ჩემთვის უკეთესია! - დროა - გაიფიქრა ირაკლიმ. - თორემ მაგრად დათვრება.

- ტელევიზორი უნდა შემოვიტანოთ, ავთო, შენს ოთახში.

- შემოვიტანოთ, მაგრამ ახლა გადაცემები არ არის ჯერ...

- გადაცემები მე მაქვს.

ავთო დაიდალა ამდენი რებუსის მოსმენით... ტელევიზორი მძიმე იყო.

- დეციმეტრულია, არა? - იკითხა ჩიქოვანმა.

- არ ვიცი, - დაბნევით თქვა ავთომ - არ ვიცი, საერთოდ რას ნიშნავს „დეციმეტრული“.

- აი, აქ ხედავ? „დ.მ.“ რომ წერია, ეს ნიშნავს დეციმეტრულ არხს... მოკლედ, მერე გაიგებ... როდისმე. ჩემი ჩანთა გამოიტანე?

- ჰო, აქ არის. - ირაკლიმ ჩიქოვანმა შავი ყუთი ამოიღო ჩანთიდან, ტელევიზორის თავზე დადო.

- რა არის ეს? მაგნიტოფონს ჰგავს ცოტათი. მაგნიტოფონია?

- ჰო, ოღონდ ვიდუო!

ავთომ არაფერი თქვა... ის უბრალოდ სიგარეტს სიგარეტზე ექაჩებოდა და ელოდა რა მოხდებოდა. ჩიქოვანმა შტეკერი ტელევიზორის დეციმეტრულ ბლოკში შეაერთა და კასეტები ამოიღო! ცოტა ხანში გაოცებული ავთოს თვალწინ ტელეეკრანზე შიშველი ქალები გამოჩნდნენ. ეს უკვე მისთვის მეტისმეტი იყო. იგი გაგიჟდა... იცინოდა... ხტოდა, ირაკლის ეხეოდა. რა ქვია ამას? - გაიძახოდა.

- ვიდუო, ვიდუომაგნიტოფონი!

- ვიდუომაგნიტოფონს გაუმარჯოს!

- გაუმარჯოს, - ირაკლიმ ჭიქა ზაღპით შესვა...

- გუყუროთ რამეს, რა! - შეევედრა ავთო: - ვა, დაგლიჯა!

- გუყუროთ, ავთო, მაგრამ რაც მთავარია, უნდა გაეყიდოთ!

- მერე აღარ გვექნება?

- კიდევ ჩამოვიტან, ახლა სასწრაფოდ უნდა გაეყიდოთ...

- რამდენს აფასებ?

- რა ეღირება შენი აზრით?

- რა ვიცი... მანქანის ფასი ალბათ... გაევიყიდები! სახლის ფასი? არ წაიღო, თუ შეიძლება... გუყუროთ რამეს!

- ქართული ფილმი გირჩევნია თუ ამერიკული?

- ამერიკული. „სუპერ სტარი“ გაქვს?

- „სუპერ სტარი“, ქრისტეზე ოპერას გულისხმობ? ეგ აღარავის აქვს. ისე შემიძლია, ვიშოვო. ავთოს ყელის ძარღვები დაეჭიმა.

- რას ამბობ, „სუპერ სტარზე“ მთელი ქვეყანა გიჟდება. ეგ არ ჩამოიტანე? ეგ რომ გქონდეს, იცი როგორ გაყიდი?!

- კინო მაქვს ქრისტეზე... სამ საათიანი. გინდა? - ჩიქოვანი ნელ-ნელა იხსენებდა რა მოსწონდათ ამ დროში... ფრანკო ძეფირელის ფილმია... ბაბუაშენსაც ვაჩვენოთ...

- ძალიან კარგია... ჩართე და მოვიყვან...

ბატონი იპოლიტე და ბატონი ვასილი წინა რიგში დასხდნენ... ირაკლი და ავთო უკან.

- თუ შეიძლება ფარდა ჩამოაფარეთ, - თქვა მოგზაურმა. - თქვენ ნახავთ ამერიკულ მხატვრულ ფილმს იესო ქრისტეზე... ეს არის ვიდეოს პირველი ჩვენება საქართველოს ისტორიაში, შეიძლება მსოფლიოშიც, ზუსტად არ ვიცი. რეჟისორი ფრანკო ძეფირელი!

- ტელეფონი გამოთიშეთ, - თქვა ბატონმა იპოლიტემ. ფილმი მიდიოდა დიდხანს. ეკრანისათვის თვალი არავის მოუცილებია, მხოლოდ ჩიქოვანი გადიოდა ხშირ-ხშირად მოსაწვევად. მას ეს ფილმი ნანახი ჰქონდა.

\* \* \*

ვიდეომაგნიტოფონმა ფანტასტიკური შთაბეჭდილება მოახდინა.

- ამას არსად გაგატან, - ჯიუტად უთხრა ავთომ.

- შენ არ გაქვს მაგის ფული და რომც გქონდეს, არ მოგყიდი... გამაყიდინე და შენთვისაც მოვიტან.

- ამის ფული არავის აქვს, - ნაწყენი ხმით უთხრა ავთომ.

- ბრილიანტი? - მოულოდნელად ჰკითხა ოცი წლით უფროსმა.

- ბრილიანტი? ბრილიანტი თითქმის ყველა ოჯახში აქვთ, ეს იოლია.

- მე მინდა ერთი დიდი ბრილიანტი და მეტი არაფერი.

- დიდი როგორია?

- კარატნახევრიანი, ორ კარატისანი ჯობია, „პრიმა“, - სუფთა ესე იგი.

- გავიკითხავ... მანამდე, - მოიწიო - ხელით ანიშნა და ყურში ჩასჩურჩულა: - ქალებს არ ვაჩვენოთ? - ჩიქოვანს მოეწონა ეს აზრი... მაგრამ უდროობა მოიმიზეზა.

- მოდი, შემდეგისთვის გადავდოთ.

- არა, არავითან შემთხვევაში, მე ახლა იმათ დაეურეკავ და იქ წავივლოთ...

- მოიცა, ავთო. ყველა ტელევიზორზე არ მიდის. დეციმეტრული უნდა ჰქონდეს.

- ეგ დეციმეტრული თითქმის ყველა ტელევიზორს აქვს. რისთვის იყო, არ ვიცოდით. თუ არა...

- ირაკლი ჩიქოვანი აივანზე იდგა საბურთალოს ქუჩის მხრიდან, გადაცქეროდა თბილისს: - აი, აქ, გიორგი სააკაძის ძეგლი უნდა იდგას.

- ვისი ძეგლი?

- სააკაძის... ვინ იქნება იქ?

- ჩვენები სულ იკრიბებიან, შენ არ იქნები, ზღვაზე ხარ.

- სხვებიც იქნებიან ზღვაზე. ჯერ რადიაცია არაა აწეული.

- რადიაცია რამ გაგახსენა?

- ჩერნობილი აფეთქდა და რადიაციის ფონმა აიწია ზღვაზე... ხალხმა მოიკლო დასასვენებელ ადგილებში.

- მომისმინე, - ავთომ გვერდზე გაიყვანა, თითქოს ვიღაცას უმაღავდა ირაკლის: - ცუდი ამბები მოხდა?

- საკმაოდ, შეიძლება ითქვას, ძალიან ცუდი. შენ რომ გაიგო, ან ამ ხალხმა რომ გაიგოს, რა მოხდა, ხასიათი წაუხდება, მაგრამ მე, როგორც ხედავ, შევეჩვიე, ყველა შეეჩვია.

- მთავარი მაინც რა მოხდა?

- საბჭოთა კავშირი დაიშალა!

ავთოს თმები ყალყზე დაუდგა.

- არ გადამრიო, - ჩურჩულით ამბობდა: - მართლა?!

- მართლა!

- დაარტყი ხელი! ეგ რა მითხარი, რა გამახარე! ეგ რა მითხარი, დაიშალა?! და-ი-შა-ლა!

- კაი, ნუ გიხარია, არც ეგრეა საქმე.

- რაო, შენ მეუბნები მაგას? სსრკ - დაიშალა და მაგას მეუბნები? რომელ წელს?

- არ გინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. წამოგცდება სადმე და დაგიჭერენ!

- მერე რომ დაიშლება, ხომ გამომიშვებენ? დამიჭირონ!

- ახლა, რომ დაგიჭირონ, ჩემო ავთო, 15წელი მოგიწევს ლოდინი, სანამ გაგიშვებენ, ამიტომ გირჩევ ჩუმად იყო, მე მაინც წავალ „იქ“ და შენ ტყუილუბრალოდ დაიტანჯები... - ავთო ჩაფიქრდა.

- შენ ხომ არსად გეჩქარება? ამას ერთ დღეში მაინც ვერ ვიყიდი.

- ვერ გაყიდი, გავერიოთ ხალხში. ჰო! მერე წადი, ეს აქ ფურორს მოახდენს...

ავთომ სადღაც დარეკა... რაღაცაზე შეთანხმდნენ.

- რვა საათზე გველოდებიან კარგ საზამთროზე, შამპანურებს ჩვენ ავიტანთ.

- მე ფული არ მაქვს, - ჯიბეები მექანიკურად მოიქექა ჩიქოვანმა - ჩვენთან სხვა ფულია, თუმცა ეს რამდენია? ათი ცალი თუმნიანი აღმოაჩნდა გულის ჯიბეში, ეტყობა მოსკოვიდან შემორჩენილი „ხურდა“.

- რა ღირს შამპანური?

- შუშხუნა მანეთნახევარია, შამპანური სამმანეთნახევარი, არაყი სამი და სამოცდაორი კაპიკი.

- აუ, რა ფასებია, ბიჭო! აჰა, მაშინ შენ ასი მანეთი და შენ იცი, გაგვიძებს წინ!

- ასი მანეთი?! სულ ჩვენი? გვიგრიალია! წავიდეთ ბაზარში, ავიღოთ რაღაცეები და მივიდეთ...

- კარგი გოგონებია?...

- შენთან ბავშვები არიან. მართლა მე „იქ“ როგორ გამოვიყურები? - მღელვარება შეეპარა ხმაში ავთოს!

- ისევე ასეთი ხარ... ცოტა ჭაღარა შეგეპარა...

- სხვა?

- სხვა, გყავს შვილები, ერთი შენი სიმაღლეა...

- კარგი, კარგი, აღარ გინდა არაფრის თქმა... წავიდეთ, ასე ჯობია. ასე მდიდარი კარგი ხანია არ ვყოფილვარ.

საბურთალოს ბაზარი უცებ მოიარეს, არაფერზე უვაჭრიათ. ვაჭრობა არც ერთს უყვარდა, არც მეორეს, აიღეს ხილი, ბადრიჯანი, კიტრი და პამიდორი, კარგი ყველი, მოკლე, ზაფხულის შესაფერისი სანოვაგე. არც

გასტრონომში დაყოვნებულან, ხელი შამპანურებით დაიმშვენეს და ტაქსიც გაჩერდა. ტაქსმა დიდუბისკენ აიღო გეზი.

- იცოდე, ჩემი ნამდვილი ვინაობა შენს გარდა არავინ უნდა გაიგოს...

- აბა, რა ვთქვათ?

- ვთქვათ მე ვარ... ირაკლი გელოვანი. უფრო ახლო იქნები სინამდვილესთან. ირაკლის დამიძახებ, არ შეგეშლება სიმთვრალეში, გვარს მაინცდამაინც ნუ ახსენებ, მაინც ვერ მიცნობენ ამდენი წლის შემდეგ, არავინ იეჭვიანებს.

- გასაგებია, ჩემო ირაკლი. როგორც შენ გინდა, - ჩანთა არ დაგრჩეს რაც მთავარია!

- არ დამრჩება, ცხოვრებამ იმდენი რამე მასწავლა.

- ფული გაქვს იქ?

- ახლა ვმოულობ, მაგისტოვის ვარ აქ. არა, ისე შენც მომენატრე, საერთოდ ყველა, მაგრამ დიდხანს გაჩერება აქაც მიჭირს და იქაც ვეღარ ვჩერდები, რომ იცოდე.

- აბა, რა უნდა ქნა?

- ფული უნდა ვიშოვო და აქ სტუმრობას თავი დავანებო, რაც იქნება, იქნება, „იქ“ გნახავ და იქ ვიქეიფოთ!

- როდის გავა ეს დრო, მომბეზრდა ამ აკრძალვებით ცხოვრება.

- ყველაფერს თავისი ადგილი და დრო აქვს, ხომ იცი... ჩემს გარდა, - უეცრად გაუელვა და ჩაეცინა.

ამასობაში ტაქსი დიდუბეში კინო „საქართველოსთან“ შეჩერდა.

- ჩამოვედით... ეს ყველაფერი ჩანთაში ჩააწყე.

- სწორია, უფრო იოლად ავიტანო და ჩანთით ასვლაც გამართლებული იქნება იმ ხალხისთვის. მთელი ღამით უნდა დავრჩეთ?

- ჰო, დავრჩეთ, ხელს არავინ შეგვიშლის. თან ეგ ჯადოსნური ყუთი გააგიჟებს ყველას. აუ, რა არის, ბიჭო!

ჩიქოვანმა ღიმილით გადახედა თავის ძველ მეგობარს.

- ნეტა მე მომცა შენი გაკვირვების და სიხარულის უნარი! ასაკის ბრალია - გაიფიქრა თავისი სიტყვების პასუხად...

- ასაკის კი არა, მაგ ვიდეოს ბრალია! - გამოუცნო ფიქრები ავთომ. - ნახე, რამდენი მოხუცი ჩემსავით აკუნტრუშდეს ამის მნახველი!

უკვე კიბეებზე აღიოდნენ, მეორე სართული იყო. ასე რომ არც ისე დიდი ჯაფა დაადგათ. კარები ახალგაზრდა გოგონამ გააღო.

- მობრძანდით, მობრძანდით. სადა ხარ აქამდე, ასე უნდა? - შინაურულად ჩაულაპარაკა ავთოს. ირაკლი ჩიქოვანმა იცნო ხათუნა, ნინოსა და მაიას დაქალი. დიდი ხანია აღარ ენახა... საერთოდ არ შეცვლილა, თუმცა რა შეცვლილა...

- ირაკლი გელოვანი! - კარებში შესვლისთანავე ხმამაღლა გამოაცხადა ავთომ.

- არაა საჭირო ეს ოფიციალურობა, - ჩასჩურჩულა ჩიქოვანმა...

- ოო, - შამპანური... - გაიხარეს ახალგაზრდებმა. სამი გოგონა და ორი ახალგაზრდა კაცი შეკრებილიყვნენ. ჩიქოვანი ჯერ ვერავის ამჩნევდა, ასე სჩვეოდა. სუფრაზე თვალის ზერედე მოვლებით ვერ აფიქსირებდა ნაცნობ-უცნობს... დასხდნენ... რამდენიმე ხანში ჩიქოვანი „მოსულიერდა“ და



„მოშინაურდა“. ხატაპურიც გასინჯა. ამ დროს ზარი დაირეკა... მცირე ფუსფუსის შემდეგ ოთახში მაღალი, უცნობი გარეგნობის გოგონა შემოვიდა.

- გაიცანით, ნინო!

ჩიქოვანმა იცნო ნინო. თავი მდაბლად დაუკრა. „თუ მიცნობს ნეტა“, ერთი ახალგაზრდაც ეცნო საიდანღაც, მაგრამ ვერ გაიხსენა, გრძელი თმები ჰქონდა და ბოხი ხმა, ანეკდოტს ყვებოდა... ყველანი იცინოდნენ...

- შემოსწრებულების სადღეგრძელო! - წამოდა ერთ-ერთი ყმაწვილი, სახელად ზურა... - გაგიმარჯოთ, ბატონო ირაკლი, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა... როცა შევხვდებით, გამარჯობა გვეთქვას ერთმანეთისათვის.

- იცოცხლეთ, გმადლობთ - ჩიქოვანი ყველას თავაზიანად ეპყრობოდა. ახალგაზრდებს ეტყობოდათ, რომ მოსწონდათ უფროსი თაობის ადამიანის ასეთი მოქცევა...

- ვინ არის? - ჩასჩურჩულა ნინომ ხათუნას...

- არ ვიცი, პირველად ვხედავ. სად გამოჩნრიკა ხეიჩიამ, აზრზე არ ვარ. მაგან ხო ასე იცის, ვის არ იცნობს.

- არა და მაგარი ვინმეა, ძაან მომწონს, - ნინო გაწითლდა.

- ეს სიტყვები ჩიქოვანს არ გაუგონია, მაგრამ ნინოს გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ მასზე საუბრობდნენ...

- არ ვიმდეროთ? - წამოიძახეს აქეთიქედან, ნუგზარს მიეცით გიტარა!

- რა დროს სიმღერაა, ჯერ არ დამთვრალვართ - იხუმრა გრძელთმიანმა. - ეტყობა პოპულარულია ამათთან, - გაიფიქრა ჩიქოვანმა... ნუგზარმა მაინც აიღო გიტარა და დაბალი ხმით წამოიწყო „წვეთები ერთურთს ენაცვლებიან, მათ შემოდგომა მოჰყავთ მიწაზე“. ჩიქოვანმა იცნო ეს ყმაწვილი. ახლა, როცა პირველი ფრაზა წაიმღერა, ირაკლისთვის ცხადია გახდა: ეს აწოწილი, გრძელთმიანი ვიღაცას რომ აგონებდა, ნუგზარ ერგემლიძე გახლდათ, ხმამაღლა გაეცინა... ყველამ გააკვირვებით შეხედა, ირაკლისგან არ მოელოდნენ ასეთ საქციელს.

- უკაცრავად, - მოიბოდიშა სტუმარმა, - თქვენ იმდერეთ! ძალიან კარგია, მე კი ნინოს გამოვიწვევ საცეკვაოდ.

- შეიძლება?

- მე სულ ასე ვარ. ვმდერივარ და სხვები ცეკვავენ, ასეთი ბუდი მქონია... გაეცინა... მოდი, ზურა მანაგაძეს ვთხოვოთ...

- შუქი ჩააქრეთ, რა...

ჩიქოვანი ნინოს მიუახლოვდა... მათ შორის ოცი წელი იდგა, მაგრამ ნინო ამას ვერ ამჩნევდა. ის საერთოდ ვერ მაღავედა თავის მღელვარებას... ეს სიმღერაც ზღვასთან მდგარ გოგონაზე საოცარ მისტიკურ განწყობილებას ქმნიდა.

- მე თქვენ მეცნობით, - უთხრა ნინომ, როდესაც ირაკლის გამოხედვა დაიჭირა...

- მე თქვენ მიყვარხართ! - უპასუხა ჩიქოვანმა ყოველგვარი რევერანსების გარეშე, მღელვარე, მაგრამ მტკიცე ხმით. ნინო აიღეწა. პარტნიორს გაეცალა და თავისი ადგილი დაიკავა. სიმღერა დასრულდა...

- ძალიან კარგია, ნუგზარ, - შეაქო ჩიქოვანმა. ახალგაზრდას ესიამოვნა.

- მართლა მოგეწონა? - გადაულაპარაკა ავთომ...

- ეს სახელს გაითქვამს. - ნუგზარის გასაგონად თქვა ჩიქოვანმა.

- საერთოდ ჩვენი ესტრადა ჩავარდნილია, წამოიწყო ხათუნამ, აი, ევროპაში კი...

- ჰო, ჩვენთან ისე ვერ არის მთლად ეგ საქმე, თუმცა ძალიან კარგი მსახიობები გვყავს, ნანი, ბუბა, რობერტი, „ორერა“...

- ისინიც კარგები არიან... „ივერია“! მაგრამ რაღაც ახალია საჭირო! აი, „ოროველა“ მოგისმენიათ? ეს ჩიქვანს ჰკითხეს...

- კი როგორ არა, ძერჟინსკის კლუბში არიან... „ჩიკაგო“ არა? ზურა კობეშავიძეს პირადად ვიცნობ.

ავთომ გააკვირვებით შეათვალიერა მომავლიდან ჩამოსული მეგობარი.

- მე მაგალითად, - საუბარი გააგრძელა ირაკლი ჩიქოვანმა, - შემიძლია რაღაც ცვლილებები შევიტანო ქართულ ხელოვნებაში... უეცრად ყველანი დადუმდნენ... შკალაზე ყურადღების მაჩვენებელმა სიანი უჩვენა.

- თქვენ ხელოვანი ხართ? - მორიდებით ჰკითხა ზურამ, იგივე თამადამ...

- არა, მე უფრო ბიზნესმენი ვარ, მაგრამ ხომ გაგიგიათ შოუ-ბიზნესი... დამსწრენი, შეიძლება ითქვას, ნთქავდნენ თითოეულ მის სიტყვას... - მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ, მე და ავთოს, თქვენთვის სიურპრიზი გვაქვს!

- ოო, საზამთროში ჩასხმული შამპანურის დროს მოსულა, იხუმრა ვიღაცამ... - ჩიქოვანი შეტორტმანდა, რეპლიკამ ხასიათი წაუხდინა...

- ჯერ არ გინდა. ჯერ დავლიოთ, ვიცეკვოთ, მერე... დილაძე აქ არ ვართ?

- მართალი ხარ. მე ნინოს მივხედავ თუ შეიძლება... ჩიქოვანს სიმთვრალე შეპარვოდა.

- ნინო, შეიძლება თქვენთან ჩამოვჯდე?

- როგორც გენებოთ! - ნინოს არ უნდოდა, მაგრამ წყენის ნოტები მაინც გაისმა მის ხმაში...

- ნინო, მოდი, მონატრების სადღეგრძელო დავლიოთ. ირაკლიმ ახალგაზრდებს მოავლო თვალი, ყველანი ცეკვავენ, შუქი ჩაექროთ და ისე ცეკვავენ. მხოლოდ ავთო არ ცეკვავდა... ის ირაკლის პირდაპირ იჯდა, ეწეოდა და თვალს არ აცილებდა მეგობარს, რომელიც ასე შეცვლილი და გამოუცნობი ესტუმრა მას...

- ნინო, ნატვრა, მონატრება რუსებს არა აქვთ, არავის არა აქვს ეს სიტყვა...

ნინო გაოცდა... რაღაც ენიშნა...

- რატომ? Я скучаю...

- ეგ არის „მომეწინა“, უშენოდო ნინო, დამიჯერე, „მომენატრე“ და მითუმეტეს მო-ნა-ტრება გესმის? არავის აქვს!

- საოცარია, თქვენ ირაკლი ჩიქოვანს მაგონებთ, ჩემს მეგობარს.

- ო! ირაკლი გელოვანი გახლავართ და ამით გაგონებთ, ალბათ.

- არა, ირაკლი ბატონო...

- სად არის თუ იცით?

- ზღვაზეა ახლა, ბათუმში...

- ჰო, კარგია ახლა ბათუმში... შენ რატომ არ წახვედი, არ გითხრა?

- მითხრა, მაგრამ არაფერს მეუბნება გადაჭრით, ცოტა სხვანაირია, ხასიათით არ გგავთ თქვენ, ის მორიდებულია, მაპატიეთ, თუ ცუდად გამომივიდა.

- რას ბრძანებთ... ნინო, შეიძლება გააკოცოთ იმის მაგივრად? რა გვარია? ჩიქოვანის მაგივრად.

- თქვენ ვიღაცაში გეშლებით. ნინო წამოდგა...

- მე კი არა, შენ გეშლები - ირაკლიმ მტკიცედ მიიზიდა თავისკენ ნინო, გოგონამ ხმა ვერ გაიღო...

- შემომხედე! - ჩიქოვანი თვალებში ჩაჰყურებდა ნინოს.

- მე ვარ ირაკლი ჩიქოვანი! არავის უთხრა, მაინც არ დაგიჯერებენ.

ნინომ შეჰკივლა... ყველა აქეთ მოტრიალდა... შუქი აანთეს.

- რა ხდება, რა ამბავია, შეგვარგეთ რა... უკმაყოფილო შეძახილები გაისმა...

- არაფერია. ერთ ძველ ნაცნობზე ცუდი ამბავი შევატყობინე და მეტი არაფერი. დამშვიდდით!

თამადა წამოდგა, ჩანგალი ბოთლს შემოჰკრა და დაიძახა:

- აი, ასე იცის ევროპულმა ცეკვებმა ქართულ სუფრაზე! აბა შეწყვიტეთ, „ტანციმანცი“! სადღეგრძელო მაქვს.

ჩიქოვანს ასეთი გადასვლა ძალიან აწყობდა, ამიტომაც თამადას აუბა მხარი... ნინო გაოგნებული შეჰყურებდა... ზურამ აეთო აირჩია მოალავერდელ...

- მე მინდა, საქართველოს სადღეგრძელო შემოგზთავაზოთ! გაუმარჯოს ჩვენს ხელოვნებას, კულტურას, სპორტს, ჩვენს მიღწევებს გაუმარჯოს!

- რავა ცკ-ს მდივანივით ლაპარაკობს, - ჩაიქირქილა ვიღაცამ.

- რა შუაშია ეგ! - იწყინა ზურამ, - რაც არის, ის უთქვი...

- თქვენ კიდევ ნუ იცით ასე. დიდი ვაჟკაცობა არაა ჩვენთან ისაუბრო მაგ თემაზე, - ჩაერთო ხათუნა, - თუ ბიჭები ხართ, - რატომღაც ყველას მიმართა, - გამოდით და ხმამაღლა თქვით ყველაფერი...

- ჰოდა, ვიტყვი კიდევაც, - ჯინიანად შეაწყვეტინა ისევ იმ ახალგაზრდამ.

- უკაცრავად, თქვენი სახელი? - ჩაერთო საუბარში ირაკლი.

- ოთარი, მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! - გაღიზიანებული იყო ახალგაზრდა.

- არაფერი, - მე მინდა ყველა დაგამშვიდოთ, - ფეხზე წამოდგა, რათა სიტყვებისთვის სადღეგრძელოს ფორმა მიეცა - საქართველოს გაუმარჯოს. აღარც ცეკა იქნება და აღარც პარტია, საქართველო იყო და ყოველთვის უნდა იყოს! - საკმაოდ დიდი სასმისით შამპანურის მოსმა დაიწყო... ძალზე ძნელი დასალევ-გაზიანი სითხე...

- თქვენ მანამდე არაფერი გეტკინოთ, სანამ პარტია არ გაქრეს, - გაიცინა ზურამ.

- ეჰ, მაგას ვინ მოესწრება!

- თქვენ მოესწრებით! - ისეთი დამაჯერებლობით თქვა ჩიქოვანმა, ერთბაშად ახირებული და ექსცენტრული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა მათზე.

- ამიტომ არ უნდა დავლიოთ ბევრი, - ამოიოხრა ნინომ...

- ნინო, ეს სასმელის ბრაღი არაა! მე თქვენ ვერ აგისხნით, მაგრამ ვიცი, რასაც ვამბობ. ყველანი მოესწრებით! - ავთოს თვალი ჩაუკრა, ღროაო, ანიშნა - ახლავე ისეთ რამეს გაჩვენებთ, თქვენ თვითონ დარწმუნდებით.

- რა უნდა გვიჩვენო ისეთი? - გაიცინა ხათუნამ. - ბრეუნევის ბრძანებაც რომ გვიჩვენო სკკპ დაშლის თაობაზე, ის მაინც არ დაიშლება, ჰრეუნევს დახვრეტენ.

- არა, ქალიშვილო, მე სულ სხვა რამეს გიჩვენებთ. ირაკლი ენერგიულად ჩამოდგა, ჩანთიდან ვიდეომაგნიტოფონი და კასეტები ამოიღო, მაგნიტოფონი ტელევიზორს შეუერთა, ეკრანი ჯერ აციმციმდა, შემდეგ ინგლისური წარწერები გამოჩნდა: „ემანუელა“.

- რა არის ეს?

- ეს არის ეროტიკული ფილმი, თუ გნებავთ, ნახეთ, თუ არა და სხვა ფილმს ჩაგიერთავთ... ბიჭებმა გოგონებს მუდარით გადახედეს.

- კარგი, ცოტა ვნახოთ! - თქვა ნინომ, - მაგრამ არა მგონია, ამ ყუთმა ფილმი გვიჩვენოს, თანაც ეროტიკული...

ჩიქოვანი წამოდგა, თითქოს თამაშით, მაგრამ როგორც თავისი თავი დაიჭირა, საკმაოდ სერიოზულად წარმოთქვა ასეთი სიტყვები:

- ახლა თქვენ საქართველოში პირველად ნახავთ ეროტიკულ ფილმს „ემანუელა“! - ფილმი დაიწყო. ბიჭები ერთმანეთს მუჯღუგუნებს ჰკრავდნენ, ეს რა მაგარი რამეაო, რა გამოგონებააო... და ა. შ...

ზარმა დარეკა... კარები გააღეს... ოთახში მეზობელი შემოვიდა, ბატონი კორნელი. ირაკლიმ ვიდეო გამორთო...

- ნუ წუხდებით, ახალგაზრდებო! მე გავალ! ტელეფონზე მინდოდა დამერეკა... ახლავე გავალ, ხელს არ შეგიშლით! რა, ფილმია რამე ტელევიზორში?

- არა, ბატონო კორნელი... ეს კინოაპარტივითაა, - აუხსნა ავთომ. - თვითონ აჩვენებს ფილმებს... ჩიქოვანს ოდნავ ხელი გაჰკრა და ჩუმიად უთხრა - „ჩაქცეულია“, - ახლადმოვლენილი კინომექანიკოსი გამოცოცხლდა.

- დიახ, ბატონო კორნელი, დიახ! ეს კინოაპარტივითაა, შეგიძლიათ, დაბრძანდეთ და ნახოთ ფილმი! ამ ფილმს ამოვიღებ, ცოტათი უადგილოა ახლა, აი, „სინიორ რობინზონს“ გიჩვენებთ! ბოდიში, რომ ფერადად ვერ გიჩვენებთ!

ბატონი კორნელი ისე ჩამოჯდა, არსად დარეკვას არ აპირებდა, ან აღარ აპირებდა... პირველივე კადრებმა გაცოცხლების შეძახილები გამოიწვია: - ვილაც სქელი იტალიელი, რაღაც კოლოფით, რომელიც ხელში ეჭირა, რთავდა რამდენიმე მეტრით მოცილებულ ტელევიზორს... „რა არის ეს“ - ჩურჩულებდნენ.

- ეს დისტანციური გადასართველია...

- გადასარეგია პირდაპირ! - ხვნეშით წარმოთქვა ბატონმა კორნელიმ... ავთო უცებ ბატონ კორნელის მიუჩინდა...

- ფანტაზია... დაუჯერებელია. თავბრუ მეხვევა... აღარ შემიძლია... სად იშოვეთ ეს, ირაკლი?

- ეგ რა საინტერესოა, „თქვენ მებაღეს რას კითხულობთ, ხოლო მიირთვით“. ფილმმა ყველანი ჩაითრია, ასეთი რამ ჯერ არავის ენახა... სიცილით იხოცებოდნენ. ულამაზესი მულატი ქალის გამოჩენაზე, რომელიც ვითომ პარასკევას ანსახიერებდა, ბიჭები ღმუროდნენ...

- იყიდება, - ჩასჩურჩულა ავთომ კორნელის.
- რამდენად? - მოუთმენლად იკითხა მეზობელმა.
- დიდი ბრილიანტი უნდა, მეტი არაფერი!

- უთხარი, რომ ბრილიანტი ჯიბეში უდევს! - ეკრანისათვის თვალი არ მოუცილებია ისე თქვა კორნელიმ.

ავთო წამოდგა, ცოტა შამპანური დაუსხა, ნუგზართან მივიდა: - „კეტავს არა?!“ ნუგზარი ფილმში იყო ჩაფლული და ხმა არ გასცა... ახლა ნინოს მიუჯდა: „მოგწონს გოგონი?“ თმებზე ხელი გადაუსვა, ნინო თრთოდა. ის ორი უცნობის წინაშე აღმოჩნდა... ჯერ ერთი - ირაკლის, რომელიც ასე არ ჰგავდა ოცი წლის ირაკლი ჩიქოვანს და ამ პატარა შავი ყუთის, რომელიც ასევე არ ჰგავდა კინოპარატს... ავთო ირაკლის მიუახლოვდა:

- გაყიდულია, ბრილიანტს მოგცემს ფილმის ბოლოს...

- ჩიქოვანს გული შეუტოკდა... არ მოელოდა ამ პრობლემის ასე უცებ გადაჭრას... თითქოს რაღაც ტვირთი მოეშვა... რუსთაველზე გასეირნება მოუნდა რატომღაც... რუსთაველი ახლა გაჩახახახებულია\*... გავივლი ფეხით... ბო, ფეხით უნდა გავიარო... ავთოს არაფერს ვეტყვი, ან ვეტყვი რაღა მნიშვნელობა აქვს, კიდევ ხომ უნდა შევხვდე... - ფიქრებიდან გამოერკვა, ბატონ კორნელის მიუახლოვდა...

\* 1993 წ. თბილისში არ იყო ქალაქის განათება.

- უკაცრავად, - ჩასჩურჩულა - თუ არ შეწუხდებით, იქნებ ახლავე მომცეთ, მე მეჩქარება... თქვენ კი განაგრძეთ ფილმის ნახვა: ამდამდე სახლში დავბრუნდები - გაიაზრა უცებ. ბატონი კორნელი წამოდგა, დანანებით შეხედა ეკრანს, თვალს ვერ აშორებდა ამ ზღაპრულ სანახაობას. ირაკლი ჩიქოვანმა ვიდეო გამორთო.

- დაგელოდებიან, ბატონო კორნელი. თქვენ ცოტა დაღიეთ, - მიუბრუნდა ახალგაზრდებს. - ჩვენ ახლავე მოვალთ!

- ერთად გავიდნენ... ბატონმა კორნელიმ სეიფიდან ოთხ კარატიანი ბრილიანტი გამოიღო...

- თქვენი იმედი მაქვს, - მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ჩიქოვანმა...

- მეგობარო, ეჭვი არ შეგეპაროთ! სუფთა წყლის ბრილიანტია... რამდენჯერმე, ვიდრე შევიძენდი, სხვადასხვა სპეციალისტს შევამოწმებინე. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ...

ჩიქოვანს თვალი მოჭრა ბრილიანტის ცისფრად მბზინავმა კუთხეებზე დაცემულმა სხივმა...

ოთახში ირაკლისა და კორნელის დაბრუნებამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია... ფილმი გაგრძელდა... ავთო ირაკლის ნიშანზე მასთან მივიდა...

- მე წავედი, - ხმამაღლა უთხრა ირაკლიმ.  
 - როდის დაბრუნდები? - ისეთი ხმით ჰკითხა ავთომ, თითქოს ჩემთვის ყველაფერი გასაგებიაო.  
 - მე მალე დავბრუნდები, მოვიტან ფერად ტელევიზორს და ვიდეოს, კლიენტი გაიკითხე, იქნებ ამან იცოდეს! - კორნელიზე ანიშნა...  
 - ყველაფერს გავიგებ, გელოდები...  
 - არ გამაცვილო, - არავის არაფერი უთხრა, ფილმი ნახეთ! ჩემთვისაც ახლა დასვენება სჯობია...  
 ნინოს თვალებში ჩახედა.  
 - მე აუცილებლად გნახავ! - ნინომ თავი დაუქნია.  
 ირაკლი გავიდა. - კიბეები ჩაირბინა, შარვლის ჯიბეში ბრილიანტი მოსინჯა - ადგილზე იყო. ტაქსი გააჩერა.  
 - ქალაქში გავისეირნოთ, რუსთაველზე, მერე ცირკთან!  
 - პირიქით არ სჯობია? - შეეპასუხა მძღოლი.  
 - არა. ამ შემთხვევაში ასე მირჩევენია.  
 ღამის თბილისი, ზაფხულის ღამის ქალაქი, გრილი ნიავეთ ეალერსებოდა ირაკლი ჩიქოვანის სახეს... მანქანის წითელი შუქები მწკრივად მისდევდნენ მტკვრის სანაპიროს, ღამპიონებით აციმციმებული მთაწმინდა კი გვირგვინით ედგა ქალაქს. ქვეყნად იდილიური სიმშვიდე სუფევდა. მომავალი ქარტესილების ნიშანწყალიც არსად მოჩანდა. ბრილიანტი ირაკლი ჩიქოვანს სახელში მიჰქონდა...  
 ნათია ტელევიზორთან იჯდა... ღია ფანჯრებიდან ჭრიჭინების ხმა შემოდინდა. ფეხაკრებით მივიდა ნათიასთან და ლოყაზე აკოცა. ნათია არ განძრეულა. გაიგონა, როგორ დაბრუნდა სახლში მეუფლე, მაგრამ არ შეეგება. ეს იყო ნიშანი პირველი საოჯახო „პროტესტანტიზმისა“. მაგრამ არც გამოუხატავს უკმაყოფილება ასეთი დახვედრის გამო. მისი არსება ორად გაყოფილიყო - განცალკევებულიყო წარსულსა და აწმყოს, ნათიასა და ნინოს შორის... ნინოსი, რომელიც ასე მოულოდნელად დაბრუნდა მის ცხოვრებაში... გამივლის - გაიფიქრა ჩიქოვანმა და სააკლიმატიზაციო პროცედურების ჩატარებას შეუდგა... გამოიცვალა ტანსაცმელი, რომელიც ასე უხდებოდა „იქ“ და ასე სასაცილოს ხდიდა „აქ“.  
 სასწრაფოდ მიიღო შხაპი, თითქოს წარსულს ირეცხავდა ტანიდან. მაცივრიდან „კოკა-კოლას“ ქილა გამოიღო და ნელ-ნელა დაუბრუნდა თავის დროს...  
 - ვერ წავედით რაჭაში, - სიჩუმე დაარღვია ირაკლიმ...  
 ნათიამ არაფერი უპასუხა. დასაძინებლად გავიდა. „გრძნობს, რომ სადღაც მისთვის არასასურველ ადგილას ვიყავი“ - ჩიქოვანმა სიგარეტს მოუკიდა... ფიქრებში წავიდა. ახლა, ამ დროს, ოღონდ ოცი წლის წინათ, ის ბათუმშია, რას აკეთებს ნეტავ? არა მგონია ეძინოს, სადღაც ხეტიალობენ ალბათ ზღვის პირას... მესაზღვრე მოვა და ყველას დაშლის... ზღვაზე ღამით გასვლა არ შეიძლება... ნინო თბილისშია... ნინო თუ თბილისშია, რა უნდა ირაკლის ზღვაზე? აღარ ახსოვს... ალბათ ნინო წყნეთშია და ხანდახან ჩამოდის... რა საოცრებაა... მთელს ქალაქში, ერთადერთი კაცია, თუ ბატონ ნუგზარს არ ჩავთვლით, რომელსაც შეუძლია ახლა ადგეს, ცირკთან მივიდეს, ტაქსი დაიჭიროს და ისევ

მიუსწროს იმ სუფრას, ორცი წლის წინ რომ შედგა... და რომელიც ჯერ არ დაშლილა ალბათ, თანაც ფილმებს უცქერენ, იქ ერთი კვირა მაინც ივლიან, თითო ფილმს ათჯერ მაინც ნახავენ, მთელ თბილისს შეჰყვრიან... ირაკლი უცებ შემფოთდა, წარმოიდგინა, როგორ შეიძლებოდა ბევრი ხალხის ჩარევას სულ გაეფუჭებინა საქმე, მაგრამ მერე ბატონი კორნელი გაახსენდა და დამშვიდდა: ის ისეთი კაცი ჩანს, ხვალიდან ვიდეოს თვალთ ვერავინ ნახავს. არა, ღმერთმა ნამდვილად გაუწოდა დახმარების ხელი ბატონი კორნელის სახით. ასე! ახლა ამ ბრილიანტს გაყიდის... დოლარებზე უნდა გაყიდოს. აქაური ფული არავის სჭირდება... კიდევ იყიდის ვიდეოს, ტელევიზორს და ისევ გადაცვლის ბრილიანტებში... ირაკლი ჩიქოვანი ამ ფიქრებით შეცურდა სიზმრების ნავსაყუდელში.

ნათიამ დილით მეუღლეს უთხრა:

- დღეს 12 საათზე ვაჟა ჩამოდის ვიღაც რუსთან ერთად. ირაკლის ძველი მეგობარია და აბა, თქვენ იცით, როგორ დაგვხვდებითო.

- ოო, ესე იგი, პანკოვი ჩამოდის. უნდა დავხვდეთ სტიოპას...

- სახლში არაფერია... ბაზარში წადი, ფული თუ გაქვს.

- ფული ამ წუთას არ მაქვს, მაგრამ მალე ასე გვექნება! - ყელთან გაისვა ხელი.

- კარგი, კარგი, - გაიცინა ნათიამ. - მოკლედ, დახვდი იმ კაცს... ვაჟაც გადარჩენილა, მომილოცავს...

- მოგიყვან ამ საღამოს და თვითონ მიულოცე!

- ორი საათისთვის ყველაფერი უნდა მქონდეს სახლში... თუ არა და ვერ მოვასწრებ...

- კაი, ბატონო, - ჩიქოვანმა შეამჩნია, ნათია ისევ „მობრუნებულის“ ამქვეყნად... წუხანდელი ამბები გულის კუნჭულში მიმალულიყო...

თავისი „დრანდულეტი“ დაქოქა: „როდის მეღირსება ახალი მანქანა! „მერსედესი“, არა „ჰ“ ჯობია.

ლევანის ოფისისკენ გასწია, ბრილიანტი ჯიბეში ედო... ლევანთან ათასი ვინმე დადის, შეიძლება ვინმემ იყიდოს... იაფად მისცემს, რა თქმა უნდა, ათასი დოლარი ეყოფა, ვიდეოსაც იყიდის, სახლში დააბრუნებს და კიდევ ერთის ფული დარჩება... ლევანი კარებში შეეგება. მოკითხვის შემდეგ ტყავადაკრულ სავარძელში მოკალათდნენ... გამოწვდილ სიგარეტზე უარი თქვა, დილას ასეთ დროს არ ვეწევიო...

- ბრილიანტი ხომ არ უნდა ვინმეს? - სხვათაშორის იკითხა.

- ახლა, ჩემო ირაკლი, არავის არაფერი უნდა! არ იციან, რა გაყიდონ, - დაზეპირებულივით თქვა ლევანმა. - ეტყობა ხშირად უწევს ასეთი პასუხის გაცემა - გაიფიქრა ჩიქოვანმა...

- იაფად? - ჩაეკითხა მასპინძელი.

- იაფად. შეიძლება ვინმეს უნდოდეს მესამედ, ან მეოთხედ ფასში...

- გააჩნია როგორია, ასე ზეპირად ლაპარაკი არ შეიძლება...

- მე მეხუთედ ფასში დავთმობ. ჯიბიდან ლურჯი კოლოფი ამოიღო და ლევანს მინის მაგიდაზე დაუდო. ლევანმა საკმაოდ უდიერად რამდენჯერმე დააბერტყა კოლოფი მაგიდას, იმის გამო რომ საკეტი ვერ გახსნა... კოლოფი გაიხსნა და ხარის თვალი პირდაპირ მუხლებში ჩაუგორდა...

- ეს რა არის, ბიჭო? - გაოცებულმა ლევანმა თვალებთან ისე ახლოს მიიტანა ბრილიანტი, რომ მისი თვალების ანარეკლი ირაკლი ჩიქოვანმა ბრილიანტის წახნაგებზე დაინახა.

- ეს არის, რაზეც ვსაუბრობდით, ოთხი კარატია მეხუთედ ფასში ვიდრე!

- ეს ახლა იშვიათობაა, თანაც კარგი ნაკეთობა ჩანს, თუ ნამდვილია...

- რა ვიცი, მე მგონი ნამდვილია...

- მგონიზე არავინ იყიდის, თუ გინდა შევამოწმოთ... ერთი იუველირი მყავს.

- შევამოწმოთ. მოკლედ, ახლა არ მცალია, სტუმარს უნდა დავხვდე აეროპორტში და ასე ორიდან სამამდე ან დაგირეკავ, ან გამოგივლი. მოსკოველია, გაგაცნობ, ვაჟაც ჩამოდის...

- კალანდაძე?

- ჰო, გამოუშვეს, ხომ იცი?

- გელოდებით, აბა... მოიცა სამზე მოდით, კაი ადგილი ვიცი, მე გაპატიუებთ...

- დიდი მადლობა, მალე მე დაგპატიუებ.

- არ გრცხვენია? ლევანი ღიმილითა და ბრილიანტზე ფიქრით სავარძელში ჩაესვენა... იაპონური ვენტილატორი სიჩუმეში რაღაც მონიტორურ, დაუმთავრებელ ამბავს ჰყვებოდა...

...თვითმფრინავი სამის ნახევარზე, როგორც იქნა, ჩამოფრინდა.

ჩიქოვანმა ტრაპზე ჯერ ვაჟა დაინახა, შემდეგ გამელოტებული, ზორბა სტეფანე პანკოვი, მათკენ გაეშურა... ირაკლიმ შეამჩნია, რომ ეს რამდენიმე დღის უნახავი მოსკოველი მონატრებოდა...

პანკოვი ირაკლის დანახვაზე შეჩერდა. კარგად, დაკვირვებით შეათვალიერა, გამოიწია და ორივე ხელით ჩაიხუტა ძველისძველი მოკეთე. ირაკლისთვის გაესწრო პანკოვს „სიგანეში“. ჯიშინები არიან რუსები - გაიფიქრა...

- როგორ ხარ, ძველო? არ შეცვლილხარ! - გულწრფელი გაოცებით შესძახა პანკოვმა.

- არც შენ სტიოპა!

- დამცინი? - თავზე ხელი გადაისვა.

- ეგ არაფერი, მთავარია თვალებში ისევ ის ცეცხლი გინთია!

- ო, ეგ მართალია, ძველი მეგელი ვარ!

- ვაჟა, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გითხარი, არა? ირაკლი ვაჟასაც მოეხვია...

- როგორც ხედავ!

მანქანაში ჩასხდნენ... გზაში გაიხსენეს მოსკოვი, მათი შეხვედრა, ოცი წლის წინანდელი... ფულზე ხმა არ გაუღიათ.

- ბინა იყიდე? - სხვათაშორის შეეკითხა ჩიქოვანი...

- კი, ძველი, კარგი ბინაა, ავეჯით. რომ ჩამოხვალ, გაგიუღები, ისე მოგეწონება...

- ჩამოვალ, ალბათ...

- ის ბინა შენია, ხომ იცი. პანკოვმა მხარზე დაადო ხელი.



- რაღაც კეთილი განგსტერი ჩანხარ, - გაიცინა ირაკლიმ - პანკოვი დასერიოზულდა...

- მე შემძლია კაცი მოგკლა შენი გულისთვის! - რატომღაც ვაუხს გადახედა.

- მე რას მერჩით? - სიცილით უთხრა ვაუამ...

- შენ არაფერი, შენ რომ არ გამომეჭირე, ამ კაცს ვერ ვიპოვიდი. ჯილდო გერგება ჩემგან. მანქანა ლევანის ოფისთან შეაჩერა...

- გადმობრძანდით, ბატონებო, მეგობარი პატარა სუფრაზე გვეპატიუება, საღამოს კი ჩემთან.

ლევანი საქმიანი მიხვრა-მოხვრით წარუდგა სტუმარს, უცებ შეაფასა პანკოვი.

- თენგო მოვიდა, მათიაშვილი, ლუდს ხომ არ დაღვეთ სახელდახელოდო, მალე მოვა ცივ ლუდსა და თევზს მოიტანს... პანკოვი სავარძელში ჩაეშვა...

- უკაცრავად, თქვენი სახელი?

- სტეფანე.

- სტეფან, მე და ირაკლი ბავშვობის მეგობრები ვართ...

- ჩვენც, თითქმის... ჰო, ირაკლი, ალიონამ მოგიკითხა, რატომ აღარ მირეკავსო?

... ირაკლის გული შეეკუმშა, ეტყობა, დავრეკე უკვე... თუ დავრეკავ.

- აუცილებლად დავურეკავ სტიოპა, როგორ არის?

- არ გათხოვილა. კარგად გამოიყურება... შენ გინახავს თურმე რამდენჯერმე.

- სად? უფრო სწორად, როდის?

- ბათუმში ჩამოვიდა მგონი, დიდი ხნის წინ იყო, არც მახსოვს რას მეუბნებოდა...

- ნატაშა როგორ არის?

- მერე გიამბობ.

ამ დროს თენგომ ლუდი და თევზი შემოიტანა...

- ოო... კარგია ახლა ცივი ლუდი, ცხელა! - ეს პანკოვმა წარმოთქვა.

- მოსკოვთან შედარებით, თორემ ისე საკმაოდ გრილი ზაფხულია. შენ არ იცი, აქ რა სიცხეებს იჭერს...

ლევანმა ტელეფონი აიღო:

- ალო, რესტორანია? ჰო. საბანკეტო გააწყვეთ, ხუთი-ექვსი ვიქნებით... ჰო, მალე მოვალთ, 40 წუთში...

- ყველაფერს გაამზადებენ, - საქმიანად ჩაილაპარაკა.

- იქნებ თევზი აღარ გვინდა?

- თვეებში რომლის დასახელებაში „რ“ არ ურევია, თევზი არ იჭმევა!

- ახლა რა თვეა?

- ივლისი...

- ესე იგი, არ იჭმევა!

- ეს თევზი, სხვათაშორის შებოლილია, დაჭერილი კი იმ თვეშია, როცა „რ“ ურევია...

აი, ასეთი უმნიშვნელო საუბრით დაასრულეს ეპიზოდი, რომელსაც პირობითად „ლუდის სმა“ შეიძლება ვუწოდოთ. მერე კი, რაღა თქმა უნდა, იყო „ღვინის სმაც“.

უკვე შეზარხოშებულებმა საუბარი ქალებზე რომ ჩამოაგდეს, პანკოვმა გაიხუმრა, ნატაშას რაღაც უნდა ჩაეუტანო საქართველოდანო, სუვენირად, რა თქმა უნდაო. ამ დროს წამოდგა თავადი ირაკლი ჩიქოვანი, ჯიბიდან ახლახან აღებული 4 კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი ამოიღო და ჩვეული ქართული უკანმოუხედავი უდარდებლობით თქვა:

- აი, ეს ბეჭედი ჩემგან ნატაშას!

- ეს ძალიან ძვირია, ჩემო ირაკლი, - თვალის ერთი შევლებით ღიმილით უთხრა მოსკოვეური რეკეტის შეფმა და თანაც დასძინა - არა მგონია ქართული იყოს!

- სამაგიეროდ, ქართული გულით არის ნაჩუქარი, - ჩაიღვინღულა (ახალი ზმნაა, მთვრალ მდგომარეობაში ბუტბუტს ნიშნავს) ლევანმა...

- კარგი, ავიღებ! - უცებ გამოაცხადა პანკოვმა, - არ მიყვარს ბევრი ხვეწნა, უხერხულიცაა, ასე არ არის?

ჩიქოვანმა დაუქნია თავი: ვერაფერი თქვა.

- ეს კი ჩემგან თქვენს მეუღლეს!

ჩიქოვანს არც დაუნახავს, რა ჩაუდო პანკოვმა გულის ჯიბეში, რომც დაენახა, ვერავითარ რეაგირებას ვეღარ მოახდენდა, ის უკვე მთვრალი იყო...

\* \* \*

ჯერ კიდევ გამოუნელებელმა ღვინომ და დილის მწველმა მზემ მოქეიფებს ძილი აღარ აცალა.

- ვკვდები, - ამოიოხრა ირაკლიმ.

- ახლა ვარჯიშია კარგი, გამოგვიყვანს, - სტეფანე უკვე ფეხზე იდგა...

- „პახმელიაზე“ ზედმეტი მოძრაობები არ შეიძლება, ინფარქტი იცის. ახლა ყველაზე კარგი ქაფქაფა ლუდია, - ირაკლიმ მთელი სხეულით შეიგრძნო ლუდის სურნელი.

- მერე, მაცივარში არ გაქვს? - გაიცინა პანკოვმა.

- არა, არ მაქვს. ასე ვიცი: როცა ვსვამ, მაშინ მეორე დღე არ მახსენდება. არადა, რამდენი „ბორჯომი“ დარჩა რესტორანში. „ბორჯომიც“ კარგია უზმოზე...

- გაიღვიძეთ? - ნათიას ხმა მოისმა სამზარეულოდან.

- ჰო, ნათი, გავიღვიძეთ და ვკვდები...

- საიდან არის ეგ შენი სტუმარი?

- მოსკოველია, დანარჩენს მერე გეტყვი, რა ვქნათ. ვჭამოთ რამე?

- რა გინდა, რას ინატრებ?

- ლუდს, ხინკალს, ცივ არაყს, ქაბაბს, რასაც გინდა იმას! სადაა თორემ...

- ყველაფერი მზადაა, ლუდი მაცივარშია. მობრძანდით!

- ვა, სტიოპა დაგლიჯე, კარგ ფეხზე ჩამოსულხარ...

წარსულის მეგობრები სამზარეულო ოთახში გავიდნენ.

- ზევით გავემალე, ახლა ლევანიც მოვა, ვაჟაც, ყველანი, - ზედმეტად ხალისიანად გამოიყურებოდა ნათია...

- ფული სად იშოვე? - ჩასჩურჩულა ირაკლიმ...

- ჯიბეში გედო და ზარზემით გადმომეცი წუხელ. შენ სად იშოვე? - სერიოზული სახე მიიღო ნათია ქვარიანმა.

ირაკლიმ შუბლი მოისრისა, გაახსენდა, პანკოვმა რაღაც რომ აჩუქა...

- არ ვიცი, ჯერ ლუდი შევსვით და გონებაც გაიხსნება...

- ლუდი მართლაც სამეფო გეკონია, ყოჩაღ, ნათია, მიყვარს ბოთლის ლუდი, ქილებით არ მიყვარს... იცი, ერთხელ ქუთაისელებმა მკითხეს, „ბანკის პივას“ დალევთ? დავლევ-მეთქი და სამლიტრიანი ბანკით გადმოიღეს მაცივრიდან. - სტეფანემ გაიღიმა, რუსულად მაინდამაინც სახუმაროდ არ უღერდა, ირაკლი კარგ გუნებაზე დადგა...

- აი, სტიოპა, ეს არის ქართული „პილმენი“, ანუ ხინკალი...

- „პილმენია“? ქართველებსაც გაქვთ „პილმენი“?

- ეს უფრო ცხარეა, „ოსტრი ნაციონალნი“ ავ გაგივია? - გადაიხარხარა ჩიქოვანმა, - ლუდმა სისხლძარღვები გააფართოვა და ირაკლი ლაპარაკის ხასიათზე დადგა...

- ნათია, - ჭიქა ასწია, - მე და სტიოპა ოცი წელია ვიცნობთ ერთმანეთს, უფრო სწორედ, ოცი წელია ერთმანეთი არ გვინახავს! შეხვედრას გაუმარჯოს, ჩვენს შეხვედრას!

მშვენიერი ბრძანდებით...

- ააა, სტიოპა, აბა ეგეთები არ იყოს, - გაიცინა ირაკლიმ.

- მე მინდა იცოდეთ, როგორ დამეხმარა თქვენი მეუღლე მაშინ, როცა ყველაზე მეტად მიჭირდა, - ნათიამ ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრო სტუმარს... - თანაც საოცარია, სულ არ შეცვლილა...

ირაკლიმ კი ფეხზე დააჭირა და ორაზროვანი გამოსხედვით შეაჩერა „მომხსენებელი“.

- მოკლედ, გაუმარჯოს თქვენს მეუღლეს!

- გაუმარჯოს!

- გაგიმარჯოს! - შესძახა სტეფანეს შეჩერებით კმაყოფილმა ირაკლიმ. ამ დროს ზარის ხმაც გაისმა.

- მოვიდნენ, ქეიფი იწყება, - წამოიძახა მასპინძელმა.

- ქეიფი გრძელდება! - სუფრის გადახალისებას შეუდგა დიასახლისი.

- ოო... სტეფანეს ვახლავართ! გაშინაურებული ხმით მიესალმა ლევანი მოსკოველ სტუმარს, მხერბზე ერთმანეთს ხელები მოუთათუნეს. ვაჟაც მიესალმა თავის ყოფილ „მტარვალს“.

- კაი ბიჭი ყოფილხარ, კიდევ კარგი არ... - გაუცინა პანკოვმა ვაჟას...

- თბილისის ზღვაზე გველიან, იახტა მზადაა. ცოტა წავიხემსოთ და წავიდეთ, - თქვა ერთ-ერთმა შემოსტუმრებულმა, „პახმელიაზე“ გამოსვლა დაიწყო.

- რა დროს ზღვაა, თუ ღმერთი გწამს, სახლში ვიჯდეთ...

- მე კარგად მახსოვს, რომ ძველისძველ სასმელს შემპირდი, აქ კი რაღაც ბოლო მარკის არაყია, რა ჰქვია ამას? - „გორბაჩოვი“.

ირაკლიმ ლოყაზე იტკიცა ხელი.

- სკლეროზი მაქვს. სულ მაგიწყდება. ერთი წუთით! ტელეფონთან მივიდა და ნომერი აკრიფა.

- ბატონო ნუგზარ! მე ვარ, როგორ ბრძანდებით?

- .....

- ჩემთან გელოდებით. სტუმრები მყავს. ჰო, ის მაინტერესებს... „ვარციხე“ რომ გქონდათ...

ლევანმა ხელი აიქნია - რაღა დროს „ვარციხე“\* ვინ სვამს მაგ საწამლავს. ირაკლიმ თითი ტუჩზე მიიღო, - გაჩუმდიო, ანიშნა.

\* 1993 წ. გაყიდვაში მხოლოდ ფალსიფიცირებული სასმელები იყო.

- დიახ, ძალიან კარგი იქნება... ჰო, გელოდებით! ყურმილი დადო და სუფრას დაუბრუნდა.

- სტიოპასა და ჩემი შეხვედრისა, იმ „ვარციხეთი“ უნდა დავლიოთ. სტიოპას ჩაელიმა.

რაა ესეთი! „იმ ნაპოლეონს“ სჯობია?

ირაკლი წამით შეყოვნდა, მერე კი უპასუხა:

- არა, „იმ“ „ნაპოლეონს“, ჩვენ რომ შეგვახვედრა, არაფერი ჯობია!

ვაჟა კალანდაძემ „გორბაჩოვის“ ბოთლი აიღო, შეათვალიერა და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

- ახლავე! ნათია, კალამი მომაწოდე!

ნათია წამოდგა, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და რამდენიმე კალამი გამოიტანა.

- ნახე, თუ წერს არ ვიცი...

- კაი, გეყო მაიმუნობა! - ვითომ საყვედურით უთხრა ირაკლიმ. ვაჟა ბოთლზე რაღაცის ხატვას შეუდგა. შემდეგ კმაყოფილმა შეათვალიერა და სტიოპას გადააწოდა. მან ბოთლს დახედა და გაიცინა.

- „ნაპოლეონიც“ ვიშოვეთ! - ბოთლი მადლა ასწია ისე, რომ ყველას დაენახა. ნაპოლეონის სამკუთხა ქუდი ვიღაცის ფიგურას ამშვენებდა. ფიგურას ხელში ავტომატი ეჭირა...

- ეს ის კონიაკია? - თვალი ჩაუკრა ვაჟამ...

- ეჰ რას ვიზამთ, ყველა თავისი შრომით ჭამს პურს, ჩაილაპარაკა სტეფანემ... სხვათაშორის ხომ იყო ჩიკაგოში „პატარა ბონაპარტი?“ გახსოვთ ფილმი „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან?“

- ჰო, ჰო, გამახსენდა ბანკეტის სცენა, ყურში სასმენი აპარატი რომ აქვს და თმებიც გაცვენილი... აქ ნათიას საუბარი ხარხარმა შეწყვიტა. სტეფანე პანკოვი მელოტ თავზე ისვამდა ხელს... ლევანი წამოდგა.

- მოდი, პატიოსან ბიზნესს გაუმარჯოს!

- კარგი სადღეგრძელოა! კაცი კაცს სიტყვას რომ მისცემ...

- სხვათა შორის, მე პატიოსანი ბიზნესმენი ვარ! უცებ მოჭრა სტეფანემ, რატომღაც ყველანი გაჩუმდნენ, იმის მოლოდინით, რომ მონოლოგი გაგრძელდებოდა. ნათიას განსაკუთრებით დააინტერესა სტუმრის ვინაობა.

- მე, - გააგრძელა სტეფანემ - არავინ მომიტყუებია, ეს ჩემი სტილი არ არის. სიტყვას, რომელსაც ვაძლევ, - არასოდეს ვტყვ, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც თავისი უპასუხისმგებლო საქციელით სხვებს ცხოვრებას უფუჭებენ. ხშირ შემთხვევაში ცარიელ-ტარიელს ტოვებენ, აღარაფერს ვამბობ აფერისტებზე, თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა ებრძოდეს მათ? - გაუამ თავი ჩაღუნა... ირაკლიც თავდახრილი ისმენდა ამ სიტყვებს.

- პოლიცია, ალბათ, - სიხუმე დაარღვია ნათიამ.

- ერთის მხრივ, სწორი ბრძანდებით, მაგრამ ირაკლიმ ჩემზე უკეთ იცის, როგორი კავშირია ზოგჯერ ოფიციალურ და „არაოფიციალურ“ პირებს შორის. მან თვითონ ამიხილა თვალები ბევრ რამეზე, ახალგაზრდობაში... მოდით, ირაკლის გაუმარჯოს!

- ეს უკვე სხვა სადღეგრძელოა, ეს უკვე საქმეა! - ლევანი ფეხზე წამოდგა: - ირაკლი ჩიქოვანს გაუმარჯოს!

- ირაკლი, მე მაინც ვერ გავიგე, რა გააკეთე ასეთი ჩვენი სტუმრისათვის. ნათიამ თვალი თვალში გაუყარა მეუღლეს: - გაგიმარჯოს!

- რა, თქვენ არაფერი იცით? - პანკოვმა განცვიფრებული თვალებით გადახედა მასპინძლებს... მან მე გზა მიჩვენა, მიჩვენა კი არა გზა მომცა... შანსი მომცა...

- არ არის საჭირო გადაჭარბება, სტეპან, - ირაკლი ნათიას მიუბრუნდა, - ერთ დროს უჭირდა და ცოტა ფული ვასესხე, მეტი არაფერი... ახსოვს უბრალოდ, - თან პანკოვს ანიშნა გაჩუმებულიყო...

- ჰოდა, შენ გაგიმარჯოს ირაკლი, - ნათიასაც გულზე მოეშვა, გაიცინა...

- მერე, ეგ რა დიდი საკვირველი რამეა?

ლევანმა ჩასჩურჩულა ისე, რომ არავის გაეგონა: მაგათთან საკვირველია.

ზარი დაირეკა...

- ესეც ბატონი ნუგზარი! - წამოიძახა ჩიქოვანმა...

მართლაც, ბატონი ნუგზარი იყო. ხელში ბადურა ეჭირა, რომლიდანაც რამდენიმე ბოთლი და რაღაც შეხვეულები მოჩანდა...

- აი, ამ ადამიანმა კი მე მომცა შანსი! გაიცანით, ჩემი უფროსი მეგობარი ნუგზარ კალმახელიძე... დაბრძანდით, აი აქ, სუფრის თავში დაბრძანდით, ბატონო ნუგზარ, როგორც ბრძანდებით?

- თქვენ როგორ გიკითხოთ, მე რა მიშავს, სტუმარი გყავთ?

- ჰო, მოსკოვიდან! გაიცანით სტეფანე პანკოვი!

- ოო, მოსკოვში ჩასვლას ახლა ვიზა უნდაო, ამბობენ...

- თქვენთვის არ იქნება პრობლემა, - გაიცინა პანკოვმა.

- არც ჩემთვის, - კალმახელიძემ მშვიდად დაისხა არაყი... ო, გორბაჩოვ, გორბაჩოვ... ამის ბრალია ყველაფერი! ნათია, შვილო, მოიტანე მანდ რაც არის ბადურაში, როგორ არის რეკლამებში? „თქვენ ოღონდ ისურვეთ და ფირმა წამსვე გაგიჩენთ“...

- აი, ახლა თქვენ ნახავთ იმ შეპირებულ „ვარციხეს“, - საზეიმოდ გამოაცხადა ოჯახის უფროსმა...

- აქ, ორი „ვარციხეა“, ერთი „ენისელი“ და ერთად... თან ნათიას ხელიდან ართმევდა ბოთლებს - და ეს კი ჩემი სიამაყე „ძალიან ძველი“ „ოჩენ სტარი“! იქნება ახლა 70 წლის!

ჟრიაშული ატყდა. ლევანმა „ვარციხეს“ დაავლო ხელი...

- ეს 1972 წლისაა, - გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

- საიდან, ბატონო ნუგზარ?

- კარადაში მქონდა! ვინახავ ასეთ რამეებს...

- თქვენ კოლექციონერი ხართ? - იკითხა მოსკოველმა...

- არა, მე უფრო მოგზაური გახლავართ, მაგრამ შეიძლება ასეც ითქვას. ეს ჩემი პოზია...

- მოდით, გავსინჯოთ! - ყველანი სულმოუთქმელად ელოდნენ ჭიქების გავსებას: - რა ფერია ა?! აბა, ბიჭო, ახლანდელი ამღვრეულია სუყველა...

- დეგუსტაცია სტუმარს მივანდოთ. ლევანი უკვე წრუპავდა, მაგრამ შეეოვნდა, მასაც დააინტერესა, რას იტყოდა ეს რესპექტაბელური მოსკოველი. პანკოვმა მოსვა... შემდეგ ჭერს ახედა და სასწრაფოდ გადაკრა...

- წარსულს მაგონებს, - თქვა სერიოზული ხმით...

ამასობაში ნათიამ ჩამოარიგა ნახვრეტებიანი, წითელგვერდიანი ყველი. სქელი, თეთრი ცხიმით დაწინკლული ძეხვი, რაღაც კონსერვი და რაც მთავარია, შავი ხიზილალა...

- აკი საქართველოში გაჭირვებააო? - ვეღარ შეიკავა თავი პანკოვმა.

- როცა სტუმარი გყავს, ტრადიცია არ უნდა დაარღვიო, - რიტორიკულად მიუგო მოგზაურმა.

- ეს ძეხვი „ლუბიტელსკი“, რამდენი ხანია აღარ მინახავს, - გაიცინა სტუმარმა.

- რა, თქვენთანაც გაქრა? ეს ძეხვი ძველია! - ამის გაგონებაზე პირისკენ მიმართული, ჩანგალზე კარგად ჩამოგებული გვარიანი ნაჭერი სტიოპამ ძირს დაუშვა. ვაჟამ დეჭვა შეწყვიტა და ასევე დარჩა გამობერილი ლოყებით.

- გეხუმრებათ, მეგობრებო, ძეხვი ახალია, არა ბატონო ნუგზარ? უცებ ყურში ჩასჩურჩულა: - როდის იყავით?

- ახლა იქედან მოვდივარ!

- ჰო, სულ ახალია, უბრალოდ, ბატონმა ნუგზარმა იგულისხმა, რომ ეს ძველი ნიმუშია, ასე ვთქვათ, რა ქვია იმას?...

- ჰო, ასე ვთქვათ, ძველი მოდელია, - გაიცინა პანკოვმა - ისე სუნით ძალიან კარგი აქვს, გაიმხნევა თავი და გარისკა, ძეხვის ნაჭერი უკან, პირისკენ გააბრუნა...

- შესანიშნავია! სად იშოვეთ ბატონო ნუგზარ? - ეს უკვე ლევანმა იკითხა...

- ვშოულობ. ჩვენს უბანში ერთი გასტრონომია და იქ მოაქვთ ხოლმე! - ირაკლიმ მუდარით სავსე თვალებით გახედა მოგზაურს.

- უცნაური კაცი ჩანხართ, მე ალაღად გესაუბრებით, თქვენ კი დამცინით, - წყენა ვერ დამალა ლევანმა. მართლა, ჩვენ დაგვაგვიანდება,

უნდა წავიდეთ, ჩემი მეგობარი გველოდება მეუღლით - ლევანი ფეხზე წამოდგა.

- ლევან, რა დროს იახტაა? - თემის გამოცვლით ნასიამოვნებ ირაკლის ისეთი ნოტები გაეპარა ხმაში, რომელიც უწინარესად გამცნობდათ: წავიდეთ, თუ ასე ლვინდა.

- არა სტუმარს ახლა მოსვენება უნდა, - ჩაერია ნათია.

- ჩემი მოსვლა გეწყინათ? - გაიცინა ოდნავ უკმაყოფილო სახით კალმახელიძემ...

- რა არის იქ? რა ხდება? - დაინტერესდა პანკოვი.

- იახტაზე სპეციალურად ჩვენი სტუმრისთვის და ჩვენთვის, რასაკვირველია, ერთ ჩემს მეგობარს, კარგ ბიზნესმენს, გაშლილი აქვს პურმარილი, ის თავის მეუღლესთან ერთად გველოდება ჩვენ, - აღელვება დაეტყო ლევანს: - რა, არ მივიდეთ?

- რომელ საათზე?

- თორმეტიდან იქ არიან, არ წავალთ არსად. ბატონი ნუგზარიც წამობრძანდეს, ყველანი დავეტყვით.

- მე ვერ წამოვალ, - განაცხადია ნათიამ ისე, რომ არც დაელოდა რას იტყოდა ბატონი ნუგზარი.

- ახლა რომელი საათია? - იკითხა ირაკლიმ.

- ორის ნახევარი...

- ჯერ ადრეა, სამი საათისათვის წავიდეთ...

ლევანი უცებ მოტყდა: - კარგი, როგორც გენებოთ!

- მე მალე უნდა გავიდე, ახლა გამახსენდა, - საათზე დაიხედა კალმახელიძემ.

- კარგი, რა, ბატონო ნუგზარ, ახლა ჩვენი ხატრით სამ საათამდე უნდა იყოთ, სამ საათამდე იმდენს დავლევთ და იმდენს ვილაპარაკებთ რომ...

- თქვენ არ მალაპარაკებთ და, - გააწყვეტინა ირაკლის მოგზაურმა.

- როგორ გეკადრება, ბატონო ნუგზარ, - ირაკლი ოდნავ წამოდგა და ისევ დაჯდა: - მე მინდა კარგი კაცის, კარგი ქართველის, ბატონი ნუგზარის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ...

- თქვენ ძალიან საინტერესო ადამიანი ჩანხართ, - მიმართა პანკოვმა.

- ყველა ადამიანი თავისებურად საინტერესოა, თქვენც, ირაკლიც, ლევანიც, რომელიც ჩემზე უნებლიედ ნაწყენი დარჩა, ვაჟაც, ნათიაც... ნათია ყველაზე საინტერესოა თქვენს შორის!

- ო, ქართველი მანდილოსანი! - გაიცინა მოსკოველმა, - პოეტების მუზა! გაგიმარჯოთ!

- რაც ყველაზე საინტერესოა, ნათიამ არ იცის, რომ თქვენ ჩემთან ხართ დაკავშირებული... თითქმის ყველანი...

- როგორ, ნათესავეები ვართ? - ჰკითხა ლევანმა.

- ერთგვარად, ჰო... ჩემს მიერ გადადგმულმა რაღაც ნაბიჯმა ვაჟაც, ირაკლიც, სტეფანეც... ნათიაც, სხვათაშორის ოლისე, რომ არც იცის: სხვა გზაზე გაგიყვანათ... - მოგზაურმა შემერთალ ირაკლის გადახედა - ნუ გეშინია, მე სხვა რამის თქმა მინდა. ყველაფერი, რაც წარსულში მოხდა და საერთოდ ხდება, ყველა თქვენგანზე მოქმედებს, ყოველი თქვენგანის

ბედნე ახდენს გავლენას... აი, მაგალითად მე შევაჩერე ადამიანი ქუჩაზე გადასვლისას და მას მანქანა აღარ დაეჯახა. ამ ამბის შემდეგ მას შთამომავლობა გაუჩნდა, ახლა ლისინი ცხოვრობენ ისე, რომ არც იციან, სადღაც იმ წარსულში შეიძლება ლშეაჩერო ადამიანი, გაესაუბრო და დაელოდო, როდის ჩაიქროლებს მოჯირითე ავტომობილისტი... და ბედნიერება სახეზეა...

ყველანი ჩაფიქრებულნი ისხდნენ.

- თქვენ ფილოსოფოსი ხართ! - თქვა სტეფანემ.

- ისე, რა კარგი იქნებოდა, მქონოდა დროის მანქანა და გადამერჩინა ხალხი, - მეოცნებე თვალებით, - ვიღაც შორეულს უთხრა ნათიამ. ყველანი ჩუმად ისხდნენ.

- კარგი, მე წავედი, - გადაწყვეტით წამოდგა კალმახელიძე...

- მერე დამირეკე, - მიმართა ირაკლის. - შენ კი დიდი მადლობა, პატარა დიასახლისო, „დიდი სახლის პატარა დიასახლისო“! არაფერი უთქვამთ. იგი გავიდა ოთახიდან, წაიღო რაღაც იდუმალი და დატოვა მარტოსულობის განცდა.

\* \* \*

თბილისის ზღვა რაღაცა მოუველეის, მივიწყებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არადა, ირაკლის ახსოვდა კადრები ფილმიდან „თოჯინები იცინიან“, სადაც ხალხით სავსე ზღვის ნაპირი მოჩანს. წყლის ველოსიპედები, მხიარულება, სიმღერები. შადრევნის იუმორით სავსე სცენა... ნუთუ ეს კინოში იყო მხოლოდ? ირგვლივ გამეფებული საყოველთაო დეპრესიის შესატყვისად იყურებოდა ყვითელ, ქვიან ჩარჩოში ჩასმული ცისფერი თვალი - თბილისის ზღვა.

ირაკლის სევდა შემოაწვა, მართალია, სასმელიც ხელს უწყობდა, მაგრამ აქ ფხიზელ ადამიანსაც სევდიანი ფიქრები მოაწვებოდა უთუოდ. იახტა, რომელიც თეთრი ფრინველივით მისრიალებდა წყლის ზედაპირზე, ასე თუ ისე აცოცხლებდა იქაურობას. მასპინძლებს უკვე იმედი გადაწუროდათ სტუმრების მოსვლისა. მეტად გაიხარეს, როცა ლევანი თავის მეგობრებთან ერთად ნაპირზე დაინახეს. იახტა ნაპირს მოადგა. ირაკლიმ „იმარჯვა“ და ორივე ფეხი დაისველა კიჩოზე ასვლისას. სხვებიც წყლის შხეფებით „გაგრილებულნი“ ავიდნენ იახტაზე. ცოტა ხანი იქვე ხის იატაკზე დასხდნენ... მასპინძელი თეთრკბილება, გარუჯული, ჭადარამორეული მამაკაცი ცისფერი თვალების შუქით უღიმოდა ნასვამ სტუმრებს. ნელ-ნელა ფეხზე წამოდგნენ ჩვენი „ექსკურსანტები“ და დაბლა, კაიუტაში ჩავიდნენ...

- ნინო, სტუმრები მოვიდნენ! - გასძახა მასპინძელმა... - თქვენ „ზღვის მგელს“ გავხართ, - კიბეზე ჩასვლისას შეეხუმრა ირაკლი ჩიქოვანი წელსზემით შიშველ, დაკუნთულ იახტსმენს.

- კი, ვცურავდი უწინ... - ჩასვლაში შეეშველა „ზღვის მგელი“. უკვე ყველანი ისხდნენ „ნარების“ ტიპის ლოგინებზე, რომლებიც მაგიდის ორ საპირისპირო მხარეს განლაგებულიყო.



- გაიცანით, ირაკლი ჩიქოვანი! - ირაკლიმ სიბნელეში მისკენ მღვობი მომღიძარი, სანდომიანი სახის ქალბატონი გაარჩნია.

- ნინო! - უბრალოდ და ძალიან ახლობელი ხმით წარმოთქვა ქალბატონმა. ჩიქოვანი ხელზე ეამბორა. ამ დროს რაღაცამ ააფორიაქა მისი არსება. რაღაცას ჩამოჰკრეს თითქოს მის გონებაში. წელში გასწორდა და წამით თვალებში შეხედა მასპინძელს... ის იყო!

- ნინო, დასვი სტუმარი, უკვე ყველაფერი მზადაა, ბატონებო, მეუღლეები რატომ არ წამოიყვანეთ?

- ესენი დილიდან სვამდნენ, რამაზ და... ვილა წამოგვეყვებოდა.

- ეს ჩემი მეგობარია, რუსეთიდან... - წაიღუღლულა ირაკლიმ და სტიოპას გვერდით დაიკავა ადგილი...

- შენც მოდი, ნინო, დაჯექი ჩვენთან, - დაუძახა ლევანმა: - უქალო სუფრა არ ვარგა, ხომ იცი...

- არა, უქალოდაც კარგია სუფრა, ოღონდ ქალთან ერთად სჯობია, - გაეცინა რამაზს...

- რა უცნაური ხართ ქართველები, სულ სუფრასთან ზიხართ - თქვა პანკოვმა.

- კი, თუ გვაქვს საშუალება, არ ვამბობთ უარს...

ალკოჰოლით სავსე თავი მოწყვეტით დაუქნია ჩიქოვანმა....

- ესე იგი, წინათ საშუალება რომ იყო...

- მთელი საქართველო რვა საათი ქეიფობდა! რა ააშენებდა ამ ქვეყანას! - ჩაიხითხითა ირაკლიმ.

- არა ბატონო, ვინც სვამდა, სულ ის სვამდა და ახლაც ისინი სვამენ, ხალხი ყოველთვის შრომობდა და აშენებდა ქვეყანას, - შეეპასუხა ვაჟა, რომელსაც მანამდე არაფერი უთქვამს.

- ვინც დალია ისევ იმან დალიოს! - წაიმღერა ირაკლიმ. საერთოდ „არაინტელექტუალურად“ იქცეოდა. - უკაცრავად სიმღერისთვის! - ნონოს გახედა...

- როგორ გეკადრებათ, ბატონო... თქვენ არაფერს მიირთმევთ. დღეს ჩემმა მეუღლემ თევზის სუფრა ირჩია, ესიამოვნებათო და რა ვიცი, არაფერს მიირთმევთ! - ნინომ თვალები დახარა.

- მიცნო - გაიფიქრა ჩიქოვანმა. - მიცნობდა, გუშინწინ არ ვნახე? თუ როცა იყო. მე არ შევცვლილვარ მერე! თვითონ შევცვლილა.

- ბატონო რამაზ, დიდი ხანი ცურავდით? - სიტყვა ბანზე აუგდო ქალბატონს.

- კი, ოცი წელი! ეს ის ოცი წელია, რაც მე ნინო არ მინახავს. თუ ვნახე ერთხელ, ლიტონიობაზე მცხეთაში, კიდევ ერთ-ორჯერ... სიზმარივით მახსოვს, ეგ არ ითვლება.

- ახალი დაქორწინებული ყოფილხართ!

- კი, რამდენიმე წელია.

- ეს ბევრად უფროსი იქნება ჩვენზე...

- კარგ ფორმაში ბრძანდებით! - შეაქო ჩიქოვანმა მასპინძელი.

- რა ვიცი, - გაიღიმა რამაზმა - ცხოვრება მაქვს ასეთი, სულ აქ ვარ.

- ესე იგი, თქვენც მოგზაურობთ! ამ პატარა ზღვაში არ გიჭირთ?

რამაზმა ნაღვლიანად ჩაიციხა:

- რას იზამ, ყველაფერს თავისი დრო აქვს!  
- გეყოთ ახლა ლაპარაკი, სირცხვილია ამ კაცთან, შეახერხა ირაკლი ვაჟამ, რადგან უკვე რაღაცის სათქმელად მოემზადა.

- მოდით, ზღვას გაუმარჯოს! - თქვა სტეფანემ... ზღვას, ოკეანეს, თბილისის ზღვას!

- შაგ ზღვას გაუმარჯოს! - ჩაურთო ჩიქოვანმა... მე იქ ხშირად დავედიოდი, ბათუმში! - თან ნინოს გახედა. ნინომ სახე აარიდა და რომელიღაც თეფშს მოუნაცვლა ადგილი. ჩიქოვანმა აღარ დალია. ვეღარ დალია, უფრო ზუსტად. სასმელი მწარე ეჩვენა და შეეზიზღა. იჯდა თავისთვის და აღარავის უსმენდა. ლევანი სტეფანეს აცნობდა რამაზს. რამაზმა მეუღლეზე უამბო რაღაცეები. მოკლედ საუბრობდნენ... ირაკლის ერთი-ორჯერ მოხედეს, რა დაგემართაო, მაგრამ ვეღარ მოიბრუნეს თავისკენ... ის იჯდა სიგარეტით ხელში და კვამლის მიღმა გაჰყურებდა ქალს, რომელიც ძნელად საცნობი, უცხო გამხდარიყო... მან სიგარეტის კოლოფი აიღო და ასოების გამოყვანა დაიწყო: „ზღვისპირას, ლაღად მოლაყბე ხალხში“... შემდეგ კოლოფი ნინოსკენ დადო. ირგვლივ საუბრობდნენ, იცინოდნენ, ნინომ კოლოფი შეუმჩნევლად თავისკენ მისწია და კითხვა დაიწყო:

„ზღვისპირას, ლაღად მოლაყბე ხალხში  
ვეწაფებოდით აზიურ ყავას,  
და სული შენზე დარდით დაღლილი  
თან მიჰყვებოდა თოლიის ნავარდს,  
და სიგარეტის მინორულ კვამლში  
იკარგებოდა შავი ზღვის ხაზი...  
ჩემი ოცნება იყო სიზმარი,  
ზღვასავით ღურჯი, ზღვასავით ნაზი!“

ნინომ კოლოფი მუხლებზე დაიდო. - შეინახე - თვალებით უთხრა ჩიქოვანმა. ნინომ გაიღიმა. ღიმილი ნაოჭებს უაშკარავებდა, მაგრამ ლის მაინც ის იყო. - გინდა კიდევ გნახო იქ? - ტუჩებით, უხმოდ ჰკითხა ირაკლიმ... ნინომ წამწამებით თანხმობა მისცა, სტიოპა თავის ნატაშაზე საუბრობდა, ნინო სასწრაფოდ გადაერთო საუბარში ისე, რომ არც არავის შეუმჩნევეია ეს წამიერი გადასვლა უსასრულობაში, რომელიც ყველასთვის შეუმჩნეველი დარჩა. ჩიქოვანს უსაშველოდ მოუნდა ზღვაზე წასვლა. იქ კარგად ვიქნები, - გაიფიქრა, - მაგრამ ფული რომ არ მაქვს? ო, ეს ჭული ადამიანის ოცნებათა და სურვილთა შემბოჭველი... გაეცინა. უფულობა, თორემ იცოცხლე, ახლავე წავიდოდა... „იქ“. კი მაგრამ, ფული ხომ მიმიცია წუხელ ნათიასთვის. რაღაც ბუნდოვანი იმპულსით გულის ჯიბეს შეეხო. იქ ნამდვილად ნაკნობები დაიგულა. ჩაიყო ხელი და მწვანე ასდოლარიანი კუპიურები ამოჰყვა.

- ო, რა იშოვე ასეთი! - შესძახა ლევანმა...

ირაკლიმ ბანკოვს გახედა... ბანკოვმა ანიშნა შეენახა თავისი ფული... მან მორჩილად დააბრუნა ქაღალდები ჯიბეში.

- სტეფანესია! შემიწახეო, მითხრა, - დამნაშავესავით ჩაილაპარაკა...

- აბა, გვიგრიალია? - ვაჟამ ქართულად თქვა სტეფანეს, რომ არ გაეგო...

- წავიდეთ! წავიდეთ ზღვაზე! მე გეპატიუებით ყველას!

- ზღვაზე არა ვართ? - გაუკვირდა სტეფანეს...

- არა, წავიდეთ ბათუმში. მე ვიცი სადაც წავიყვანო, - ფეხზე წამოდგა ბარბაცით...

- ახლა სადღა უნდა წავიდეთ? მოსალამოვდა...

- წავიდეთ ან ახლა, ან არასოდეს, მომბეზრდა ეს კუკუდამალობანა. წამოდით ყველა ჩემთან - „იქ“ წამოდით! ჩემს სილამაზეში, ჩემს სიყვარულში, ჩემს სამოთხეში წავე-დით! - ჩიქოვანი ხელებს იქნევდა.

- დათვრა, წავედით ყველანი, - თქვა ლევანმა... უკაცრავად თქვენ რას იზამთ? წამოხვალთ თუ... აქ საშიში არაა?

- იცი, რა, ლევან, - უთხრა რამაზმა, - თუ გინდა, შენ დარჩი ჩვენთან... ვისაც გნებავთ, დარჩით...

- მე არასოდეს არ ვრჩები, მე მივდივარ! - წამოიძახა ირაკლი ჩიქოვანმა, - ვისაც გინდათ დარჩით! მე და სტიოპა მივდივართ!

- სად მიდის, ეგ გაგიჟდა, - ლევანმა ჩაუღლაპარაკა ვაჟას: - ეს კაციც უცხოა. უხერხულია, შენ გაჰყევი, თუ ძმა ხარ, მე ამათ მივხედავ!

- რა, აქ აპირებ დაძინებას? - გაუკვირდა ვაჟას.

- არა, ვაჟა! ცოტა ხანი ვიქნებით და მერე სამივენი ერთად წავალთ, შენ ახლა ესენი გააცილე, თუ პატივს მცემ, - ურჩია რამაზმა.

- კარგი, კარგი, რამ გადარია ასე, - თავის მართლებასავით გამოუვიდა ვაჟას, - რა დაემართა არ ვიცი...

- ხდება ასეთი რამეები ცხოვრებაში... - თქვა ნინომ. რამაზმა ნინოს გახედა. ის გულგრილად უცქერდა ფეხარევით მიმავალ სტუმრებს...

ტრასაზე იდგნენ... მანქანა არსად ჩანდა.

- წამო, ფეხით გაუყევით, რაღაცა გამოჩნდება.

მთვარიანი საღამო იყო, საკმაოდ გრილი. სტეფანე მხარში ედგა ირაკლის.

- ეს ფული რატომ მომეცი? - გაღიზიანებით ჰკითხა ჩიქოვანმა.

- ისე, ტყუილად...

- რა, სამაგიერო გადამიხადე?! - ირაკლი შეჩერდა, სტიოპას თვალებში შეჰყურებდა.

- ის რაც შენ გამიკეთე, ის უფრო მეტია... ეს ისე.. რა დაგემართა, ირაკლი?

- არაფერი, ვაჟა! - მე და სტიოპა ბათუმში მივდივართ, ახლა...

- შენ რა, შეიშალე? რას დაგიჩემებია ერ ბათუმში? გეყო რა, ისუმრე და გეყო! - ვაჟას კისერზე ძარღვები დაეჭიმა ისე რომ, დაცემულ მთვარის სხივზე ვერცხლის ზოლებს ჰგავდა...

- კარგი. - უცებ დამშვიდდა - შენც წამოდი. ოღონდ ნათიას ფული აუტანე!

- მერე რა ვუთხრა? ხვალ ვერ წავალთ? ახლა ინერვიულებს ის გოგო, ჩოლოა!

- ახლა ვერავინ დაგვინახავს! - ჩაიხურჩულა ჩიქოვანმა.

პანკოვმა თვალი ჩაუკრა ვაჟას, ანიშნა მოერიდო...

მოსახვევიდან მანქანა ამოდინდა. ირაკლი წინ გადაუდგა. მანქანა შეჩერდა... მძღოლი აშკარად შეშინებული იყო... ირაკლი რაღაცას

ფანჯრიდან ესაუბრებოდა, უხსნიდა, შემდეგ ჯიბიდან ასდოლარიანი ამოიღო და მძღოლს ჩაუჭიბა. მძღოლმა მანქანა მოატრიალა და კარები გააღო. სამივენი ჩასხდნენ... ირაკლიმ თავი საზურგეს მიაყრდნო და ჩაეძინა. დიდხანს მიდიოდნენ. უცებ გამოიღვიძა და მძღოლს შესძახა:

- ცირკთან გააჩერე!

ვაჟამ მძღოლს ხელი ხელზე მოუჭირა და თვალებით ანიშნა არ აჰყოლოდა ნასვამს. ჩიქოვანმა ისევ ჩაიძინა. ნახევარ საათში მძინარე მასპინძელი სტიოპამ მანქანიდან გადმოიყვანა.

- სად ვართ, - იკითხა ირაკლიმ.

- სახლში, - უპასუხა პანკოვმა. ვაჟა იმავე მანქანით უკან გაბრუნდა.

\* \* \*

პანკოვი გაემგზავრა. ცოტახანი თვითმფრინავთან იდგნენ, რამდენიმე სიტყვით დამშვიდობების აუცილებელი რიტუალი შეასრულეს, შემდეგ ერთმანეთს გადაეხვივნენ და სტუმარი კომერციული თვითმფრინავის „ბიზნეს კლასის“ სალონში ავიდა... ირაკლი ჩიქოვანი დაღლილი იყო. ეს დაუჯერებელი, ფანტასტიკური დღეები მისი ნერვიული სისტემისათვის ზედმეტად მძიმე დატვირთვა გამოდგა. მისი მანქანა ნელი სვლით ბრუნდებოდა აეროპორტიდან, ვაჟა გვერდით ეჯდა და ხმას არ იღებდა.

- აღარ ვსვამ, - თქვა მძიმედ საჭესთან მჯდომმა.

- რაც შენ ამ დღეებში სვი... ჰო, მართლა, ოცი წლის წინ გაიცანი ეხ კაცი?

ვაჟას მოულოდნელმა კითხვამ ჩიქოვანი დუნე მდგომარეობიდან გამოიყვანა. ყურადღება დააძაბინა. პასუხის ძებნა დაიწყო.

- ვაჟა, ეს კაცი მე ახლახან გავიცანი შენ ამბებთან დაკავშირებით. შენ ვინ გითხრა ეგ?

- პანკოვმა მითხრა. ოცი წლის წინ დიდი პატივი გიცია.

- ჰოლო... - ამოიხვნეშა ირაკლიმ - ყველაფერი გცოდნია!

- მერე მაგ კაცს თუ ასე კარგად იცნობდი, თავიდანვე რატომ არ მითხარი? - ჩაეძინა ვაჟა - უცნაურია!

ჩიქვანს უზარმაზარი სურვილი გაუჩნდა უცებ, ერთბაშად ეთქვა მთელი სიმართლე. შემდეგ სურვილი დაიოკა და ვაჟას მიუგო:

- ცოტახანი მაცალე და ყველაფერს გიამბობ, დღეს შეუძლოდ ვარ, უნდა გამოვიძინო.

თანამგზავრს აღარაფერი უთქვამს. ავტომობილი ქალაქში შევიდა. პრობლემებით გადაღლილი ადამიანები ფეხით მიუყვებოდნენ თბილისის გრძელ ქუჩებს. ფეხით მოსიარულისთვის სრულიად შეუფერებელი დისტანციები ამ ბოლო დროს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

- მეტრო ისევ არ მუშაობს, - თქვა ხმამაღლა, - დენი არ არის! ენერგეტიკული კრიზისი ზაფხულშიც ახსენებდა თავს მოქალაქეებს. ტაქსი აღარ იყო თბილისში, ხოლო კერძო მანქანების მფლობელები ისეთ თანხას ითხოვდნენ, უკიდურესი საჭიროებისათვის თუ შეიძლებოდა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ირაკლის ერთი ექიმის საუბარი გაახსენდა:

ინფარქტით სიკვდილის შემთხვევებმა იკლო, საერთოდ ინფარქტი იშვიათობაა. - თითქოს წუხდა ექიმი, ისე ამბობდა ამას. არადა, რამდენი კარგი ქართველი წავიდა უდროოდ ამქვეყნიდან გულის შექნილი დაავადებით. საოცარია, და ზოგი ჭირი მართლაც სასარგებლო ყოფილა. კიდევ ერთ რამეს ამჩნევდა ირაკლი ჩიქოვანი თანაქალაქეებს: მათ მომავლის რწმენა არ დაკარგოდათ. ეს ხალხი ყველაფერს გაუძლებს, მასაც ხომ ასე გაუმართლა, ყველაზე დიდი შეჭირვების დროს? განა ციდან მოვლენილივით არ შეხვდა ნუგზარ კალმახელიძეს? საიდან მოვიდა ეს ადამიანი? ვინ იყო მისთვის?

- არც არავინ. ასე კი უშველა სასოწარკვეთის უამს. რაო, როგორ თქვა? მფრინავი თეფში ეგონა ხალხს ცირკის თავზეო! მფრინავი თეფში! ირაკლი ჩიქოვანი რაღაც იდუმალმა წინათგონობამ აიტანა: მართლაც, ვინ არის კალმახელიძე? რატომ არ ახსენებს ნათესავეებს, ახლობლებს? ავტომობილი დაამუხრუჭა. ვაჟამ გაკვირვებით შეხვდა.

- რა დაგეძარათ? თავი კინალამ მიმარტყმევინე!

- ვაჟა, აქ ჩამოდი, მე ერთ ადგილას უნდა გავიარო, სადამოს დაგირეკავ. სადამოს აუცილებლად სახლში იყავი, სადღაც უნდა წავიყვანო! კარები თავად გაუღო, გადაიხარა და ისე გაუღო. ვაჟას ასეთი აფორიაქებული ირაკლი ჩიქოვანი ჯერ არ ენახა, ან თითქმის არ ენახა. ამიტომ მორჩილად გადავიდა მანქანიდან. „ჟიგული“ კიდევ რამოდენიმე წუთი იდგა ქუჩის კიდესთან, შემდეგ ნელ-ნელა დაიძრა ძველი თბილისის მიმართულებით. ირაკლიმ ფულის გადასახურდავებელ ჯიხურთან შეაჩერა „ჟიგული“. დოლარები რუსულ ფულზე გადაცვალა და გზა განაგრძო. ეზოში, სადაც ყველაფერი დაიწყო, მზის სხივი აღარ აღწევდა, ჩაბნელებულიყო იქაურობა. ქალბატონი შუშანა სარეცხს ფენდა. ირაკლი მიუახლოვდა შრომაში გართულ მოხუცს. ამ უკანასკნელმა თვალი კი შეავლო მოხუცს, მაგრამ ისევ თავისი საქმე განაგრძო. ვერ მცნობს - გაიფიქრა ირაკლიმ.

- ბატონი ერვანდი სახლშია?

- არა, გასულია, ბატონო! - ისევ შეათვალიერა ჩიქოვანი ქალბატონმა შუშანამ. - ბოდიში, ვინ კითხულობს?

- მე თქვენგან ცოტა ხნის წინ ფული წავიდე.

- ჩვენგან არ წავიღიათ!

- თქვენმა მეზობელმა გამოგართვათ... დიახ... დიახ! გახსოვთ? აი, დაგიბრუნეთ! - ირაკლი ჩიქოვანმა ორასი ათასი მანეთი ხელში ჩაუღო მოხუცს...

ქალბატონმა შუშანამ მექანიკურად გადაათვალიერა კუბიურები...

- ამდენი არ იყო, ახალგაზრდავ...

ირაკლიმ გაიცინა:

- ფულმა ფული მოიგო! თქვენი მეზობელი სახლშია? - ისე, სხვათაშორის იკითხა კიბებისკენ მიმავალმა...

- არ უნდა იყოს, ორი დღეა არ მინახავს, - თქვენგან ისეთი დავალებული ვარ...

- ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, არაფერია!

- არაფერი კი არა... ჩაიბუტბუტა ქალბატონმა შუშანამ და ოთახისკენ შეტრიალდა. ჩიქოვანი უკვე კიბეებზე აღიოდა. კალმახელიძის კარებში ქალაღლი შენიშნა: რაღაც დაუტოვებია, - გაიფიქრა სტუმარმა. ქალაღლი გაშალა, დიდი ასოებით გამოეყვანა ბატონ ნუგზარს სიტყვები: „მშვიდობით, დაბრუნებამდე“. ვერაფერი გაიგო ჩიქოვანმა. რას ნიშნავდა ეს? კალმახელიძე თავის დაბრუნებამდე ემშვიდობებოდა ვიღაცას, თუ ვიღაც მასთან უნდა დაბრუნებულყო. არც ის იცოდა, ეს ქალაღლი წაეღო, თუ ვინმე კიდეე ნახავდა ამ ნაწერს. ყველაფერი ისეე მოვლენათა დინებას მიანდო, ქალაღლი ისეე კარებს დაუტოვა და ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა ქუჩაში. მთავარი ერთი იყო: კალმახელიძე სადღაც გაქრა.

\* \* \*

ირაკლი ჩიქოვანს სამიოდე საათი ეძინა. საღამო ბინდს იკრეფდა, როცა გამოეღვიძა. დაღლილობა სადღაც გამქრალიყო. ნათიას ყავის მომზადება სთხოვა, სამზარეულოში დაბალ სკამზე ჩამოჯდა და კალიებივით მოღებულ გაზეთების გროვას ათვალიერებდა. გაზეთებს გული ვერ დაუღო. თავი იმაში დაიჭირა, რომ კარგა ხანია არ გაუგია, რა ხდებოდა ამქვეყნად.

- დღეს ექიმთან ვიყავი, - სიხუმე დაარღვია ნათიამ.

- მერე?

- რა ვიცი, სამკურნალო ხარო... შენი მეუღლეც უნდა გაესინჯოსო... - სიხუმემ დიდხანს გასტანა...

- არა უშავს, ნათია, ხდება, ხომ იცი, ყველაფერი იქნება,- ბრაზნარევი ხმით წარმოთქვა ოჯახის თავკაცმა, - მაინც რაო, რა გჭირთო?

- რაღაც ქალური გადახრებია... რა ვიცი - დარდიანად უპასუხა მეუღლემ.

- მერე იმკურნალე! - ცივად მიუგო ირაკლიმ. - რა გახდა ამდენი ხანი! - უცებ მიხვდა, რომ გადააჭარბა და ოღნავ შეარბილა ხმა - ვის არ მოსვლია ეს? არ იღარდო! აგერ გუშინ გავიგე მეცხრე წელს გაუჩნდათ ბავშვი, როცა აღარ ელოდნენ - მაშინ!

- სწორია, მაგრამ რომ გვიანდება? შენ მაინც გყოლოდა...

ირაკლიმ უცნაური მხერა მიაპყრო თავის ახალგაზრდა მეუღლეს. ასეთი რამ მისგან პირველად გაიგო...

- ახლა რაღა დროს წარსულზე ფიქრია. მე გირჩევ: თუ არ იჯავრებ, ყველაფერი თავისით მოგვარდება! - ყავა მოსვა და ფინჯანი დაღვა. სიგარეტი გააბოღა. ცოტა ხანს ხმა არ გაუღია.

- ნათი, მე მივლინებაში უნდა წავიდე!

- რა დროს მივლინებაა ამ აგვისტოში? ან თუ მიდიხარ, მეც წამიყვანე!

- ნათიას უნდოდა დაეყოლებინა, რას ჰგავს ეს?, მაგრამ თავი შეიკავა. თუმცა ირაკლიმ ისედაც იგრძნო ეს.

- ნათი, აუცილებელი საქმეა! ჰო, ფული რამდენი მოგეცი?

- საიდან გაქვს ეს ფული? - უპასუხოღ დატოვა ნათიამ.

- ეს, საქმე რომ გავაკეთე... მოკლედ ბიზნესი გამომივიდა და ხუთი ათასი მომცეს. შენ რამდენი მოგეცი იმ დამით?

- ორასი დოლარი!... და ვიდუოც წაიღე... არ ვიცი, არ ვიცი...

- მე შენ ორი ათას დოლარს დაგიტოვებ. მამაშენსაც მისცემ ნაწილს, ცოდა ის კაცი, ხომ იცი, რა დროა! დანარჩენს ისევ საქმეს მოვახმარ. ნათი, ნუ მკითხავ, კარგ რაღაცას ვაკეთებ და რომ მოვრჩები, ყველაფერს ვიამბობ.

- ახლდა რატომ არ მეუბნები?

- ახლა... ჯერ ერთი ვერ დაგაჯერებ, მეორეც - წინასწარ რაც ვთქვი, არაფერი გამომივიდა... მე ვიცი, - სულელურად ვიქცევი, მაგრამ ახლა ლუნდა მენდო. თანაც მკურნალობის ლფულიც გექნება... ვიხეოც იყიდე, უფრო იაფად იშოვე. ჰო, მამაშენი აქ გადმოიყვანე, ერთად იქნებით...

- შენ რა, დიდი ხნით მიდიხან? კი, დარბოდი სადღაც, მაგრამ...

- აგვისტოს ბოლომდე, ნათი... რაღა დარჩა? ორი კვირა, ცოტა მეტი, რა მოხდა? შენც ნამკურნალევი იქნები!

- შენ?

- რა მე? - ვერ მიხვდა ირაკლი.

- შენ ახლა წახვალ, ათას ვინმეს გადაეყრები და ეს მკურნალობაც წყალში ჩაიყრება! - ირაკლიმ იგრძნო, რომ უკვე ძირითადი საკითხი შეთანხმებული იყო. მოეშვა.

- გინდა ფული გაჩვენო? - მოულოდნელად ჰკითხა...

- ისე, ჩემს ცხოვრებაში არ მინახია მაგდენი ფული, - გაიცინა ნათია ქვარიანმა, - ჯანდაბას, მოიტანე! ერთად დავთვალოთ! - ირაკლი გახალისდა, კარადასთან მივიდა და პიჯაკიდან ფული ამოიღო... მაგიდაზე დააწყო მომწვანო კუპიურები.

- კარები ჩაკეტე? - ნერვიულად იკითხა ნათიამ ფულის დანახვისას.

- მართალი ხარ. ახლა ამის გულისთვის შეიძლება ვინმემ მოგკლას... - ირაკლიმ კარები გადაამოწმა, ერთი საკეტი კიდევ გადაატრიალა, ახლა სამივე საკეტი მოქმედებაში გახლდათ.

ფულის თვლა მეტად დიდხანს გაგრძელდა. ხან რაღაც აკლდებოდათ, ხან ზედმეტი გამოდიოდა, მაგრამ ორივე დაუზარებლად თავიდან იტყუებდა თვლას. ბოლოს სამი ათასამდე ნათიას დარჩა.

- შენ ესეც გეყოფა, ოჯახს მეტი სჭირდება! - მტკიცედ მოჭრა ნათია ქვარიანმა. ირაკლიმ ხმა არ გასცა, ცოტახანი იფიქრა...

- მართალი ხარ. მე ამდენი ფული იქ არ დამჭირდება. აბა, შენ იცი, როგორ ჭკვიანად იქნები !

- როდის ჩამოხვალ?

- პირველ სექტემბერს აქ ვიქნები. პირველ ზარზე - გაიცინა, - ცოტას დავისვენებ...

- საით მიდიხარ, ის მაინც მითხარი!

- ჰო, ვაჟა მინდა წავიყვანო, მარტო გამიჭირდება. რუსეთში წავალთ, მოსკოვში. იქ არის ახლა ყველაზე მეტი საქმე.

- ფრთხილად იყავით, ირაკლი. არაფერი შეგემთხვეს! - ეს ისეთი ხმით უთხრა ნათიამ, რომ ირაკლი შეცბა.

- ფრთხილად ვიქნები, ნუ გეშინია! - უპასუხა დაჯერებულად, ტელეფონთან მივიდა.

- რატომ არ დარეკე?

- .....

- მოკლედ, მოემზადე, ღამის რეისით მივდივართ!

- .....

- ორ საათში. დედაშენს უთხარი, არ ინერვიულოს!

- .....

- ფული მაქვს საკმაოდ. არაფერი დაგაკლდება, მზად იყავი. ბევრი არაფერი გინდა, ხელჩანთა და მორჩა...

- .....

- მაგას იქ ნახავ!

- .....

- ჰო, ორ საათში მზად იყავი!

\* \* \*

- გადარჩი? - გახარებული გალაკტიონი ვეება ხელებს უთათუნებდა კალმახელიძეს, - თითქოს ამოწმებდა, ცოცხალია, თუ არაო.

- გადავრჩი! რადიომ მიშველა. დაილოცა მარკონის სახელი!

- ეგ ვინლაა? - გაიკვირვა პოეტმა.

- რადიოს გამომგონებელი! - გაიღიმა ბატონმა ნუგზარმა.

- აჰა, პოპოვმა რა გამოიგონა... უთო?

- გრძელი ისტორიაა... რაც მთავარია, მე რადიომ გადამარჩინა... ორთავეს დიდი მადლობა!

- ვხედები: სანამ „პუპ, პუპ“ გაგიკეთეს, რადიომ ის ინფორმაცია გადასცა, ა? - ხითხითებდა გალაკტიონი: - ასე უნდა მაგათ, ძამიკო! კიდევ კაი, რადიო რომ მუშაობდა, ბეწვზე ხარ გადარჩენილი!

- ისე დაპატარავდნენ, ისე მოიხლიქეს ენა „ყვარყვარე“ მონაგონია!

- კი ხომ? ასეა: დრო იცვლება მარტო! სხვა ყველაფერი უცვლელია!

- შენი გადარჩენის არ დავლიოთ?

- ფული მაქვს? - ახარხარდა კალმახელიძე.

- არ გაქვს, ძამიკო? არც გექნება! ჩვენ და ფული? - სად გაგიგია, ბიბიკო?

- გავყიდი რამეს... - ბატონმა ნუგზარმა ჯიბეები მოიხსრიკა, აი, სანთებელა! წავიდეთ!

დიღხანს მიუყვებოდნენ რუსთაველის პროსპექტს, შემდეგ სადღაც ჩაუხვიეს.

\* \* \*

ვაჟა ცირკთან ელოდა ხელჩანთით ხელში. სადამოს ცხრა საათი იყო. ირაკლიმ მანქანა გააჩერა, აკუმულატორი ამოაცალა და ხელჩანთაში ჩადო...

- რას შვები?



- ამას აქ დავტოვებ ბუჩქებში, რომ არ მომპარონ. - გაიცინა...

- თუმცა მომპარონ რა... რა მენადვლება, მაგრამ რომ ჩამოვალთ, თუ დაგვხვდა, უკეთესია!

- კი მაგრამ, სექტემბრამდე მანქანა დაგხვდება? - გაოცებული შეჰყურებდა ვაჟა თავის მეგობარს...

- მართალი ხარ. აი, იქ, ზემოთ, ცირკის ტერიტორიაზე დავტოვოთ მანქანა, აკუმულატორი - ბუჩქებში!

- გადამრევ შენ! დავურეკოთ ვინმეს და წაიყვანს მანქანას!

- საიდან დარეკავ ახლა? ძველი დრო ხომ აღარ გგონია? დავაგდოთ აქ! დამიჯერე, ახლა მოწმეც არ მინდა არავინ, ისეთ საქმეზე მივდივართ! - აკუმულატორი ისევ მანქანაში ჩადგეს. ჩასხდნენ და ცირკის ასახვევი მანქანით აიარეს, იქვე სადგომზე გააჩერეს.

- ბორბლებს მოგპარავენ, - იწინასწარმეტყველა ვაჟამ.

- რა, ბორბლებიც დავაძრო? მოგცლია ერთი, რაც მეტს იჯავრებ, უარესია, მომპარავენ და მომპარონ... უკეთესს ვიყიდი...

- რა იშოვე, ბიჭო, ასეთი? - შესძახა ვაჟამ.

- გზა. ვიპოვე, ვაჟა, გზა! მოკლედ, ყურადღებით მისმინე! ვაჟა დაიძაბა. არ მოეწონა საიდუმლო, გაუგებარი ვითარება.

- მთვრალი ხომ არ ხარ?

- ვაჟა, ხელს ნუ მიშლი. - ვაჟა დუმდა - მე და შენ ბათუმში მივდივართ!

- იმ დღეს რომ ამბობდი? რა დამდამობით აგიტყდება ხოლმე... ახლა იქ რით უნდა წახვიდე?

- ეგ მე ვიცი!

- მომისმინე, ტრასა ყანალებითაა გატენილი, მატარებლებს აყაჩაღებენ, მერე, დასავლეთში ომი შეიძლება დაიწყოს... რა დროს ბათუმია?!

- ბავშვობაში ბათუმში ყოფილხარ?

- კი, ვიყავი!

- გენატრება?

- მერე რა? შენ გაგიყუდი თუ რა, მაშაყირებ?

- ირაკლიმ ხელზე მოუჭირა მძლავრად, ღონიერად. ვაჟა დაოკდა.

- ჩვენ ბათუმში წავალთ... - ჩურჩულებდა: - ოღონდ წარსულში!

ვაჟამ ხელი გაითავის უფლა და გაიქცა. ირაკლი არ ელოდა ასეთ რეაქციას და ცოტახანი გაქცეულ თანამგზავრს უცქეროდა მხოლოდ, შემდეგ ერთბაშად გამოცოცხლდა, გაიცინა და ვაჟას გასძახა:

- გეხუმრე მე... ამოდი აქ, ამოდი! - ვაჟა გაჩერდა. ლხელი ჩაიქნია და ნელი ნაბიჯით ისევ ამოიარა წუთის წინ ჩარბენილი მანძილი...

- ჰო, რა გინდა, მითხარი... დავიდალე...

- ჩემი ხომ არ გეშინია, ბიჭო?

- არა!

- ჰოდა, მოკიდე მაგ ჩანთას ხელი და მომყევი. - ვაჟამ ხელჩანთა მხარზე მოიგდო და ირაკლის გაჰყვა. ბილიკი პატარა ტყეში შევიდა. ვაჟას კიდევ უნდოდა ჩვენთვის გასაგები შეკითხვის დასმა, მაგრამ გადაიფიქრა.

- აქეთ მოდი! ამ კიბეს ხედავ?

- ვხედავ! - ვაჟას გული აუჩქარდა.

- მომკიდე ხელი და მომყევი!

- რა გინდა ამ კიბეზე?

- მინდა. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ზუსტად ორ წუთში გეტყვი ყველაფერს!

- რას მეტყვი, ირაკლი? რა ქარაგმებით მელაპარაკები?

- მოკლედ, ეს კიბე ერთად უნდა ჩავიაროთ, ნიძლავი მაქვს დიდებული!

- გამაღადავეთ? ვინ გვიცდის დაბლა? - ვაჟამ გაიცინა.

- ლევანი. ლევანს დავენიძლავე, რომ ამ კიბეს შენ რომ არ გეცოდინებოდა ისე ჩაგატარებდი და არ გამყიდო, თუ ძმა ხარ!

- რა, მერე? რა უნდოდა აქ ჩასვლას? ეგ რა სანაძლეოა?

- არაფერი, მაგრამ დამე არ გამოვყო, მითხრა, ეშინიაო... მოკლედ, არ წამოგყვებო.

- ო, მე მაგის, წამო, ერთი, წამო! მშიშარააო, არა? დაბლა იცდის ეს ბ...? მაგას ვაჩვენებ მე! - ახლა ვაჟამ მოქაჩა ირაკლის და კიბისკენ წაიყვანა...

- აი, აქ ფრთხილად... ის დაბლა გველოდება... გაგიჟდება, შენ რომ გნახავს...

- წავიდეთ... რა უნდა აქ ჩასვლას, რაღაც ოციოდე საფეხურია...

- ჰო, მაგრამ ხისაა და ნელა ჩავიდეთ ფეხი არ დაგვიცდეს...

- ეს ერთი, ეს ორი - მიუთვალა ვაჟამ.

- ესეც ხუთი...

... ესეც ცხრა! - ირაკლი წელში გასწორდა. - შეჩერდა ერთი წამით!

- რა იყო, დაიდაღე? - ვაჟაც გასწორდა ცოტა წინ გადადგა ნაბიჯი.

- ფეხი ამ საფეხურზე დადგი! - უბრძანა ირაკლიმ. გაკვირვებულმა ვაჟამ მორჩილად გადმოდგა ნაბიჯი უკან.

- დიდხანს უნდა ვიდგეთ ასე?

- ერთი სულის მოთქმა მაცალე და ჩავალთ, რაღა დარჩა!

- არც არაფერი, ზუსტად შუა გზაში ვართ. რას გაძლევს ის დამპალი?

- ას დოლარს!

- ნახევარი ჩემია!

- მთლად შენი იყოს. ჩავალთ თუ არა, მიიღებ.

- წავედით! - ირაკლიმ თერთმეტსართულიანს ახედა - ბანკების, ფირმების, კომპანიების რეკლამები აღარსად იყო, სამაგიეროდ მწვანე ნეონის შუქი მხიარულად მოუწოდებდა თბილისელებს: „დალიეთ ქართული ჩაი“.

- სანამ წავალთ, ერთი იმას ახედე! - ირაკლიმ ვაჟას რეკლამაზე მიუთითა.

- „დალიეთ ქართული ჩაი“ - ამოიკითხა ვაჟამ: - მერე რა?

- არაფერი, ჩავედით... ნელ-ნელა ჩაუყვანე კიბეს... - ხუთიოდ წუთში ქუჩაში იდგნენ.

- ლევანი სადაა? - პირველად ეს იკითხა ვაჟამ...

ირაკლიმ საფულე ამოიღო. ასდოლარიანი გამოაცალკევა და საფულე ისევ პიჯაკს დაუბრუნა.

- აჰა, შენი ასი დოლარი, ჩემი მოგებული!

- აი, ძმაკაციც ამას ქვია! - ვაჟამ ფული თავზე შემოივლო, რაღაც ჯადოქრული სიტყვები ჩაარაკრაკა და ჯიბისკენ გააქანა.

- ეგ მეტი აღარ გამოაჩინო!

- რატომ?

- აღარ დაგჭირდება. დანარჩენი მე მაქვს. მე ვხარჯავ.

- ძალიან კარგი, რაღაც ბევრი ხალხია, არა? კაი ამინდია თუ რატომღაც ვითომ დღეს... ვა, ტაქსი, ნახე, ირაკლი, ტაქსი მოდის!

- დაუქნიე ხელი.

- ტაქსი! ტაქსი! - ტაქსი შედგა.

- სად მივდივართ? - ჰკითხა ვაჟამ.

- გარიკასთან.

- გარიკა ვინაა? - პირი დაადო ვაჟა კალანდაძემ.

- გეტყვი, ჩაჯექი. - ტაქსისტი მორჩილად იცდიდა.

- „ხლებნი პლოშადზე“ ავიდეთ, - ჩაჯდომისთანავე უთხრა ტაქსისტს ირაკლი ჩიქოვანმა - თუმცა, ამ დროს შეიძლება მუშაობდეს... - რაღაცამ გაინახაკუნა. ტაქსისტმა ყურმილი აიღო და ხმამაღლა წარმოთქვა: - „არაგვი“, მე მესამე ვარ, მესამე გისმენთ. - ირაკლის რაღაც ნაცნობი, კეთილი და ძალიან მივიწყებული გაახსენდა: ეს იყო ტაქსი გამოძახებით. - ვაჟას გადახედა, ვაჟას თვალები ღამეში მოხვედრილ მოხვედრით გადმოეკარკლა.

- რა არის ეს? - ჩაიბუტბუტა: - ახალი გამოგონებაა?

- რა, არ გინახავთ? - გადმოხედა ტაქსისტმა, - პირველად ხარ თბილისში?

- არა, პირველად არა! დაავიწყდა უბრალოდ. ერთი, თუ ძმა ხარ, - საქმეზე გადავიდა ლირაკლი, - კომუტატორს ჰკითხე, გარიკა დღეს მუშაობს თუ ისვენებს.

- ვინ გარიკა, რა გარიკა, კაცო? - გადაირია ვაჟა. - მითხარი რა ხდება...

- რა აყვირებს? - გაუკვირდა ტაქსისტს. - ნერვები სულ არ გაქვთ ახლანდელ ახალგაზრდებს: - რაო? გარიკა? რომელი გარიკა?

- გვარი არ მახსოვს... - შუბლი მოისრისა ირაკლიმ - „ხლებნი პლოშადზე“ ცხოვრობს მაგათ ჰკითხე ეცოდინებათ. ტაქსისტმა რაცია ჩართო.

- ალო, „არაგვი“... თფუ! „არაგვი“!

- „არაგვი“ გისმენთ, - ამოიხრიალა „არაგვმა“

- გარიკა ტაქსისტი იცით?

- ორი-სამი გარიკაა, რომელი გინდა?

- სამივეს მალაპარაკეთ! - სთხოვა ტაქსისტმა. - საერთოდ ეთერის ზედმეტი გაჭუჭყიანება არკბალული გვაქვს! - ოდიციალური, „ფასის ამწევი“ ხმით განაცხადა ბოლოს. ირაკლიმ ორი თითი ერთმანეთს მოუსვა, შემდეგ ცერის აწევით ანიშნა, ფულის საქმე კარგად არისო. კმაყოფილმა ტაქსისტმა „გამოძიება“ გააგრძელა...

- მე ვარ, გარიკა, - თქვა ღინამიკში ვილაცამ. ირაკლიმ მიკროფონი აიღო. - ალო, ალო, გარიკ!

- ჰო, რომელი ხარ?

- „ხლები პლოშადზე“ რომ ცხოვრობს, ის გარეკა ხარ?

- ჰო, მე ვცხოვრობ!

- ვა! გარეკ, მე ვარ, ირაკლი, ირაკლი ჩიქოვანი!

- რომელი ირაკლი?

- აი, ცირკთან რომ შემხვდი, კოსტუმი რომ გაჩუქე!

- ოო, დაკარგულს, სადა ხარ ამდენი ხანი, კოსტუმი უკან წაიღე!

- ის არის! გარეკ, მჭირდები, ცირკთან გამოდი... კლიენტი ხომ არ გყავს?

- არა, ცარიელი დავდივარ, გეგმა ვერ შევასრულე.

- ჰოდა, გამოდი, ხომ იცი ჩემი დამოკიდებულება გეგმასთან.

- მოფურინავ, ჯიგარო ჯან!... - ირაკლიმ მიკროფონი მძღოლს დაუბრუნა: - ვა, დაგლიჯა, ხომ იცი, რომ ვიპოვე, - გარეკას „სტილში“ აღაპარაკდა.

- შენ გამასულელებ! რად გინდა ახლა ეს გარეკა! წამო, ძმაო, ერთი საბურთალოზე გამიყვანე!

- მოიცა, მოიცა, ასი დოლარი დაირტყი და ახლა მიბრძანდები ემაწვილო? - მძღოლმა დოლარების ხსენებაზე ძრავა ჩართო.

- გადმოდით, რა! გარეკას დაელოდეთ! რა იყო, რამოდენს ლაპარაკობთ?

- მაიცა, რა უფროსო, გარეკა ორ წუთში აქ იქნება და მერე გაგიშვებთ. ისე, თუ გინდა წადი, მაინც არაფერი დაუწერია „სოჩის“, არ ჩავიბრუნებ?

- მერე რა? ამდენი ხნით რომ მომაცდინეთ?

- არა, მაინც რატომ არ ჩართეთ? სახელმწიფოს პარავთ, ხომ?

- შარზე ხარ ვიღაცა ხარ! ჩაბრძანდით თუ შეიძლება.

ირაკლიმ გაუას თვალი ჩაუკრა, ნახე, რა ვუყო. - ასეა, ამხანაგო, გააჩერებ, მრიცხველს არ ჩართავთ, დაძრავთ, ნახევარ გზაზე ჩართავთ, მერე სახელმწიფოს ზღაპრებს უყვებით, ფული არ შემოდისო და რაც მთავარია, კლიენტს ერთ იმდენს ზედმეტს ართმევთ, რას ჰგავს ეს?

- წადი ძმაო, არაფერი მინდა თქვენი, - თქვა გაფითრებულმა მძღოლმა

- წადით, თქვენც - კარგად, მეც - კარგად!

ირაკლი და გაუა ჩამოვიდნენ. მძღოლმა, ნომერი არ დაინახონო, რვიანებით მოწვევითა ადგილიდან ყვითელი, კუბებიანი „ვოლგა“. ირაკლი სიცილით ჩაბუიდა.

- ხომ შევაშინე, მოგზავნილი ვეგონე... ა, რა დრო იყო, რა დრო?!

- დრო რა შუაშია? - მეხმოსვედრილ მუხასავით გამომშრალი იდგა გაუა კალანდაძე.

- გაუა, ჩვენ ახლა წარსულში ვართ. - წყნარად უთხრა ირაკლი ჩიქოვანმა: - ხელების ქნევას აზრი აღარ აქვს!

გაუამ რაღაცის სათქმელად პირი გააღო, მაგრამ ირაკლიმ აღარ აცალა - გაუა, დავიდალე შენთან ლაპარაკით, არ დამიჯერე - შენ თავს დააბრალე! ახლა 1973 წელია, მორჩა ბაზარი! გაჩუმდი და შეეგუები. ირაკლი შემობრუნდა, ვიღაც ეძახდა.

- აი, გარეკაც აქ არის! - მხიარულად გასძახა ბურანში მყოფ მეგობარს: - გარეკ, როგორა ხარ, ძმაკაც?

- ვარ, რა! სად დაიკარგე?  
 - კოსტუმში მოგიტანე, ჩანთაში მაქვს!  
 - კარგი, შენ კარგად იყავი და კოსტუმს რა თავში ვიხლი, სად უნდა ჩავიცვა... - გარიკამ ვაჟას გადახედა: - ეს ძმაკაცია?  
 - ჰო, ვაჟა, მოდი აქ...  
 - მოიცა ერთი, - ვაჟამ ხელი აუქნია.  
 - ნასვამია? - ჩასჩურჩულა გარიკამ ირაკლის.  
 - არა... შოკშია! გაუეღის, არაფერია! შენ ერთი ეს მითხარი, გცალია ამ ღამით?  
 - რაშია საქმე? თავგადასავლის წინასწარ გეშინია? - იკითხა ტაქსისტმა...  
 - ბათუმში გვინდა წავიყვანო მე და ეს.  
 - ჩემი თავი გენაცვალეთ, მაგრამ... მანქანა სახელმწიფოსია, ხომ იცი, ირაკლი...  
 - ფული გექნება! - მოკლედ მოუჭრა ირაკლი ჩიქოვანმა - მოიწი აქეთ... ყურში რაღაც უთხრა. გარიკამ მიმოიხედა და იგივე გაიმეორა, ირაკლიმ კიდევ რაღაც უთხრა ყურში, გარიკამ პასუხი დაუბრუნა, შემდეგ ხმამაღლა თქვა:  
 - იასნია, წავედით!  
 - ჩაჯექი, ვაჟა, მოდი აზრზე, მალე მადლობას მეტყვი!  
 - ვაჟა მორჩილად ჩაჯდა ავტომობილში. მანქანა ლენინის მოედნისკენ დაიძრა... იქ სადღაც შეჩერდა. ირაკლი და გარიკა გადავიდნენ. ნახევარ საათში უკან დაბრუნდნენ...  
 - სად იყავი ამდენი ხანი? - გაღიზიანებულმა ვაჟამ ვეღარ დამალა თავისი განწყობილება.  
 - ფული გადავახურდავე! - ყურთან ახლოს, ჩუმად უთხრა ირაკლიმ.  
 - რა საჭირო იყო, მერე აქ, ამ სიშორეზე მოსვლა, ყველგან ხურდავდება!  
 - ვაჟა, „აქ“ ფულის, ვალუტის გადახურდავება საშიშია, დაგვიჭერენ, გაიგე?  
 - ეს მართალია?! - უცებ გარიკას ჰკითხა ვაჟამ.  
 - მართალია, ახლა „კგბ“ ძაან დასდევს ამ ამბავს.  
 - „კგბს“ გაგონებაზე ვაჟამ თავი მუხლებში ჩარგო. - მართალი ყოფილა... ირაკლი, რა მინდოდა აქ? - ირაკლიმ ჩაიცინა, ცოტა მოსულიერდები, მიმოიხედავ და მერე ნახავ, უკან დაბრუნება თუ მოგინდება. წავედით გარიკ-ჯან ბათუმში!  
 - მიაწეი აქედანვე! თუმცა არა, ერთი კაცი უნდა წავიყვანოთ, საჭიროა. საბურთალოზე, წითელ პარტიზანებზე შეაჩერე.  
 მანქანა დაიჯრა... ირაკლიმ ვაჟას მხარზე ხელი დაჰკრა. ვაჟამ ამოხედა, ქუჩას გადახედო, ანიშნა მეგობარს. ვაჟას წინაშე შუქნიშნებით, წარწერებით გადანათებული\* ქალაქი იყო.

\* ენერგოკრიზისის გამო, იმ პერიოდში შუქნიშნებიც გამორთული ლიყო.

- რამდენი წლის ხარ ახლა, 39-ის არა? - მანქანაში შემოჭრილი ქარის ხმა რომ გადაეფარა, ხმამაღლა ჰკითხა ირაკლიმ.

- ჰო, - თავი დაუქნია ვაჟამ.

- ესე იგი, შენ 1973 წლის ბათუმი არ გინახავს? ახლა შენ ნახავ იმას, რასაც ვერასოდეს ვერ ნახავდი! უფრო სწორად ვერასოდეს ნახე. გაიგე?

- გავიგე, მაგრამ შოკში ვარ.

- გაგივლის, - გაიცინა ჩიქოვანმა - შენ ავთოს არ იცნობ, არა?

- რომელ ავთოს?

- ხეიჩიას.

- არა, ისე გამიგია, ომობდა ხომ?

- ჰოდა ახლა გაიცნობ. ისიც წავიყვანოთ და უკან რომ დავბრუნდებით, ოცი წლის ძმაკაცები იქნებით, შენ 39 წლის, ის ორმოცდაერთის. ჰა, როგორია?

- სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

- მალე გაგივლის ეგ. ხვალ ბათუმში ვიქნებით ღდა ვიგრიანებით, პასპორტი არ გაქვს ხომ?

- მაქვს.

- ეს პასპორტი მაინც არაფერში გვარგია. ავთოს ვაშოვნინებ რამე საბუთს. მაგრამ ამ შუადამით რაღას მოასწრებს. არა უშავს, მიყვარს მოულოდნელი შესახვევები. ?????????????????? გვ. 125 აქ შეაჩერე! - „ვოლგა“ დამუხრუჭდა. ირაკლი ექვსსართულიან სახლთან მივიდა.

- ავთო! ავთო! - ხმამაღლა ასძახა - აა-ავთო!

ავთომ გადმოიხედა.

- რომელი ხარ?

- ირაკლი ვარ ჩიქოვანი, ჩამოდი.

- ჩამოვდივარ! - ავთო აივნიდან გაუჩინარდა.

- ჩამოვა ახლა და გაგაცნობ! - გადაულაპარაკა ვაჟას.

ავთო ჩამოვიდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ.

- ეს „იქედანაა?“ - ვაჟაზე ჰკითხა.

- ჰო, გაიცანი, მოდი აქ, ვაჟა, ნახე, რა კაცი გაგაცნო!

- ავთო!

- ვაჟა.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. თვალებით აზომ-აწონეს ერთმანეთი.

- მოკლედ, ბათუმში გეპატიუებით, წამოხვალ?

- ახლა?

- ჰო, ახლა ჯობია გზავრობა. ხუთ საათში იქ ვიქნებით.

- თქვენ რომ წახვიდეთ... მე ხვალ მატარებლით წამოვიდოდი... ახლა რა ვთქვა სახლში... - უარისკენ წავიდა ავთო.

- ბაბუაშენი სახლშია?

- არა, ქალაქგარეთ არიან, ჩემი დაა მარტო.

- შენ ხომ იცი მე საიდან მოვდივარ, - ჩუმად უთხრა ჩიქოვანმა - არც საბუთები ღგვაქვს, არც არაფერი, თანაც სასტუმრო პრობლემაა, შენ გყავს იქ ნათესავები და ცოტა ხნით იქ გაჩერდებით, სანამ ვინმეს არ ვიპოვით, არ მიდალატო ახლა... მართლა, ვიდეოს ამბავი ხომ მშვიდობით?

ავტო ახლოს მივიდა.

- „კებ“-მ ამოიღო.

- არ გადამრიო! - გაიცინა ჩიქოვანმა - შენ არ შეგეშინდეს, ხომ არ დაუჭერიათ?

- არა, მერე მოგიყვები. მაშ შევიდეთ? დასალევი გვექნება გზაში? - ჩიქოვანმა ხელი ყელზე მოისვა, აქამდეო, ანიშნა.

- წავიდეთ! კარგია ახლა ბათუმში. წამით შეყოვნდა.

- ის რომ შეგვხვდეს?

- ვინ ის? - გუმანით მიუხვდა ირაკლი, ვინც იყო „ის“.

- შენი თავი.

- მე ვერ მიცნობს და შენ არ ეტყვი!

- წავედით, ჩანთას ჩამოვიტან და წავიდეთ.

- გელოდები. დაუჩქარე.

გარიკა და ვაჟა ერთმანეთში საუბრობდნენ. ირაკლიმ რამდენიმე სიტყვა გაარჩია.

- მამაჩემს ვნახავ, რა...

- ვაჟა! - დაუძახა ჩიქოვანმა - ეგ არ შეიძლება! დღეს არ გინდა, - დაარბილა კილო, რადგან გარიკას გააკვირვებულ სახე გაარჩია ნახევრად სიბნელეში, - დღეს არ გვინდა, თუ ძმა ხარ, მერე გეტყვი, რატომ. ვაჟა მიუახლოვდა.

- მერე შეიძლება? - ყელში ბურთი მოწოლოდა.

- მერე მოვილიქროთ, როგორ, რანაირად. ეს ძნელი საქმეა, გამიგე კაცურად.

- კარგი. წავიდეთ ბათუმში, იქ ვილაპარაკოთ.

- ასე! ძლივს არ მოხვედი გუნებაზე? ახლა ერთი სადმე შევიაროთ, გარიკ, რაღაცეები ავიღოთ და დავაწვეთ! - ამასობაში ავთოც ჩამოვიდა, ხელჩანთა საბარგულში ჩადეს და სალონში მოკალათდნენ.

- წავედით, - თქვა გარიკამ.

- წავედით, - გაიმეორეს მოგზაურებმა.

რამდენიმე წუთში მანქანა ტრასაზე მისრიალებდა. აგვისტოს არაჩვეულებრივი ღამე იდგა, მთვარე ცაში მისდევდა ჩვენს გმირებს, მისი ანარეკლი კი - მტკვარში. გარიკამ რესტორანთან გააჩერა.

- შევიდეთ? - იკითხა ვაჟამ.

- არა, უკვე გვიანია, მე ავიღებ რაღაცეებს და მოვალ. გარიკ, წამოყევი! - ორივენი გადავიდნენ. მოგვიანებით მანქანა ბოთლებით გაივსო.

- ცივია! - თქვა ავთომ, - გზაში დავილოცოთ.

- ჭიქები არ გვაქვს? - იკითხა ვაჟამ.

- პირდაპირ ბოთლიდან დაველით, ესაა რომანტიკა...

- რა დალევს ამდენს!

ირაკლიმ შამპანური გახსნა.

- მოდით, ჩვენს მოგზაურობას გაუმარჯოს!

- გაუმარჯოს!

თითო ყლუპი მოსვეს. შემდეგ შეხვედრის, გაცნობის სადღეგრძელოები ითქვა, ხოლო იქ, სადაც ჯვრის მონასტერი სვეტიცხოველს გადმოჰყურებს, ირაკლიმ მანქანა შეაჩერებინა.

- ეს არის ყველაზე წმინდა ადგილი საქართველოში. დრო ვერ ეხება მარადიულობას, მოდით, მარადიულობის სადღეგრძელო ვთქვათ, - თვითონვე გაეცინა. - როგორ შეიძლება მარადიულობის დღეთა გახანგრძლივება. მოკლედ, როგორც არის, მარადიულობას გაუმარჯოს!

„ხორკლიანი ხეები, ხეკორძულას ხევში,  
წამლექავი წვიმებით წაზნექილნი წელში,  
საქართველოს სათავე - სამთავროთა ესში - მცხეთა!  
„მადლი მაცხეთა!“ - მაცხოვარი მხეში!“

- ეგ ვინ დაწერა? - ჰკითხა ავთომ.

- მე.

- მერე ვერ დაბეჭდე? - გაკვირვებით შეხედა ირაკლის.

- „ჩვენთან“, ავთო, ლექსები აღარ აინტერესებთ.

- ბევრი რამე მაქვს შენთან სალაპარაკო.

- ვიცი. ეს აგვისტო ჩვენს ხელთაა.

- მე სიზმარში ვარ, - თქვა ვაჟამ.

- მართალი ხარ, ვაჟა, იძინე ტკბილად, - გაიცინა ჩიქოვანმა.

ტაქსი დაიძრა. მათ წინ კიდევ რამდენიმე ავტომობილი მიჰქროდა დასაველეთისაკენ.

- დამე მზავრობა უკეთესია, - თქვა მძღოლმა, - გრილა.

- საჭესთან არ დაგეძინოს... თუ შეატყე, რომ გეძინება, შეაჩერე, გამოძინება სჯობს, - ირაკლიმ გარიკას ყოველი შემთხვევისათვის მოგზაურობის წინა „დარიგებანი“ წაუკითხა. ჩიქოვანი გვერდით, უკანა სავარძელზე მჯდომ ავთოს მიუბრუნდა:

- ერთი, დაწვრილებით მიაბზე ის ამბავი...

- იმ დამეს გვაყურებინა კორნელიმ ფილმები, მეორე დღით კი წაიღო, სულ წაიღო. აღარ მაქვსო, თქვა. რაღა გვექნა, ვიცოდით, რომ მას ჰქონდა, მაგრამ სახლში ხომ არ შევუვარდებოდით. მერე აკადემიაში, I განყოფილებაში დამიბარეს. ხომ იცი, ეს რას ნიშნავს?

- კებ-ს!

- ჰოდა, დამიწყეს „კულტურული“ დაკითხვა. ვინ მოიტანა ეს აგრეგატი, უცხოელს ვის იცნობო და ასე შემდეგ.

- რა, კორნელი „ის“ გამოდგა? - აღელდა ირაკლი.

- არ ვიცი. შეიძლება სხვამ ჩაუშვა, შეიძლება თვითონ არის...

- ესე იგი, გადავრჩი. იმ დამითვე რომ არ წავსულიყავი, შეიძლება „კაგებეში“ ვმჯდარიყავი ახლა...

- ჰო, ახლა ყოველ ფეხის გადადგმაზე მაგათი აგენტია.

- რა საშინელებაა! ამ დროში ვერაფერს ვამჩნევდი...

- მაშინ ვიდუო არ გქონდა, ბატონო! გაგიუბული ეძებენ შემომტანს. ამერიკელ შპიონებს ეძებენ. მოკლედ, დიდი ამბებია.

- ვიდუო „ამოიღეს!“

- რა თქმა-უნდა. „იქ“, მოსკოვში აქვთო, ამბობენ. ალბათ შლიან და აწყობენ! - გაბრაზებით თქვა ავთომ.

- აბა, წამიწყვია სსრკ-ს ტექნიკა წინ, არ დავიღუპოთ და კომპიუტერული ტანკები და ეშმაკები არ მოიგონონ ამერიკაზე აღრე... შენი საქმე როგორ არის?



- არ ვიცი, ხანდახან მეძახიან, ხომ არაფერი გაგახსენდაო.

- შენ რა უამბე?

- ჩემთვის ის კაცი უცნობია-მეთქი, მოვიდა და გაყიდვა სურდა-მეთქი, არ ვიცი ვინ არის-მეთქი...

- მერე დაგიჯერეს?

- ბაბუაჩემის ხათრით გარეთ ვარ. ისე არ ჯერათ, აგვიწერე როგორი არისო. მე შენნაირი კაცი აღვწერე.

- რატომ? - შეშფოთდა ირაკლი.

- აბა, კორნელი ხომ აღწერდა შენ თავს?

- ჰო, სწორია! გვარი გკითხეს?

- გელოვანს ვიძახი, იმათაც ასე არ წარუდექი?

- მერე რა უნდათ? ეძებონ გელოვანი, შენ თავი დაგანებონ!

- ეძებენ ალბათ! გელოვანების მეტი რაა, მაგრამ იმათ ვიდევ სიზმრად არ გაუგიათ.

- ვერ იპოვიან ვერაფერს! - დაამშვიდა ჩიქოვანმა - ჯერ ერთი, მაგათ სჯერათ, რომ ეს ამერიკელების გაკეთებულია, ამიტომ ვერც იპოვნიან, იქ ეძებენ, სადაც არ უნდა ეძებონ, ვერ იპოვნიან.

- შენ? - უცებ შეაწყვეტინა ავთომ.

- რა მე? მე გელოვანი არ ვარ, ჯერ ერთი და მეორეც, კორნელის ნახვას არ ვაპირებ, მივდივართ, დავისვენებ და წავალ უკან. ეს საქმე გაუხსნელი დარჩებათ, მერე დაავიწყდებათ. ასე იქნება, ნუ გეშინია!

- ჰო, ალბათ... სხვა რა გზა მაქვს! კიდევ კარგი, ახლა რომ არ ჩამოიტანე.

- სამაგიეროდ კაი საჩუქარი გაგიკეთე.

- რაა ასეთი? საშიში ხომ არაა? - გაიცინა ავთომ.

- ჩანთაში დევს. „ვოლქმენი“. იცი რა არის?

- არა.

- „ეგოისტს“ ეძახიან, გაიკეთებ ყურმილს და უსმენ მუსიკას, არავის აწუხებ. შენს მეტი კაციშვილი ვერ მოისმენს.

- კარგი რაღაც ყოფილა. მერე მაჩვენებ?

- ახლავე მოგცემ. გარიკ, ერთი წუთით გააჩერე.

მანქანა შეჩერდა, ირაკლიმ ჩანთიდან „ვოლქმენი“ და სიგარეტები ამოიღო.

- აი, თქვენ ბიჭებო, ეს სიგარეტები! - თითო კოლოფი გადასცა.

- ოო, „მარლბორო!“ - გაუხარდათ.

- ეს კი, შენ, ამ ყურმილებს ასე იმაგრებ, - თავზე ლითონის სალტე შემოავლო, - ეს კი ქამარზე მაგრდება, აქ კასეტა დევს. თითო „პლეიზე“ ვაჭერთ და მორჩა! გესმის.

ავთომ თავი საზურგეს მიადო, ნირვანაში წავიდა...

- ვინ მღერის? - გაოცებულმა იკითხა.

- მერაბ სეფაშვილი.

- სეფაშვილი?

- ჰო, ედუარდის შვილია, ძმაკაცია ჩემი!

ავთომ მოწონების ნიშნად ცერი ასწია.

- რამდენი წლის ხარ, ავთო? - ჰკითხა ვაჟამ.

- რა მითხარი? - იყვირა ავთომ...
  - რა გაყვირებს? - გაიკვირვა გარიკამ. ვაჟა და ირაკლი სიცილით გასკდნენ, ავთომ ყურმილები მოიხსნა.
  - რა გაყვირებს? - ჰკითხა ვაჟამ. ავთო მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თვითონაც გაიცინა.
  - რამდენი წლისა ხარ?
  - ორმოცდაცამეტო ვარ! ამაზე უფროსი, - ირაკლიზე ანიშნა.
  - თვეებით, - დაუმატა ირაკლიმ.
  - მე სულ ბავშვი ვარ, - მოისაწყლა თავი ვაჟამ.
  - ისე ჩემზე უფროსად გამოიყურები, - უპასუხა ავთომ.
  - ახლა კი!
  - ჰოდა, ახლა რაც ხარ, ის ხარ! - აუხსნა სიცილით ჩიქოვანმა.
  - მე მუსიკას მოვუსმენ. - ავთომ ყურმილები გაიკეთა...
  - უსმინე!
- მაღე ყველას ჩაეძინა, მძღოლის გარდა, რა თქმა უნდა.

\* \* \*

- მზის პირველ სხივებში ნახევარკუნძული გამოჩნდა. ეს გახლდათ ბათუმი: ქალაქი - შეჭრილი ზღვაში. ირაკლის გული უცნაურად აუციმციმდა, რაღაც სასიამოვნო ბწკენა იგრძნო მკერდქვეშ.
- ბათუმი, - თქვა მშვიდად ვაჟამ, რითაც კიდევ ერთხელ განამტკიცა აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანი რაც უნდა უჩვეულო, გაუგონარ სიტუაციაში მოხვდეს, - ყველაფერს ეჩვევა!
  - ბათუმი მაღე! - გაიმეორა ავთომ - ახლა როგორ მოვიქცეთ?
  - ბინა უნდა ვიქირაოთ, ფული გვაქვს, - მიუგო ჩიქოვანმა.
  - რამდენად გადაახურდავე? - ჰკითხა ვაჟამ.
  - ერთი-ერთზე: შავი ბაზრის ფასი ერთი-ორზეა, მაგრამ ძებნა უნდა. მე ერთი-ერთზე მივეცი და 1000 მანეთი ავიღე...
  - ავთოს თვალები გაუფართოვდა.
  - ათასი მანეთი გვაქვს?
  - არა, ცოტა მეტი მაქვს ავთო, დანარჩენი მწვანეა, ოკეანის ფერი, - ჩაიცინა მოგზაურმა.
  - ეგ არავინ გვიპოვოს, თორემ... - კისერთან ხელი გაისვა ავთომ.
  - ბასტა?! - იკითხა ვაჟამ.
  - ბასტა! - უპასუხა ავთომ.
- გარიკა ხანდახან გადმოხედავდა მოსაუბრეთ.
- გარიკ, 200 მანეთი გეყოფა? - ირაკლიმ თუმნიანები გადათვალა.
  - მადლობელი დაგრჩები!
  - ჰოდა, აიღე. ბინას ვიქირავებთ თუ არა, თბილისში წადი!
  - არის, უფროსო!
  - ბინა სად ვიქირაოთ? ალბათ ზღვასთან ახლოს, - აზრი გამოთქვა ვაჟამ.

- ბინას არ ვიქირავებთ. დავიქირავებთ კერძო სახლს, ბათუმში შეუსვლელად, ბარცხანაში. აქ გვეყოლება მასპინძელი, რომელიც არც კი მოგვთხოვს საბუთებს. სოფელია მაინც. - ჩიქოვანმა სიგარეტს მოუკიდა - უზმოზე არასოდეს ვეწევი.

- ქალაქში როგორ ვივლით? - იკითხა ავთომ.

- ტაქსით. ტაქსი 50 კაპიკიდან მანეთამდე დაჯდება, მეტი არა!

- მაშ, გამოჩნდა ეს დასახლება! სად გავაჩეროთ?

- აი, რამდენიმე სახლი რომ დგას ერთად, იქ გავიკითხავთ... - ავთო, მოემზადე, შენი საქმე მოაგვარე! - აუწყა ირაკლიმ.

ცნობილი მსახიობის შვილიშვილი ყველაფერს მიხვდა. გადავიდა და ორსართულიანი სახლის კარებთან მასპინძელს შესძახა.

ამ დროს ქალაქელებს კიდევ სძინავთ, ხოლო მეურნე კაცი უკვე ფეხზეა. მასპინძელი დაბლა ჩამოვიდა. ჭადარა, დაკუნთული შუახნის კაცი. ავთო გაესაუბრა. მცირე ხნის შემდეგ მანქანასთან დაბრუნდა.

- გააქირავებს, საწოლს - ათ მანეთად, მაგრამ კიდევ აქვს ვარიანტი: ძმის დაკეტილი სახლია, ამ სახლის უკან. ასორმოცდაათ მანეთად მოვაქირავებთ, მარტო იქნებითო.

- უთხარი, აგვისტოს ბოლომდე რომ გვინდა?

- იცის... მოკლედ, ავირჩიოთ. მე მგონი, მაინც ბათუმში უნდა ვიყოთ და... 30 მანეთად გვეცხოვრა დღეში, ის ჯობდა.

- მაგას დღეში ასორმოცდაათი არ ენდომება, - ჩიქოვანი მანქანიდან გადმოვიდა.

- გამარჯობათ, ძია კაცო!

- კაი გამარჯობა არ მოგშლოდეს! - ომახიანად შეხვდა მასპინძელი.

- თვეში რამდენი გინდა პირდაპირ მითხარით!

- ასორმოცდაათი. იმიტომ, რომ ბინა დაკეტილია, ჩემს ძმას ფული სჭირდება. გინდა ერთი თვე.

- ესე იგი, 5 დღის ფული გყოფნის, იმ სახლში თუ შევალთ?

- ვერ ვაქირავებთ, ძმაო და თუ ერთად მომცემთ, დაგიტომობ ამ ცარიელ ბინას, გასაგებია?

- გასაგებია. აი თქვენ ასორმოცდაათი მანეთი, - ავთოს თვალი ჩაუკრა, - ბარგი გადმოვიდოთ?

- მობრძანდით, მობრძანდით! - თქვენისთანა ხალხს იქეთ უნდა პატივისცემა, მაგრამ... - ფული გულის ჯიბეში ჩაიდო მასპინძელმა...

ასორმოცდაათი დოლარი დამიჯდა! - გაიფიქრა ჩიქოვანმა, „ჩვენთანაც“, 93-შიც იქირავებ ამ ფასად. სახლი მართლად კარგი იყო. მთლიანად წიწვოვან ხეებში და სუროს ფოთლებში ჩაფლული. იქვე აუზი - შუა ეზოში.

- თევზებია მანდ, თუ დაგჭირდებით, ავერ ვარ!...

- ჯერ არ გვისაუზმია, - გაიცინა მოგზაურმა.

- დილით შემწვარ თევზს არაფლერი სჯობია. ლუდი იშოვება?

- კი, ბათუმის. აქვე გადავირბენ და მოგართმევთ!

ირაკლიმ თუმნიანი გაუწოდა. მასპინძელი გაუჩინარდა. სხვადასხვა ასაკში მყოფი მეგობრები ერთნაირად გახალისდნენ.

- კარგია, რომ წამოვედით, - მეოცნებე გამომეტყველებით თქვა ვაჟამ.

- რა ვიცი, თავი კინაღამ მოიკალი და...

- გიჟი მეგონე, შემეშინდა! - გაიცინა კალანდაძემ.

- პირველად მეც გიჟი მეგონე! - კვერი დაუკრა ავთომ.

- გიჟი ვარ, აბა რა ვარ! - ჩაილაპარაკა ირაკლიმ...

ყველანი გაჩუმდნენ.

- წავალ მე! - თქვა გარიკამ.

- ჭამე და წადი! - მიუგეს ერთხმად.

- არა, ახლავე წავალ, თორემ დაგვიანდება.

- სწორია, გზაში შეჭამ რამეს. - ჩიქოვანი გარიკას გადაეხვია - კოსტუმი წაიღე.

- არ მინდა. შენ უფრო გჭირდება.

- კარგი. სხვა დროს გაჩუქებ კიდე.

გარიკა ბიჭებს გამოეთხოვა. ცოტა ხანში ძრავის ხმა შემოესმათ.

- წავიდა. დავრჩით სამი მეგობარი. ორი მომავლიდან, ერთი წარსულიდან.

- აწმყოდან, - შეუსწორა, - ისე, მეც თუ წამიყვანთ იმ მომავალში, არ იქნება ცუდი - თქვა ავთომ.

- რა, ომი მოგენატრა?

- ომია?

- ჰო, აფხაზეთში ომია.

- მერე?

- არაფერი. შენ იმ ომში ხარ ახლა.

ავთო ჩამოჯდა. თავი ხელებში ჩარგო, ამ დროს აშიშხინებული ტაფა შემოიტანა მასპინძელმა.

- აქეთ მობრძანდით, აივანზე კარგი ჰაერია, მაღაზე მოხვალთ...

ლუდი გახსნეს და გასინჯეს.

- შესანიშნავია! - შესძახა ვაჟამ. - ნახე, რა ქაფი აქვს და რა გემო!

- ბათუმის ლუდი განთქმული იყო! - მიუგო ჩიქოვანმა და მაღალი ჭიქა შეავსო. ჭიქაში მზის სხივი ჩადგა.

- მიყვარს ლუდი!

- ომი არ გიყვარს, არა? - მოულოდნელად თქვა ავთომ.

- არა, არ გვიყვარს, - მოუჭრა ვაჟამ.

- ვინ ომობს?

- ქვეყნები გაინტერესებს თუ პიროვნებები?

- ყველაფერი.

- ავთო, მომისმინე. შენ ახლა ძნელად გაერკვევი მაგ სიტუაციაში. მოკლედ გეტყვი: საქართველოს მიწას ართმევენ. იმათ სხვადასხვა ჯურის ხალხი ეხმარება. იბახიან, ეს მიწა ჩვენიაო. ჩვენ დამპყრობლებს გვეძახიან. იღუპება ხალხი. ბევრი მოხალისედ წავიდა. უფრო ბევრი არსად არ წასულა.

- წავიდა. საზღვარგარეთ გაიქცნენ ბედის საქებნელად - ამოიხვნეშა ვაჟამ.

- ახლა რა მდგომარეობაა?

- სოხუმს ვიცავთ!

- მეც უნდა წავიდე.

- შენ იქ ხარ! მე არ ვიცი, რა შეიძლება ამას მოყვეს!

- გასაგებია. ამ დროს შენ წინ და უკან დადიხარ და ბიზნესს აკეთებ, არა?

- ჰო. მე ბინა დავეკარგე და მაშინ გამოჩნდა ადამიანი, ვინც დამეხმარა. ეს გზა მასწავლა. მეც გავრისკე. ჩვენთან იქ მშვიდობაც ომია. სამწუხაროდ ასეა! - ირაკლი ჩაფიქრდა.

- შენ ის თუ უთხარი, ომი ცხენისწყალთანაც რომ შეიძლება მოხდეს, - წამოიწყო ვაჟამ.

- ვის და ვის შორის? - სულ გადაივლია ავთო.

- ქართველები პარტიებად დაიყვნენ და ერთმანეთს მტრობენ. დეტალები აღარაა საჭირო. დეტალები შენ არ უნდა იცოდე.

- რა, საშველი აღარაა? - აღმოხდა ცოტა ხნის შემდეგ ავთოს.

- არ ვიცი. ვფიქრობ. სხვათაშორის მიფიქრია, რა შეიძლება წარსულში მოიმოქმედო, რომ ეს ცუდი ამბები გამოსწორდეს. ჯერჯერობით ვერ მე გავერკვიე ამ დახლართულ კვანძში. შენი ამბავიც მადარდებს.

- აქაური თუ თქვენი დროის?

- ორივე. აქ არ მომეწონა კორნელის ამბავი, იქაც... რაც მე იოლად მეჩვენებოდა, არ გამოვიდა ისეთი იოლი. ასეთ შემოტრიალებას არ ველოდი ამ საქმისას, - ირაკლიმ თევზი აიღო.

- ვაჟა, ახლა ჩვენ ოცი წლის წინანდელ თევზს გეახლებით.

- საოცარია, აბა გამასინჯე, - ირაკლიმ თევზის ნაწილი გაუწოდა.

- ხო, ხო, ხო, რა ახალივით გამოიყურება!

- ახლა რა ვქნათ? - ეს ავთომ იკითხა.

- ვიგრივალთ! - უპასუხა ვაჟამ.

- მხოლოდ ყოველგვარი სიურპრიზების გარეშე. არავისთან ზედმეტი საუბარი! ჩვენ ვართ თბილისელები და ვისვენებთ. ეს მხატვარია, ჩვენ - ასე ვთქვათ, ხელოვნებათმცოდნეები. ჰა, ხომ კარგია?

- რა უჭირს. ზღვაზე წავიდეთ? „საბანაო კოსტუმები“ წამოიღეთ?

- არა, იქ ვიყიდოთ! ჩვენი დროის „პლაჟკები“ აქ რომ ნახონ გვცემენ, ისეთი კონფიგურაცია აქვს, - გაიცინა ირაკლიმ.

- კი, ბატონო, როგორც გენებოთ, - ხელი ჩაიქნია ავთომ...

- ოღონდ ჯერ ფოსტაში შევიდეთ. - თქვა ჩიქოვანმა.

- ფოსტაში რა გვინდა? - დაინტერესდნენ კომპანიონები.

- ნინო მინდა ზღვაზე დაგპატიოთ!

- რად გინდა? ჩამოსული ქალებით გატენილია ბათუმი.

- მე მინდა ნინოს დაპატიჟება! - კატეგორიულად განაცხადა ირაკლიმ და დასძინა: - საერთოდ ბენდერის არ იყოს, პარადს მე ვუხელობდვანელებს, თუ არ გეწეინებათ! ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვითავს!

- კარგი, არ გვეჩხუბო ოღონდ და... - ჩაილაპარაკა ვაჟამ.

- წავედით ბედის საძიებლად, თავგადასავალთა მოყვარულნი! გაიცინეს. მასპინძელს უთხრეს საღამოს მოვალთო და ქუჩაში გამოვიდნენ. იქვე, შორსწაუსვლელად ტაქსი დაიჭირეს და ქალაქისაკენ გასწიეს. ფოსტაში თბილისის კაბინასთან ასკაციანი რიგი იდგა. რიგი დაიკავეს და სტალინის ქუჩას ფეხით დაუყვნენ. არაჩვეულებრივი ხალხმრავლობა იყო

ბათუმში. ჩიქოვანმა ორი ნაცნობი დაინახა, მაგრამ კონტაქტისაგან თავი შეიკავა. - ყველა ვერ შეძლებს ასეთი რამის გადატანას - გაივლო გუნებაში. გორკის ქუჩაზე, უნივერსიტეტში, ჭრელი, გრძელი საბანაო ტრუსები შეიძინეს, რაღაც ორმანეთნახევრად ღირებული და პლაჟისკენ გასწიეს...

\* \* \*

„შეხედე რა ცაა, ესაა რაცაა, შეხედე რა ზღვაა, ო, ეს ზღვა სულ სხვაა!“ ზღვა მართლად სულ სხვა იყო. ლურჯი, ხასხასა, მომწვანო ცისფერში გადადიოდა და ჰორიზონტის ხაზის აღუნიშნავად ცას ერთვოდა. ათასობით ადამიანი ჯუნგლებში გვალვის დროს წყალთან მისული ცხოველებივით მისხდომოდა სიცოცხლის საწყისს - ზღვას. მეგობრები ქვების ხრაშუნით შეუერთდნენ დამსვენებლებს... ზედ ზღვის ტალღებთან დაიკავეს ადგილი. ტალღები პირობით შეიძლებოდა გეწოდებინათ წყლის ჭავლისათვის, რომელიც ოდნავ თუ გადაუვლიდა გაჩერებულ, გარინდულ წყლის აუმიღვრეველ მასას, რომლიდანაც ფერადი კენჭების ელვა გამოკრთოდა. ტანთ გაიხადეს და პირდაპირ წყალში მოადინეს ზათქი ერთიმეორეს მიყოლებით. ჩიქვანის წინ კალეიდოსკოპივით ჩაიქროლა ფერადმა კენჭებმა, შემდეგ დიდი ქვები დაიძრნენ მისკენ... მან ხელები მძლავრად მოიქნია და მის თვალწინ მზის სხივებით მოვარაყებულ, ქვიშით დაფარული ფსკერი გადაიშალა. იქვე რამდენიმე ღორჯოც გამოჩნდა. საოცარია გამჭვირვალე ზღვაში ჩაყვინთვა! ირაკლის კიდევ უნდოდა ამ მოგზაურობის გახანგრძლივება, მაგრამ შეატყო, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა... წინათ უფრო დიდხანს ცურავდა წყალქვეშ. ზედაპირისკენ დაიძრა, სილურჯე ცისფერში გადადიოდა. ბოლოს მზის სხივი გვირგვინად დაადგა თავზე. აქ მალე ჰაერი დახვდებოდა. კიდევ ერთი ენერგიული მოძრაობა და ის ნახევარი მეტრის სიმაღლეზე წელამდე აღმართული ამოვარდა წყლიდან. გული საშინლად დაეღალა. ჰაერს დიდი სიჩქარით ნთქავდა. დავბერდი - გაიფიქრა შემკრთალმა. ისევ უკან გამოცურა და ნაპირზე ჩამოჯდა. ნელ-ნელა დაუბრუნდა სუნთქვის ჩვეული ღრიტმი. დაღევა და ზღვა ერთად არ შეიძლება. ასე შეიძლება წარსულშიც ჩავრჩე - გაიცინა თავისთვის. უცებ ზურგს უკან ნაცნობი ხმა და გოგონების კისკისი მოესმა.

- გაწყდენ აი, თბილისელები, ფეხის დასადგმელსაც ვერ ნახავ კაცი...  
- ირაკლიმ გია ბერძენიშვილი იცნო, მისი ბავშვობის მეგობარი. გოგონები იცინოდნენ. გია პირდაპირ იმ გოგონებს ჩამოუჯდა. ხალისიანი ბაასი გააბეს... ავთო და ვაჟაც ამოვიდნენ ზღვიდან. გვერდით მიუსხდნენ ირაკლის.

- ავთო, იმ ბიჭს იცნობ? - გიასკენ გაახედა.

- არა, არ მინახავს.

- მე მგონი, ერთხელ გაგაცანი, მახსოვს ბულვარში ლუდს ვსვამდით ერთად... იმ წელს „75“ იყო ჩამოსული... მივხვდი! სამი წლის მერე გაგაცანი, შეხედე! შენ სამი წლის მერე ამ ბიჭს გაიცნობ. მერე,

მოგვიანებით, 83-ში შენ გიას ერთ კაცს გააცნობ, მასთან იქნება სახლში, რომელსაც მალე დახვრეტენ.

- ვის დახვრეტენ? თუ ღმერთი გწამს, მითხარი! - აღელდა ავთო.

- ჯერ არ გეტყვი, ალბათ არ მაქვს უფლება. ყველაფერი დროს მივანდოთ. გაგიჟდები კაცი! - ქვა ქვას დაარტყა ირაკლიმ - შეიძლება მეც აქ ვიყო სადმე, თუ დავინახე, გავაფრენ!

- არ გააფრენ!

- რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

- აქამდე სადაც არ გააფრინე, აწი აღარ გააფრენ! შენ, ჩემო ირაკლი, ყველაფერს შეჩვეული კაცი ხარ უკვე. ყველაფერი მოგწინდა და იმიტომაც მოძებნე ეს გზა...

- ფილოსოფოსობ?

- შეხედე იმ მეორე ბიჭს, უღვაშიანს, იმას თუ იცნობ?

- ოო, ეგ ავთო ფერაძე, ზესტაფონელი, ფლირტის დიდოსტატი. ნახე რას შვება!

- რა უჭირავს ხელში? - კითხვითვე მიმართა ავთომ.

- „ყვავილნარი“. გახსოვს ძველებური საარშიყო ქაღალდები ყვავილების სახელებით? უსმინე!

ავთო ფერაძემ გოგონას ქაღალდი მიაწოდა. გოგონა ფეხზე იდგა, ძოწისფერი საბანაო კოსტუმი ეცვა.

- ჟუნურუკო! - უთხრა ავთომ. გოგონამ დაიმორცხვა, სხვებმა სიცილი ატეხეს.

- იელი, - უპასუხა გოგონამ და გაღიმებულმა ჩიქოვანისკენ გამოიხედა, გოგონას ღიმილი შეაშრა... შემდეგ მეგობრებში ჩაჯდა... თვალს მიეფარა. კენჭების გროვის უკან ნინო იჯდა თავის მეგობრებთან ერთად. ჩიქოვანი სიხარულნარევი მღელვარებამ მოიცვა. თავის წამოწევა აღარ უნდოდა, ზურგზე გადატრიალდა და ცას თვალი გაუსწორა, მზემ თვალეში თეთრი აბლაბუდა ჩააქსოვა მყისვე...

- ავთო, ზევით ნინოა! - ჩასჩურჩულა ოცი წლის უმცროს თანატოლს.

- ვინ ნინო? - იკითხა ვაჟამ.

- ჩვენი ნინო, - მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა ავთომ...

- ერთი ჩაიხედე რა, ნახე, მე ხომ არა ვარ მაგ კომპანიაში. წესით არ უნდა ვიყო. არ მახსოვს ეს დღე... თუ არ ვიქენი, სადილზე უნდა დავპატიოთ. გაიგე? რაც უნდა მოხდეს, ეგრე მინდა...

ავთომ თავი დაუქნია და შიშველი ფეხებით გაგარვარებული ქვები იოგივით გადაიარა.

- ვა, ავთო, შე ძველო! - დაუძახა ფერაძემ - გაიცანით, ჩემი მეგობარი

- ავთო ხვიჩია.

- ჩვენ ვიცნობთ, - გაიცინა ნინომ.

- საიდან შეიკრიბეთ ეს კარგი ხალხი? - ავთო მათთან ჩამოჯდა. ჩიქოვანი ვეღარ არჩევდა მისკენ მომავალ ხმებს, რადგან მათ შორის მსხდომი კომპანიიდან ვიღაცამ გიტარა ააუღარუნა:

„პირველი თოვლი მოვიდა ციდან,

თან პოეტების ჩამოყვა სევდა“...

ირაკლის გული შეეკუმშა... მას გაახსენდა ეს სიმღერა და ეს კაცი. სადღაც შორს, წარსულში, ზღვის არიას რომ მღეროდა:

„...პირველი თოვლი ტალახად იქცა  
რა დაემართა პირველ სიყვარულს.“

სიმღერა ნამდვილად მასზე იყო ზედგამოჭრილი! ფეხზე წამოხტა და წყალში გადაეშვა. ზუსტად ახლა იყო საჭირო არა მარტო სხეულის, არამედ სულის გაგრილებაც...

ავთო დაბრუნდა. ვაჟაც მას ახლდა, მხიარულად იცინოდნენ.

- ეს სიმპატიური ბიძა ვინ არისო, შენზე იკითხა ფერადემ.

- ბიძას მივცემ მე მაგას, - მერე გაეცინა, - თუმცა სწორია, ჩემზე უფროსი კია ერთი - სამი წლით, მაგრამ ახლა...

- ახლა რაც ხარ, ის ხარ! - მოუჭრა ვაჟამ.

- ჰო... სამწუხაროდ...

- კარგი რა, „სიმპატიჩნი“ ბიძებს ეძებს ყველა...

- თანაც ფულიანს, - ჩაურთო ავთომ.

- დაპატიუე? - პასუხის მოლოდინში საუკუნე გავიდა თითქოს.

- შენ სადღაც ხარ... სტუმრად. ისე გახსენებს. მე ვუთხარი, ახლავე ვისადილოთ, ეს ჩემი უფროსი მასწავლებელი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი გვპატიუებს-მეთქი...

- კარგიო, ძალიან კარგიო, გამოვიცვლით და მოვდივართო.

- ნინო როდის ჩამოვიდა?

- სამი დღის წინ ჩამოსულა.

- იმიტომაცაა ასეთი თეთრი, - გაიცინა ვაჟამ.

- რამდენი არიან?

- ფერადემს დღეს გაუცვინა. ეგ და მისი ძმაკაცია, იცი შენ, გიტარაზე რომ უკრავდა და სამი გოგონა...

- ნინოს არც ერთი არ მიეკარებოთ, - მძიმედ თქვა ირაკლიმ.

- მაგ ჭკუაზე ვართ სწორედ, შენ გადაგიკიდებო, ჩვენთვის გამოჩნდება ვიღაცა.

- არა, ისე ბედი მაინც რა არის არა? უნდა დაგვერეკა. გვეწვალა ან ჩამოვიდოდა, ან არა და ა, ბატონო, აქ არ არის? - იანგლა ვაჟამ.

- ეს ბედისწერაა! - ირაკლიმ პერანგი შეიკრა. - ეს ჩემს მიერ სულელურად ჩაუდენელი საქციელის კომპენსაციაა.

ავთო გაკვირვებული უყურებდა.

- შენ მართლა ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატი ხომ არ გახდი, ბიჭო?

- არა, ავთო, მე დოქტორი ვარ. მე და ვაჟა წინ წავალთ... რომელი საათია? პირველი.

- ინტურისტში ორის ნახევარზე იყავით, იქ ბევრი ხალხი იქნება და ადგილებს დავიკავებთ.

- კაფეში? - ჰკითხა ავთომ.

- კაფეს ასაკში ვარ მე? - ისეთი ნაწყენი ხმით უთხრა ირაკლიმ, ავთო ჩუმად გატრიალდა.

ჩიქოვანმა ახალგაზრდათა კომპანიას თავი დაუკრა და ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა პლაჟი.



\*\* \*

უშიშროების კომიტეტის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა.

- გისმენთ, დიას მე ვარ!

- .....

- ის კაცია ნამდვილად?

- .....

- ...მხოლოდ აღწერილობა, საბუთი არაა...

- .....

- გასაგებია. ისევ იმ ახალგაზრდას ახლავს და ამიტომ გაქვთ ეჭვი. ყოველ შემთხვევისათვის თვალყური ადევნეთ. უსაბუთოდ არ აიყვანოთ, გასაგებია? მხოლოდ თვალყური ადევნეთ, ოღონდ ისე არა, თქვენ რომ იცით. ყველა, მათ შორის ბავშვიც რომ ხვდება, სად მუშაობთ. შედით კონტაქტში! მოვლენათა განვითარება მომახსენეთ!

- .....

ტელეფონი გაითიშა. უშიშროების უფროსი ფანჯარასთან მივიდა და შორს გაიხედა. კედელზე ძერჟინსკის პორტრეტიც სადღაც შორს და მკაცრად იცქირებოდა.

\* \* \*

ახალგაზრდები რესტორანში შემოვიდნენ. ნინოს თეთრი სარაფანი ეცვა და ძალიან ლამაზი იყო. ღხათუნაც იქ გახლდათ. მიესალმნენ ირაკლის და ვაჟას. მეგობარი გოგონაც წარუდგინეს.

- მარინა, - თქვა რევერანსით გოგონამ.

- ბალერინას ჰგავს! - გაიფიქრა მოგზაურმა. ლამაზად გაშლილი სუფრა დამსვენებელთა თვალს იზიდავდა. ზღვამ საოცრად იცის მადის გაღვიძება. ცივი შამპანურები გედის ყელივით მოჩანდნენ ყინულით სავსე ვერცხლისფერი ლარნაკებიდან, ყვავილებიც თავისებურ, ამადლებულ განწყობილებას ქმნიდა.

ამ ფონზე მათი დაუდევარი ჩაცმულობა ასაკოვანი ხალხის გაკვირვებულ მხერას იწვევდა. ჩიქოვანი მოურიდებლად დაჯდა ნინიკოს გვერდით.

- მე თქვენ მახსოვხართ, - ღიმილით მიმართა ნუგზარს, - გახსოვთ, ამას წინათ თბილისში...

- როგორ არ მახსოვს, ბატონო ირაკლი. რა დამავიწყებს იმ დამეს, ეს რა საოცნება ვნახეთ...

- ძალიან გთხოვთ, ამის შესახებ - და ირაკლიმ საჩვენებელი თითი ტუჩზე მიიღო, თან ნინიკოს გადახედა - თქვენს მეტი მე აქ არავინ მიცნობს...

- საიდან იშოვეთ, ბატონო ირაკლი? - საუბარში ჩართვა სცადა ნუგზარმა, მაგრამ ჩიქოვანმა უცებ მოუჭრა.

- არ დაასახელოთ. ამერიკიდან არის შემოტანილი. ამაზე საუბარი ძალიან საშიშია, გაუფრთხილდით მეგობარს, - ავთოზე მიანიშნა.

სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა დაიძაბა. აღარ იცოდნენ, რა ვთქვამს.

- გამაცანით, ნუგზარ, თქვენი მეგობარი, - დუმილი ისევ ჩიქოვანმა დაარღვია.

- ავთანდილ ფერაძე. მსუბუქი წონა. ზესტაფონიდან! - თავად წარუდგინა თავი ახალგაზრდამ.

- ჰოდა, ჩემო ავთანდილებო, გაიცანით ჩემი მეგობარი, ხელოვნებათმცოდნე ვაჟა კალანდაძე. მე კი, უბრალოდ, ირაკლი ღამიძას ვეცნობ, ან - ბატონო ირაკლი, როგორც გენებოთ...

- ირაკლი, მომაწოდე სალათა, თუ შეიძლება - ეს ნინომ უთხრა. ირაკლი ჩიქოვანს გააჟრჟოლა. სალათით სავსე სინი ნინოს დაუდგა წინ.

- თქვენც გადაიღეთ, გოგონებო!

- აბა, გავშინაურდეთ, გავშინაურდეთ. ამ ჭიქით მე მინდა ჩვენი გაცნობის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, - წარმოთქვა ფერაძემ. ყველამ შესვა ცივი მათრობელა სითხე...

- თქვენ სად მოღვაწეობთ? - მოულოდნელად ჰკითხა მარინამ. ირაკლის გაახსენდა, აქ ორი სტუდენტი კიდევ იყო სამხატვრო აკადემიიდან.

- მე მეცნიერებათა აკადემიაში. ხელოვნების სფეროში, ასე ვთქვათ რეფერენტი ვარ.

- პოეზია გიყვართ? - ჰკითხა ისევ მარინამ.

- ძალიან, - უპასუხა ირაკლისთვის მოულოდნელად ნინომ.

- შენ რა იცი? - გაიკვირვებს გოგონებმა.

- ვიცი, მოსმენილი მაქვს მისი ადრინდელი ლექსები.

- ნუგზარიც წერს ლექსებს, - განაცხადა ავთო ფერაძემ.

- ჰო, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს ცუდი. ყოველ შემთხვევაში გადაავლეთ თვალი, ბატონო ირაკლი. ეს „ბატონო“ ძლივს წარმოთქვა ავთომ.

- სიამოვნებით, მაჩვენეთ თქვენი ლექსები და დაგეხმარებით! - ნუგზარი გაწითლდა.

- თქვენ როდის მიბრძანდებით? - მორიდებით ლჰკითხა მასპინძელს.

- იცი, რა, ... ავთოს გადაეცით და ის მომაწოდებს. ახლა კი ჩვენი გოგონების სადღეგრძელო შევსვათ...

ფერაძემ დიდხანს ილაპარაკა ქალის როლზე ამქვეყნად. ყავა შემოიტანეს. შამპანური ნელ-ნელ ავსებდა ტვინის უჯრედებს. ყავასაც სვამდნენ და ხელოვნების მაღალ მატერიებზეც საუბრობდნენ.

- მე მახსოვს, ირაკლი მკითხაობდა, - ისე, სხვათაშორის ჩაურთო ავთომ, - ჩაუხედავ გოგონებს?

- მკითხაობა ცოდვია ქრისტიანული გაგებით.

- თქვენ მორწმუნე ხართ? - გაიკვირვა ხათუნამ.

- რატომ გიკვირთ? - კითხვითვე უპასუხა მოგზაურმა.

- თქვენი თაობის ხალხს საერთოდ არაფერ სწამთ, - ისევ ხათუნამ თქვა. ავთოს ჩაეცინა და ისე შეხედა ირაკლის, აბა, რას უპასუხებო, - თვალებში ეწერა.

- იცით, რა... არსებობენ სხვადასხვა ინტერესების, სხვადასხვა გემოვნების, ცოდნისა და ასევე რწმენის ადამიანები... უხერხული კია ჩემგან ასეთი სიტყვები, მაგრამ დაკვირვებული ვარ, რაც უფრო მეტი შეკითხვა ებადება ამქვეყნად ადამიანს, მით უფრო მეტი იცის და ამავე დროს უფრო რწმუნდება თავის უცოდინარობაში, თუ გნებავთ უსუსურობაში და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ის მიდის ღმერთის, აბსოლუტის აღიარებამდე, უფრო სწორად, ღმერთის შეგრძნებამდე.

- საუბარმა საინტერესო სახე მიიღო. ყველანი სულგანაბულნი უსმენდნენ. წინა თაობის ადამიანებს აკმაყოფილებთ ახსნა იმისა, თუ რატომ მოდის თოვლი ან წვიმა. ის, რომ ელექტროდენი მათ სახლებს ანათებს. ის, რომ გამოიგონეს ავტომობილი, რადიო, ტელევიზია. ეს მცირე ცოდნა მათში აღარ ბადებს უკმარისობის გრძნობას. აინშტაინი კი ამბობს: რაც უფრო წინ მივდივარ ჩემი მეცნიერული მუშაობით ბუნების შეცნობის გზაზე მით უფრო ვგრძნობ, რომ ჩემზე მოქმედებს აბსოლუტური სული. ციტატა ზუსტი არაა, მაგრამ აზრი ასეთია. სხვათა შორის, თქვენ გასწავლიან, რომ სამყარო უსასრულოა, ამით მატერიალური სამყაროს თავისთავადობასა და თვითმარეგულირებელ ბუნებაზე მიგანიშნებენ. მე კი თქვენს ყურადღებას ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მივაპყრობ: განა ჩვენთვის, ადამიანებისათვის, სასრული არ არის რამდენიმე მილიონი სინათლის წელი? ამდენი ნისლეული, გალაქტიკა, პლანეტები და ის დრო, რაც იქამდე მიღწევას ჭირდება, სასრული არ არის? ეს უსასრულობა სასრულია! მიუწვდომელია! მაგრამ არის რწმენის გზა, ღვთის გზა, მაშინ სულიერი ენერგიით, სულის თვალებით ყველაფრის ხილვა და შეგრძნება შეიძლება.

- მაშ ჩვენს ღმერთს გაუმარჯოს! - ჩაეცია მცირეოდენ პაუზაში ვაჟა.

- ღვთის დიდება იყოს, ვაჟა! ადამიანი ღმერთს ვერ აღღვგრძელებს, ეს მკრეხელობაა!

- ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

- მე მაინც მგონია, რომ თქვენ ცალმხრივად მსჯელობთ! - თქვა ხათუნამ.

- წინათ ამ გოგონასთან ირაკლის დილაამდე კამათი შეეძლო, მაგრამ ახლა უცებ დანებდა.

- შეიძლება. მაპატიეთ. სიტყვა გამიგრძელდა, - ასეთმა გადასვლამ სიმშვიდესა და სიხალისეს გაუხსნა გზა.

ვაჟამ ანეკდოტები წამოიწყო, ყველანი გამხიარულდნენ. ირაკლიმ გრძელი, თხელი თითების შეხება იგრძნო.

- რა კარგად ილაპარაკე, - ჩასჩურჩულა ნინომ, - ვგრძნობ რომ ასეა, მაგრამ ვერ გამოვხატავდი შენსავით.

ირაკლიმ ორივე თვალი ჩაუკრა და მომხიბვლელად გაუღიმა. დარბაზში მუსიკა აუღერდა, ლამაზი, ნაზი მელოდია საცეკვაოდ უხმობდა დამსწრეთ. ლირაკლი ჩიქოვანი ფეხზე წამოდგა, ოდნავ უკან დაიხია და დარბაისლური ქესტით ნინო საცეკვაოდ გაიწვია. „ავთანდილები“ წამოდგნენ. უწყვილებოდ დარჩენილნი ვაჟა და ნუგზარი კი სხვა მაგიდაზე გადაიპატიჟეს.

ნინოსტანის შეხებაზე ირაკლის ჟრუნტელმა დაუარა. იგი თვალდახუჭული ცეკვავდა და მაინც ხედავდა ნინოს. ვით გახლენილი, ორად განცალკევებული არსება ეძებს თავის მეორე ცალს, ისე იდგნენ საღდაც უხსოვარ საუკუნეებში ჩაძირულნი, ერთ არსად ქცეულნი. ეს არ იყო ცეკვა. ეს იყო იღუმალი შრიალი მუსიკის თანხლებით.

- ხომ გიპოვე? - ჩასჩურჩულა ირაკლიმა.

- ჰო, - უპასუხა ნინომ.

ეს იყო და ეს, მეტი არაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვის.

- ზღვაზე გავიაროთ, - თქვეს გოგონებმა ისე, რომ მაგიდასთან არც კი დამსხდარან. უსიტყვოდ წამოიშალნენ და ქუჩაში გამოვიდნენ. მიდიოდნენ ჩუმად. ბულვარი თეთრებში გამოწყობილი ხალხით იყო სავსე. სეირნობდნენ ხელიხელჩაკიდებულნი, ხელიხელგადახვეულნი. ეს იყო სიკეთის, სიყვარულის სამეფო. რადიორეპროდუქტორი ქართულ სიმღერებს გადმოსცემდა.

- ნუგზარ, - მიუტრიალდა ჩიქოვანი, - მალე შენს სიმღერებს ამ რეპროდუქტორით გადმოცემენ და არა მარტო ამ რეპროდუქტორით...

- გმადლობთ.

- რა კეთილი ხარ! - უთხრა ნინომ. - კარგია, გული რომ გაუკეთე...

- მე კომპლიმენტი არ მითქვამს, ეს სიმართლეა...

- ესე იგი... - წამოიწყო ქალიშვილმა, - შენ გინდა თქვა, რომ მომავლიდან ხარ?

- კი, ნინო. ასეა, ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ შენ უკვე იცი ეს...

- მე მჯერა შენი. შენ გინდა, რომ „იმის“ ცოლი გახდე?

ირაკლი მიხვდა, ვიზეც იყო საუბარი. შეჩერდა.

- მე ცოლი მყავს. მე ამას ვერ გადავწყვეტ, არ შემიძლია ამაში ჩარევა, არ ვიცი, რა მოხდება...

- მე გავყვები. ის შენსავით კარგი, კეთილი და ჭკვიანი იქნება და იქნება ჩემი!

- მოდი, ხვალ ვილაპარაკოთ ამაზე. ტელეფონი გაქვს?

- კი. 75-75.

- დაგირეკავ.

- „იმან“ რომ დარეკოს?

- გულს ნუ გაუტეხ. რომ იცი, „ის“ მე ვარ! ისე, ხვალ მე მინდა გნახო, მას ბევრი დრო ექნება, - შენც!

- ჩვენ აღარ გველაპარაკებით? - ჩაერია საუბარში ავთო.

- ჰო, ავთო, გისმენთ, - შეწუხდა ნინო - ცოტა გავერთეთ და...

- ვიღაც საეჭვო ტიპი მოგვეყვება...

- რომელი? - თვალი მოავლო ბულვარს ირაკლიმ.

- ნუ იხედები. უკან, პიჯაკით რომ მოდის. ახლა ჩამოჯდა, ჩვენ რომ გავეჩერდით.

- პიჯაკი რა შუაშია?

- რა დროს პიჯაკია, მითხარი?! - ავთო ხმადაბლა ლაპარაკობდა.

- მოგეჩვენა, თუმცა მოგეჩვენა ვითომ? შეიძლება გვითვალთვალებენ, არ არის გამორიცხული...

- გამორიცხული კი არა... ჩვენი ასე სიარული არ შეიძლება!

- აბა, რა ვქნათ? სად დავიმალეთ? ნინო! - უცებ მოიფიქრა - შენ აქ აუცილებლად უნდა იყო?

- ვერ გავიგე!

- ბათუმში უნდა იყო-მეთქი? სხვაგან რომ წავიდეთ რამდენიმე დღით? ვთქვით, ლენინგრადში თუ სანკტ-პეტერბურგში?

- ხანდახან ყოველდღე მირეკავენ... ისე კი, კარგი იქნებოდა...

- შენ, რა, გგონია, იქ ვერ მოგაგნებენ? - ჩაერია ავთო.

- მართალია... იქნებ მაცალონ, არ მოგვკიდონ ხელი... თუ არადა გავიქცევი ისევ „იქ“...

- კი, მაგრამ გზაში ვერ დაგვეწვიან? - უიმედოდ თქვა ავთომ.

- ბოლოსდაბოლოს რა უნდა მითხრან? გავალ უარზე, არც ვიდეო ვიცი, არც კორნელი და საერთოდ... მე ვიცი რაც უნდა ვქნათ, ახლა ხმამაღლა ვიტყვი, რომ სვანეთში ან ხევსურეთში მივდივარ. შენც ამიბი მხარი, მერე „ბარცხანაში“ წავიდეთ. კაციშვილმა არ იცის, იქ რომ ვართ გაჩერებულნი.

- ნუგზარ, ნუგზარ! - დაუძახა ირაკლიმ წინ მიმავალთ.

- რაშია საქმე? - გამოსძახეს იქედან.

- ჩვენ ხვალ დღით ზუგდიდში მივდივართ, მერე სვანეთში, წამოხვალთ?

- მოიცადეთ, მოვალთ და მოვილაპარაკოთ! - ოთხივენი უკან გამობრუნდნენ.

- მაგას არ ჭამენ ეგენი! მაინც გამოგვედევნება, ზის, ფეხს არ იცვლის, - ჩაიღრინა ავთომ.

- მოდი, ჩვენც ვითომ არაფერი ვიცი და პირდაპირ მასთან ჩამოვსხდეთ, ნახევარი სკამი ცარიელია, - მოიფიქრა ნინომ. ასეც მოიქცნენ. პიჯაკიანი გაოგნებული უყურებდა, როგორ მიუახლოვდა ახალგაზრდათა ჯგუფი და უცერემონიოდ ლამის სკამიდან როგორ გადააგდეს მისი პერსონა.

- რას ჰგავს ეს? რა ახალგაზრდობა მოდის! თქვენი იმედი აქვს ამ ქვეყანას? ვაი თქვენს პატრონს! - ხელების ქნევით გასცილდა პიჯაკიანი.

- მისტერ შერლოკ ჰოლმს! მგონი კოვზი ნაცარში ჩაგივარდათ!

- მერე, რა სჯობს მაგას, დოქტორ ვადსენ? - გაიცინა ავთომ. ნინოც იცინოდა. სხვებმა კი არ იცოდნენ, რა აცინებდათ. მარინამ იკითხა, სვანეთში როდის ღმრთობდით.

ამაზე სულ გადაირივნენ.

- სვანეთშიო? აბა ნარდი და წავედით სვანეთში - გაჰყვიროდა ავთო.

- უკვე გვიანია, - თქვა ნინომ. - ძალიან ვინერვიულე, სახლში გაგვაცილეთ... და წადით სვანეთში... ხვალამდე! სიცილ-სიცილით გაუყვნენ გზას. გოგონები ბათუმის ცენტრში, მამაკაცები - ბარცხანაში...

...იმ დამით კიდევ გადაიცა შიფრი უშიშროების კომიტეტში: „როგორც ინფორმატორი გვატყობინებს, მოსალოდნელია „ობიექტის“ სვანეთში გადაადგილება, თუმცა ცნობა მთლად სანდო არ უნდა იყოს“, იქედან უპასუხეს, რომ ყოველი შემთხვევისათვის ასი ყური და ასი თვალი გამოვბათ.

სახლისკენ მიმავალი ნუგზარი და ავთო ერთმანეთში საუბრობდნენ:

- ირაკლი ჩიქოვანს არ ჰგავს ეს კაცი?
- ჰო, იქნებ ნათესავია...
- არა. ერთხელ მაინც ახსენებდა... უბრალოდ ჰგავს, ხდება!

\* \* \*

ძველ სახლში ბევრი საინტერესო რამ არის ხოლმე. რას არ ნახავ აქ: ყანჩასავით ცალფეხზე შემომდგარ ძველებურ კაკლის ნარდს, გუგულიან, გაჩერებულ კედლის საათს, ტელეფონის უციფერბლატო დიდ და შავ აპარატს, სამახსოვრო წარწერებიან, მოჭიქულ მაღალ, თეთრ სურებს, ვერცხლით მოოჭვილ გაუთავებელ ყანწებს, წარწერებიანს, რა თქმაუნდა, თეთრტილო შემოკრულ სავარძლებს, გაყვითლებული გაზეთებით სავსე ხის წიგნების კარადას... ამ კარადაზე შეაჩერა ირაკლი ჩიქოვანმა ყურადღება: გიორგი შატბერაშვილი, აკაკი ბელიაშვილი, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ აბაშიძე, სამი მუშკეტერი, სტალინი... მუქ ყავისფერ ძვირფას ყდებში ჩასმული სტალინის მრავალი ტომი.

- როგორ სჯეროდა ხალხს - გაიფიქრა ირაკლიმ. ბიჭები წამოწოლილნი საუბრობდნენ. ჩიქოვანმა გაზეთების დიდ გროვას ქვედა თაროდან ტახტზე მოუნაცვლა ადგილი. წამოწვა და კითხვა დაიწყო.

- რას კითხულობ? - შეეხმიანა ვაჟა.

- ძველ „ახალ“ ამბებს...

- კარგად დავიწყებული ძველი ყოველთვის ახალია - გაიცინა ავთომ.

- ეს ახალთახალი ყოფილა...

- რა წერია, ერთი გამართუ თუ ძმა ხარ... ჭკუაზე აღარ ვარ შენი გადამკიდე! - ავთო პირქვე დაწვა და ხელები ნიკაპქვეშ დაიწყო.

- „წინ, ნათელი მიზნისკენ!“ - ასე ჰქვია ერთ სტატიას...

- რას ერჩი?

- „ტემპი! ტემპი! ქობულეთელი მეჩაიებო!“ და ა. შ.

- შენ, იცი, ერთი თამაში იყო - შეაწყვეტინა ავთომ. - პორნოგრაფია, რომ გაგზავნეს „ლიტერატურნაია გაზეტაში“, ამას როგორ დაასათაურებთ, პატივცემულო რედაქციავო?

- მერე, როგორ დავასათაურებთ? - ყურები ცქვიტა ვაჟამ.

- ნებისმიერი საბჭოთა გაზეთის სტატიათა სათაური ზედგამოჭრილია ამ ფოტოსურათისათვის. აბა, წაიკითხე რომელიმე სათაური, თან პორნო წარმოიდგინე!

- ახლავე, - ჩიქოვანმა შუა გვერდი გადაშალა - „არ ჩამოვრჩეთ არავის!“ - სიცილით გაიგუდნენ.

- კიდევ, კიდევ!

- „ჩვენი ნობათი პოლონელ მეგობრებს!“ (სიცილი), „რა ხდება მეტალურგიულ ქარხანაში“ (სიცილი), „გემის გადაჭარბებით“ (სიცილი), „აი, ვინ გვარცხვენს“ (ხანგრძლივი სიცილი), „შეხვედრა კრემლში“, „მუშათა კარგი წამოწყებანი“, „კაპიტალისტების ხრიკები“, მოკლედ, ყველა უხდება! (ხანგრძლივი, მქუხარე ოვაციები შეძახილებით: „რა ვიცინეთ?“ „ყოჩაღ“, „გაუმარჯოს საბჭოთა პრესას“ და ა. შ.).

- კრიმინალური ქრონიკა არ არის? - მოსულიერდა ავთო.
- ეგ მეოთხე გვერდზე უნდა იყოს... აი, არის! „კრიმინალური ქრონიკა!“ „გასულ კვირას, ღამის 2 საათზე, 43-ე მაღაზიას სატვირთო მანქანა მიაღდა. მძღოლი დონდუზოვი გ. ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მან ჩაღეწა მაღაზიის ვიტრინები და რამდენიმე ყუთი არაყი გაიტანა, ამასაც არ დასჯერდა და ხელს გააყოლა თევზის რამდენიმე კონსერვი, ძეხვეული და სხვა ფართო მოხმარების საქონელი. დონდუზოვი დაკავებულია, იგი კომკავშირელია. საკითხავია, სად იყო ამ დროს კომკავშირული ორგანიზაცია?“.
- იფ, რა „ნიუორკ ტაიმის“ დონეა?! - მოიწონა ავთომ.
- „ვიდრე ურემი გადაბრუნდება?“ - ასეთი სათაური აქვს ერთ სტატიას.
- ეგ არ გვინდა. სასოფლო თემა იქნება! - თქვა ვაჟამ.
- ურემი გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი შე... - ჩიქოვანმა მეორე გაზეთი აიღო, გადაათვალიერა და წაიკითხა:
- „ნილაბი ჩამოხსნეს!“
- ოო, ეს საინტერესოა! - მოიცა მოვუკიდოთ და გაგვაგებინე, ვინ იყო ეს ქვეყნის დამაქცეველი...
- „ადამიანი, რომელზედაც ვსაუბრობთ, ჩვენს შორის, პატიოსანი მშრომელების გვერდით ცხოვრობდა, წლების განმავლობაში დაუმსახურებელი პატივით სარგებლობდა, ეგონა, საბჭოთა სამართალს, ხალხის რისხვას დავემალეობო. ასეც იყო კარგა ხანს, ვიდრე მისი „მოღვაწეობის“ შესახებ „სიგნალი“ არ მივიდა შესაბამის ორგანოებში. ჩხრეკისას, თამბაქოს ფაბრიკის ყოფილი ხელმძღვანელ რ. ნადირაძეს რამდენიმე კგ. ოქრო აღმოაჩნდა. ძვირფასი ქვები, სხვა ძვირადღირებული ნივთები, ფული 100 ათასი მანეთი. დამნაშავეს ნილაბი ჩამოხსნეს! ახლა სიტყვა სასამართლოზეა! განაჩენი მკაცრი იქნება!... ცოტა ხნით სიჩუმემ დაისადგურა.
- ჩვენზეც თუ ასე დაწერეს... - ჩაილაპარაკა ავთომ.
- მოიცა, წელი ვნახო ამ გაზეთის... - ჩიქოვანმა თარიღს დახედა - 1953 წლის სექტემბერი ... ეს ფრიად საინტერესოა!
- რატომ არის საინტერესო? - ჰკითხა ვაჟამ.
- იმიტომ, რომ შეიძლება გაგება რიცხვის, როდესაც თავსი დაადგენ!
- მერე... ეგ რიცხვი რაში გაინტერესებს?... - ვერ ხვდებით? - ჩიქოვანი ფეხზე წამოხტა, - შეიძლება წინა დღეებში მასთან მისვლა, ამ გაზეთის ჩვენება და...
- ის ყველაფერს გადამალავს და ვედარაფერს უპოვნიან! - გაუხარდა ავთოს.
- ყველაფერს თუ არა, ნახევარს მაინც გადაარჩენს! - მტკიცედ თქვა მოგზაურმა.
- ეგ ნახევარი რაღას ნიშნავს? - დაიბნა ვაჟა.
- მე მომცემს! - ამაყად გადახედა „ამფსონებს“.
- მეც გამიყოფ, არა? - აღელდა ვაჟა.
- კარგით, მერე ვნახოთ, რაც იქნება. ახლა ეს დარდი მომაცილებინა...
- წავიდეთ უკან!
- რომ დაგვიჭირონ?

- ნივთმტკიცება არაფერი გვაქვს. ისე რატომ უნდა დაგვიჭირონ?  
- მოკლედ, ახლა დავიძინოთ! ხვალემ უკეთ იცის ხვალისა, თანაც  
ნინოს უნდა შევხვდე...

შუქი ჩააქრეს... სიჩუმეში კოლოების ზუზუნილა თუ ისმოდა... 1973  
წლის აგვისტოს კიდევ ერთი დღე მიიღია.

\* \* \*

- ზღვაზე მივდივართ, - განაცხადა ირაკლიმ. - ამ ზღვის დათმობა არ  
შეიძლება! - ისაუზმეს. მასპინძელმა ისევ თევაზი მიაერთვა სტუმრებს. ისევ  
ლუდი...

- დღეს წყალში არ ჩახვიდე, - უთხრა ვაჟამ.

- ცოტა გავერილდეთ.

პატარა მოედანთან მაღაზია შენიშნეს. მაღაზიაში არავინ იყო,  
გამყიდველის გარდა.

- გარეუბნის მაღაზიებში კარგი რაღაცეები იცის, - თქვა ავთომ.  
რადიოში ნაცნობი ხმა შემოესმათ, რუსულად ლაპარაკობდა.

- ვა, ლეონიდ ილიჩს ვახლავარ, - გაიცინა ვაჟამ. მაღაზიაში  
ყველანაირი საქონელი იყო, ფეხსაცმელებიდან დაწყებული ლურსმნებით  
დამთავრებული.

ირაკლი მუსიკალურ „განყოფილებას“ მიადგა. კედელზე ელექტრო  
გიტარა ეკიდა, გერმანული „მუზიმა“. გაეცინა. ავთო მიახედა გიტარისკენ.

- რა ღირს ახლა ეს?

- რა ღირს, ქალბატონო?

- 200 მანეთი.

- ვიყიდოთ?

- რად გინდა? - გაუკვირდა ვაჟას.

ავთოს არა აქვს. ისე, ასეთი გიტარა ჩვენთან რელიქვიაა, ხომ არ  
წავიღო, იაფია თან...

- რა არის ლახალგაზრდა, იაფი? - იკითხა გამყიდველმა.

- ეს კარგი გიტარაა, იმიტომ ვთქვი, - მომეცით თუ შეიძლება...

- ახლა ამ გიტარით სიარული არ გინდა? - დაიზარა ვაჟამ.

- სახლში დავტოვებთ, იყოს. რას უბერავს? ცხონებული? - რადიოზე  
მიანიშნა.

- ბრეჟნევი მოკვდა ბოლოსდაბოლოს? - გაიცინა ავთომ.

- კი. ზოგიერთების აზრის მიუხედავად, მოკვდავი აღმოჩნდა და  
მოკვდა... ისე კი აწვადეს საწყალი...

- ამხანაგო, აქ ასეთ პროვოკაციებს თავი დავანებოთ, - ცივად თქვა  
გამყიდველმა.

- რა, არ შეიძლება ბრეჟნევი მოკვდეს? - განცვიფრება გამოხატა  
მყიდველმა.

- მე თქვენ გეუბნებით, გეყოთ მაიმუნობა!

- როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, ასეთი სიტყვები!

- ეგ კაცი ჩვენზე ზრუნავს, ამხანაგ...



- გასაგებია, გასაგებია... მაგაზე სასაცილო კაცი არ იქნება მალე! - ჩიქოვანი კამათის ხასიათზე დადგა.
- ვინა ხართ თქვენ? - ცოტა არ იყოს, „სხვანაირად“ იკითხა გამყიდველმა.
- „ქალბატონო, თქვენ გიტარას ყიდით, თუ აგიტატორი ხართ?
- გაეთრიეთ ახლავე აქედან, თორემ... მე თქვენ გაჩვენებთ... თქვე ლაზღანდარებო!!!
- გიტარა მომეცით და წავალთ! - შეუტია ვაჟამ.
- არაფერს არ მოგცემთ, სწორი იყო სტალინი თქვენნაირებს რომ... ხვრეტდა!
- მაგ სტალინსაც გააბურთავენ მალე... და თქვენს ნაქებ პარტიასაც... დემრთმა მოგასწროთ! - არ მოეშვა ირაკლი.
- მილიცია! მილიცია! - აყვირდა გამყიდველი - მილიცია! ეს ისეთი მოულოდნელი გახლდათ ჩვენი პარტისორიის მცოდნეთათვის, რომ იკადრეს და მოცოცხეს უკანმოუხედავად. გიტარაც იქ დარჩათ, რა თქმა უნდა...
- შენც შეუბერე, რა! - გაჯავრდა ავთო, - ვერ ხედავ, აქ ეგეთი ლაპარაკი რომ არ გადის?
- ჰო, ყველასთან არ გადის, - დაეთანხმა ირაკლი, - თან ტრასას გაჰყურებდა მანქანის მოლოდინში... - ცოტა არ იყოს, შემაშინა იმ ქალმა. ჩქარა გავცდეთ აქაურობას... მართლა ვინმე არ მოიყვანოს. ქალბატონი უკვე მაღაზიის პირმადიდან თათხავდა „კლიენტებს“.
- თქვე შპიონებო, თქვე ხალხის მტრებო!
- ბიჭო, ეს აღარ ხუმრობს, გავცდეთ აქაურობას, - ავთო წინ წავიდა ჩქარი ნაბიჯით. ზურგსუკან ვაჟა მისდევდა, სულ ბოლოს ირაკლი ჩიქოვანი.
- ანტისაბჭოთა ხრიკები მარცხით დამთავრდა, - გაიცინა მან.
- როგორც ყოველთვის, - ამოიხრა ავთომ.
- წავიდეთ სახლში, ირაკლი, დაგვიჭერენ ესენი...
- ჰო, ძაან მაღალია აგიტაცია - პროპაგანდის დონე!
- აგიტაცია კი არა, „კალბასითაა“ მაღაზია გამოტენილი და მაგათ გადაარწმუნებ შენ? - ეს ისეგ ვაჟას ხმა იყო.
- ისე, ეს „კალბასი“ ბევრს „ჩვენთან“ რომ ანახა, არც ისინი დაგვაკლებდნენ ხელს!
- ჰო, არ მოსწონთ, რაღაც ეს ახლადგამოჩეკილი ეროვნული ბიზნესმენები, - თქვა ვაჟამ.
- რაო, ბიზნესი არ უნდათ? - გაიკვირვა ავთომ.
- ეს ჭურშია, არაფერი იცის.
- ჭურში კი არა, სადა ვართ, ხედავ? - გაიცინეს.
- კაია, სანაპიროს რომ მივყევით, არავინ გვისმენს... - სერიოზულად თქვა ავთომ.
- „ჩვენთან“ ყველა ლაპარაკობს, ილაპარაკე, რაც გინდა. ოღონდ არაფერი მოითხოვო. ჰო, მართლა, თუ იცი ბიჭო, ვინაა „იქ“ საქართველოს უფროსი? - ნაბიჯი შეანელა ირაკლიმ...
- რა ვიცი. საიდან უნდა ვიცოდე? - შედგა ავთო.

ირაკლიმ ვაჟას ანიშნა, ახლა ნახე, ამას რა დაემართოსო.  
- შევარდნაძე!\*

\* 1973 წელს ე. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად 1 წლის დანიშნული იყო.

ავთომ გაიცინა. გზა განაგრძო. ვაჟამ ხელი დაჰკრა ირაკლის...  
- შვილია მისი?  
- არა, თვითონ! - თვალეში ჩახედა, არ სჯეროდა ნამდვილად.  
- ნუ მაშაყირებთ, გეყოთ. - ავთო შეეჭვდა (ხმაზე დაეტყო), - მერედა რას აკეთებს?  
- სოხუმშია. ომია, ხომ იცი. - თქვა ირაკლიმ.  
- რა უცნაურია ცხოვრება. ისე ლაპარაკობთ, საჭმელიც არაა ხომ?  
- გაჭირვებაა. აქ სხვა გაჭირვება, იქ - სხვა, აირჩიე რომელი ჯობია... მოდი, ცოტა ხნით ჩამოვსხდეთ, - ირაკლი პალმასთან მდგარ მერხზე ჩამოჯდა.  
- ესე იგი, ყველაფერი შებრუნებითაა, არა? - „დიაგნოზი“ დასვა ავთომ.  
- ჰო, როგორც სარკეში. ყველაფერი შებრუნებით.  
- კი მაგრამ, - წამოიწყო ავთომ - არ შეიძლება, საჭმელიც იყოს და ლაპარაკიც შეიძლებოდეს? - ირაკლის გაეცინა. სიგარეტს მოუკიდა. ცისფერი კვამლი ნელ-ნელა დაიძრა პალმის ტოტებისაკენ.  
- შენ აზროვნებ! სიმართლე რომ გითხრა, ასეთი დიდი გარდატეხები არსად ჩაველილა უბრალოდ. კარგი, ახლა ის მითხარი, დღეს სად წავიდეთ? რესტორანში არ ივარგებს...  
„მწვანე კონცხზე“ ავიდეთ. იქ პლაჟიც კარგია და ჰაერიც, ბაღს ხომ ნუღარ იკითხავ...  
- გოგონებაც ავიყვანოთ, აი, ტაქსიც... - ვაჟამ ტაქსი გაახერა.  
- ქალაქისკენ, ბულვართან! - ტაქსი დაიძრა.  
- ჩამოსულები ხართ? - იკითხა მძღოლმა.  
- ჰო, თბილისიდან.  
- ცხელა ალბათ თბილისში?  
- მთელ საქართველოში ცხელა, - ირაკლიმ ავთოს გადახედა.  
ტაქსისტმა გაოცებული სახით შეათვალიერა მგზავრები. შემდეგ მანეთი მიიღო და სხვა მგზავრთა საძიებლად გასწია. ცოტა გაცურეს. „პასტო“ - იცინოდა ირაკლი. ას-ას გრამს გულისხმობდა, დილას რომ შევლის „პასმელიაზე“. გოგონებიც მოვიდნენ, ტანსაცმელი აღარ გაუხდიათ. „მწვანე კონცხის“ იდეა მოეწონათ. „მწვანე კონცხზე“ მთელი დღე შეეძლოთ დაესვენათ. არც არავის გადაეყრებოდნენ...  
„მწვანე კონცხის“ ბოტანიკური ბაღი აოცებს მნახველს, ყველა მცენარეს აქ მოუყრია თავი მთელი დედამიწიდან, რა თქმა უნდა, მახრჩობელა და სხვა „მავენე“ ჯიშთა გარდა. მაღალი, ცადაწვდენილი ხეების ჩრდილში შეგიძლიათ გადაიტანოთ ყველაზე ცხელი დღე.

გაისეირნოთ უმსხვილესი ბამბუკების ხეივანში, დალიოთ არაჩვეულებრივად ცივი წყაროს წყალი, წამოწვეთ ხასხასა მოღზე. მოკლედ, თავი სამოთხეში იგრძნოთ!

ჩვენი მეგობრებიც ასე მოიქცნენ...

მაღალ, ხშირ ბუჩებთან პირდაპირ ბალახებში ჩასხდნენ - საუბრობდნენ, იცინოდნენ, ყვებოდნენ მთისა და ბარისას. შემდეგ დაილაღნენ, მიჩუმდნენ, სადღაც - წავიდ-წამოვიდნენ. ნინო და ირაკლი სამოთხეში მარტო დარჩნენ... ადამი ეფერებოდა ევას მაღალ ყელზე. ევა გატრუნული იჯდა. შემდეგ ადამი კისერზე ეამბორა. ევა ნელ-ნელა ეშვებოდა ბალახებში... ირგვლივ ჟღერტული, ჭიკჭიკი და ტკარცალი ისმოდა, წყარო თავის წკრიალს ურთავდა ხმათა თაიგულს. სამოთხეში ბინდი ჩამოწვა, საღამოვდებოდა... მაღე გაფრინდა სიამით გაბრუებული დრო. საღამოს ბათუმისკენ დადღილი, მაგრამ ბედნიერი ადამიანები ბრუნდებოდნენ... მთელი სანაპიროს გასწვრივ ზღვაში ჩაღვრილი ნათურები ციმციმებდნენ... სიზმრიდან - სიხმარში, ზღაპრიდან - ზღაპარში გადადიოდნენ...

- ვიცეკვოთ სადმე, - ჩასჩურჩულა ნინომ. მანქანაში შემოჭრილი ქარი უწეწავდა თმებს.

- ისეთ ადგილას ვივახშმოთ, სადაც მუსიკა იქნება, - ხმამაღლა თქვა ირაკლიმ. მანქანა მახინჯაურის რესტორანთან შეჩერდა. რესტორნის აივანი ზღვას გადაჰყურებდა. თეთრ სუფრაგადაფარებულ მაგიდას მინდვრის ყვავილები ამშვენებდა. დარბაზიდან მუსიკა იღვრებოდა, უფლიდა მსმენელთა გულებს და სადღაც შორს, ზღვაში იკარგებოდა.

- სასწაულია! - თქვა ხათუნამ. ვაჟამ თავი დაუქნია, შამპანური მოატანინეს.

- სიყვარულს გაუმარჯოს! - წარმოთქვა ირაკლიმ. - სიყვარულის ნაკვალევი გულიდან არასოდეს წაგვშლოდეს.

ნინო თვალეებში შეჰყურებდა, არსად გაუხედია, ისე შესვა მთელი ორთომელი. საცეკვაოდ წამოდგნენ. - ავთო და მარინა, ვაჟა და ხათუნა, ირაკლი და ნინო. გაუთავებლად ჩურჩულებდნენ, ტრიალებდნენ და ტრიალებდნენ... ყველანი წავიდ-წამოვიდნენ... მუსიკა აღარ ისმოდა, ისინი მაინც ტრიალებდნენ... ოფიციატის ხმამ ჩამოიყვანა ისინი მიწაზე.

- დავიშალოთ, მეგობრებო! გთხოვთ! გადაიხადეთ და წაბრძანდით!

- რა იყო, ასე ადრე, რა უბედურებაა? - მკვახედ უპასუხა ვაჟამ.

- გვიანია, 10 საათზე ვიკეტებით.

- იქ რომ დარჩნენ კიდევ? - არ მოეშვა ვაჟა.

- ისინიც წავლენ, თქვენ იმათ ნუ ედრებით, - გამომწვევად უთხრა ოფიციატმა.

- რას ჰქვია, ნუ ედრებით? - გაგიჟდა ავთო. ირაკლიმ ხელი მოხვია, გვერდზე გაიყვანა.

- დაწყნარდი. არ გვაწყობს ჩვენ ეს ამბავი. მითუმეტეს ახლა... ავთო გაჩერდა. ირაკლიმ ვაჟა და გოგონები კიბეებთან მიიყვანა, დამელოდეთო და ოფიციატთან შებრუნდა.

- რამდენია ჩვენზე?

- ორმოცდაათი მანეთი! - დაუყვავა ოფიციატმა.

- ჰა, თქვენ, ასი! - გულის ჯიბიდან ასიგნაცია ამოიღო და ოფიციალტს მიაწოდა.

- ეს რა ფულია? - გაიკვირვა ოფიციალტმა.

ირაკლი ჩიქოვანმა ფულს დახედა: ასდოლარიანი იყო.

- უკაცრავად, შემეშალა. აი, თქვენი ფული, - ასმანეთიანი. ჯიბეში ჩაუდო საზოგადოების მსახურს. მან თავაზიანად თავი დაუქნია, ოდნავ წელშიც მოიხარა... თვალები უცნაურად უბზინავდნენ...

„ვეტყვი, რომ არავის უთხრას“, გაიფიქრა ჩიქოვანმა, მაგრამ გადაიფიქრა, ზედმეტმა ყურადღებამ შეიძლება საქმეს ავნოსო.

მომავალ შეხვედრამდე, დაემშვიდობა და კიბეებს ჩაუყვავა. გოგონები სახლამდე მიაცილეს. ფეხით მისეირნობდნენ ზღვისპირა მყუდრო ქუჩაზე...

- მამაჩემი ვნახოთ, - თქვა ვაჟამ. ირაკლიმ გამომცდელი თვალეებით შეხედა.

- გეჩქარება? - სიგარეტი მოქაჩა. - ვნახოთ, თბილისში ჩავალთ, ნახე... ოღონდ შორიდან. ვაჟა გადაეხვია, უხმოდ არაფერი უთქვამს, ირაკლის ყელში რაღაც მოაწვა: მეც უნდა ვნახო მამა - მტკიცედ გადაწვიტა. - კალმახელიძეს ვნახავ და...

- შეხედე, ის კაცი, ქუჩის მეორე მხარეს მოდის - ჩასჩურჩულა ავთომ. - ვითომ შემთხვევითაა? - ირაკლიმ მოახედა, პიჯაკიანი ვიღაცის კარებთან შეჩერდა.

- არა, კუდია, - თქვა მძიმედ ირაკლიმ - მოიწი, რაღაც გითხრათ, აქ გაჩერება აღარ შეიძლება. მან ოფიციალტთან მომხდარი შემთხვევა უამბო.

- თუ სადმე განაცხადა, დაგვიტყერენ, - ჩუმად უთხრა ავთომ - თბილისში დავბრუნდეთ ახლავე. გავაჩეროთ მანქანა და ამაღამვე წავიდეთ!

- ამას უნდა „მოვუტყდეთ“. - ვაჟამ გეგმა დააწყო: - ფოსტასთან შევიკრიბოთ. ახლა კი უბეც მოვწყდეთ ადგილიდან, მოულოდნელად, მოფიქრების დრომ რომ არ ჰქონდეს - ისე. სხვადასხვა მხარეს გავიქცეთ, ირაკლი - მარჯვნივ, ავთომ - მარცხნივ. მე პირდაპირ... ბათუმი კვადრატულ კვარტალებადაა დაყოფილი, ხუთ წუთში ყველანი ფოსტასთან ვიქნებით. პიჯაკიანი კაცი ისევე კარებთან იდგა, ვიღაც ფანჯრიდან თავგამოყოფილს ესაუბრებოდა.

- სადარბაზოში შევიდეთ, - თქვა ირაკლიმ. - შენი პერანგი მე მომეცი, შენ ჩემი ჩაიცვი და პირდაპირ სადარბაზოდან... ლ„მოვტყდეთ“. - ჩაბნელებულ სადარბაზოში უცებ გაცვალეს პერანგები.

- ერი, ორი და... სამი!

პიჯაკიანი კაცის თვალწინ სამნი გამოვიდნენ სადარბაზოდან. ერთი - ერთ, მეორე - მეორე და მესამე - მესამე მხარეს გაიქცა. პიჯაკიანი კაცი გაოგნდა. ჯერ ერთს გააყოლა თვალი, შემდეგ ადგილს მოწყდა და პირდაპირ გაიქცა... მაგრამ არსად აღარავინ იყო. ის ცარიელ ქუჩას სწრაფი ნაბიჯით გაუყვავა... აქოშინებული მეგობრები ფოსტასთან შეიკრიბნენ... ტაქსი გააჩერეს და ბარცხანაში წასვლა თხოვეს... ტაქსისტმა უდროობა მოიმიზეზა და უარი უთხრა. შემდეგ სადგურამდე მიყვანაზე შეთანხმდნენ... სადგურთან მანქანების დიდი რაოდენობა იდგა, ეტყობოდა,

რომელიღაც ღამის მატარებელი უნდა ჩამომდგარიყო. ირაკლი თეთრ „ვოლგას“, გაზ-21-ს მიუახლოვდა. საჭესთან ნასვრეტებიანი „შლაპით“ თავდამშვენებული შუახანს გადაცილებული მამაკაცი იჯდა.

- ბატონო, თბილისში ვერ წავიყვანთ? - მძღოლმა კარგა ხანს უყურა, არაფერი თქვა, თითქოს არკვევდა ვისთან ჰქონდა საქმე...

- ძმაცაი ცუდად მყავს და წამლები უნდა ჩამოვუტანო სასწრაფოდ! - წამლების ხსენებამ მძღოლზე გარკვეული დოკუმენტის შთაბეჭდილება მოახდინა...

- რამდენი ხართ? - საათს დახედა.

- სამნი ვართ! ორას მანეთს მოგცემთ, ოღონდ ახლავე წავიდეთ!

ორასი მანეთის ხსენებამ მძღოლზე სულ სხვა ეფექტი მოახდინა, დაეჭვდა.

- მე როგორ გენდობ? ამ შუალამზე... მაშინ ერთ კაცს წამოვიყვან.

- წამოიყვანე, ბიძია, ვინც გინდა, - ჩაერთო ავთო.

- ფარას როდის მომცემთ? - იკითხა გულუბრყვილოდ მძღოლმა. ირაკლიმ თუმნიანები ამოიღო.

- ასი ახლა და ასიც თბილისში... - ასმანეთიანი ხელში ჩაუდო...

- კაი, აღარ მომყავს არავინ. ჩაჯექით, ამ ფულს სახლში დავციებ და დანარჩენს იქ გამოგართმევთ. გახარებულები კეგლის ბურთებივით ჩაეყარნენ მანქანაში. „ვოლგა“ დაიძრა.

- ერთი წუთით ბარცხანაში გაგვიჩერე, ჩანთებს ავიღებთ! - მძღოლმა თავი დაუქნია. კაი ბიჯები ჩანან - გაიფიქრა.

- თქვენ არაფრის შეგეშინდეთ, ეს ბ-ნი იპოლიტე ხეიჩიას შვილიშვილია! - უთხრა ვაჟამ.

- რომელი? - სარკეს შეაელო თვალი მძღოლმა.

- ეს, აგერ, უკან რომ ზის.

- სასიამოვნოა, - ხელი გაუწოდა ავთოს. - ისრაფილი! - გაეცნო აბაშიძე. - ბაბუათქვენს პატივს სცემს მთელი მემღეჭეთი. არსად აღარ შევიაროთ, პირდაპირ თბილისში!

ბარცხანის სახლთან მასპინძელს გამოემშვიდობნენ...

- რატომ ჩქარობთ ასე? - გულდაწყვეტით იკითხა მასპინძელმა...

- მეგობარს უჭირს და ვეხმარებით, - აუხსნა ვაჟამ.

- თევზი წაიდეთ, ახლავე გამოგიტანთ... სიგრილეში არ გაფუჭდება.

- გმადლობთ, ნუ წუხდებით, კარგად ბრძანდებოდეთ!

„ვოლგა“ ჩანთებით დაიტვირთა და ბენზინით შეივსო. იქვე გაჩახჩახებულ ბენზინგასამართ სადგურზე.

- რა ღირდა ახლა ეს ბენზინი? - ღიმილით იკითხა ვაჟამ.

- 10 კაპიკი.

- არა, ძმაო, მაინც კაი ცხოვრებაა! - აღმოხდა ვაჟას...

- ეეე... ბიძიკო... ცხოვრება უწინ იყო, თუ იყო, გაფუჭდა ცხოვრება. - თქვა ისრაფილმა. ირაკლის გაეცინა. მანქანა თბილისის გზას გაუყვა.

- გული მწყდება, - თქვა ვაჟამ, როცა უღელტეხილიდან ანთებულ ბათუმს გადახედა.

- მე... გული მრჩება! - შეეხმიანა ირაკლი.

- კი, კარგი ქალაქია ბათუმი... ცოტა მოვლა უნდა, - თქვა ბატონმა ისრაფილმა.

- ბათუმი მერეც კარგი იქნება, მომავალში, - თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, ისე თქვა ირაკლიმ...

სიჩუმე გამეფდა.

- სხვათაშორის, თქვენი მოგვარე გახლავთ ახლა „იქ“ აჭარის ხელმძღვანელი.

- რა იცით თქვენ, მკითხავი ხართ? - გაუკვირდა საჭესთან მჯდომს.

- ამან ყველაფერი იცის, - გაიცინა ავთომ, - მომავალს ხედავს.

- მშვიდობა ხომ იქნება ქვეყანაზე? - მღელვარებაშეპარული ხმით იკითხა ბატონმა ისრაფილმა...

- ბათუმში იქნება... სხვაგანაც. მერე და მერე ყველან მშვიდობა იქნება, ბიძაჩემო, - ყველანი გაჩუმდნენ.

- თქვენს ძმაცას რა სჭირს? - თემას გადაუხვია ისრაფილმა.

- გული აწუხებს... - თავისთვის ჩაილაპარაკა ჩიქოვანმა - არ იცის, რა წამალი უშველის, ისე აწუხებს გული...

- ეშველება! - მტკიცედ თქვა მესაჭემ და მანქანას სიჩქარე გამოუცვალა.

- თქვენც წინასწარმეტყველი ხართ, - გაიცინა ავთომ.

- ცხოვრებაში, რაც უფრო ნაკლებს იფიქრებ ცუდზე და რაც უფრო მეტ სიკეთეს გააკეთებ უკეთ წავივა საქმე! - უპასუხა საკუთარი სიბრძნით აშკარად აღფრთოვანებულმა მძღოლმა.

- ისე ქართველებს კი გვიყვარს ტირილი და მოთქმა, - აზრი გააგრძელა ჩიქოვანმა - რაღაც სპექტაკლივით იზიდავს ბევრს ცუდი ამბავი. მკვდარსაც მეტ პატივს ვცემთ, ვიდრე ცოცხალს. ამ გაუთავებელმა უიმედობამ კი არაფერი კარგის მოტანა არ იცის.

- გარდაცვლილს კი უნდა პატივისცემა, მაგრამ სიცოცხლეშიც უნდა ალბათ! - მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ირაკლის ვაჟამ. გაყუნდნენ. თავთავიანთ ფიქრებში წავიდნენ. ასე იცის გზამ, თანაც ღამით.

ჩიქოვანს რული მოერიდა.

- ხომ არ გეძინებათ? - ჰკითხა მესაჭეს.

- არა... თქვენ დაიძინეთ, ნურაფრის გეშინიათ.

- მე მუსიკას მოვუსმენ. - თქვა ავთომ და „ვოლქმენი“ ჩართო - ეს ვისი სიმღერაა, - იკითხა მოგვიანებით, - „მოდით თეთრი გოგო“. მომწონს.

- შენ რომ იცნობ, იმისი.

ავთომ უსიტყვოდ ხელი მხარზე დაარტყა ირაკლის. „ერთი გემოვნებაა!“ გაიფიქრა მოგზაურმა. „ერთ თაობას ერთი გემოვნება აქვს. მეორეს - სხვა“. ამიტომაცაა გაუთავებელი დავა თაობებს შორის!? რამდენიმე ხნით ჩათვლიმა. უკვე შრომასთან იყვნენ, როცა გამოიღვიძა. არავინ იყო. არც დოქები, არც ჯამები, არც არაფერი.

- დღე აქ სამშობლო მიწას ჰყიდიან - იხუმრა ვაჟამ. ავთოს მოეწონა. ეს გამოთქმა მისთვის ახალი აღმოჩნდა.

- ორიოდ გროშად, იყიდება შრომა! - გართობა ჩიქოვანმა.

- ვა, კარგია! კიდევ თქვი, რა, რამე!

- ავიარეთ რიკოთი, გამორღვეული ტრიკოთი! - გაიცინა ირაკლიმ, ბატონმა ისრაფილმაც გაიცინა.

- „დავეწოთ და გავასწოროთ ამერიკას!“ - იმის მერე სულ მივრბივართ!

- უკეთეს გეტყვიოთ! - ხასიათზე მოვიდა ეჭვიანილი, დაღლილი დროთ მსვლელი. - საბავშვო ბაღში ლოზუნგი გამოაკრეს: „ამერიკა ყაყა! სსრკ - კაკა!“ ბავშვებისთვის გასაგები აგიტაცია!

სიცილით მოკვდნენ...

- ის იცით? ბრეჟნევი რომ თბილისში ჩამოვიდა... - ირაკლიმ თანამგზავრთ გადახედა, გადაამოწმა გაიკვირებდნენ თუ არა.

- ჰო მოდი, მოყევი ანეკდოტია, რა მოხდა! - „რაამხნევა“ ავთომ.

- ყველაფერი ისე დაახვედრეს, თავი ზღაპარში ეგონა. ვასშმის შემდეგ მოსასვენებლად წააბრძანეს. იქ კი, შევარდნადის ბრძანებით „ხატა“ გაუკეთებიათ, რუსული. ზუსტად ისეთი, ბრეჟნევის მშობლებს რომ ჰქონიათ წარსულში.

- მერე? - გაიცინა ავთომ.

- მერე შევიდა ეს შენი ბრეჟნევი, დაინახა ლამფა, ფარდები, მონგრეული ტაბურეტი, ხატი, თეთრ არშია შემოვლებული ხატი. ცრემლები მოადგა და ჯერ აქვითინდა. მერე ატირდა. ბოლოს ფეხები დააბაკუნა ბავშვივით და იღრიალა „მამუ ხაჩუ-უ-უ-!“. ეს ვეღარ შეუსრულეს.

ისევ სიცილი! ავთის მუცელი ხელით ეჭირა. როცა დაწყნარდნენ, ბატონმა ისრაფილმა მეგობრულად უთხრა:

- ფრთხილად იყავით! ასეთი რამის ყველასთან ლაპარაკი საშიშია! დაგიჭერენ!

- ვიცი. - ხასიათწამხდარი ხმით უპასუხა ირაკლიმ. - ვიცი, მაგრამ მე თავისუფლებაში მივდივარ!

- სადაა მერე ეგ თავისუფლება? - ეჭვით შეხედა ვაჟამ.

- სადაც მე და შენ მივდივართ!

- მერედა... ომი? შიმშილი? გაჭირდება? - ჩაეკითხა მეგობარი.

- ყველაფერი ჯობია ამათ მარქს-ენგელს-ლენინიან „კალბასს“! - ჩიქოვანი დარწმუნებული იყო! მასთან კამათს აზრი არ ჰქონდა! ვაჟა გაჩუმდა.

- ყოჩად ირაკლი! შენ იცი თავისუფლების ფასი! - აღტაცება ვერ დამალა ავთომ.

- შენც. - მოკლე მოჭრა მოგზაურმა. - აქ გითვალთვალებენ, დაგდევენ, ანეკდოტის გეშინია! გამცირებენ - ბოლოსდაბოლოს! საშინელებაა!

- ჰო, მართლა! როდის წახვალ? ამაღამ ჩემთან ხომ არ დარჩებით?

- შეიძლება! დავრჩეთ ვაჟა ავთოსთან გათენებამდე და მერე წავიდეო. მანქანა შეიძლება აღარც დაგვხვდეს - გაეცინათ.

- აკუმულატორი მაინც არ დაგვხვდება! - დაამატა ვაჟამ.

- რატომ არ დაგვხვდება? - გაიკვირვა ბატონმა ისრაფილმა.

- ყაჩაღობაა! - „აუხსნა“ ვაჟამ.

- თქვენ გაუგებრად ლაპარაკობთ რაღაცა... - მკვახედ წარმოთქვა ისრაფილმა.

- ხუმრობენ, ბატონო ისრაფილ, არ გეწყინოთ! - დაამშვიდა ავთომ, - რაღაც კინო უნახავთ ამერიკული და იქ რაც ხდება, იმას ჰყვებიან...

- ჰოო... ამერიკაში ყახალობაა! - დაეთანხმა ისრაფილი...

- ამერიკა მონაგონია! - ჩასჩურჩულა ავთოს ვაჟამ - ამან რომ იცოდეს, გაგიჟდება... ნუ ეტყვი, თავისი გაჭირვება ეყოფა!

- საუბარი ფეხბურთზე გადაიტანეს... შემდეგ ღვინოზე, ქალებზე და „ჭეშმარიტად“ ქართველური თემებით მიადგნენ თბილისს...

უკვე თენდებოდა... მანქანა წითელ პარტიზანებზე გაჩერდა. მძღოლმა საბარგული გახსნა, ჩანთები ამოიღეს.

- ბატონო ისრაფილ, ეს თქვენი ასი მანეთი - უთხრა ჩიქოვანმა. ისრაფილი ავთოს მიუახლოვდა.

- ბაბუაშენის პატივისცემით მე ამ ფულს არ გართმევთ. იმაზეც დიდი ბოდიში, რაც გამოგართვით! - ავთო გადაეხვია.

- დიდი მადლობა, ბატონო ისრაფილ, კარგად ბრძანდებოდეთ! ვინ იცის, როდის ლშევეხვდებით ერთმანეთს! - ალბათ არასოდეს - გაიფიქრა ირაკლიმ.

- მშვიდობით იყავით! მშვიდობით და... ჭკუით! - დააყოლა ისრაფილმა.

- ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ! თუმცა... ახლა სადღა წახვალთ. ჩემთან დარჩით! დილაშე კიდევ შეგიძლიათ ცოტა წაიძინოთ... ისრაფილი დაფიქრდა.

- ამხელა გზის გავლა დაუსვენებლად მართლაც გამიჭირდება. კარგი, ბატონო! ვიღებ თქვენს წინადადებას! ის იყო, ჩანთები მხრებზე მოიგდეს, ავთომ ვიღაცეები დალანდა სიბნელეში...

- ერთი წუთით, ახალგაზრდავ! - ხმადაბლა უთხრა ერთ-ერთმა...

- ირაკლი, გაიქეცი! - შეჰყვირა ავთომ. ირაკლიმ იაზრა, რაც მოხდა. ვაჟას ხელი გამოსდო და მოკლედ უთხრა: - გავიქეცი... ადგილიდან მოწყდნენ...

- არ გაუშვათ! - იყვირეს ხეივნიდან... რამდენიმე გამოიქცა... იქვე მოტორის ჩართვის ხმა მოისმა... ირაკლის სირბილი უჭირდა... ვაჟაც ბოლო ძალას ატანდა თავს... უჭირდა...

- სადარბაზოში შევიდეთ, - გასძახა ვაჟას და მარცხნივ სადარბაზოში შევიდა... მღევარმა ჩაიქროლა...

- ახლა მობრუნდებიან, - მძიმედ თქვა ვაჟამ - ადგილი მოვინაცვლოთ... - გარეთ გაიხედა.

- მოიცა, ვიღაცის მანქანა შეჩერდა! - უკან გადმოხდა ის. მანქანის ძრავი გამორთო. მანქანიდან ვიღაც გადმოვიდა.

- მარტოა, - ჩასჩურჩულა ირაკლიმ. გულის ბაგუნი ისმოდა.

- მარტო თუ ვერ დაგვიჭერს! ჩავცხოთ ერთი და მორჩა... მამაკაცი სადარბაზოს მიუახლოვდა, ერთმანეთს ანიშნეს და მამაკაცი სიბნელეში შეათრია...

- ისრაფილი ვარ! - დაიძახა მამაკაცმა. ზეაწეული მუშტები ძლივს დააოკეს...

- ბატონო ისრაფილ, თქვენ არ დაგიჭირეს?

- როგორც კი ავთომ იყვირა, მე მანქანაში ჩავჯექი და საპირისპირო მხარეს გავქანდი. იქეთ არავინ გამომყვა. ეტყობა თქვენ გეძებენ!



- ავთო? - სულმოუთქმელად ჰკითხა ვაჟამ.

- იქ დარჩა. დაიჭირეს. აქეთ აღარ გამოუშვებს.

- ახლა რა ვქნათ? ესენი მთელ ქალაქს წრეს დაარტყამენ, გადაკეტავენ ყველაფერს.

- ვინქართო, ცირკამდე მანქანით ხუთ წუთში ვიქნებით, უფრო ადრეც, იქნებ მოვასწროთ! - ეს ირაკლიმ თქვა. მანქანაში ჩასხდნენ. მილიციის რამდენიმე მანქანა უკან ბრუნდებოდა. „ვოლგა“ საპირისპირო მიმართულებით დაიძრა. ცირკთან ორიოდ წუთში იყვნენ...

- ბატონო ისრაფილ, თქვენ რას იზამთ? - მიუბრუნდა ვაჟა.

- არ ვიცი... - დაბნევით უპასუხა ისრაფილმა.

- მე გეტყვით... თქვენ კახეთისკენ წადით. იქეთ არ ეყოლებათ არავინ... ჯერჯერობით მაინც... ერთი-ორი დღე იქ დაჰყავით და ამასობაში ყველაფერი დაწყნარდება.

- აი, ავთო! - შეჰყვირა ვაჟამ. - გამოქცეულა!

- წადით, ბატონო ისრაფილ იჩქარეთ! - ისრაფილმა მანქანა დაძრა... ხელის აწევით დაემშვიდობნენ... „ვოლგა“ სანაპიროსკენ წავიდა. სირენების ხმა ახლოვდებოდა.

- ავთო, გამოგყევი! - ავთო მეგობრებს მიჰყვა. ქვაფენილი აირბინეს და გორაკზე ავიდნენ. ხშირ ფოთლებს შეაფარეს თავი...

- გადავრჩით! - თქვა ჩიქოვანმა.

- თქვენ კი, მაგრამ მე? - ავთო ღელავდა.

- ახლა ამის მიტოვება არ შეიძლება, დაიჭერენ - ამოიხსრა ვაჟამ.

- დავსხდეთ აქ ბუჩქებში. არ ვერ მოგვაგნებენ. - ჩიქოვანმა ხშირ ხეებიანი ადგილი მოძებნა. მართლაც ყველასაგან მოფარებულნი იყვნენ შუაგულ თბილისში. აქ არავინ ეძებდა მათ. გმირთა მოედანს რამდენიმე წრე დაარტყა მანქანათა ექსკორტმა.

- ამ რაიონში გვეძებენ... ფეხით რომ გავიქეცით, იმიტომ.

- ისრაფილი მგონი გადარჩა. იმედი მაქვს, ნომრების ჩაწერა ვერ მოასწრეს, - შეეხმიანა ირაკლი ავთოს...

- ერთ-ორ საათში დაიღლებიან და წავლენ... - ჩაერია ვაჟა.

- მერე სახლში წახვალ? საშიშია! - თავადვე დაასკვნა ირაკლიმ.

- არა, ბაბუასთან წავალ აგარაკზე... მერე რაღაცას ვეტყვით. ბოლო-ბოლო დაავიწყდებით. არც არაფერი იციან შენზე...

- ეს უფლი შენ დაიტოვე. მე აღარ მჭირდება. ირაკლიმ ასიგნაციები გადასცა.

- პრანჭიაობას არ დაგიწყებ. დამჭირდება. - ფული შეინახა.

- ოფიციალტმა გაგყვიდა? - ძალით გაიცინა ჩიქოვანმა...

- „კაგებშინიკი“ იქნებოდა. ყველგან გატენილია... განსაკუთრებით ასეთ სამსახურებში...

- გაგიჟდება კაცი! რისი ეშინიათ, ვერ გავიგე! - თავი გააქნია ვაჟამ.

- მაგათ შენ კი არა, მთელი მსოფლიო გადარიეს!

- ასე იჯდები ტყეში ორი კვირა! - უცებ ავთოს უთხრა ირაკლიმ.

- რა მინდა ტყეში, - გაოცდა ავთო...

- გაგრა დაეცა და შენი ბიჭებით ტყეს შეეფარე... იმათ მხარეს დარჩი... ორი კვირა პანტას და მაჟალოს ჭამდით!

- როდის დაეცა გაგრა? - გაოგნდა ავთო...

- აგვისტოში, - ავთომ შეაწყვეტინა.

- მერე, შენ ვინ გითხრა? ჯერ ხომ აგვისტოა! - შეძრწუნდა ავთო...

- ომი ერთი წელია მიდის... შარშან სოხუმიდან ღარეკე, გაგვიხარდა... შიფრი გადაგიცია ვიღაც მწყემსისთვის, თქვენ ენდეთ, სხვა გზა არ იყო. მან შიფრი ჩვენებს ჩაუტანა... ვერტმფრენით გადმოგიყვანეს სამშვიდობოს... - ირაკლი მძიმედ წარმოთქვამდა წინადადებებს... ვაჟა გაქვავებული უსმენდა ამ დიალოგს. თავის შეგრძნება დაეკარგა...

- ახლა სადა ვარ? სოხუმში? - შეშლილი სახე ჰქონდა ავთოს...

- ჰო, ნუ გეშინია. ყველაფერი კარგადაა... საჭმელი მაინც გექონდეს. თენდება...

- შენ ის მითხარი... ვინ არის ის... დახვრიტესო, რომ მითხარი?

- რაში გაინტერესებს? - ყასიდად უნდოდა ეთქვა ირაკლის, მაგრამ არ გამოუვიდა... - მოიწი, ყურში გეტყვი...

- მე... რა, ხელს გიშლით? - გაოცდა ვაჟა...

- კარგი გეტყვი... შენთან რომ მოდის... ეს რა ნათებაა? შეხედეთ! - წამოიძახა ჩიქოვანმა... ყველამ გორაკის თავზე დამდგარ ნათებას შეხედა...

- ეს რა არის? რა ხდება? - აყვირდა ვაჟა...

- მფრინავი თეფში! - შემკრთალმა ავთომ საჩვენებელი თითი გაიშვირა ნათებისაკენ... რაღაც ჩოჩქოლი შემოესმათ... ქუჩა ხალხით ივსებოდა... ყველანი თითით მიანიშნებდნენ ერთმანეთს მფრინავი თეფშისაკენ...

- მფრინავი თეფში! მფრინავი თეფში! - დაიყვირა ვიღაცამ... მილიცია მოგრიადდა. რუპორებიდან ხალხს დაშლისკენ მოუწოდებდნენ...

- წადით, სამსახურებში... საშიში არაფერია - ისმოდა დაგუბული, ხრიალა ხმები...

ირაკლი ჩიქოვანმა ფოთლები გადასწია და ხალხის თვალიერება დაიწყო...

- მფრინავი თეფში! - თქვა თვალებგაფართოებულმა ვაჟამ... - გაიქეცი, ავთო, ახლა შენთვის არავის სცალია.

- თქვენ?! სანამ თქვენ არ წახვალთ... საშიში ხომ არ არის?

- ვითომ გვესვრიან? - ავთო შეშინებული იყო.

- ეს მფრინავი თეფში არ არის! - მოულოდნელად თქვა ირაკლიმ ისე, რომ მათკენ არ მოუხედავს.

- აბა, რა ჯანდაბაა? - ორივემ ერთად შეჰყვირა...

- დროის ხვრელი იკეტება... გადასასვლელი იკეტება... საქმე უფრო ცუდადაა... ვიდრე თქვენ გგონიათ! - ამოიგმინა ჩიქოვანმა.

- რა იცი? რა იცი, რომ ასეა და არა... - ვეღარ დაამთავრა ვაჟამ, ჩიქოვანმა შეაწყვეტინა...

- მოდი აქ და იმ კაცს შეხედე, გეცნობა? - ვიღაცაზე მიუთითა... ვაჟამ ფოთლებს შუა ნაცნობი სახე მართლაც შენიშნა...

- მეცნობა ეს კაცი... ვინ არის, გამახსენე, თორემ გავაფრინე, ამის ღელაც...

- ნუგზარ კალმახელიძე! - ჩიქოვანი ქუჩისკენ ზურგით შემოტრიალდა... შუბლი მოისრისა...

- რა ვქნათ? - ხელები მოიფშვნიტა ავთომ - სულ გადავირიე.  
- დავუძახებ მე მაგას... - უცებ მეგრული კილო გაეპარა ირაკლის.  
ფეხზე წამოდგა, ხელები რუპორივით მიიღო პირთან და დაიძახა:  
- ბატონო ნუგზარ! ბატონო ნუგზარ!  
კალმახელიძემ შეამჩნია ადამიანი, რომელიც გორაკიდან მას ეძახოდა...  
მე? - ანიშნა კალმახელიძემ... ჰო-ს ნგიშნად ირაკლიმ თავი დაუქნია და  
ხელით ანიშნა მასთან მისულიყო. გაოცებული კალმახელიძე გორაკს  
მიუახლოვდა...  
- მან ამოვიდე? - ამოსძახა ჩიქოვანს.  
- აქეთ, აქეთ მობრძანდით, ბატონო ნუგზარ! ჩქარა! დაუჩქარეთ!  
ნათებამ მოიმატა... რაღაც უცნაურ, მოლურჯო-მოიისფრო შუქში იყო  
არემარე გახვეული... ბატონი ნუგზარი ბორძიკ-ბორძიკით მიუახლოვდათ  
მეგობრებს.  
- თქვენ ვინ ბრძანდებით? - იკითხა ყველასთვის მოულოდნელად...  
- როგორ... - გაშრა ჩიქოვანი - ვერ მიცანით, ბატონო ნუგზარ?  
- პირველად გხედავთ! - უცებ უცნაური ხმით ჰკითხა: - „იქიდან“  
ხართ?  
- არა, ბატონო ნუგზარ! - გაიციხა ნერვულად ჩიქოვანმა - ირაკლი ვარ  
ჩიქოვანი! მოგზაური ჩიქოვანი! დაგავიწყდათ? - ვაჟა თანხმობის  
მოლოდინში თავს უქნევდა ნუგზარ კალმახელიძეს...  
- სად მოგზაურობთ, მეგობარო? - ირონიულად იკითხა კალმახელიძემ.  
ჩიქოვანმა მუდარით შეხედა მეგობრებს და უცებ მიაგნო გონებაში ამ  
აბრაკადაბრის პასუხს... ეს ოცი წლის წინანდელი ნუგზარ კალმახელიძე  
იყო... ეს კაცი მას არ იცნობდა... კალმახელიძე დამცინავი ღიმილით  
უცდიდა პასუხს...  
- კალმახივით ვმოგზაურობ, ბატონო, კალმახივით!... ბოლო ენერგია  
ჩაღო ამ სიტყვებში, თითქოს ეთქვას: „სეზამ, გაიდე!“ სეზამი გაიღო...  
- თქვენ რა იცით, ამის შესახებ? - განცვიფრდა მოგზაური...  
- მოკლედ, მე მაგვიანდება. - თქვენ ახლა იმისთვის ხართ აქ მოსული...  
- მფრინავი თეფშია და ვუყურებ! - შეაწყვეტინა ბატონმა ნუგზარმა...  
- მფრინავ თეფშს არ ეძებთ თქვენ, აქ სხვა რამისთვის ხართ! თქვენ  
დროში გადასასვლელს ეძებთ, - სხაპასხუპით მიაყარა ჩიქოვანმა, - თქვენ  
დროში გადასასვლელს ეძებთ და დღეს იპოვით!  
- სად ვიპოვი მერე... ისიც მითხარი! - წამოიძახა აზარტში შესულმა  
ნუგზარ კალმახელიძემ...  
- აქ. ეს მფრინავი თეფში არ არის... ამ დღეს გაიხსნა ოცი წლის წინ  
გადასასვლელი. რას ვამბობ? მოკლედ! დღეს აქ, ამ კიბეზე,  
გადასასვლელი იხსნება...  
- ღმერთო, დიდებულო! - პირჯვარი გადაიწერა კალმახელიძემ -  
მარტო არ ვყოფილვარ! კიდევ სჯერა ვიღაცას ჩემი! - ცრემლები მოადგა.  
- აქეთ მობრძანდით, ბატონო ნუგზარ! - კალმახელიძე მორჩილად  
მიჰყვა. - აქ... მეცხრე საფეხურზე შეჩერდებით და გაიხსნება წარსული.  
ქვემოდან ამოსვლისას - მომავალი! გასაგებია? გაიხსნება! - ყვიროდა  
ირაკლი... - მაგრამ მე არ ვიცი, ჩემთვის გაიხსნება თუ დაიხურება...  
გესმით?

კალმახელიძე დასერიოზულდა... თითქოს მღელვარებამაც გადაუარა...

- მე ყველაფერი მესმის, მეგობარო! მე ავლელი მხოლოდ იმის გამო, რომ არ ველოდი ადამიანის შვილისგან ამ გაგებას... მე მესმის. თქვენ „იქედან“ ხართ! რომელ წლიდან? - შეეკითხა ჩიქოვანს.

- 1993. - „იქ“ გაიცანით და თქვენ მიამბეთ... ხელები მოწყვეტით დაუშვა ირაკლიმ.

- კარგი, თქვენ ახლა წადით, წადით! დაუჩქარეთ! „იქ“ გნახავთ. აუცილებლად... არ ჩაიკეტოს მართლაც... თქვენთვის საშიშია. სარკისებრი ეფექტი არ მოხდეს. დროის დიფუზია.

- აღმოჩენილია! - შესძახა სიხარულით კალმახელიძემ. - ყველანი კიბისკენ წავიდნენ...

- ავთო, შენ დარჩი! - კატეგორიულად უთხრა ჩიქოვანმა.

ავთო მორჩილი ღუმილით შეხვდა. - ვაჟა, შენ ჩადი ქვევით და მოემზადე, ბატონო ნუგზარ, რაღაც უნდა გთხოვოთ...

კალმახელიძე გვერდით გაიყვანა... კალამი ამოიღო და მისამართი ჩაწერა... გვარიც მიაწერა: ქვარიანი.

- ბატონო ნუგზარ, - ჩიქოვანი ჩქარობდა - ეს ჩემი ახლობლის ოჯახია, ბატონი თამაზი და მისი გოგონა ნათია. ჩვენს შეხვედრამდე დიდი დროა... გაიცანით, თუ შეიძლება და ყურადღება მიაქციეთ... მეც ამ გოგონას გვერდით ვიქნები 1993 წელს. მანამდე კი... ჩიქოვანმა ფული ამოიღო...

- არ არის საჭირო, მეგობარო! - სიტყვა „მეგობარი“ ისეთი ხმით უთხრა კალმახელიძემ ჩიქოვანს, როგორც რომელიმე საიდუმლო ორდენის წევრი ეტყოდა თანამზრახველს...

- დაუჩქარე, ირაკლი! - მსუბუქად წაუბიძგა ავთომ. - იმას არ მეტყვი? - თვალებით დაუსრულა წინადადება.

- ისეთი არაფერი თქვათ, მეგობარო, რასაც ცუდი რამ შეიძლება მოჰყვეს! - გააფრთხილა კალმახელიძემ.

- თქვენ არ იცვლებით - გაიცინა ირაკლიმ და ავთოს ყურში რაღაც უთხრა... ავთო გახევებული იდგა...

- მიდის! მიდის! - იღრიალა ქვემოდან ვაჟამ...

ნათელი წრე ოდნავ დაპატარავებულიყო...

- სასწრაფოდ წადი, ირაკლი! - უბრძანა კალმახელიძემ. ირაკლი ჩიქოვანი ფერდობზე დაეშვა... ვაჟამ ხელი შეაშველა. წრე ჩბარა მცირდებოდა... ჩიქოვანი და ვაჟა საფეხურებს ზემოთ ამოუყვანენ... ერთი... ორი... სამი... მერვე საფეხურთან შეჩერდნენ... ირაკლიმ ზევით აიხედა, კიდევ იყო წრე... მცირე, მაგრამ ანათებდა. ჯერ... ავთო მიხვდა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა ირაკლი და ხელით ანიშნა, დაიძახე, გავიგონებო... ჩიქოვანმა ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს ერიდებოდა, არავინ გამიგონოსო და დაუძახა...

- თვითმფრინავს აარიდე! თვითმფრინავს აარიდე! დაიღუპებიან... ყველაფერი შეიცვლება, ნუ იჩქარებენ!...

ავთომ და კალმახელიძემ დაინახეს, თუ როგორ ნელ-ნელა გამჭვირვალდა ორი ადამიანის სხეული და თანდათან უჩინარი გახდა... მეცხრე საფეხურზე ბალახის ღერი ამოშვერილიყო...

\* \* \*

- რას ხატავ, რა არის ეგ? - გალაკტიონმა ქაღალდს დახედა.
- ასეთია დღევანდელი საქართველოს დროშა!
- რაო? - აღმოხდა გალაკტიონს - მენშევიკების დროშა დაიბრუნეთ?
- ასეა, ის რესპუბლიკა აღდგა და დროშაც ჯერჯერობით, მაშინდელია!
- ამათი ჩაქუჩები და ნამგლები აღარ არის? - თვალებში უდიდესი გოცება გამოეხატა დიდ პოეტს.
- აღარ არის! მორჩა, ეგ დრო წავიდა!
- აღარც ბელადები? - ლენინის სურათისკენ გაექცა თვალი.
- არ დამიჯერებ და მაგაზე ისეთ რამეებს წერენ ჩვენს პრესაში, პირველად მეც არ მჯეროდა...
- მერე, ასეთი გაზეთები... არ წამომიდე?
- ეგ რომ წამოგიღო, - გაიცინა კალმახელიძემ - რადიო ვეღარ მიშველის...
- არავის ვუჩვენებ... დავმაღავ, ჩემთვის წავიკითხავ... დამე... მარტო რომ დავრჩები...
- მესმის შენი... მაგრამ საშიშია, არ გირჩევ... ისევ ის სჯობია, საერთოდ არ დამიჯერო არც ერთი სიტყვა, ვითომ ზღაპარს გიყვები, მოდი, ზღაპრის სადღეგრძელო შევსვათ.
- სასწაული ზღაპარია, ეგ ზღაპარი! შენს ზღაპარს გაუმარჯოს! - გალაკტიონმა ჭიქა დასცალა.
- ყველაფერი მიაბზე! - მოუთმენლობისაგან სული ეხუთებულა მას.
- ეს ლექსი გახსოვს? „არის რკინიგზათა ხლართი, არის ავტო, მოტო-ველო, ოჯახებიც არის, მაგრამ ეს არ არის საქართველო!“
- ეს არ არის საქართველო... - კი, კი, მახსოვს... ეს არ არის საქართველო! კი, მაგრამ... რატომ? რატომ? რატომ?

\* \* \*

- ზარი დაირეკა. ნათია ქვარიანმა კარები გააღო. გარეთ მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა იდგა...
- ვინ გნებავთ? - იკითხა ნათიამ.
  - თქვენ ნათია ქვარიანი ბრძანდებით? - მღელვარება ვერ დაფარა ყმაწვილმა კაცმა.
  - დიას... რაშია საქმე? - გული უცნაურად აუთამაშდა ნათიას...
  - მე... ირაკლი ჩიქოვანის შვილი ვარ! - თქვა სტუმარმა...

\* \* \*

ირაკლი ჩიქოვანი საფეხურებს აუყვია... წრე ჩქარა მცირდებოდა. ვაჟას ქოშინი ესმოდა.

- არ დარჩე, აქ არ დარჩე! - ლულულულებდა ირაკლი.

- არა, შენთან ერთად წამოვალ! აქ მტოვებ? - იყვირა ვაჟამ - რა მინდა აქ?

- მაშინ, წინ წადი! ჯერ შენ დადექი მეცხრე საფეხურზე! - ეს მეშვიდეა?

- მერვე! აი, ეს არის მეცხრე! დაუჩქარე! - ავთოს გადახედა და ხმამაღლა გასძახა:

- თვითმფრინავს აარიდე! გაიგე? დაილუპებიან! ყველაფერი შეიცვლება, ნუ იჩქარებენ!

ავთომ თავი დაუქნია. ირაკლიმ ვაჟა წინ გაატარა.

- აქ დადექი! ხომ ხედავ, წრე როგორ დაპატარავდა, არ ჩაიკეტოს! აქ არ დავრჩეთ სამუდამოდ! სიტყვაზე „სამუდამოდ“ ჯერ ვაჟა გაქრა, ხოლო შემდეგ წამით დაგვიანებული, მეცხრე საფეხურზე ახლად ფეხშედგმული, წელში ჯერაც ვერ გამართული ღირაკლი ჩიქოვანი... ირაკლიმ მიმოიხედა: არც ბატონი ნუგზარი, აღარც ავთო, სრული სიმშვიდე და სიჩუმე გამეფებულიყო. ირგვლივ ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ქვემოთ თბილისელები მშვიდად სეირნობდნენ, არავითარი მღვევარი და საერთოდ, ვერავინ ამჩნევდა მას.

\* \* \*

ნათიამ გაიცინა:

- ირაკლის შვილი არ ჰყავს, ალბათ მისამართი შეგეშალათ!

- არა, დედამ მითხრა, რომ...

- ვინ, დედამ? ვერაფერი გამიგია. არ გესმის ახალგაზრდავ, ჩემს ქმარს შვილი არა ჰყავს, - აღელდა ნათია.

- რა ვიცი, თუ შეიძლება, შინ შემოვალ და იქ აგისხნით ყველაფერს...

- ასახსნელი არაფერია, მაგრამ... - უცებ ნათია ქვარიანს მოეჩვენა, რომ ეს ბიჭი ძალიან ჰგავდა ირაკლის, გულმა რაღაც უგრძნო...

- შემობრძანდით - აფორიაქებულმა წარმოთქვა. - ირაკლის ვაჟი სახში შევიდა.

- გიორგი, მე გიორგი მქვია.

- რატომ? - მოულოდნელად იკითხა მასპინძელმა ქალმა. - თუმცა რა სისულელე ვთქვი, - თავადვე გააგრძელა, - უბრალოდ გიორგი არავინ ჰყავს და რა ვიცი...

- ჰოო... რა გითხრათ! დედაჩემმა ზუსტად ამიწერა მამაჩემი და აი, ამ კაცს ჰგავს! - სურათზე მიუთითა. სურათზე ნათია და ირაკლი იყვნენ გამოსახულნი. - თანაც მეც მაქვს სურათი. - პერანგის გულის ჯიბიდან გაცრეცილი ფოტო ამოიღო, შავ-თეთრ ფოტოზე ირაკლი და ნინო იყვნენ გამოსახულნი. ნათიამ სურათს დახედა, ის უეცრად გაფითრდა.

- ახლა გჯერათ? - მოესმოდა სადღაც შორიდან ფიქრებში ჩაძირულ ნათიას. - გჯერათ?

- რაა? რომელი წელია?

- 1973, - მიაშიტად მიუგო გიორგიმ.

ნათია მოეშვა, გულიდან დიდი ლოდი მოსწყდა და სადღაც შორს, ჯანდაბისკენ გაგორდა.

- ჰა! ჰა! ჰა! - გადაიხარხარა ნათიამ, - 1973 წელს მამაშენი შენი ხნის იყო!

- დიახ, განა ჩემი ხნისა არ შეიძლება მამა იყოს?

- არა, თქვენ ვერ გაშიგეთ, - ოფიციალურ კილოზე გადავიდა მასპინძელი. - ირაკლი ჩიქოვანი ახლათ იმ ასაკში, რომელ ასაკშიც სურათზე გამოსახული მამაკაცია, უკაცრავად, მამათქვენია.

ვაჟი ჩაფიქრდა. არადა საოცრად ჰგავდა ირაკლი ჩიქოვანს, გამხდარ, აწოწილ, თმებგაშვებულ ირაკლის, ოცი წლის წინანდელს. ეს ნათიამ არ იცოდა.

- მაპატიეთ, - ჩაიღულღულა გიორგიმ. - თქვენ მართალი ხართ! - გულდამწვარი და იმედგაცრუებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც მთელი თავისი ბავშვობა და სიყმაწვილე ამოდ ელოდა მამას, ახლაც ხელმოცარული დარჩა. მძიმე სიხუმე ნუგზარ კალმახელიძის სტუმრობამ დაარღვია.

- ოჰ, ბატონო ნუგზარ, რა დაბარებულივით იცით მობრძანება, - თავისივე ფამილიარობა გაუკვირდა ნათიას, მაგრამ ისე გაუხარდა გამოსავლის პოვნა, რომ თვითკონტროლი ოდნავ მოადუნა.

- ეს ახალგაზრდა მეცნობა, თქვენი ნათესავია? - ნუგზარმა სტუმარს გაუცინა.

- რა ვქნა, ბატონო ნუგზარ, გაუგებრობა მოხდა, ირაკლის შვილი ვარო და... უხერხულად გაიციინა დიასახლისმა, ხომ იცით, ირაკლის შვილი არ ჰყოლია...

- კი, ვიცი. - დაბეჯითებით დაუდასტურა ნუგზარმა.

- ეჰ, იმ დროს ბავშვი ვიყავი, - წაიკეთლუცა ნათიამ.

- რა სურათია, თუ შეიძლება მეც ვნახავ! - დაინტერესდა სტუმარი.

- არ არის საჭირო, მე წავალ, - გიორგი გარეთ გავიდა, ჭიშკარს გასცდა და ის იყო ქუჩაში გავიდა, ნუგზარ კალმახელიძის შემფოთებული ხმა შემოესმა.

- ახალგაზრდავ, არ წახვიდეთ! ახლავე მოვალ.

გაკვირვებულმა გიორგიმ ხმადაბლა მიუგო: - წადი შენი! და ნაბიჯს აუჩქარა.

- ნათია, მე მერე მოვალ - უთხრა მასპინძელს სტუმარმა, რომელიც ისევ გამოუცნობ ფორმულად დარჩა ნათია ქვარიანისათვის.

- ღმერთო, ჩემო! - წაიხურჩულა ნათიამ და პირჯვრისწერით სახლში შებრუნდა.

- ახალგაზრდავ! - მანქანა დააწია კალმახელიძემ გიორგის - დაბრძანდით, მიგიყვანთ!

- არ მინდა, ტაქსით წავალ! - გაჯიუტდა გიორგი.

- მე მამაშენის მეგობარი ვარ, - თავისთვისაც მოულოდნელად წამოსცდა ნუგზარს.

ამ სიტყვებმა მაგიურად იმოქმედეს გიორგიზე, მანკარები გამოალო და „ჟიგულში“ ჩაჯდა.

- ეს იცი, ვისი მანქანაა? - თვალებში შეხედა ახალგაზრდას კალმასელიძემ.

- რა ვიცი... თქვენია?

- მამაშენის. უფრო სწორად თუ ირაკლი ჩიქოვანია მამაშენი...

- გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ, რამდენი ირაკლი ჩიქოვანი შეიძლება იყოს ამ ქალაქში და თანაც ასეთი! - გიორგი ყვიროდა. მან სურათი მიაჩენა საჭესთან მჯდომს. მოგზაურმა მანქანა დაამუხრუჭა. სურათს დააკვირდა, წელიც ნახა. არაფერი გაკვირვებია, უცებ გიორგის აკოცა.

- კი ეს არის, მამაშენია! - აღელვებული ნუგზარი მანქანას ვერ ძრავდა.

სტარტერმა ბევრი იჩახჩახა, ვიდრე ძრავი ამუშავდებოდა.

- ირაკლი! ირაკლი! - აღმოხდა ბატონ ნუგზარს.

- რა, ცოცხალი აღარ არის? - შეშინდა გიორგი, - მთელი ცხოვრება ვეძებდი... აღარ არის?

პოვნისა და დაკარგვის ერთდროული განცდა ფსიქიკას ურყევდა, ტვინს ურევდა გაოგნებულ გიორგის.

- დაწყნარდი, ცოცხალია, მაგრამ... წამო, მე და შენ დავლიოთ და ყველაფერს აგისხნი! - მანქანა სწრაფად მოატრიალა და ახლო რესტორნისკენ გაქანდა.

\* \* \*

ავტომატმიყუდებულ მაგიდასთან რევოლვერ-პისტოლეტიანი ხალხი ქეიფობდა. ყაყანი, კვამლი და დოლ-გარმონის ხმა საუბრის საშუალებას არ იძლეოდა.

- კუპე არ გაქვთ? - მიმტანს ჰკითხა კალმასელიძემ.

- გვაქვს, მაგრამ ორნი ხომ არ იქნებით?

- უნდა მოვიდნენ ჩვენთან, ოთხნი ვიქნებით. შენს მეგობრებს დაურეკე მოვიდნენ. - მიუბრუნდა გიორგის, - ოღონდ მერე, ყველაფერს რომ გაიმბობ. მაგიდას მიუსხდნენ, კუპეში ბევრი ბუზი იყო და ჭერიც ბუზის ნაჯდომივით დაეხვრიტათ მოქეიფეთ.

- რას შვრება ეს ხალხი, აქ სროლა შეიძლება? - ჩაიბუზღუნა მოგზაურმა. - რიკოშეტით კაცი შეიძლება მოკვდეს.

- ღვინოს დაღევ თუ არაყს? - ბატონი ნუგზარი ახალგაზრდას კვითხებოდა, თან გულში გაივლო: აბა, თუ მეტყვის სულერთიაო.

- სულერთია, რასაც თქვენ დაღევთ! - მოუთმენლობისაგან გაღიზიანებულმა უპასუხა გიორგიმ.

- ნაღდი მამაშენი ხარ!

- დიდი ხანია იცნობთ?

- აი, ეგ რთული საკითხია! - გაიცინა მოგზაურმა.



- ეგ როგორ? არ გახსოვთ? - გაიკვირვა გიორგი ჩიქოვანმა და ახალმოკიდებულ „მაღბოროს“ ღრმა ნაფაზი დაარტყა.

- ყველაფერს გაიმბობ და თავად მიხედები, რატომ ვერ გეუბნები... ოღონდ ჯერ დავლიოთ, ჩვენი გაცნობისა ლიყოს!

- იცოცხლეთ! - გულმოცემულმა გიორგიმ მაღიანად გადაჰკრა ტანინიანი კახური.

- ცოტა რამე მიაყოლე, - თეფში მისწია ახალგაზრდისაკენ ნუგზარ კალმახელიძემ.

- როცა ვსვამ, ვერ ვჭამ...

- აი, მაგითაც ჰგევხარ ირაკლი ჩიქოვანს, გენები, ბატონებო, გენები და წარსულში მოგზაურობა. აი, რა არ სწამდა ამხანაგ სტალინს!

- სტალინი რა შუაშია, ან წარსულში მოგზაურობა? - მხრები აიჩეჩა გიორგიმ.

- ეს ისე, ხატოვნად გითხარი. სტალინი გენეტიკოს მეცნიერებს ებრძოდა, მაგალითად ბერიტაშივლს. სამაგიეროდ, ხალიჩებს უგებდნენ და გუნდრუკს უკმევდნენ მედროვე სელექციონერებს, მიხურინს მაგალითად. ხოლო წარსულში მოგზაურობს „ბუჰ“! - ჩანგალი პისტოლეტივით დაიჭირა: - ხვრეტდა ან საგიჟეში! მე, ნუგზარ კალმახელიძე, გეუბნები ამას და გართმევ ხელს მშვიდობისა და მეგობრობის ნიშნად! - კიდევ დალიეს.

- ბატონო ნუგზარ, - პირველად მიმართა გიორგიმ მოგზაურს. - რას უნდა ნიშნავდეს 1973 წელს ზუსტად ან თითქმის ისევ ისე რომ გამოიყურება ირაკლი ჩიქოვანი, თითქოს გუშინ იყო იქო?

- გუშინ არა, მაგრამ მგონი გუშინწინ წამოვიდა „იქიდან“.

გიორგიმ პირი დააღო.

- ამაშია საქმე. მე და მამაშენი წარსულში ვმოგზაურობთ. მე დაბრუნდი, მარტო მაღაზიებსა და დუქნებში დაგჩანხალებ, ის კი - ფრრ! დაფრინავს წარსულის უკიდევანო სივრცეში. რას არ ყვება: ძმაკაცი სიკვდილს გადაარჩინა, ვიდეომაგნიტოფონი გადაიტანა, სახლი, ის სახლი, შენ რომ დღეს პირველად ნახე, ამ რამდენიმე დღის წინ იყიდა, ოღონდ, ოცი წლის წინ. აი, ასე, ფოკუსი ამაშია: ოცი წლის წინ შეგიძლია დაჰყო ზუსტად ერთი საათი და ისევ დაბრუნდე უკან. გასაგებია?

- არა, მაგრამ... დაბრუნდა? - მოუთმენლობა დაეტყო გიორგის.

- არა, - მძიმედ თქვა მოგზაურმა, - ჯერ არ ჩანს! მაგრამ ვეჭვობ: შეიძლება გადასასვლელში ცვლილებები მოხდა 73 წელს, როცა გავიცანი (პირველად მაშინ ვნახე ირაკლი), გასასვლელი რომ იხსნებოდა, ეგ აქეთ გამორბოდა. ეს ყველაფერი მეორედ გამეორდა. არ ვიცი, გადმოვიდა ჩვენს დროში ამჯერად, თუ ვერა. იქნებ ცირკიც არ არის...

- რატომ არ უნდა იყოს ცირკი? - მექანიკურად იკითხა გიორგიმ.

- ან ჯერ არ აშენებულა, ან ისეთ მომავალში მოხვდა, სადაც ეს შენობა აღარ არსებობს.

- მოკლედ რომ გითხრა, გადსასვლელი ცირკის ფერდობზეა და არ ვიცი, როდის რა მოუვა, ამიტომ ვილოცოთ და ჭიქა ავწიოთ, რომ ჯანმრთელად დაბრუნდეს!

ფეხზე აღგნენ, გიორგის ცრემლები მოერიდა:

- ნუგზარ ბიძია, მე თქვენ... მიყვარხართ...

- კარგი, ბიბიკო, ნუ ინერვიულებ, - ყველაფერი კარგად იქნება. ცრემლმომდგარ თვალებზე ცხვირსახოცი მოისვა მოგზაურმა.

- მთავარი არ მითქვამს: შენც ამ მოგზაურობების შედეგად გაჩნდი: ბოლოს ბათუმში წავიდა, ნინო, დედაშენი, მანამდე უყვარდა, ახლა მოენატრა და წავიდა მასთან, ახალგაზრდობაში!

- ესე იგი ეს სიხმარი არაა, რასაც მიაშობთ, მართალია? - ამოიღულულა ახალგაზრდა თანამესუფრემ.

- იმიტომაც ვერ დაიჯერა ნათია ქვარიანმა შენი ნაამბობი. ან ვინ დაიჯერებს? ირაკლი როგორიცაა დღეს, ზუსტად ისეთივეა 1973 წელს ფოტოზე. ხომ ასეა, ხომ შენი თვალებით ნახე?

- კი!

- ჰოდა, მოდი, წარსულში მოგზაურობას გაუმარჯოს!

გიორგიმ ჭიქა გამოსცალა და მაგიდას ხელი დაჰკრა:

- მე უნდა მოვძებნო მამაჩემი!

- მალე გამოჩნდება, - დაამშვიდა კალმახელიძემ ის.

- არა, ხვალ უნდა წავიდე და ვიპოვო! - გიორგი დათვრა, არა ღვინით, რა თქმა უნდა.

- კარგი შვილო, ხვალ ვისაუბროთ, ახლა შენ წავიყვან, ხვალ კი მოგაკითხავ და ყველაფერი ავწონ-დავწონოთ...

\* \* \*

გიორგიმ ქუჩიდან დაუძახა დედას:

- დედა, გავიგე, მამა რატომ არ ჩანდა აქამდე, გა-ვი-გე!

- კარგი, ჩუმად გიორგი ხალხს სძინავს! - გაისმა ქალის მორიდებული ხმა. ხმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ შვილი ძალიან, ძალიან უყვარდა.

ირაკლი ჩიქოვანმა მიმოიხედა... არა ეს 73 წელი აღარ იყო - არც ოთხმოცდაცამეტი ეს 1964 წელი გახლდათ! იქვე, პირველ შემხვედრს ჰკითხა:

- რომელი წელია?

- რა იყო, ამხანაგო, ცუდად ხართ?

- არა ისე, ... რომელი პერიოდია-მეთქი - გამოძვრა ირაკლი, - ფილოსოფიურად გაგეხუმრეთ.

- ხრუშჩოვის წელია, მაგის დედაც მო... - მიაყოლა გაბრაზებულმა მოქალაქემ.

- და თბილისის „დინამოსი“ - გაიცინა ირაკლიმ, თან შეატყო, ცივი ოფლი ასხამდა. - ცხრა წლით უკან გადმოვვარდი. უკან უნდა დაგბრუნდე, - გადაწყვეტილება მიიღო, დამშვიდდა და საუბარი გააგრძელა:

- თქვენი სახელი?..

- ოთარი.

- ბატონო ოთარ, გეტყობათ სტალინისტი ხართ და „დინამოს“ გუელშემატკივარი...

- რა თქმა უნდა, ყველა ქართველი ასეა...

- და კომუნისტიც... ხომ? - შეაპარა ჩიქოვანმა.

- დიას! ქართველი კომუნისტი პარტიოტია. არ იცოდით? - მღელვარედ წარმოთქვა თითქმის ჩიქოვანის თანატოლმა გამვლელმა, ჩვენს გმირს ესამოვნა ამ კაცის გაცნობა. ალაღი, ნასწავლი კაცი ჩანდა, ეჰ, ყველა თაობაში როგორ გვაქვს ქართული პრობლემა!

- გინდა, მეგობარო, გაგახარო?

- მინდა, მინდა, მაგრამ რა გამახარებს, „დინამოს“ ჩემპიონობას არავინ მისცემს, დაგეგმავენ, როგორც ყოველთვის, სტალინი ვერ გაცოცხლდება, თორემ ამ კრეტინ და მაიმუნ ნიკიტას მოუგრესდა კისერს, ან რად უნდოდა გარჯა, ერთი რომ დაანახა, თვითონ ჩაისვრის ეგ არაკაცი, ეგა!

ირაკლი სულ სხვა მსოფლმხედველობას შეეჩეხა. არა, „იქაც“ ხვდება სტალინისტებს, მაგრამ ისინი ასეთი რიხით ვეარ არიან. ამას კიდევ ვილაცისა და რაღაცის სწამს!“ - დააფიქსირა სტუმარმა მომავლიდან.

- მე გარწმუნებ, - სიამოვნებისაგან ჟრუნტელმა დაუარა, - „დინამო“ წელს ჩემპიონი იქნება, მაგრამ მთავარია, ნიკიტას კისერს მოუგრესენ!

- ვინ იზამს მაგას? - უნდოდ იკითხა ოთარმა.

- ბრეჟნევი, - მშვიდად მიუგო ჩიქოვანმა.

- ეგრევე ჩანს, რომ ტყუილია!

- დამიწუნე ბრეჟნევი ხომ? ჰარიფია, არა? - ეშმაკურად მოკეწა თვალები ირაკლიმ.

- ჰარიფი და პადხალიმია, აბა ვინ არის, იქ ხომ ხელი ასწია სტალინის წინააღმდეგ, მეოცე ყრილობაზე; თუ ბიჭი იყო, სტალინის სიცოცხლეში ეთქვა პირში სიმართლე.

ოთარი ნაღდი, გულმართალი სტალინისტი იყო.

- შვილები გყავს? - იკითხა ეპოქის სტუმარმა.

- კი, ერთი ბიჭი მყავს ნუგზარი, ძალიან ნიჭიერია.

- ჰოდა, იმას გაფიცებ, დამიჯერე, ბრეჟნევი ნიკიტას მოსხნის და გაგახარებს!

- შენს პირს შაქარი. ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. თითო ჭიქა გაცნობისა ხომ არ აგვეწია?

თხოვნა და გარდაუვალობა ერთად გამოსჭვიოდა ოთარის ხმაში...

ირაკლი ჩიქოვანმა მიდამოს თვალი მოავლო და მშვიდად მიიღო მოწვევა:

- კარგი, ოღონდ შორს ვერ წამოვალ. აქ, ზოოპარკთან, უკვე არის სასადილო?

- უკვე კი არა კიდევ თუ არის, არა? არის, მუშაობს, კარგი ლუდია!

ჩიქოვანს უცებ მოუნდა 60-იანი წლების ლუდის გასინჯვა...

გმირთა მოედანი ფეხით გადაჭრეს... სასადილოში ფეხზე მდგომი ხალხი ლუდს მიირთმევდა და სოსისს აყოლებდა, ან პირიქით. დამლაგებელმა მაგიდა გადაწმინდა, ლუთი თვითონ მოიტანეს.

- თვითმომსახურებაა... - აღნიშნა ირაკლიმ.

- ჰო, კომუნიზმისკენ მივდივართ! - ცინიკურად ჩაიცინა ოთარმა.

- კომუნიზმს გაუმარჯოს! - ლუდის კათხა - კათხას მიუჭახუნა ჩიქოვანმა... ლუდით!

- ლუდით იყოს, ხევსურები ლუდს სვამენ სულ.

- თუ უიპიტაურს? - გაიოცა ირაკლიმ.

- ერთია ეგ! - ხელი ჩაიქნია ოთარმა. - გრადუსი ერთია.

- რომელ წლიანი ბრძანდებით? - დაინტერესდა ირაკლი.

- 25-იანი ვარ!

- მამაჩემის ტოლი ყოფილხართ, - წამოსცდა ირაკლის.

- არა, ჩვენ დაახლოებით ტოლები უნდა ვიყოთ, ლუდმა დაგათროთ?

- არა, უკაცრავად... ცუდად ვიხუმრე.

- ეს იმის ბრალია, რომ ღვინოს არა ვსვამთ. სულგადავგვარდით არა? გამეცანით.

- ირაკლი ჩიქოვანი.

- ირაკლი, შეიძლება შენობით მოვმართო?

- რა თქმა უნდა.

- მოდი, ამ ჭიქით იმ ფანტაზიის ასრულებას გაუმარჯოს, რომელიც ამას წინათ მიაშბე, ღმერთმა ქნას, მართლაც ასე მომხდარიყოს, ამინ! - ოთარმა ღვინის ჭიქა ზაღპით დასცალა (ღვინოზე გადავიდა).

- ასე იქნება... თუ რამე არ შეიცვალა, უცებ შეფიქრიანდა ირაკლი, - თუმცა არა მგონია ჩემმა „აქ“ მოსვლამ ასეთი გლობალური ცვლილებები გამოიწვიოს, ერთი კაცი „აქ“ იქნება თუ „იქ“, ალბათ დიდი განსხვავება არ არის.

- ვერაფერი გავიგე... - დაიბნა ოთარი.

- ბატონო ოთარ, აი, თქვენ რას საქმიანობთ?

- მე... მე ახლა ბევრს არაფერს, მაგრამ სტალინის დროს პარტმუშაკი გახლდით, რკინიგზელი ვარ!

- პარტიიდან გაგრიცხეს?

- არა, როგორ გეკადრებათ, უბრალოდ კარიერა გამიფუჭდა, მე ხომ სტალინის სახელს არ ვუღალატე. ვინც უღალატა, ყველა თანამდებობაზეა...

- მოდით, ბატონო ოთარ, მართალი კაცის სადღეგრძელო იყოს, უღალატო კაცის, უღალატობაზე დიდი თანამდებობა არ არსებობს... ოთარმა ბოლომდე დასცალა, ირაკლიმ მოსვა და დადგა: ძალიან არ დაეთვრე, თორემ გზას ვეღარ გავიკვლევ.

- მე გაგაცილებს,- თითქოს ფიქრი წაიკითხაო, - წარმოთქვა ოთარმა.

- მე ვერ გამაცილებთ, მე ისეთ ადგილას ვცხოვრობ, თქვენ იქ რა გესაქმებათ...

- სად ცხოვრობთ, მეგობარო, ასეთ ადგილას? - იკითხა ოთარმა და თან ღვინო ჩამოასხა...

უცებ სასადილოში რამდენიმე ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

- ეს ნოდარ დუმბაძეა, - ჩასჩურჩულა ოთარმა ირაკლის, ხომ წაგიკითხავს...

- არჩილ! - გასძახა ოთარმა ერთ-ერთ მათგანს.

- ოო, ოთარს ვახლავარ, ნოდარ, ეს ჩემი გარე ბიძაშვილია, გაიცანი.

- ნოდარ დუმბაძე.

- ოთარი, ეს კი, ირაკლი გახლავთ, ჩემი ახლობელია, - იცრუა ოთარმა.

- ოთარ, შენმა მეგობარმა თუ იცის, რომ ნოდარ ღუმბაძე მწერლად მე არჩილ ერგემლიძემ გავხადე, ერთად დავწერეთ პირველი წიგნი „ლეიტენანტ შულცის შეცდომა“.

ირაკლი ჩიქოვანი გაფართოებული თვალებით უცქერდა ამ სცენას.

- ჰო, ამან გამხადა მწერალი, - მშვიდი ღიმილით წამოიწყო ნოდარმა. - ერთად დავწერეთ პიესა... რედაქტორმა აჩიკოს ნაწერი წითელი ფანქრით გადახაზა, ჩემი ნაწერი კი ხელუხლებელი დატოვა, მაშინ მივხვდი, რომ მწერალი ვარ! - ატყდა ერთი სიცილი და ხორხოცი. ვინც კი სასადილოში იყო ყველა ჩაბუირდა.

- როგორც უყვარს ხალხს - გაიფიქრა ბედნიერმა ირაკლი ჩიქოვანმა.

- მოდით, ჩემო ირაკლი, ჩემო არჩილ, ამ დიდი ნიჭის სადღეგრძელო შეესვათ!

- გაუმარჯოს! გაუმარჯოს! - თქვა არჩილმა, ის კიდევ ბევრ რამეს დაწერს...

- სხვათაშორის, ერთ მოთხრობას თქვენ მოგიძღვნი... - გააწყვეტინა ირაკლიმ. ყველამ ირაკლის შეხედა.

- ვის მივუძღვნი? - სიხუმე დაარღვია ნოდარმა.

- არჩილ ერგემლიძეს, „ქალაქში მიმინოს რა უნდა“, ასეთი სათაურით გამოქვეყნდება თქვენი ერთ-ერთი მოთხრობა.

- თქვენ წინასწარმეტყველი ხართ? - გაიცინა ნოდარ ღუმბაძემ.

- არა, ეს კარგი კაცია! ამ იდეას გაუმარჯოს! - დაწერე, ნოდარია, ეგ მოთხრობა, ხომ ხედავ, მთელი საქართველო გთხოვს!

- კარგი, აჩიკო, დაწერ, - მშვიდად ბრძანა ნოდარმა. - თუ შეიძლება, რაღაც უნდა გითხრა... ჩუმად უთხრა ჩიქოვანს, თვალებით გარეთ გაიხმო... გარეთ ორნი გავიდნენ.

- რა იცით ამ ჩანაფიქრის შესახებ? - აღელვებას ვერ მალავდა პოპულარული მწერალი.

- მე ყველაფერი ვიცი... „მე ვხედავ მზეს“ უკვე შექმენით?

- კი!

- შემდეგ იქნება „მზიანი ღამე“.

- ვმუშაობ... ჰაერი დაიძაბა... დუმილი ჩამოვარდა.

- ვინ ხართ თქვენ? უცხოპლანეტელი? - მოულოდნელად იკითხა ნოდარმა.

- არა, ქართველი ვარ... მომავლიდან, ახლა, ამ დროში 11 წლის ვარ, „იქ“, ჩემს დროში ორმოცის.

- უნდა დაგიჯერო? - ცივად იკითხა ნოდარ ღუმბაძემ.

- თქვენ უკვე დარწმუნდით.

- ჰო და ეგ არ მასვენებს.

- მე ახლა მთვრალი ვარ! მომეცით თქვენი მისამართი... უცებ გაახსენდა, რომ დღესვე უკან უნდა დაბრუნდეს...

- მე ახლა მთვრალი ვარ, - გაიმეორა ირაკლიმ - მე ვოცნებობდი თქვენთან შეხვედრაზე, ბავშვობაში, სტუდენტობის წლებში, და აი, აქ, ახლა 64 წელს შევხვდით! მაგრამ მე უნდა წავიდე, მე მომავალში მიცდიან...

- გამოუმშვიდობებლად მიბრძანდებით?

- ჰო, მე აქ არავინ მიცნობს, ოთარი მომიკითხეთ, კარგი კაცი ჩანს, მე ვისზეც ეჭვი მაქვს, ის თუ არის, ბევრს ნუ დაღვეს, ურჩიეთ მეგობრულად... თქვენც მოერიდეთ, თორემ აგი რედისკა... (გაახსენდა ერთ-ერთი კალამბური).

- ესეც იცით? თქვენ... თქვენ... ვინა ხართ თქვენ?

- ბატონო ნოდარ, განა თქვენ იცით, ვინა ხართ თქვენ? თქვენ მე გამიგეთ, მშვიდობით, მშვიდობით, - ნოდარ დუმბაძე დიდხანს უქცერდა ცირკისკენ მიმავალ უცნობს.

- წავიდა? - იკითხა ოთარმა.

- წავიდა, სად გაიცანით ეს უცნაური ადამიანი?

- ის დიდი ადამიანი იყო, - თქვა ოთარმა.

- ვინ ის? - იკითხა არჩილმა.

- სტალინი! - როგორც ყველაზე ჩვეულებრივი და გასაგები რამ, ისე მიუგო ოთარმა.

ირაკლი ჩიქოვანი ქვემოდან აუყვა ხის საფეხურებს. ადიოდა ძნელად, ფეხი უსხლტებოდა: ძნელია ნასვამი კაცისათვის კლდე-ღრეში ხოხვა თუ ცოცვა. ქშენით ავიდა. მეცხრე საფეხურზე დადგა. წელში გასწორდა და თვალები ცოტა ხნით 60-იანი წლების თბილისს მიაპყრო. ქუჩის ხმაურს უსმენდა, უცებ ქარმა სიმღერა მოიტანა: „ვეძებ და ვერსად ვპოვე მე სხვა თბილისი“, მღეროდნენ რომელიღაც რესტორანში, ან იქნებ რომელიმე ღია ფანჯრიდან მოდიოდა ბედნიერი თბილისელების ხმა. ამ მომღერლებს ამწუთას არაფერი ახსოვდათ: არც სტალინი, არც ნიკიტა, არ თბილისის „დინამო“, ისინი ღამაზ, უკვდავ სიმღერას მღეროდნენ. ჩიქოვანი მათ ხმას აჰყვა „დავალ მუდამ მოხიბლული...“

ირაკლი ზევით ავიდა. მოკირწყლული დაღმართით ქუჩაზე ჩამოვიდა. გაზ-21-მა ჩაიარა, ერთმა, შემდეგ მეორემ... „პობედაც“ გამოჩნდა. რა ხდება? ფეხით წავიდა სასადილოსკენ. თითქოს იგივე იყო ყველაფერი... ნასუფრალს დამლაგებელი ალაგებდა... ირაკლის გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

- უკაცრავად, ახლა აქ - მაგიდას მიუთითა, - ნოდარ დუმბაძე იყო?

- კი, ეს წუთია წავიდნენ...

ირაკლიმ ამოიგმინა, შეტრიალდა და ცირკისკენ გაიქცა... კიბეები ხვნეშით აიარა და ისევ შედგა მე-9 საფეხურზე.

ნუთუ ჩავრჩი? - შეშინებული იმეორებდა - ნუთუ წარსულში ჩავრჩი? ისევ ავიდა ზევით, ისევ დაეშვა დაღმართით და გადაკვეთა გმირთა მოედანი, მივიდა ზოოპარკთან და იგივე დამლაგებელი რომ დაინახა, ჰკითხა:

- მე ათი წუთის წინ აქ ვიყავი?

- კი, შვილო!

- აბა, დავიდუპე!

- რატომ, რა გიჭირს ასეთი? - ჩაეძია თანაგრძნობით გამსჭვალული ქალბატონი.

- წარსულში ჩავრჩი!

\* \* \*

- დედა, რა ვქნა, რა გავაკეთო? - იკითხა გიორგიმ გაღვიძებისთანავე.  
- რა ვიცი, შვილო, შენ რაც მიაძებ, ზღაპარს ჰგავს, ზღაპრებისა კი, მე აღარ მჯერა...

- ჰო, მაგრამ... მე? მე ხომ აქა ვარ?

- შენ კი, მაგრამ ის არ არის აქ.

- ამაშია მთელი საიდუმლო. ის ამ დროს ცოცხალია, წარსულში, ნუგზარ კალმახელიძემ მითხრა, ალბათ ვერ გადმოვიდაო. იმ დღეს რაღაც ხდებოდა დროის ბზარში... რაღაც კი არა, იმ დღეს გაჩნდა ის ბზარი, როცა მამა უკან დასაბრუნებლად მეცხრე საფეხურზე შედგა... მაგრამ - ჩაფიქრდა - იქნებ „იქაც“ ვერ დარჩა და სხვა დროში აღმოჩნდა...

- სხვა დროში? - დაინტერესდა ნინო.

- ჰო, აღწერილია ეგეთი რაღაცეები სამეცნიერო ფანტასტიკაში ადამიანი ხომ ვერ მართავს დროს...

- ნეტა რას მართავს ეს საცოდავი ადამიანი. - ამოიოხრა ნინომ.

- ადამიანის ნება თავისუფალია... მე მოვძებნი მამაჩემს.

- ის თვითონ გიპოვის, ის ისეთი ვიღაცაა, თვითონ გიპოვის. მე ვერ გაგიშვებ, ეგ ძალიან საშიში საქმეა!

- ომზე საშიშია? ომშიც არ მიშვებ! - გაცხარდა გიორგი. - თავი მომჭერი. თვითმფრინავში ავდიოდი უკვე... და რა წივილ-კივილი ატეხე, რა იყო, ომი არ მომხდარა ქვეყანაზე?

- ეს ომი არ არის! - ცივად მოუჭრა ნინომ. ეს შენნაირი მიამიტი ბიჭების სასაკლაოა, იმიტომაც არ გაგიშვი! რა მოუვიდა იმ თვითმფრინავს, ხომ იცი.

გიორგი გაჩუმდა.

- მე შენს მეტი არავინ მყავს. შენ გაუწვრთნელი, ომისათვის უვარგისი, მიდიოდი ასპროცენტთან სიკვდილზე, ამიტომ არ გაგიშვი... ან იმათ როგორ მიჰყავდი? საშინელებაა! დიქტატორი და სისხლიანი სტალინი მოხალისეებს ჯერ საწვრთნელ კურსებზე უშვებდა რამდენიმე თვით. გესმის შენ? აი, ასე მიდიან შენნაირები და... ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება.

ნინო ატირდა.

- კარგი, დედა, მეც ხომ მაქვს თავმოყვარეობა... ჩემი ტოლები მიდიან და...

- ყველა ხომ არ მიდის? - თვალეში შეხედა დედამ შვილს.

- ყველა... არა... - შეეყონდა გიორგი...

- აი, ყველა რომ წავა, შენც მაშინ წახვალ! როცა სამშობლო მართლა დაგიძახებს. თქვენ კი... თქვენ გაუგებარი თამაშის მსხვერპლნი ხართ, ისე, სხვა გზა თუ არ არის, მაგ ომში წასვლას წარსულში წასვლა სჯობია, იქ, ჩემს წარსულში! მეც წამოვალ! რა მინდა აქ? ამ შიმშილში, უშუქობაში, სიცივეში და რაც მთავარია, უიმედობაში. მეც იქ წამოვალ, იქ ვიცხოვროთ. მშვენიერი იყო იქაურობა.

- მაგრამ ორივეს გაგვიჭირდება, სად უნდა ვიცხოვროთ, ბინა არ გვექნება...

- რატომ, ჩვენ ბინა არ გვაქვს? - გაიკვირვა დედა.

- კი გვაქვს, დედა, მაგრამ „იქ“ შენ ოცი წლის ხარ და მშობლებთან ერთად ცხოვრობ იმ ბინაში, მე პატარა ვარ, ახლა ჩვენ რომ მივადგებით, რა ვუთხრათ?

- აი, გავიზარდეთ და მოვედითო - ღიმილით უპასუხა გიორგიმ.

- ისე, კი მაინტერესებს, გვიცნობენ თუ არა. - ოცნებაში წავიდა ნინო.

- ფანტასტიკური ლიტერატურის კანონით საკუთარ თავთან შეხვედრა აკრძალულია.

- ვინ აკრძალა ეგ? რატომ? ეგ არავინ არ იცის. იქნებ ძალიანაც კარგი ლიეოს საკუთარ თავთან შეხვედრა... ნეტავ მაშინ შეხვედროდი საკუთარ თავს და ამ სისულელეს არ გავაკეთებდი.

- ასე მალე თქვი ჩემზე უარი? - ცივად წარმოთქვა გიორგიმ.

- შენ რა შუაში ხარ?

- იმ შუაში ვარ, რომ როგორც კი მიხვალ საკუთარ თავთან და ეტყვი ამა და იმ სისულელეს ნუ გააკეთებთ, მე აღარ ვიქნები აქ, ამ დროში... და საერთოდ... სევდიანი ჩამოჯდა ტახტის კიდეზე, - ან იქნებ ჯობია რომ უთხრა და დამთავრდება ეს წვალება.

დედა მიუახლოვდა შვილს, ისე ნახად მოხვია ხელები, უცხო ადამიანს შეყვარებულები ეგონებოდა. - ნინოს წლები არ ეტყობოდა.

- არა, შვილო, ყველაზე კარგი რაც მე ჩამიდენია, არის ის რომ შენ მყავხარ! ამ თემას კი მივუბრუნდეთ მოგვიანებით, როცა ყველაფერს ავწონ-დავწონით!

\* \* \*

ირაკლი ჩიქოვანმა ბადის სკამზე გაიღვიძა. ქურთი მეეზოვე ახლო-მახლო დაყრილ ფოთლებსა და სიგარეტის ნამწვავებს გვიდა.

- რომელი წელია, დეიდა? - მექანიკურად ჰკითხა ჩიქოვანმა.

- 1964. აგერია კალენდარი?

- ჰო, - თან დაამთქნარა, - სიზმარში სხვაგან ვიყავი. ეჰ, სიზმარია ეს ცხოვრება, - ხმამაღალი ფიქრი განაგრძო ჩიქოვანმა. - რა ვქნა, ახლა მე? აქ ჩავიკეტე. კიბე, ანუ მომავლის ესკალატორი 1973 წელს ამუშავდება, მანამდე ცხრა წელია. მთელი ცხრა წელი. ან მთელი ცხრა წელი! - მეორე ვარიანტი პირველისაგან განსხვავებით ლოპტიმისტურ კილოზე წარმოსთქვა.

- ისე, ჩვენში დარჩეს, საინტერესო დროა. ყველანი, ვისითაც კი საქართველო ამყოფს, აქ არის და ამ დროში მოღვაწეობს... ფეხბურთზე ვივლი და გულს გადავაყოლებ... მაგრამ არც ბინა მაქვს და არც სამსახური. აი, საბჭოთა ცხოვრების მთავარი პრობლემა, თუმცა არც არასაბჭოთა დროს დაგვაყარეს ბანანები! - მწარედ გაიცინა, - მეტიც, დეიდაჩემო! - მეეზოვეს გახედა, - ყველანაირი ოცნება კაპიტალისტურ სამოთხეზე დაიმსხვრა...

- ვა, რა გაზეთივით ლაპარაკობ, ჟურნალისტი ხარ?

- არა. გიჟი ვარ, თავისუფალი გიჟი!



- ჰო, გიჟი თავისუფალია, - დაადასტურა მეეზოვემ.

- საინტერესოა: რას ვიზამდი მე ამ დროში რომ მეცხოვრა, იმ დროში ბევრს ვერაფერს მივალწიე, მაგრამ აქ, ახლა, იქნებ მოვახერხო ენციკლოპედიაში ასო „ჩან“-ზე გაჩითვა! ვინ - ჯერ არ ვიცი, ბინა უნდა ვიპოვო! ირაკლიმ ტანსაცმელი შეისწორა, გამვლელს თვალი შეავლო.

- აჰა, „მაკასინებია“ მოდაში, ე. ი. ესეც უნდა ვიშოვო!

- ვის ვიცნობ მე აქ? ავთო 12 წლის იქნება... ამ ასაკის ახლობლები მყავს... ვისთან გინდა მიხვიდე? ვინ გაგიგებს? საჭიროა ეპოქის ანალიზი. რა უყვართ, რას აფასებენ ამ წელს? ფეხბურთელობა ჩემთვის გვიანია, მწვრთნელობა არ შემიძლია, რომანებს მე არ ვწერ, პარტიული არა ვარ. გიტარაზე კი ვუკრავ და ვმღერივარ, თითქმის ყველა პოპულარული სიმღერა ვიცი, ქართულიც, რუსული, „ბითლზებიც“. ოო, ახლა ინგლისში ამომყოფინა თავი?

ინგლისში „ბითლზები“ ახლა ანგრევენ. მე შემიძლია მათი სიმღერის კოპიო „მოგხსნა“ და ფული ვაკეთო, მაგრამ... ინგლისში მოხვედრა „ჩემს“ დროში მოხვედრაზე დიდი სისულელეა, საბჭოთა რეალობიდან გამომდინარე...

წუხანდელი მელოდია აეკვიტა: „დავალ მუდამ მოხიბლული შენი თილისმით“, ვინ მღეროდა ამ სიმღერას?... „ორერა“... თუ არ ვცდები! „ორერა“ არსებობს და მე მათთან უნდა მივიდე, მე უნდა ვნახო რობერტ ბარდიმაშვილი!

\* \* \*

ტელეფონის ზარი.

- გიორგი, მე ვარ, ნუგზარ კალმახელიძე!

- გისმენთ, ბატონო ნუგზარ, გამარჯობათ... - ნაგვიანევად მიესალმა გიორგი.

- რა მოვიფიქრე, იცი?

მამაშენი სადაც უნდა იყოს, ე. ი. რომელ დროშიც უნდა მოხვედეს, რამეს ისეთს მოიმოქმედებს აუცილებლად, პრესაში მოხვედება!

- სად? - ვერ გაიგო ახალგაზრდამ.

- გაზეთში. გაზეთში დაწერენ მასზე და ჩვენც გავიგებთ, სად, რომელ დროშია.

- ჩვენ როგორ შევიტყობთ, როდის რას დაწერენ?

- საჯარო ბიბლიოთეკაში უნდა ვიაროთ, იქ ვეძებთ ინფორმაცია. ოღონდ ჯერ არა, ჯერ იქნებ გამოჩნდეს... - უიმედოდ წარმოთქვა კალმახელიძემ.

- რომ არ გამოჩნდეს?

- სულერთია, მოქმედებისათვის დრო უნდა მივცეთ, დრო სჭირდება იქ... თავის გამოჩენისათვის...

- კი, მაგრამ, თავი რომ ვერ გამოიჩინოს?

- რაღაცას მაინც დაწერენ, თუნდაც კრიმინალურ ქრონიკაში რუბრიკით: „აბა რა ეგონათ“, ან „კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“, ან ამერიკის

შპიონად გამოაცხადებენ... მოკლედ, ირაკლი ის კაცი არაა, პრესის ფურცლებზე რომ არ მოხვდეს ცოტა ხანში... დაახლოებით 2-3 თვეში...

- კარგი, დაველოდოთ, სხვა რა გზაა, თქვენს ზარს დაუცვლი და წავიდეთ საჯაროში, არც კი ვარ ნამყოფი...

- ახლა არ დადის ხალხი, - სევდიანად ჩაილაპარაკა ნუგზარ კალმახელიძემ.

- კომპიუტერი შემოდის! - ნიშნის მოგებით შეეპასუხა გიორგი ჩიქოვანი.

- იცი, რას გეტყვი? გალაკტიონის პირველ წიგნს ხელში რომ დაიჭერ, ნაცრისფერ პატარა წიგნს, რომელზედაც 1914 წელი აწერია, სათაურად კი „არტისტული ყავილები“ აქვს, ისეთი ჟრუანტელი დაგივლის, ვერანაირი კომპიუტერი ვერ შეცვლის...

- ჰო... რა ვიცი, იქნებ თქვენ მართალიც ხართ...

წამიერი მდუმარება ისევ კალმახელიძემ დაარღვია.

- მოკლედ ორ თვეში დაგირეკავ, იმ დროში, ჩემის აზრით, უკვე თავს გააცნობს საზოგადოებას, რა თქმა-უნდა, თუ მომავალში არ მოხვდა!

- მომავალში? - აღზნებით იკითხა გიორგიმ - მერე რა? ეს რას სცვლის?

- იმას, რომ ჩვენ ვერაფერსაც ვერ ამოვიკითხავთ წარსულის ჟურნალ-გაზეთებში! - ისევ სიჩუმე.

- კარგი, კარგი. რაღაცას მოვიფიქრებ... იქნებ გამონდეს. ჩაილაპარაკა თავისთვის გიორგი ჩიქოვანმა.

- ჰო, ნახვამდის, არსად წახვიდე. გასაგებია? - ორაზროვნად მიმართა ნუგზარმა.

- გასაგებია. ნახვამდის. - სატელეფონო კავშირი შეწყდა, ორი ყურმილი თითქმის ერთდროულად დაეშვა აპარატზე.

\* \* \*

რობერტ ბარძიმაშვილი ენგელისის ექვსში ცხოვრობდა ე. წ. „ხლებნი პლოშადთან“. ირაკლი ჩიქოვანი ვიწრო ქუჩას ფეხით ჩაუყვა. ბიჭები „გრძელ ვირს“ თამაშობდნენ. „პობედა“ ტროტუარზე ნახევრად დაქანებული იდგა.

- ბიჭებო, რობერტი აქ ცხოვრობს? - ჰკითხა აზარტში შესულ მოთამაშეებს.

- დიახ, პირველ სართულზე, - ზრდილად მიუგო ერთ-ერთმა ბიჭუნამ, - მომღერალი, არა? - ჩაერია მეორე ყმაწვილი.

- დიახ, - ჩიქოვანმა თავაზიანი დასტური მისცა, - მაგალითს დიდი ძალა აქვს - გაიფიქრა ირაკლიმ.

- ახლა სახლში იქნება?

- დიახ, „პობედა“ აქა დგას, მისია. - პატივისცემით შეათვალიერა ბიჭუნამ „ორერას“ ხელმძღვანელის მანქანა.

- ძალიან კარგი, გმადლობთ, ბიჭებო, თქვენ ნამდვილი ჯენტლმენები ხართ! - ჩიქოვანი სადარბაზოში შევიდა.

- რას ნიშნავს ნეტავ „ჯენტლმენი“? - გაცემით იკითხა პირველმა ბიჭუნამ.

- ამერიკელ იმპერიალისტს. - მიუგო მეორემ.

კარები თავად რობერტმა გააღო. მას იმ დროისათვის მოღური, წვრილი უღვაშები ამშვენებდა. ჭრელი თვალები სტუმარს მიაპყრო, მაგრამ ვერაფერს შეიძინო მასში.

- თქვენ რობერტი ბრძანდებით, არა? - დაასწრო ჩიქოვანმა.

- მე გახლავართ, რაშია საქმე? - რატომღაც უნდობლად იკითხა მასპინძელმა.

- თქვენთან საუბარი მინდოდა შემოქმედებით თემაზე.

- კომპოზიტორი ხართ?

- დაახლოებით კომპოზიტორი, პოეტი და წინასწარმეტყველი!

- მობრძანდით! - რობერტი შეტრიალდა და სახლში შევიდა, ჩიქოვანი უკან მიჰყვა...

- გაიცანით, ესენი ჩვენი ბიჭები არიან. თქვენი სახელი?

ტახტზე მოკალათებული ბიჭები წამოიშალნენ.

- ირაკლი ჩიქოვანი, - ოთხთავეს ხელი ჩამოართვა სტუმარმა. თემური, ზურაბი, თამაზი და რობერტი, - ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

- დიახ, კარგად გცოდნიათ ჩვენი კვარტეტის შემადგენლობა, - გაიცინა რობერტმა და ჩიქოვანს სავარძელი მიუჩოჩა. - ირაკლი სავარძელში ჩაეშვა.

- უკეთესად, ვიდრე თქვენ, - ეშმაკურად გაიცინა ირაკლიმ.

- ჰო, დამავიწყდა! ბიჭებო, ბატონი ირაკლი გამეცნო, როგორც წინასწარმეტყველი.

ბიჭებმა გადაიხარხარეს.

- კარგი ნომერი გამოვა არა? სცენაზეა წინასწარმეტყველი! - სიცილით ამბობდა ზურაბ იაშვილი და თავის ბროლის კბილებს აჩენდა.

- ფილარმონიაში არ მინახიხართ, - წამოიწყო რობერტმა, როგორც კი სიცილი მინელდა.

- არა, ახალი ჩამოსული ვარ... მოუმზადებლად მიუგო ირაკლიმ, თან ფიქრი აეკვიატა, საიდან ვარ ჩამოსული? ჰო, მოსკოვის ფილარმონიიდან.

- მე, ლენინგრადის ფილარმონიის თანამშრომელი გახლავართ - ბოლო წამს მოსკოვი ძალიან გადამეტებული ეჩვენა სტუმარს. ის იყო, თემურ დავითაიას რაღაც უნდა ექთვა, რომ ჩიქოვანმა დაასწრო:

- მე თქვენთან მთელი პროგრამით მოვედი.

- სიმღერები მოგვიტანეთ? - იკითხა რობერტმა.

- სიმღერებიც... საერთოდ, პროგრამა მუშაობის, სტილის, იმიჯის...

- იმიჯი რაღაა? - ჩაერთა ზურაბი.

- „იმიჯ“ - ხელი სახეზე მოისვა ჩიქოვანმა.

- „ობლიკ“ - გადაუთარგმნა თამაზ ფანჩვიძემ. ჩიქოვანმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა მას.

- მაგალითად, რა? - თვალი თვალში გაუყარა რობერტმა ირაკლის.

- მაგალითად? მაგალითად, გიტარა მომაწოდეთ.

გიტარა მიაწოდეს. ჩიქოვანმა სიმებს ჩამოჰკრა:

„დავალ მუდამ მოხიბლული შენი თილისმით“...

- კარგად მღერიხართ, მაგრამ ჩვენ რაღაც მეტის მოსმენისათვის განვეწყვეთ თქვენი საუბრის შემდეგ, ეს ხომ ცაბადის სიმღერაა და ჩვენ ამას უკვე ვასტრულებთ, - შეაწყვეტინა რობერტმა.

- ვიცი, ოჯახებშიც მღერიან, გუშინ ვუსმენდი, ფანჯრიდან მესმოდა, ცირკთან რომ ვიდექი, ბავშვობიდან მიყვარს ეს სიმღერა.

- ხუმარა ყოფილხართ, ეს სიმღერა ახალია, ბავშვობაში ვერ მოისმენდით! - გაღიზიანდა რობერტი.

- მოვისმენდი, სიზმარში... ხომ შეიძლება სიზმარში მოვისმინო? - გამოსავალი იპოვა ჭადარაშეპარულმა უცნობმა, რომელიც ახალგაზრდა მუსიკოსებს უფრო და უფრო აინტრიგებდა.

- თქვენ თვითონ არაფერს ქმნით? - სულმოუთქმელად მიაყარეს აქეთ-იქედან.

- კი, აი, მაგალითად: „ქუჩა ქუჩა აღუბლებს“ - წამოიწყო ჩიქოვანმა, იგი მთელი არსებით მღეროდა. მისამღერი ოთხივემ აიტაცა:

„ვაი, ვეღარ ვხედავ მზეს,

როცა შენ ვერ გხედავ...“

სიმღერა დასრულდა. ყველანი გაჩუმდნენ, ოთხივე განცდილ სიამოვნებას იაზრებდა.

- ყოჩაღ, ბატონო ირაკლი! კარგი სიმღერაა. თქვენ დაწერეთ ეს სიმღერა? - შეაქო რობერტ ბარძიმაშვილმა.

- მე არა, მაგრამ... ჩემს გარდა არავინ იცის ეს სიმღერა... თქვენთვის სულ ერთი არ არის?

- პრინციპში სულ ერთია. მთავარია, კარგი სიმღერა იყოს და... მაგრამ სამხატვრო საბჭო რას იტყვის. თქვენ ხართ კომპოზიტორთა კავშირის, ან საავტორო უფლებების დაცვის სააგენტოს წევრი?

- არა, არა ვარ. - გადაჭრით მიუგო ირაკლიმ.

- აბა, რა ვქნათ? ვინ გამოვაცხადოთ?

- დაწერეთ, მუსიკა გიორგი ცაბადის. ტყუილი მაინც არ იქნება.

- როგორ, თქვენი სიმღერა ცაბადეს მივაკუთვნოთ?

- იცით, რა? ახლა ამაზე საუბარი გადავდოთ, მე მაინცდამაინც ეს არ მადეღვებს, - თემა შეცვალა ირაკლი ჩიქოვანმა - მე თქვენთან მუშაობა მინდა... საერთოდ. ამიყვანეთ შტატში. კვარტეტი დაბნეული შესცქეროდა წინასწარმეტყველად მოვლენილს.

- მომღერლად? - იკითხა ბარძიმაშვილმა - თან ჭადარას შეავლო თვალი.

- არა, ანსამბლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად.

- რა თქმა უნდა, შენს მერე, - შენობით მიმართა რობერტს...

- მოვიფიქროთ! - რობერტი დაბნეული ჩანდა.

- ნუ გეშინიათ, მე ხელს არ შეგიშლით თქვენი წილი დიდების მიღებაში, მე ვიქნები ჩემთვის, დამინიშნეთ განაკვეთი და მატარეთ გასტროლებზე. „მეტი არა მინდა რა“! - წაიმღერა უნებურად.

- იცით, რა, კიდევ გვიმღერეთ რამე! - წამოიწყო ზურაბ იაშვილმა - გვიმღერეთ და ჩვენ შემდეგ ვიმსჯელებთ, კვარტეტი, მაინც კვარტეტი! - მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა „ორერას“ პოპულარულმა წევრმა.

- თქვენ, კვარტეტი მაინც აღარ იქნებით ძალიან მაღე, დაახლოებით 66 წლიდან.

- რატომ? - გაიკვირვეს ბიჭებმა.

- იმიტომ. სიხმარში ვნახე, - გაიცინა ჩიქოვანმა - თქვენ მიიღებთ ვახტანგ კიკაბიძეს და კვარტეტი აღარ იქნებით, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ.

- ვინ ვახტანგს? ბუბას? - თვალები გადმოკარკლეს „ორერას“ წევრებმა.

- ჰო, ზურაბ. რა, არ მოგწონთ? - გაიცინა ჩიქოვანმა.

- არა, ცუდი ბიჭი არაა, მაგრამ... რაში გვჭირდება?

- კარგი არტისტია! - ჩაერია რობერტ ბარდიმაშვილი - კი, ნამდვილად გამოდგებოდა! აი ეს სიმღერა შენ რომ... შეიძლება შენობით მოგმართოთ?

- დიახ. - დაეთანხმა ირაკლი.

- შენ რომ გვიმღერე „ვაი, ვეღარ ვხედავ მზეს“, მაგას მოუხდება. - რობერტმა სხივჩამღგარი თვალები მომაგაღას მიაპყრო...

- მერე ჩვენ? ჩვენ რას ვშვრებით მაგ სიმღერაში? - იდილია დაურღვიეს მეგობრებმა.

- ჩვენ ვუკრავთ და ხმებს ვაძლევთ მისამღერში.

- ეს როგორ? - გაიკვირვეს, მხრები აიჩქეს.

- როგორც „ბითლზებს“ აქვთ. ყველანი უკრავენ და მღერიან. - დაასრულა რობერტმა და სავარძელში ჩაეშვა.

- ჭეშმარიტად! - დამრიგებლური ტონით დასძინა ჩიქოვანმა - როგორც „ბითლზები“. გიტარა აიღო და სიმღერა წამოიწყო: „ჰეი ჯუ...“

კვარტეტი „ორერას“ წევრები თითოეულ ფრაზას ნთქავდნენ, ეს მათ არასოდეს მოესმინათ. სიმღერა დასრულდა..

- ეს რა არის? - იკითხა რობერტმა.

- ეს არის პოლ მაკარტნის სიმღერა, რომელსაც მაღე მიუძღვნის ჯონ ლენონის შვილს ჯულიანს და რომელიც მე უკვე მოგასმენინეთ.

- დედა, ღვინო! - დაიძახა აღტაცებულმა რობერტმა - ღვინო!

კარებში დეიდა თამარი შემოვიდა, თხელი, სიმპათიური ქალი.

- რა დროს ღვინოა, შვილო, რეპეტიცია გაქვთ, მაღე... კონცერტი!

- დედა, ისეთი კაცი გვესტუმრა, უღვინოდ შეუძლებელია!

\* \* \*

„პობედა“ გმირთა მოედანზე საცობრი მოჰყვა.

- არსად მეჩქარება, - თქვა რობერტმა, - თან ბევრი რამ მაქვს ალბათ სათქმელი... ერთი-ერთზე, - გადახედა ირაკლი ჩიქოვანს...

- არსად გვეჩქარება, მართალი ხარ, რობერტ. მე არც ჩაწერილი ვარ თბილისში, არც პასპორტი მაქვს, არც ხელფასი, არც ბინა, მე შენი იმედი მაქვს!

- მძიმე პრობემებია! - ამოიოხრა რობერტმა და „პობედა“ რამდენიმე მეტრით წინ წასწია.

- ხომ იცი, რა ცხოვრება გვაქვს, - ჩაუწერელ კაცს სამსახურში არ მიიღებენ, ხელფასს არ მისცემენ, ბინაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

- რომ ვთქვათ, ვითომ დაგკარგე?

- დაბადების მოწმობას მოგთხოვენ... მართლა, რომელ წელს ხარ დაბადებული?

- არ დაიჯერებ, ამას წინათ, ორმოცდაათიანების დასაწყისში.

რობერტმა მძლავრად დაამუხრუჭა.

- რაა?

- დაწინარდი! იმიტომ ვიცი წინასწარ რაღაცეები. მე დავიბადე წარსულში, მერე გავიზარდე... ღვთისა და დედახემის შეწევნით, უმამოდ, ისევე როგორც შენ, მე დავდიოდი შენს კონცერტებზე, მე დავდიოდი ჯორჯ მარინოვიჩის, რადმილა კარაკლაიჩის, იოვანას, „სკალდოვანების“, „პუგანოვას“, „75“-ის კონცერტებზე, „ოროველაზეც“ დავდიოდი ზურა კობეშავიძის ხელმძღვანელობით, მიყვარდა ბესიკ კალანდაძის, კობა ბუიტაშვილის, თემურ რევაზიშვილის შესრულებული სიმღერები, მე დავდიოდი „რეროზე“, „დიელოზე“, ნანის კონცერტებზე, „ივერიაზე“.

მე ვუყურებდი ფილმებს „შეხვედრა მთაში“, „ორერა სრული სვლით“, სოსო ბარდანაშვილის როკ-ოპერა „ალტერნატივა“, „არ დაიდარდო“, „მიმინო“, „არგონავტები“ და ჰა, დადგა 1989 წელი, შეჩერდა კინო, გაჩუმდა მუსიკა და ამიტომ, ამ გაჭირვებამ მომიყვანა აქ, ამ დროში. რაც მთავარია, ვეღარსად მივდივარ.

- ეს ტანსაცმელიც... ასე ოცდაათიან წლებში იცვამდნენ, - დაბნეული ბუტბუტებდა ბარძიმაშვილი: - რა ვქნა? შემეშვი, თუ კაცი ხარ!

- კი, ბატონო. გააჩერე და გადავალ! - ცივად მიუგო ჩიქოვანმა - ოღონდ 93 წელს რომ გაჭირვება იქნება, რა უნდა გააკეთო, არ გეტყვი, მერე ინანებ!

- რა გაჭირვება იქნება? - ამაზე მეტი გაჭირვება წარმოუდგენელია, - გაეცინა რობერტს. - მეტი რა უნდა იყოს?

- სიბნელე, სიცივე, შიმშილი, ომი... აღარც კონცერტები, აღარც ...არაფერი!

- რა ომი? რის ომი! რა, ამერიკასთან იქნება ომი? - ისტიბარს არ იტეხდა „ორერას“ ხელმძღვანელი, თან ოდნავ წინ წასწია ავტომობილი.

- რა არის ეს? რატომ გადაუკეტიათ ცირკთან ქუჩა? - სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი ჩიქოვანმა.

- ფეხბურთია! - თქვა რობერტმა და ისე გადახედა თანამოსაუბრეს, აშკარად ამბობდა: ეგ როგორ არ იციო.

- ვინ თამაშობს?

- „დინამო“ - მოსკოვის „დინამოსთან“.

- ფრე იქნება, - უდარდელად ამოამთქნარა ირაკლიმ.

- ეგეთი მოკასინები მინდა, ბავშვობაში მამამ შეაკერიდა ჩემთვის!

- მოკასინებს გაჩუქებ, მაგრამ... ფრე არ უნდა იყოს დღეს, დღეს აუცილებლად უნდა მოვიგოთ! - მტკიცედ შეეპასუხა საჭესთან მჯდომი.

- სანამ გაურიღ კაჩალინს არ ჩამოიყვანენ, გამარჯვებები არ იქნება, მერე იცოცხლე!...

- მერე რა მოხდება? მერე ან მესამე ადგილია, როგორც ყოველთვის! ქართველებს პირველ ადგილს ვი მოგვაშავებს?

- წელს ჩემპიონები ვართ! შენ ეგ არ იდარდო, ეგ ნაღია! გინდა, ფეხბურთზე წავიდეთ? - შესთავაზა სტუმარმა მასპინძელს.

- ოღონდ დღეს არა, მითუმეტეს თუ ფრეა, როგორც შენ ამბობ, წამოდი, სადმე დავსხდეთ და ყველაფერი დაწვრილებით მიაგებე.

\* \* \*

კაფე „მეტროში“ სიხალვათე იყო ფეხბურთის გამო, რა თქმა უნდა.

- დღეს ფეხბურთია, - გაუცინა ოფიციატმა.

- ვა, ჯუნა?! - როგორ ხარ? - ღიმილით ჰკითხა რობერტმა.

- ორი ყავა, ერთი კონიაკი! - მოკლე შეკვეთა მიიღო ჯუნამ და შოლტივით მოქნილი ტანი შეარხია.

- რა სწრაფად დაქრის მაგიისა და ეზოთერული მეცნიერების მაგისტრი, მსოფლიო დიდების მქონე ჯუნა დავითაშვილი - პათეტიურად წარმოთქვა ირაკლი ჩიქოვანმა.

- არ მითხრა, ამას ვიცნობო, - სიგარეტის კვამლის მიღმა თვალი მოჭუტა რობერტმა.

- მაგას ვინ არ იცნობს, „იქ“ აკადემიკოსია! იყო ბრეჟნევის ექიმი და რა ვიცი ვინ არ არის: წერს, ხატავს, სუპერჟუნია!

- ახლა კი გარეკე, აი, - საფეთქელთან თითი დაატრიალა რობერტმა.

- რობერტ! - ეწვინა ირაკლის - მოდი, შევთანხმდეთ, დღის ბოლოს, როცა გაიგებ, რომ ფრედ ნულით ნული დამთავრდა თამაში, პატივისცემითა და გაგებით მოეკიდები ჩემს ყოველ სიტყვას, მე ტყუილი საერთოდ არ მიყვარს, გენში არა მაქვს ცრუპენტელობა, მითუმეტეს ახლა, ამ მდგომარეობაში, როცა 1973 წლის ზაფხულიდან პირდაპირ აქ, 1964 წელს აღმოვჩნდი.

- ეგ როგორ ხდება? - ალაღად იკითხა პოპულარული კვარტეტის ლიდერმა.

- ჩვენ გაგვიმარჯოს! - ირაკლიმ ჭიქა მიუჭახუნა თანამესუფრის ჭიქას, დალია და წამოიწყო:

- 1993 წლის ზაფხულის საღამო იდგა. ძველ უბანში, მორყეული სახლის ხის კიბეები ავირბინე და გასაღები ჩამოშლილ კარებს მოვარგე, ჩემს თვალწინ სიდატაკე გადაიშალა...

რობერტი სასმელს წრუპავდა და მთელი გულისყურით ისმენდა ისტორიას, რომელიც ჩვენ ვიცდით. ის სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ძველს აქრობდა და იქვე ახალს უკიდებდა, თითოეულ სიტყვას ნოქავდა, ის იყო გაოცებული, გაკვირვებული, გაოგნებული. ის იყო ზღაპარში.

მოსაღამოვდა, კაფე „მეტროს“ სარკმლებში ქალაქის შუქი აკიაფდა.

- ასე, რომ, ახლანდელი თბილისი ჩაბნელებულია! - ნაღვლიანად წარმოთქვა - ირაკლი ჩიქოვანმა და მზერა განათებულ, პატარძალივით მორთულ თბილისის საღამოს მიაპყრო.

- შოკში ვარ! - თქვა ბარძიმაშვილმა. დარბაზში თემურ დავითაია გამონდა.

- აქა ხართ? რა კარგია, რომ გნახეთ! დღესაც ვერ მოვიგეთ, ამის ... თემური მაგიდას მიუჯდა.

- ნულით-ნული არა, ჩემო თემურ? - წაიღულულა გრადუსმოკიდებულმა რობერტმა.

- ჰო, კიდევ ვერ მოვიგეთ! - ნაღვლიანი იყო თემური.

- არა უშავს, მალე კახალინს ჩამოვიყვანთ და გავიმარჯვებთ, აი, ნახავ, თუ არა. დაასხი! - რობერტმა დაისხა და მარტომ დალია. - აი, ასე! ეს კაცი ყველაფერს გვიამბობს რაც მოხდება და ჩვენც გავითვალისწინებთ, - გადაიხარხარა ბარძიმაშვილმა, თემური შეშინდა.

- კარგი რა, რობერტ, მეტს ნუ დაღვევ, რა დაგემართა?

- არაფერი, არაფერი, ჩემო თემურ, ისეთი რაღაცეები ვუამბე, ინფორმაციით მიყენებულ შოკშია, მალე გაუვლის, შენ არ დაღვევ?

- დავღვევ, ოღონდ ცოტას, სხვა რეპეტიცია გვაქვს.

- აი, მესმის. კონცერტის წინ კი არა, „ორერას“ ბიჭები რეპეტიციის წინაკი კი არ სვამენ, ამას დაგწერ ალბათ „იქ“ ჩემს დროში, ან უბრალოდ ვუამბობ ვინმეს.

- მართლა წინასწარმეტყველი ბრძანდებით? - მორიდებით იკითხა თემურმა.

- კი. ეს ქალი, ოფიციალტი ჯუნა, მაგისტრი გახდება, ამ კაფეს აიღებენ, ფაფუ - აღარ იქნება! რობერტი „ორერადან“ წავა, შენ „ორერაში“ დარჩები.

- ხუმრობთ ალბათ... წავიდეთ რა? - თავაზიანად წამოღვა თემური - რობერტ, წავიდეთ, სახლებში წავიდეთ, დავისვენოთ.

- ყოჩაღ, თემურ, უფრო სწორად გმადლობთ, თემურ! - წამოიმღერა რობერტმა, - „ხვალემ იზრუნოს ხვალისა!“

- სხვათა შორის, დაგამახსოვრდება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ 93 წელს ერთი იმპრესარიოს<sup>1</sup> წინადადებას დათანხმდი, არ წააგებ! - თემურს მიმართა ჩიქოვანმა.

- რა წინადადებაზეა ლაპარაკი? რა დროს 93 წელია? გაგიჟდება კაცი, რა დალიეთ ასეთი? - აღელდა პოპულარული კვარტეტის წევრი.

- მართლაც ძალზე ადრეა! ჯერ იქნება წარმატებები, თავბრუდამხვევი წარმატებები, მაგრამ თუ გაგახსენდეს... წავიდეთ, რობერტ, წავიდეთ, ფული გადაუხადე ჯუნას.

- ჯუნა, შენთვის ჯერ... ბოთლი არ ჩაურტყამთ?<sup>2</sup> - ეს ჩიქოვანმა ჰკითხა.

- არა, - მშვიდად მიუგო ჯუნამ. - მაგრამ მე მგონი, თქვენ ჩაგარტყეს უკვე!

---

1. 90-იანი წლების „ორერას“ იმპრესარიო სოსო აბზიანიძე.

2. ლეგენდის თანახმად ჯუნას ტრამვის შემდეგ აღმოაჩნდა ექსტრასენსის ნიჭი.



\* \* \*

შემოდგომა დადგა.

ნუგზარ კალმახელიძე, ნინო და გიორგი საჯარო ბიბლიოთეკის კარებს მიაღვნიენ.

- საკმაოდ დრო გავიდა, უკვე რაღაც ეწერება მასზე... - ამბობდა ბატონი ნუგზარი. გადაწვიტეს 50-იანი წლებიდან დაეწყოთ გაზეთების დათვალიერება. ტიტანური შრომ ჰქონდათ ჩასატარებელი, უნდა ენახათ როგორც მაშინ გამოცემული „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, ასევე - „თბილისი“, „სოფლის ცხოვრება“.

პირველ დღეს ვერაფერი იპოვეს ისეთი, რაც ირაკლის ადგილსამყოფელის შესახებ მიაწინებდა.

- მჯერა, აუცილებლად ვიპოვით - თქვა ნინომ, - ჩვენც გვჯერა! მიუგეს ერთხმად.

\* \* \*

1964-ში კი ირაკლი ჩიქოვანი მაშინდელ პავლოვის ქუჩაზე დგას. იქვე პირველ სართულთან ნაცნობ სახეებს ბუნდოვნად იხსენებს.

სოსო, შედი სახლში! პატარა, ათიოდე წლის ბიჭს უბრძანა დედამ. სოსო არ განძრეულა. ირაკლიმ მასში სოსო შატბერაშვილი შეიცნო: ეს სახლი ხომ მათია. ეს კი ჟორა ძიაა, აფთიაქარი!

- არ გვინდა, კაცო, ეს პირველი სართული და ძალაა? - ეუბნებოდა ძია ჟორა პორტუგელიან კაცს.

- რა ვქნა, ამხანაგო, ასეა განაწილებული ზემდგომი ინსტანციებიდან. მე პატარა კაცი ვარ... თანაც ყველას მესამე სართული გინდათ და... რა ვქნა?

- ხომ შემპირდით, მერე გადაგიყვანთო? ერთი წელი გავიდა, გელოდებით! - ჩაერია საუბარში დოდო დეიდა. დიახ, ირაკლი ჩიქოვანმა თავისი მეგობრის დედა ძლივს იცნო: როგორი სხვანაირი ყოფილა ახალგაზრდობაში - გაიფიქრა მან და მოკამათეთ მიუახლოვდა.

- ბატონო ჟორა! მე არ გირჩევთ სართულის შეცვლას იმის გამო, რომ მომავალში თქვენ ამ ბინას გაიფართოვებთ და აგრეთვე მაღაზიას გახსნით!

- რა მაღაზიას, კაცო, რის მაღაზიას, ვინა ხარ შენ? - აღელდა ძია ჟორა.

- მე გამვლელი ვარ, ჩვეულებრივი მოქალაქე, მაგრამ ვიცი, ისეთი კანონი მომზადდება, კოოპერატივის გახსნის ნებას მისცემენ ხალხს, გაიგეთ?

- მერე, სად ჩვენ და სად მაღაზია? - გაოცდა ქალბატონი დოდო.

- სოსო გახსნის, რომ გაიზრდება! - გაიცინა ირაკლიმ.

- სოსოს სამედიცინოზე ვაბარებინებთ, რა ჯანდაბად უნდა მაღაზია?!

- კარგი, კარგი, დაწყნარდით!... ისე გითხარით! მაინც აქ იქნებით, მაგრამ... თუ გადაცვლა დააპიროთ, გაიხსენეთ ჩემი რჩევა: პირველი სართული ყველაზე მომგებიანი იქნება! - ეს თქვა და პავლოვის ქუჩას ფეხით დაუყვა.

პორტფელიანი და ცოლ-ქმარი მღუმარედ გასცქეროდნენ ფეხით მიმავალ უცნობს.

- ვიპოვე, ბატონო ნუგზარ, გავეიყუდები!

- რა იპოვე, შვილო? - მივარდა შვილს ნინო.

- განცხადება ვიპოვე, გავეიყუდებით ყველანი! - წრეგადასული აღტაცებით გაიძახოდა გიორგი. მან გაზეთ „კომუნისტის“ მეოთხე გვერდი გადაშალა 1964 წლის 10 სექტემბრით დათარიღებული.

- ა, ნახეთ, რა წერია: 21 სექტემბერს გაიმართება „ორერას“ კონცერტი. ვაჟთა ვოკალური კვარტეტი წარმოგიდგენთ ახალ პროგრამას. ხელმძღვანელი რობერტ ბარძიმაშვილი, სცენარის ავტორი ირაკლი ჩიქოვანი.

- „ორერაში“ მისულა? - ხმამაღლა ფიქრობდა ნუგზარ კალმახელიძე. - ჭკვიანური ნაბიჯია! საბჭოთა წყობაში ხელოვან ხალხს პრივილეგიები გააჩნია, ასე ნაკლებ საშიში იქნება მისთვის... თუმცა უშველის კი მას ეს 1964 წელს? მას ხომ არც პასპორტი, არც სხვა რამ საბუთი გააჩნია?

\* \* \*

პრემიერა შესდგა. ეს იყო ნამდვილი ტრიუმი. „ორერას“ წევრები თავად უკეთებდნენ აკომპანიმენტს საკუთარ სიმღერებს. ეს იმ დროისათვის ანრახული სითამამე გახლდათ. ჩვეულებრივ, მომღერლებს ორკესტრი უკეთებდა თანხლებას. ახლა კი დასარტყამ ინსტრუმენტებზე - ვახტანგ კიკაბიძე, ბასზე - გენო ნადირაშვილი და რაც მთავარია, ანსამბლში გამოჩნდა ქალი - ნანი ბრეგვაძე! ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ საქმეში ირაკლი ჩიქოვანის ხელი ერია. ეს ყველაფერი ასევე მოხდა, ოღონდ მოგვიანებით, 60-იანი წლების ბოლოს. ყველანი ულოცავდნენ ახალ სიმღერებს, რომლებიც თითქოს ციდან ჩამოცვივდნენ, ისე ერთბაშად გაჩნდნენ ქართულ სცენაზე. ირაკლი ჩიქოვანმა ჩართო ყველა უკვდავი სიმღერა, რაც კი მომავალში შეესწავლა. აი, ეს იყო საუკუნის კონცერტი. მე აღარ დაგვლით ჩამონათვალთ, თქვენთვის მომინდვია ამ კონცერტის რეპერტუარის შედგენა, არა მგონია, ძალიან განსხვავდებოდეს თქვენი აზრი ირაკლი ჩიქოვანის აზრისაგან ამ საკითხში, რა თქმა უნდა!

- მაგარი ხარ! - გაუცინა რობერტმა ირაკლის...

- შენ უფრო! - ეს ყველაფერი სინამდვილეში შენ გააკეთე.

- ჰო, მაგრამ ეგ ხომ არავინ იცის... უკვე...

- დიახ, ჩემს გარდა არავინ იცის, მაგრამ მე დიდი შეცდომა არ დამიშვია - უბრალოდ დავაჩქარე მოვლენები... ეს იქნებ წაადგეს ქართულ ესტრადას მომავალში.

- ღმერთმა ქნას, - რობერტი გადაეხვია ჩიქოვანს. ყველანი მას შემოეხვივნენ.

- ღმერთმა გამოგვიგზავნა შენი თავი! - კოცნიდნენ სცენარის ავტორს.

- და ნუგზარ კალმახელიძემ, - დაადასტურა ჩიქოვანმა, რასაც მათზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია...

- გუგული ყოფიანი: გილოცავთ ბიჭებო... შემოგველოთ თქვენი გუგული! - მაღალი, ენერგიული კაცი ფილარმონიის დირექტორი გახლდათ.

- ვინ დაწერა ეს სიმღერები, კაცო? - ჩაეძია იქვე მდგომი გიორგი ცაბაძე რობერტ ბარძიმაშვილს.

- თქვენ და თქვენმა მეგობრებმა, - ჩაერია ირაკლი ჩიქოვანი, მაგრამ ამაზე მოგვიანებით... ახლა კი ბანკეტი! არა, ჩემო, მეგობრებო? - ირაკლის სახე გაბრწყინებოდა.

ბანკეტი მცხეთაში გაიმართა. დიდ, უზარმაზარ მაგიდას უსხდნენ: რევაზ ლალიძე, სულხან ცინცაძე, შოთა მილორავა, ინოლა გურგულია, ედუარდ სეფაშვილი, გურამ ბზვანელი, არჩილ კერესელიძე, მერი დავითაშვილი, პეტრე გრუზინსკი, მორის ფოცხიშვილი, ამირან და სოსო ებრაელიძეები, აგრეთვე სიომა ბარჩაია, სლავა მეტრეველი, ილია დათუნაშვილი და რა თქმა უნდა, მიხეილ მესხი, ქართული ფეხბურთის დიდება. იქვე მათთან, გულლიად მოსაუბრე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი შეამჩნია სიზმარში მყოფმა. „რა ნაცნობი თვალები და ღიმილი აქვს“ - გაიფიქრა ჩიქოვანმა. ზურაბ იაშვილს ყურში უთხრა:

- ვინ არის ეს კაცი?

- ეგ, კომკავშირის კომიტეტიდან, თუ არ ვცდები, შევარდნაძე! ჩიქოვანს ლუკმა ყელზე დაადგა.

- ვინ? - ისე იკითხა, სუფრის წვევრების ყურადღება მიიპყრო.

- რა იყო... არ შეიძლება? - მიამიტად შეეკითხა ჰოლივუდის ვარსკვლავის გარეგნობის მქონე იაშვილი.

- ყველაფერი შეიძლება... დამშვიდდით... ყველაფერი შეიძლება... განსაკუთრებით ამ კაცის შემთხვევაში.

- თქვენ გეცნობით? - თვალებში ელვა გაეპარა შევარდნაძეს. - ტუჩები ისევ ღიმილს გამოხატავდნენ...

- დიახ, და არა მარტო მე... მალე ყველა გაგიცნობთ! - შეტევაზე გადავიდა ჩიქოვანი პრინციპით: „გაუქვილს გატეხილი სჯობიაო“.

- საინტერესო ამხანაგია, - გაიცინა ედუარდმა. - ჩვენ შევხვედრივართ? საუბარი თამადამ, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა შეაწყვეტინა.

- მე მინდა, სადღეგრძელო შემოგთავაზოთ იმ ხელოვნისა, რომელმაც დღევანდელი კონცერტის იდეა შესთავაზა ანსამბლ „ორერას“! ეს გახლავთ ბატონი ირაკლი ჩიქოვანი, რომელიც თუ არ ვცდები, ლენინგრადიდან ეწვია საქართველოს...

- დიახ, ნამდვილად! ჭეშმარიტად! გაუმარჯოს! - ფეხზე წამოდგნენ სუფრის წვევრები. ყველა ცდილობდა, თბილი სიტყვა არ დაეშურებინა მისთვის. ქალბატონი ინოლა ახლოს მივიდა, ჭიქა მიუჭახუნა და გაუღიმა:

- ძალიან მომეწონა თქვენი რეპერტუარი... „პირველად იყო სიმღერა“ ვისია?

- თქვენი! - მოკლედ მოუჭრა ჩიქოვანმა.

გაოცებული თვალების აღწერა მე არ ხელმეწიფება.

ჩიქოვანმა ჭიქით ხელში ჩამოუარა ყველას, ედუარდს თავი დაუკრა და ნახევარი ხმით უთხრა:

- თქვენთან საუბარი მსურს.  
ედუარდი თვალებით დაეთანხმა.

- გაიცანი, - უთხრა რობერტმა - ეს გოგი ვასაძეა, - რეჟისორი.  
- „შენ ხომ ვარდი იყავი“, არა? იგივე „ყვავილების ქვეყანა“?  
- დიახ.  
- მაგ სიმღერას მიხედუ, ჩემო მეგობარო, სადაოდ ნუ დატოვებ!  
- თქვენი „თბილისო“ უკვდავია! - რევაზ ლალიძეს მოეფერა ჩიქოვანი -  
და საერთოდ... სუფრის წევრებს მიმართა მან: - ვერ წარმოიდგენთ, რა  
ბედნიერებაა ქართველი კაცისათვის ამ სუფრასთან ყოფნა... თქვენი  
ხილვა, ასე ერთად... თქვენი მოსმენა! ეს ხომ ზღაპარია, უფრო სწორედ  
სიზმარი, გამოგედვიძება კაცს და ყველაფერი გაქრება... სამწუხაროდ. -  
ჩიქოვანი დადუმდა. ბოლომდე სიცოცხლეში ვერავინ ვერაფერს და  
ვერავის აფასებს. საქართველოში მაინც! - ჩიქოვანს ცრემლები მოადგა:

- უკვდავებას გაუმარჯოს! უკვდავებას! - გაჰყვიროდა იგი. მის  
სისხლში საუკუნეების მიღმა ჩაბუდებულმა ნაპერწკალმა გაიღვიძა...  
გულიდან დაიძრა და ფეხის თითებისაკენ გაექანა... გზადაგზა გამოადვიდა  
და თან წაიყოლა მძინარე გენები... ჩიქოვანმა როკვა დაიწყო, იქვე მჯდომი  
სუხიშივილების მელოლე მიუხვდა მას და მღორე რიტმი შეაშველა,  
ირაკლიმ ხელები გაშალა. ის კოსმიურ არსებას ჰგავდა, რიტმი თანდათან  
ჩქარდებოდა და მძაფრდებოდა და ჰა, ნინო რამიშივილი წამოიმართა. ეს  
იყო ენით აუწერელი ცეკვა, არარსებული და თვალთუნახავი! უკვდავი  
საქართველო ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა თავის ჯიშსა და ჯილაგს.

სიტყვა ედუარდ შევარდნაძემ ითხოვა:

- მე რომ რეჟისორი ვყოფილიყავ, ამ ცეკვას გადავიღებდი და  
საერთოდ ყველაფერს, რაც დღეს ხდება! დავიმახსოვროთ მცხეთის ეს  
ლამაზი ადგილი, ეს ღამე, ეს მთვარე და ვარსკვლავები... ნება მიბოძეთ,  
გამცნოთ, ანსამბლი „ორერა“ გაიგზავნება ლონდონში გაზუთ „მორნინგ  
სტარის“ იუბილეზე. ვუსურვოთ ბიჭებს წარმატება! - დიდი ოვაცია მოჰყვა  
ამ სიტყვებს.

- და რაც მთავარია, იგეგმება „ორერას“ შეხვედრა ამჟამად ცნობილ  
ახალგაზრდულ ანსამბლთან, რომელსაც ეწოდება...

- „ბითლზი“! - წამოიძახა ჩიქოვანმა.

- დიახ! დიახ! სწორედ მათთან! ჯერ ვერ ვისწავლე მაგათი სახელი, -  
გაიცინა ედუარდმა.

- გავგიჟდები, ბიჭო! - რობერტი ჩიქოვანს გადაეხვია.

- შეხვედრა არ შედგა, - სევდიანად ჩაილაპარაკა ირაკლიმ. რობერტი  
ღიმილშემხმარი შესცქეროდა სცენარის ავტორს და დღევანდელ გმირს.

- შეხვედრა არ შედგება, ჩემო რობერტ! ბოდიშის წერილს მიიღებთ  
მათგან...

- რატომ? არ გვიკადრებენ?

- არა, გადალება დაემთხვევა, იმ დღეს... არადა, საჭიროა მათი ნახვა...  
ერთი რაღაც მომაგონდა... აუცილებლად უნდა ვნახოთ, აუცილებლად!  
ჩიქოვანი „ორერას“ ბიჭებს მოსცილდა და შევარდნაძე  
ლლლლლლლლგაიხმო.

- ბატონო ედუარდ, თქვენ უნდა გამიშვათ „ორერასთან“ ერთად ლონდონში.

- კი, მაგრამ... მოწვევა ოთხ კაცზეა: კვარტეტია მიწვეული. თქვენ კი დღეს ყველაფერი შეცვალეთ, უკვე მთელი ანსამბლი ხართ... არ ვიცი... არ მგონია, რაიმე შემეძლოს...

- მე აუცილებლად უნდა მოვხვდე ინგლისში, იქ ისეთი რამ უნდა ვუთხრა ერთ კაცს, რომ აუცილებლად უნდა მოვხვდე!

- ჰო, მართლა! - შეაწყვეტინა ედუარდ შევარდნაძემ, - თქვენ რაღაც საქმე გქონდათ ჩემთან ამასთან დაკავშირებით?

- არა, მთლად ამ საქმესთან არა, მაგრამ ძირითადად კი...

- ვერაფერი გავიგე, რა გაქვთ სათქმელი? მნიშვნელოვანია?

- მსოფლიოსათვის, - თავი დაუქნია „ორერას“ ახალმა წევრმა.

- საიდუმლოა? - ჩაეცინა ედუარდს.

- ორ რამეს გეტყვით: ერთი ის, რომ საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანი გახდებით.

- მეორე? - ალაღად გამხიარულდა შევარდნაძე - მეორე? შენს პირს შაქარი!

- მე არ ვხუმრობ, თქვენთან სერიოზული სალაპარაკო მაქვს...

შევარდნაძემ სერიოზული სახე მიიღო, გუმანით იგრძნო, თანამოსაუბრე არ ხუმრობდა.

- მეორე ის, რომ პოლიტბიუროს წევრი გახდებით და თან საგარეო საქმეთა მინისტრი...

შევარდნაძეს ხველა აუტყდა.

- გაიგეთ? - მხიარულად გადახედა მეგობრებს, - საგარეო საქმეთა მინისტრობას მიწინასწარმეტყველებენ! - როგორ და რატომ უნდა დავიჯეროთ?

- აი, ეს ბიჭები წელს ჩემპიონები გახდებიან, მესხზე მიუთითა, დამატებითი მატჩი 18 ნოემბერს - ტაშკენტში გაიმართება. 4:1-ით დამთავრდება ჩვენს სასარგებლოდ. როდის არის „მორნინგ სტარის“ ზეიმი?

- დეკემბერში, - ცეკას მომავალი მდივანი ფიქრებში ჩაძირულიყო.

- თუ თბილისის „დინამო“ ჩემპიონი გახდება... და ანგარიში დაემთხვევა ჩემს პროგნოზს, თქვენ მე დამირეკავთ ფილარმონიაში და გამიშვებთ ინგლისში, თან მე ძალიან მნიშვნელოვან რჩევებს მოგცემთ, ფანტასტიკურად მნიშვნელოვანს!

- გოლებს ვინ გაიტანს? - გაიღიმა ედუარდმა.

- მოსკოველები, „ქორპედოელები“ გაიტანენ პირველ გოლს, სერგეევი, დათუნაშვილი კუთხურიდან გაქვითავს, დამატებით დროში, დათუნაშვილი, მესხი, მეტრეველი პენალტით.

- აგაშენა ღმერთმა! ეგ თუ მოხდა, გირეკავ! - გაიცინა.

- თქვენი იმედი მაქვს! აუცილებლად უნდა მოვხვდე ინგლისში!

- კარგით. ჯერ პირველი პუნქტი შესრულდეს, მერე მე ვიცი... ხელი-ხელს დაჰკრეს.

ირაკლი ჩიქოვანი შემობრუნდა, რობერტს მიუახლოვდა და ამოიხვნეშა.

- დავიდალე!  
მართლაც დამღლელი დღე იყო...

\* \* \*

ირაკლი ჩიქოვანი სასტუმრო „საქართველოში“ ცხოვრობდა ყალბი პასპორტით, რომელიც კრიმინალებს გააკეთებინა. უკვე ცნობილი კაცი გახლდათ, ამიტომ შიში აღარაფრის ჰქონდა. თუმცა, კარებზე კაკუნის ხმამ მაინც შეაშფოთა: ვინ უნდა იყოს ასე აღრიან? - ფეხები წაღებში შეჰყო და კარებისაკენ გაიქცა.

- ვინ ბრძანდებით?

- რობერტი ვარ!

- რა იყო, არ გეძინა? - მასპინძელი ლოგინს მიუბრუნდა.

- გაზეთები უკვე გამოვიდა. ნახე, რას წერენ! ახალი ერა. - „ორერა“.

- ორიგინალურია!

- „ახალი ხედვა“, „ოცი შედეგური ერთად“ და ა.შ. მაგრამ აი, ყველაზე საყურადღებო, რამაც ასე აღრიან მომიყვანა შენთან, ვინ არის ყოველივე ამის ავტორი? აქ გვაკრიტიკებენ, ავტორი არ გამოცხადებულა არც ერთი სიმღერისო და „ვააპიდანაც“\* ვიღაცამ იჩივლა გაზეთში არც ერთი სიმღერა გაფორმებული არ არისო.

\* „ვააპა“ - (რუს.) საკავშირო საავტორო უფლების სააგენტო.

- ჰოო, ამაზე სულ არ მიფიქრია! - ნადვლიანად წარმოთქვა ირაკლი ჩიქოვანმა. - მართალია ეგ ხალხი! რა უნდა მექნა? სიმღერების ავტორები ცოცხლები და ჯანმრთელები არიან, მაგრამ უმეტესობას ეს სიმღერები ჯერ არ შეუქმნია, მათი გვარები რომ გამოგვეცხადებინა, თვითონვე გეტყოდნენ უარს, არა, ბატონო, ეგ ჩვენი არ არისო, მე ხომ არ დავიბრალებდი?

- არადა, ასე აჯობებდა, - თქვა რობერტ ბარძიმაშვილმა.

- არა მაქვს არც მორალური, არც ისტორიული უფლება გავაყაღო რეალობა. შენ წარმოგიდგენია, რამდენი ვინმეც გადმოვა წარსულში, ყველამ ყველაფერი რომ დაიბრალოს? კორექტივების ერთი ბული, დადგება ძაღლი პატრონს ვერ იცნობს.

- მაინც რა ბული დადგება, ვერ გავიგე, - დაბნევით შეეკითხა „ორერას“ ხელმძღვანელი.

- ჩადიხარ XVII საუკუნეში და შექსპირის მაგივრად შენს გვარს მოაწერ „მეფე ლირს“. ისიც არაფერს გეტყვის, იმიტომ რომ, მას ჯერ „მეფე ლირი“ არ შეუქმნია. ან სხვა რამე, რა მნიშვნელობა აქვს? გავლენ საუკუნეები და შენი გვარი შემორჩება ლიტერატურას და არა მისი. ამის უფლება არ მაქვს, მე ქრისტიანი ვარ, ღმერთის მეშინია...

- გეშინია თუ გიყვარს? - ჩაკითხა სტუმარი.

- კიდევ მიყვარს. ასეა. ამ დღით ასეთი თემები ნამეტანია ჩემთვის. რა ვქნათ? როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა? - მასპინძელი ტუალეტისაკენ გაეშურა.

- კარგია, პატიოსანი რომ ხარ, მაგრამ ამაზე მანამდე რატომ არ იფიქრე? - ნერვიულობა დაეტყო რობერტს.

- იცი, რა? მოდი, წავიდეთ სადმე, წავიდეთ და ყველაფერი ჩაწყნარდება!

- რა ჩაწყნარდება, საავტორო უფლება ვინმეს ხომ უნდა ჰქონდეს? გაგვიჩმახებენ მაგრად...

- ლონდონში მინდა წამოსვლა...

- ოთხზე რომ არის მოწვევა?

- შევარდნაძეს გავაკეთებინებ მეხუთე მოწვევას, მაგრამ დეკემბრამდე წავიდეთ სადმე გასტროლებზე... თუნდაც აზიის რესპუბლიკებში.

- რატომ აზიის? - განცვიფრდა ჯგუფის ხელმძღვანელი.

- ჯერ ერთი, არც სამარყანდი მინახავს, არც ალმა-ატა და არც ტაშკენტი, თანაც მატჩს დავესწრებით...

- რომელ მატჩს?

- ტაშკენტის ლეგენდარულ მატჩს, სადაც თბილისის „დინამო“ ჩემპიონობას მოიპოვებს, ეროსი და კოტე თამაშის რეპორტაჟს გადმოსცემენ, ჩვენ კი ვიმდერებთ: „არის, ასრულდა ოცნება, არის, ასრულდა მიზანი... არის! არის! შეპყვირებს ეროსი მანჯგალაძე და ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება.

- კიდევ იქნება ასეთი ბედნიერება? - ოცნებებში წავიდა რობერტი.

- კი, 81-ში, ევროპის თასს მოვიგებთ.

- ევროპის? ეგ როგორ, სად ევროპა და... და სად ჩვენ?

- ახლა ბაზრობათა თასი ჰქვია. 81-ში ევროპის თასების მფლობელთა თასი იქნება და იმას მოვიგებთ.

- ჩინურია ეგ ჩემთვის. რა ვქნათ? - სიგარეტი ჩააქრო რობერტმა.

- ტაშკენტში გავფრინდეთ გასტროლებზე.

- კარგი, დავუშვათ გავფრინდით. ამ პრობლემას რა ეშველება?

- კონცერტი გადაღებულია? - გონება გაუნათდა სცენარისტს.

- არა.

- რადიომ ჩაიწერა?

- არა.

- აბა, ერთი მოსმენით ვინ დაიმახსოვრებდა ამდენ მელოდიას?

- რა ვიცი. თითო-თითო რომ დაემახსოვრებინათ? - ეჭვით იკითხა „ორერეღმა“.

- ჩემის აზრით, ყოველი ავტორი თავის მომავლის სიმღერას მოიწონებდა და დაიმახსოვრებდა. შემდეგ მიუჯდებოდა როიალს და...

- თავის სიმღერას თვითონვე შექმნის? - მიუხვდა მუსიკოსი.

- დიახაც, თქვენ გონებაშეხვილი აღმოჩნდით! ზუსტად იმას დაიმახსოვრებ, რაც შენია, რაც მოგწონს, რაზეც ქვეცნობიერად მუშაობ კიდევ, ახლა ნახე კომპოზიტორების ცვენა საავტორო უფლებების სააგენტოში და ახალ-ახალი შედეგების გაფორმება. არადა, შედეგებია,

- თითქოს თავისთავს დაუმტკიცაო რაღაც, ისე წარმოსთქვა სტუმარმა მომავლიდან.

- მაშ, არ ჩავერიოთ ამ საქმეში?
- თუ ჩანაწერი ნამდვილად არ არსებობს... ჰო.
- მე ჩავიწერე მაგნიტოფონზე, ჩემთვის...
- შენ გქონდეს, ნურავის მოასმენინებ, დრო მოვა და კარგად გაყიდი...
- ვის რაში სჭირდება?
- კაპიტალიზმი დადგება და გაყიდი...
- ჰო, ეგ სულ დამაგიწყდა. კარგი, იქამდე დიდი დროა, დიადი ეპოქა გვაქვს გასაველელი, მე ამის...

ჩიქოვანმა ოთახს თვალი მიმოავლო, შემდეგ თითო ტუჩებთან მიიღო, ჩუმად, - ანიშნა.

\* \* \*

- გიორგი, ფილმოტეკაცი უნდა წავიდეთ.
- რატომ?... ბატონო ნუგზარ, თქვენ ბრძანდებით?
- ჰო, მე ვარ... გამარჯობა! მაპატიე, პირდაპირ საქმეზე რომ გადავედი. დღეს საშვი დავაშვებინე ფილმოტეკაში... იცი, რა?... მე ვფიქრობ, რომელიმე დოკუმენტურ ფილმში გამოჩნდება მამაშენი... არა?

- რა ვიცი, შეიძლება! რომელ საათზე წავიდეთ?

- ნახევარ საათში გამოგივლი, ძველი ქრონიკები დაგაინტერესებს, ჩემი აზრით...

- ნახევარ საათში მზად ვიქნები.

ერთ საათში ფილმოტეკის პატარა, ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში ისხდნენ.

- რომელი ფილმი გნებავთ? - ჰკითხა ბატონ ნუგზარს მისმა ნაცნობმა თანამშრომელმა, რომელიც საშვის გაცემაში დაეხმარა ფილმოტეკის სტუმრებს.

- რა ვიცი, - ნუგზარმა გიორგის გადახედა: - „ორერას“ ძველი კონცერტები თუ გაქვთ ან... თუმცა ქრონიკებში ყველაფერი იყო: კულტურაც, სპორტიც...

- გასაგებია. სჯობს წლების მიხედვით ვნახოთ ქრონიკები. რომელი წელი გაინტერესებთ?

- 1964 - მიუგო გიორგიმ.
- ჰო... იმ წელს მაგარი ფეხბურთებია! მესხი, მეტრეველი, იამანიძე...
- ძალიან კარგი. მოდი, ფინალი გაუშვათ! დამატებითი მატჩი: დინამო-ტორპედო ნანახი გაქვს? - ნუგზარმა გიორგის მიაპყრო მზერა.
- ტელევიზორში, მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს, სიამოვნებით ვნახავ!
- მაშ, კარგად მოკალათდით და მთელ თამაშს გიჩვენებთ.
- გმადლობთ, ბატონო აკაკი! - თავაზიანად გაუცინა კალმახელიძემ დარბაზის თანამშრომელს.



დარბაზში შუქი ჩაქრა, ეკრანი აინთო. „თბილისის დინამო ფეხბურთის ოლიმპზე“, - ასეთი სათაური ჰქონდა შავ-თეთრ ფილმს, რომელიც „დინამოს“ 64 წლის სეზონს ეძღვნებოდა.

- ამ წელს პირველად გავხდით ჩემპიონები, - სიამოვნების მოლოდინით სავსე ხმა კალმასელიძეს ეკუთვნოდა.

ფინალური მატჩი შედარებით სრულად იყო წარმოდგენილი. რეპორტაჟი ეროსი მანჯგალაძესა და კოტე მახარაძეს მიჰყავდათ.

- ეს ვინ არის? - იკითხა გიორგიმ.

- ეს კოტეა, მახარაძე, - უპასუხა ნუგზარმა.

- რა ახალგაზრდა ყოფილა!

თბილისელთა საქომადოდ უამრავი გულშემატკივარია ჩამოსული საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან. თითქმის ყველა მათგანს უზბეკური ქული ახურავს, ამაზეა ნათქვამი: „რომელ ქვეყანაშიც ჩახვალ, იქაური ქული დაიხურეო“. აი ჩვენი გულშემატკივართა ერთი ჯგუფი, ხედავთ... ანსამბლი „ორერა“.

- „ორერა!“ „ორერა!“ - წამოიძახა გიორგიმ - თავიდან გაუშვას რა, თავიდან! აქ უნდა იყოს!

- გაახერეთ აპარატი! ბატონო კაკო! იქნებ ეს ადგილი თავიდან გაუშვათ!

- არ არის საჭირო. „ორერას“ ბიჭები არაერთხელ ჩანან ამ ფილმში, დაჯილდოებაზეც მღერიან! - თქვა კაკომ.

დაიწყო მატჩი. პირველი ბურთი მოსკოველებმა გაიტანეს. მეორე ტაიმის ბოლოს დათუნაშვილმა ზედიზედ რამდენიმე კუთხური დარტყმა შეასრულა. ძლივს იგერიებდა მეკარე შაპოშნიკოვი.

- კავაზაშვილი ჰყავდათ ამათ, - ჩაულაპარაკა ბატონმა ნუგზარმა გიორგის, - მაგრამ ამ დღეს არ ენდვნენ: ქართველიაო.

გიორგიმ თავი დაუქნია და ჩაიცინა.

- კიდევ ერთი კუთხური - დიქტორის ხმა კულმინაციამდეა მისული, - კიდევ დათუნაშვილი, დარტყმა...

ბურთი უცხოპლანეტელების თეფშით უცნაური ზიგზაგით აფრინდა. მოედნის კუთხიდან, თითოეულ ხელისშემშლელს აცდა, აერიდა და გავარგარებული რკინის დისკოსავით ჩაენარცხა მოსკოველთა ბადეში.

- „არის!... არის!“ - ეროსი და კოტე ერთმანეთს ეხვევიან...

- „არის...ს“ - იყვირა გიორგიმ.

- მე ეს თამაში ცოცხლად მაქვს ნანახი. - თვალზე ცრემლი მოიწმინდა კალმასელიძემ.

- ტაშკენტში იყავით მაშინ?

- ამასწინადაც ვნახე, - ორაზროვანი მზერა მიაპყრო ახალგაზრდას ბატონმა ნუგზარმა...

- ააა, წარსულში... გადახვედით... - ფიქრებში წავიდა ჩიქოვანი. მერე, კარგია ცოცხლად?

- შედეგრი. მესხი, მეტრეველი, კოტრიკაძე, ფანტასტიკა, ბარქაია, იამანიძე! ყველანი ერთად არიან.

- დიუსელდორფშიც იყავით 1981 წელს? - თვალები გაუფართოვდა გიორგის.

- არა, - ნაღვლიანად წარმოთქვა ეს „არა“ მოგზაურმა, წარსულში საზღვარგარეთ არ გვიშვებდნენ.

- რატომ? ფული არ გქონდათ? - გაოცდა გიორგი.

- არა, ფულის წაღება „აქედანაც“ შეიძლება, მაგრამ „იქ“ მხოლოდ კულტურისა და სპორტის სახელოვან წარმომადგენლებს უშვებდნენ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მთავრობას თუ არ ჩავთვლით.

- სამაგიეროდ „დინამოს“ სტადიონზე დავდივარ წვიმაში... ხშირად დავდივარ.

- წვიმაში რა იყო?

- „ლივერპულს“ მოვუგეთ 79-ში - 3:0.

- მერე და არ მოგბეზრდათ ერთიდაიგივეს ყურება?

- იმდენი დამარცხებაა ჩვენს დროში, კიდევ და კიდევ მინდა აგუგუნებული სტადიონის ხილვა, იქ ჯდომა, ბედნიერი ხალხის ცქერა, უცნობების ხევენა, ალალი, ნაღდი ურთიერთობა...

- კიდევ ერთი გოლი გავიტანეთ! - პასუხის პასუხად მიუგო ახალგაზრდამ.

- ჰო, 4:1. ასეთია ამ მატჩის ანგარიში და არ შეიცვლება არასდროს. ვერ შეიცვლება! - სიტყვა „ვერს“ ხაზი გაუსვა ბატონმა ნუგზარმა. მტკიცე, მაგრამ მწუხარე, დარდიანი ხაზი.

\* \* \*

ირაკლი ჩიქოვანი ბიჭებს ეხვეოდა, ულოცავდა.

- რა მართალი გამოდექი! - იმეორებდა რობერტი.

- ჰა, ხომ არ შეგეშინდათ ჩემი? - გაიცინა ირაკლიმ.

- შოკში ვარ! - თქვა იაშვილმა.

- ესე იგი, ლონდონში მეც მოვდივარ! - მტკიცედ მიუგო სივრცეს თუ თავის თავს ადამიანმა მომავლიდან.

- „ის“ გავიჟდება არა? - თვალი ჩაუკრა „ორერას“ ხელმძღვანელმა „წინასწარმეტყველს“.

- ჰო, „ის“ ალბათ დამირეკავს და ამ ამბის შემდეგ შეიცვლება...

- რას გულისხმობ?

- მსოფლმხედველობას! თუმცა, ეს ძალიან ძნელი და დაუჯერებელი საქმეა...

...საღამოს დიდი ბანკეტი გაიმართა, ოთხი გმირი აკლდა საერთო ზეიმს: მესხი, მეტრეველი, ბარქაია, სიჭინავა. ისინი საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოიძახეს, იმავე ღამით შეკრებაზე გაფრინდნენ.

\* \* \*

- უამრავი ქართველი ვიცანი ტრიბუნებზე... - სევდიანი ხმით უთხრა მოგზაურმა ახალგაზრდა მეგობარს.

- მაინც?

- ვინდა არ იყო... ჩემი მეგობრები... ძველი... ახალი შექმნილები... ზოგიც აღარ არის... სხვათაშორის „აუტჩიკებში“ ვიცანი ზოგიერთი...

- ბიჭებში?

- ჰო, პატარა ბიჭებში... ხვედელიძე, სოსო!

- ფეოლა? ხვედელიძე, დაცვას მიხედე, დაცვას! ის?

- არა, ეს პოლიციელია, შენ არ ცნობ... ლერი იყო კვახაძე ტრიბუნებზე, ექიმია. „ბაბო“ იცი? გოჩა ჭრელაშვილი... ისიც „აუტჩიკი“ რეზო ბუცხრიკიძე! მაშინ „მოფერი“ იყო ბიძამისი გივის... თიდევ ვინ იყო? ჰო, ვაჟასა და პაატას მამა - შოთა კალანდაძე... რამაზ შამათავა გპი-ს ჯაზიდან და ვინ მოთვლის კიდევ რამდენმა სახემ ჩაიარა ჩემს თვალწინ, - ...უცნაური თვალებით უმზერდა გიორგის - ან იქნებ მომეჩვენა ეს ყველაფერი?

გიორგიმ მხრები აიჩეხა.

- რაც მთავარია მამაშენი ვიპოვეთ, ის მალე გამოჩნდება.

- დმერთმა ქნას, მაგრამ საიდან დაასკვნით? - მღელვარება მოერია ჩიქოვანს.

- „ორერაში“ თუ მივიდა, ახლა უკვე რაღაცას გეგმავს...

თუ გადმოსვლა ვერ მოახერხა 1964 წლიდან, დაელოდება 1973 წლის იმ დღეს, როდესაც გადასასვლელი გაიხსნა, ეს დროც პრაქტიკულად გავიდა დიდი ხნის წინ... თუმცა, - დაფიქრდა - თუ 9 წელი მოგვიწევს ლოდინი! - თვალები გაუფართოვდა მოგზაურს.

- არავითარი ლოდინი არ მოგვიწევს, თუ 1974 წელს...

- ეს დრო უნდა გავიდეს, - შეაწყვეტინა ნაღვლიანად ნუგზარ კალმახელიძემ. - მე შევცდი, ის მალე ვერ ჩამოვა. 9 წელი უნდა ველოდოთ, შენ რა გიჭირს, ახალგაზრდა კაცი ხარ...

- 9 წლის შემდეგ, ე. ი... 2002 წელს.

- ჰო, ასე გამოდის...

- რაღაც გეშლებათ, ბატონო ნუგზარ! თუ მამა 1973 წლიდან ოცწლიან ნახტომს გააკეთებს ის ხომ 1993-ში აღმოჩნდება! ასე არ არის? - ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კალმახელიძე დაეთანხმა.

- კი... მაგრამ სად წავა, ანუ სად აღიბეჭდება ის ცხრა წელი? - გაოცებით იკითხა ნუგზარ კალმახელიძემ.

- ეს ცხრა წელი მამაჩემზე აღიბეჭდება, ანუ ის მალე 49 წლის ასაკში მოგვევლინება! - სიჩუმემ დაისადგურა, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ირაკლი ჩიქოვანმა სხვა გზა ვერ გამოიხსნა! - დასძინა დროში მოგზაურმა.

\* \* \*

ირაკლი ჩიქოვანის ნომერში ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

- ალო, ამხანაგრი ჩიქოვანი ბრძანდებით?

ირაკლის ეხამუშა ეს სიტყვა, ეს „ამხანაგი“, რაღაც არასასიამოვნოსა და შორეულს რომ აგონებდა.

- დიახ. მე ვარ... გისმენთ!

- თუ გახსოვთ, თქვენ მთხოვეთ დამერეკა, თუ საჭიროდ ჩავთვლიდი...

- ეს თქვენა ხართ?... ბატონი შევარდნაძე?

- არა, ბატონი არ ვარ! ბატონყმობა გადავარდა, არ იცით? თქვენ ხომ ყველაფერი იცით, - გაიცინა ედუარდმა.

- შეიძლებისდაგვარად... რაღაცის ფარგლებში... მაგრამ ის, რაც მე ვიცი, დღევანდელ მსოფლიოში არავინ არ იცის, ვანგამაც კი!

- ვერ გავიგე ვინ ახსენეთ?

- ერთი ბულგარელი წინასწარმეტყველია, მაგრამ... თქვენ არ გსურთ ჩემთან შეხვედრა? ასეთ რამეებზე ხომ ჩვენს დროში ტელეფონზე არ საუბრობენ.

- სად შევხვდეთ?

- რა ვიცი, თუ გნებავთ თბილისის ზღვაზე ან სტადიონზე... მოკლედ, სადაც არავინ მოგვისმენს.

- ჩემთან, კაბინეტში! - უცებ გადაწყვიტა შევარდნაძემ.

- არა, არა. არავითარ შემთხვევაში! მე გამოგივლით რობერტთან ერთად, თუმცა მოწმის გარეშე სჯობია, ქალაქგარეთ გავისეირნებთ და გზაში ყველაფერს გიამბობთ.

- კარგი, ახლავე შევხვდეთ! სად მოვიდეთ?

- მე თვითონ მოვალ, ცირკთან. ჰო, სიმბოლურად ასე სჯობს. ირაკლიმ ყურმილი დაკიდა. ისევ აიღო, ნომერი აკრიფა.

- რობერტ, მანქანა მათხოვე, „იმას“ უნდა შევხვდე... ჰო, მარტო უნდა ვიყო... უბრალოდ, არ უნდა იცოდეს, რომ შენ ყველაფერი იცი, წინ კიდევ დიდი დროა. გასაგებია?

ნახევარ საათში „პობედა“ ცირკის მიმდებარე ტროტუარს მიადგა. ედუარდს „იტალიური პლაში“, ანუ ლაბადა ეცვა. ყველას, ვისაც კი მცირედი მაინც „გააჩნდა“, იტალიური ლაბადა ეცვა. მაგრამ კომკავშირის მუშაკისაგან მაინც არ ელოდა ასეთ „სტილიაგობას“.

- გამარჯობათ! კი მაგრამ თქვენ ასეთებსაც იცმევთ?

- არა, არ ვიცმევ, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე გადავწყვიტე, - გამარჯობასთან ერთად ხელი ჩამოართვა შევარდნაძემ ირაკლის.

- თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ მე თქვენ ძალიან კარგად გიცნობთ, ამიტომ ძალიან გთხოვთ, ნუ გაიკვირვებთ, თუ ზოგჯერ ჩემი საქციელი უცნაურად მოგეჩვენოთ... ირაკლიმ მანქანა დაძრა.

- საიდან იცოდით ანგარიში? - გამომცდეელი თვალებით შეხედა მომავალმა პოლიტიბიუროს წევრმა „წინასწარმეტყველს“.

- მე, ბატონო, ... შეიძლება შენობით მოგმართოთ?

- კი, შეიძლება.

- ჩემო ედუარდ, - უცებ გადაიხარხარა - არა, არა, არ შემიძლია! არ შემიძლია, ბატონო ედუარდ!

- რატომ, ასეთი მოხუცი ვარ? - გაიოცა შევარდნაძემ.

- მეშინია რაიმე არ გეწყინოს - დასერიოზულდა ჩიქოვანი.

- მერე რა, რომ მეწყინოს? - ალაღად გაიკვირვა ედუარდმა.

- ამბობენ, ვინც აწყენინა, ყველას მიუზღავს სამაგიეროსო, ასე ამბობენ... - ახლა ჩიქოვანმა ჩახედა შევარდნაძეს თვალებში: იქიდან გამოუცნობმა, იდუმალმა ფიქრმა გამოანათა.

- მართალია, რაც მითხარი? - მღელვარე ხმით ჰკითხა ჩიქოვანს. ამ უკანასკნელმა მანქანა სვეტიცხოველთან შეაჩერა, შეუმჩნევლად ჩასულიყვნენ მცხეთაში.

- ამის მაღლი არ მომკლებოდეს, - ტაძრისაკენ გაიხედა, - მართალს გეუბნებით.

- ღმერთი გწამს?

- მწამს. მწამს მამა, ძე და სულიწმიდა!

- ნაღდად გწამს?

- კი.

- დაიფიცე!

- მათეს სახარება წავიკითხავს? იტყვი „ჰო“ და ეს არის „ჰო“, ფიცი არ შეიძლება!

- სახარებაც გაქვს წავიკითხული? - გაიოცა ედუარდმა.

- რა თქმა უნდა.

- ნოდარიც ასე მეუბნება, არის ღმერთი, ედუარდო, - ფეხსაცმლის წვერით პატარა ყვავილი შეარხია ჩიქოვანის თანამოსაუბრემ.

- დუმბაძე? - გაიცინა ირაკლიმ.

- ჰო, რა იცი? - თვალები გაუფართოვდა ედუარდს.

- მე ყველაფერი ვიცი. თქვენი მეგობრობის შესახებ „იქ“ მთელმა საქართველომ იცის და არა მარტო საქართველომ.

ეფექტი წარმოუდგენლად დიდი იყო. გაცილებით დიდი, ვიდრე მატჩის ანგარიშის წინასწარი ცოდნა.

- ესე იგი, მართალია ის, რომ მე ცეკას მდივანი გავხდები?

- პირველი მდივანი. - დააზუსტა ჩიქოვანმა.

- როდის?

- 1972 წლის სექტემბერში პირველ მდივნად დაგნიშნავს ბრეჟნევი.

- ჰო, ხრუშოვი მოხსნეს. ეგ ისევ იქ იქნება? - გაიკვირვა ედუარდმა.

- დიდხანს, დიდხანს იქნება! ეგ არაფერი. მთავარია, პოლიტიუროს წვერი გახდებით!

- საბჭოთა კავშირის?! - შევარდნაძის გაცემის აღწერა შეუძლებელად მიმაჩნია.

- იცით, რა? დამშვიდდით, მთავარი ის კი არაა, ეს რომ ასე მოხდება, მთავარია ის, თუ რა უნდა გააკეთოთ მაშინ, როცა ეს ასე იქნება. მე:თანხმებით?

შევარდნაძე ხმას არ იღებდა. იგი დუმდა.

- წავიდეთ, ცოტა დავლიოთ, - თქვა უცებ მან.

რესტორანში ხალხი ქეიფობდა. კედლები ჭედური ხელოვნების ნიმუშებით იყო გაფორმებული.

- ეს ოჩიაურია, - თვალთ მიანიშნა ქალის პორტრეტზე ირაკლიმ.

- ალბათ, ყველა „ჩეკანკა“ მაგისაა, მაგან ააღორძინა.

- ინტელიგენციას, კულტურას მიხედვ, მოუარე!

- დავალებას მაძლევ?

- ჰო, ასე ჩათვალე. ამ ჭიქით საქართველოს დამოუკიდებლობას გაუმარჯოს!

შევარდნაძეს პირველივე ლუკმა დაადგა ყელზე.

- ამხანაგო... პროვოკატორი ხართ? - ამოიხრიალა მოულოდნელად მან.
- ჩუ, ჩუმად, ჩუმად, არავინ გაგვიგოს! დალიეთ, შესვით, არავინ გვისმენს! რომც გვისმენდეს, ყველას ეგონება, მოგვესმა, მოგვეყურაო... აბა, ამ „აყვავებულ“ ქვეყანაში ამაზე ვინ ფიქრობს? ასე არ არის?
- მოგზავნილი ხომ არა ხარ? - აშკარად მტრულად მიმართა ჩიქოვანს შევარდნაძემ.
- მოგზავნილი არა ვარ, გზააბნეული - კი! - გაიღიმა ირაკლიმ, მაგრამ არა პოლიტიკურად, ბატონო ედუარდ! ყურადღებით მისმინეთ, არც კვბ-მ, არც ჩეკამ, არც ცეკამ არ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა ის მატჩი. გინდა, წარსულიდან ისეთი რამ გითხრა, რაც თქვენს გარდა არავინ იცის? ედუარდმა ღვინო გადაჰკრა... ვაჟკაცურად ეჭირა თავი. კითხვით აღსავსე მზერა უცნაურ, გაუგებარ, ფანტასტიკურ კაცს მიაპყრო.
- ბიძათქვენი ლოთი, მენშევიკი იყო! მამა - ბოლშევიკი, კინაღამ დააპატიმრეს, ტყეს შეაფარა თავი 37-ში!
- საიდან იცი? ვინმემ ჩამიშვა?
- არა, თქვენი წიგნიდან ვიცი. მშვენიერი სათაური აქვს თქვენს წიგნს: „ჩემი არჩევანი“, მაგრამ ჰონორარი უფრო შთამბეჭდავია: ასი ათასი დოლარი.
- შევარდნაძეს ხველა აუტყდა, ის ადგა და ტუალეტისაკენ წავიდა.
- მდაა... ამ ქვეყანაზე ყველაზე ძნელი ინფორმაციის მონელებაა. კიდევ ერთი ჭიქა დასცალა ირაკლიმ: ფრიად სიამოვნებდა 1963 წლით დათარიღებული რვა ნომერი ან 8, როგორც გენებოთ.
- ათილდე წუთში ედუარდი მტკიცე ნაბიჯით გამოემართა თავისი სკამისაკენ, ვინ იცის, ამ წამს გადაწყვიტა, არასდროს დატოვოს თავის სავარძელი.
- თქვენ ანტიკომუნისტი ბრძანდებით? - გაიღიმა შევარდნაძემ.
- 1993 წელს მე ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ, თქვენ - მსოფლიოში ცნობილი ანტიკომუნისტი.
- წარმოუდგენელია, არა? თითქოს აბსურდია... მაგრამ არც ისეთი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მე ადღოთი ვგრძნობ: ეს ტყუილი არ არის. მოდით, თქვენს გამოჩენას გაუმარჯოს, ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რატომაც არა?
- ეს ყველაფერი მოხდება, მაგრამ მე ინგლისში წავალ და დავრჩები.
- მერე მე? ჩემი რეკომენდაციით წასული კაცი თუ დარჩა, მე კარიერას შემინერებენ და ვერაფერსაც ვერ მივალწევ. ანუ თქვენი წასვლით აღარ შესრულდება ის, რასაც ასე ენერგიულად მიმტკიცებთ, მართალი ვარ?
- რობერტი მომცემს რეკომენდაციას, ბარდიმაშვილი, რომ მე საჭირო ვარ, თქვენ არაოფიციალურად ხელი შეუწყეთ, რომ დასტური მისცენ ამ თხოვნას შამოვლით, ისე რომ, ვერც ვერავინ დაგადოთ ხელი, აი, ამან გვირჩიაო.
- დარწმუნებული ხართ, რომ ამ თხოვნით მოგემართავს, როცა მან იცის, რომ დარჩენას აპირებთ?
- არა! თანაც... ღუპავთ?
- მე მისი განწყობილება ვიცი. დამეხმარება. ბოლოსდაბოლოს კაცი უნდა გადავარჩინო, დიდი კაცი!

- ვინ?
- ჯონ ლენონი.
- არ ვიცი, არ გამიგია.
- მოკლედ, მე ინგლისში უნდა წავიდე. ბიჭებს მე მივხედავ. ისე, არც თქვენ მოგიკლავთ თავი „ორერას“ პატივისცემით, რობერტზე რომ აღარაფერი თქვა, შეიძლება კაცი ასე გასახელებდეს და არაფერს უკეთებდე?
- ბევრი მღერის კარგად, - სხვათაშორის თქვა ედუარდმა.
- დაიმახსოვრეთ: „ორერა“ დიდად ასახელებს მალე საქართველოს.
- კარგი, - გაიცინა შევარდნაძემ, - დავიმახსოვრებ. კიდევ რა დავიმახსოვრო?
- ბევრი, ბევრი რამ, ახლა კი, ჩვენ მომავალს გაუმარჯოს!
- შენს დროში სადა ვარ ახლა?
- სოხუმში. ომში ბრძანდებით... და აქ ჩიქოვანმა გრძელი თხრობა წამოიწყო...

უკან ღვინით დამძიმებულნი დაბრუნდნენ. ჩიქოვანს დღის 12 საათამდე ეძინა.

\* \* \*

ბარძიმაშვილმა გააღვიძა.

- რაო? რა ჩაიდინე? მიაშბე.
- ყველაფერი ვუთხარი. შენ უნდა მომცე რეკომენდაცია.
- კი, ბატონო, მაგრამ მე ვინ მეკითხება ინგლისში გამგზავრებას?
- ეგ დაგვეხმარება. ისეთი რამეები ვუთხარი, აქ მაინც აღარ დამტოვებს. შენ ნუ გეშინია, ისე გავაკეთებ, შენ არ დაგბრალებსა ჩემი იქ დარჩენა.
- რას გააკეთებ?
- ბოლოსდაბოლოს, ინგლისის კომუნისტურ მოძრაობაში შევალ, დარჩენა რომ არ დამაბრალონ!
- კარგი, ერთი შენ ისეთ რამეებს ყვები, მეც დავრჩე შეიძლება.
- იცი რა? „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“! ჩვენ ჯონ ლენონი უნდა გადავარჩინოთ, გაიგე რობერტ?
- რა ემუქრება?
- 1980 წელს მანიაკი მოკლავს. უნდა გავაფრთხილო, რომ იმ დამეს ფრთხილად იყოს.
- რატომ მოკლეს?... რა უბედურებაა, კენედი მოკლეს, ასეთი კაცი! რას ეჩოდნენ? ახლა კიდევ ეს... ლენონი... ისე არც ვიცი ხეირიანად, ვინ არის.
- „ბითლზის“ ხელმძღვანელი. მაგარი სიმღერების ავტორი.
- რა დაწერა?
- ახლანდელი ჰიტები სულ მაგის და პოლ მაკარტნისაა და მერე ბევრი, ბევრი! ნუ მეკითხები, დამიჯერე. მსოფლიო მუსიკაის ახალ საფეხურზე ამყვანი.

- აშაშენა ღმერთმა! იქნებ ვუშველოთ! მთავარია, ახლა მე რეკომენდაცია მოგცე. რობერტი დაჯდა. „მუდმივი“ კალამი ამოიღო, ფურცელი ხელით გაასწორა და დაიწყო:

ანსამბლ „ორერას“ ხელმძღვანელის რობერტ ბარძიმაშვილის თხოვნა-რეკომენდაცია.

მოგახსენებთ, ამა ოწლის დეკემბერში ლონდონში იმართება კომუნისტური გაზეთის „მორნინგ სტარის“ იუბილე, სადაც მიწვეული კვარტეტი „ორერა“ გთხოვთ ნება დაგვრთოთ, დავიმატოთ ჩვენი ახალი წევრი ირაკლი ჩიქოვანი, მომღერალი და სცენარის ავტორი. ის სანდო, გამცდილი ამხანაგია.

რ. ბარძიმაშვილი.

1964 წ.

- დღესვე წავუღებ. თუმცა დიდად მეპარება ეჭვი, კომუნისტები ასე ადვილად რომ უშვებდნენ ხალხს საზღვარგარეთ, რა გვიჭირდა. სოც. ქვეყნებში ხარ ნამყოფი?

- გამაცინე! საბუთი მაქვს რო?

- მართალია, „ნაგლად“ მივაწვეთ, რომ გვჭირდები და მორჩა!

- ასე მიაწვენენ მიშა ფოფხაძეზე და პარიზში დარჩა. როკ-ანსამბლი მაშინ დაშალეს.

- რომელი? - გაიოცა რობერტმა.

- ეს მერე მოხდა.

- მერე რა ქნა? - დაინტერესდა რობერტი.

- ახლა ამერიკის ხმაში მუშაობს ლუკა ბეთანელის ფსევდონიმით.

- კაი ბიჭი ყოფილა!

- რობერტ, სულ არ გეშინია? - ალაღად ჰკითხა ჩიქოვანმა.

- ამ ქვეყანაში მარტო გიჟებს არ ეშინიათ, „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“, თანაც ეს ძლიერ საინტერესოა.

- გეთანხმები. მართლაც საინტერესოა, რა პასუხს მოგცემენ ცეკადან.

- ჯერ ცეკადან, მერე მოსკოვის ცეკადან, მერე იქედან, აქედან... ამათი!

- რობერტი წავიდა.

7 დღეში დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღეს: „ორერა“ ჩიქოვანთან ერთად ინგლისში მაყურებლის წინაშე უნდა წარსდგეს!

\* \* \*

თვითმფრინავი ჰაერში აიჭრა. გამცილებლები ქვემოთ დარჩნენ. ვანდა (რობერტის მეუღლე) რაღაცას ეუბნებოდა მას, მაგრამ ილუმინატორის მიღმა უკვე სხვა სამყარო იყო. გამცილებლებში ლრობერტმა შორს მოკრძალებით მდგარი შევარდნაძე ლშენიშნა.

- გვაცილებს, - გადაულაპარაკა უკან მჯდომ ჩიქოვანს.



- ჰო, დიდი საქმეები გველის წინ, გული უგრძობს.

- რაც შენ ამბები უთხარი, ალბათ ღამეები არ სძინავს...

- ისედაც არ სძინავს, უჩემოდაც იზამდა ყველაფერ ამას... მთავარია, ლენონს ვუშველოთ. მომისმინე: წერილი მოვა, ბოხიში, ვერ ჩამოვდივარო და ასე შემდეგ. არ უნდა მოვეშვათ, როგორმე უნდა შედგეს „ორერას“ და „ბითლზის“ შეხვედრა.

- რატომ არ ჩამოვიდა?

- ლივერპულში აქვს გადაღებები, მაგრამ რა დროს გადაღებებია?

- შენ საიდან იცი, გადაღებები რომ აქვთ?

- შენ თვითონ მითხარი... მერე...

რობერტმა ხელი ჩაიქნია, რა უნდა გელაპარაკო. ბიჭები მხიარულად საბურობდნენ...

- აი, ის ჯგუფი რომ შექმნილა წელს, „დაგორებული ქვები“, გაგივია ეგეთი სულელური სახელები? - ამბობდა თამაზი.

- „როლინგ სტოუნზ“ არა? რა ქვები, რის ქვები? - გაიცინა თემურ დავითაიამ.

- ანდა ეს „ბითლზ“ რაღა ჯანდაბაა, ხოჭოები როგორ უნდა ერქვას ხალხს. ა... - იცინოდა იაშვილი.

- ერთი ეს მითხარით, - ჩაერია ჩიქოვანი - ყველას რომ დასცინით, თქვენ რატომ დაარქვით „ორერა“? რამეს ნიშნავს?

ყველამ რობერს გადახედა. რატომ დაარქვიო, თვალებით ეკითხებოდნენ და პასუხს ელოდნენ.

- ძველი სიმღერის მისამღერია, რერო, ორერა, რაშოვრერა, რაშავორერა, ისევე როგორც დელი-დელა, ნანინა და ასე შემდეგ. ისე, მე მგონი, წარმართული ღმერთი „რას“ სადიდებელი უნდა იყოს.

- ა, ხომ ხედავ, - გაიცინა თემურმა, - კოლონებს და ფილთა ქვებს კი ჯობია. ჩქიმი ჯიმა ჩიქოვანი სკანი გოლუაფირო.

ჩიქოვანმა გაიცინა - ჯობია, ჯობია, მაგრამ საქმეს ეგ ანსამბლები დიდს აკეთებენ, ძალიან დიდს.

- კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! - გაიცინა რობერტმა. - ერთ ხმაში მღერიან - აბა, ჩვენ მოგვისმინონ და ვნახოთ!

- ეს ახალი მანერაა, უნისონში, ერთი კაცივით მღერიან და მერე შლიან ხმებს, სხვათაშორის, ძალიან ორიგინალურად, მარტო ტერცია და ტრადიციული სამხმოვანება არა აქვთ, ძაან სხვანაირია, ახალია!

- „ორერა“ მაინც „ორერაა“, - თქვა თემურმა.

- რა თქმა უნდა! - დაეთანხმა ჩიქოვანი - საბჭოთა სივრცეში თქვენზე კარგი არავინაა, მერე ბევრი მოგბაძავთ და დაიწყებენ ხმებში სიმღერას და საკუთარი სიმღერის აკომპანირებას თქვენსავით და „ბითლზებივით“.

\* \* \*

ცივი, პირქუში მოსკოვის კიდევ უფრო ცივი და პირქუში სახლის დერეფანში „ორერას“ ბიჭები გამოძახებას ელიან, მალე მათ გამოიძახებენ. დაუსვამენ ათასნაირ შეკითხვას, გამოკითხავენ, ხომ არ ჰყავდათ ვინმე

გერმანელთა ტყვე, ან რეპრესირებული, ხომ არა აქვთ სასჯელი მოხდილი, ხომ არ თანამშრომლობდნენ უცხოეთის რომელიმე სპეცსამსახურთან და საერთოდ, რას ფიქრობენ იმ ქვეყანაში, სადაც მიემგზავრებიან, როგორ ცხოვრობდნენ მუშები „იქ“, საზიზღარ კაპიტალიზმში, როგორ პასუხს გასცემენ, თუ საბჭოთა სინამდვილის ღვაგებას დააპირებს ღრომელიმე უცხოელი, უფრო სწორედ, ადგილობრივი, როგორ ზრუნავენ საბჭოეთში ბავშვებზე, მოხუცებზე, რა მაღალი ხელფასები აქვთ, სწავლა - უფასო, ჯანმრთელობის დაცვა - უფასო და ა.შ.

ისე ბევრ რამეს მართაღს ამბობენ, - გულში გაიცინა ჩიქოვანმა.

ხელნაწერების დადების შემდეგ „დამუშავებული“ „ორერელები“ აეროპორტისაკენ გაემგზავრნენ. წინ ლონდონი იყო.

????????????????????

დახვდათ. მოწიწებით მოიკითხეს კომუნიზმის ციტადელიდან ჩამობრძანებული სტუმრები. ჩასხეს კომფორტაბელურ ავტობუსში და დათოვლილი ქუჩებით სასტუმროსაკენ გაემგზავრნენ. ყველაფერი ერთო: რეკლამები, შუქნიშნები, ვიტრინები. ბიჭები აღფრთოვანებული გასცქეროდნენ გაჩახჩახებულ ლონდონს, მოგეხსენებათ ირაკლი ჩიქოვანის მდგომარეობა: ის ხომ ჩაბნელებულ, ცივ, მიუსაფარ და მშიერ თბილისში ცხოვრობდა. მძლოლმა რადიო ჩართო, „ბითლზები“ მღეროდნენ „ფლიზ, ფლიზ მი-ს“, ჩიქოვანს ნეტარებისგან გული კინადამ გაუჩერდა, თოვლი, ლონდონი 1964 წელი და ის, „ორერას“ წევრი, „ბითლზების“ სიმღერით მათთან შეხვედრაზე მიემართება. ჰო, აუცილებლად უნდა ნახოს - „ბითლზის“ ბიჭები! ინგლისური იცის, სიმღერები - უფრო უკეთ, ფიზიკურად ფორმაშია, რა შეიძლება მისი თაობის კაცს უკეთესი ენატრა?

სასტუმრო ახალ უბანში მისცეს იაფად. ალბათ მოგეხსენებათ, კომუნისტებს მაინცდამაინც არ ანებივრებდნენ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მითუმეტეს იქ, სადაც მონარქიაა, სადაც დედოფალი ელიზავეტია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი დედოფალი, „საქართველოს დედოფალი ელისაბედი!“ - გაუელვა ჩიქოვანს. - მობრძანდება საქართველოს დედოფალი... ეჰ, ჯერჯერობით საქართველოში ბათინკიანი ბიჭები დადიან „მუხებით“ და „ლიმონკებით“ კბილებამდე შეიარაღებული და ხოცავენ, ხოცავენ ერთმანეთს!!!! ჩიქოვანს საშინლად მოუნდა, რადაცით ეშველა სამშობლოსათვის. აქედან, წარსულიდან, ინგლისიდან, იქნებ ეს ბედის გასაღებია? - ასეთი ფიქრებით შეიტანა თავის ნომერში ჩემოდანი. მიიხედ-მოიხედა და ტელევიზორი დაინახა. მივიდა და ჩართო. ტელევიზორი შავ-თეთრი აღმოჩნდა, „ბითლზი“ მღეროდა.

- ეტყობა ეთოშიც ესენი მღერიან, - გაიცინა რობერტმა.

- დღის განრიგი, - გაუცინა ახალგაზრდა „მორნინგ სტარელმა“ ქალმა მეგობრებს. ხვალ დილით მოგაკითხავთ, მანამდე მოისვენეთ. გაისეირნეთ, ოღონდ ჩვენი თხვონაა, შორს ნუ წახვალთ. საშიშია, რაიმე პროვოკაცია არ მოხდეს, მაინცდამაინც არ ეხატებათ გულზე საბჭოეთიდან ჩამოსულები.

ჩიქოვანმა ამოიოხრა. არსად არ შორდება მეორეხარისხოვანი ადამიანის იარლიყი.

- მის, ჩვენ ვნახავთ „ბითლზის“ ბიჭებს?

????????????????

უბრალო ხალხის შვილები არიან.

- მილიონრები, - დაახუსტა ჩიქოვანმა.

- სამწუხაროდ ასეთი სისტემაა აქ. ისინი უკვე ომილიონრები არიან.

- გაიგე, რობერტ? სამწუხაროდ მილიონრებიო.

- კომუნისტებს რას გაუგებ, ძმაო ირაკლი! - მშვიდად შენიშნა რობერტმა და ტახტზე წამოწვა, რათა ინგლისური პროგრამებისათვის ეცქირა - საქმის კურსში შესულიყო, რა და როგორ ხდება ამ დალოცვილ ქვეყანაში.

\* \* \*

მეორე დღით ყველანი დარბაზში წაიყვანეს, იმ დარბაზში, სადაც კონცერტი უნდა გამართულიყო. ბიჭებმა გიტარები კეისიდან ამოიღეს და აწყობა დაიწყეს. ცოტა ხანში ისინი „სულიკოს“ მდეროდნენ ინგლისურად. მასპინძლები, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი საქმეებით იყვნენ დაკავებულნი, გაისუსნენ, სმენად იქცნენ. სიმღერის ბოლოს აღფრთოვანებული ტაში დასცხეს.

- ეს არის „ორერა“, - გადაულაპარაკა ჩვენმა ნაცნობმა ქალმა „მორნინგ სტარის“ დირექტორს.

- ძალიან კარგი, რუსებს არ გვანან.

- ესენი ჯორჯიის რესპუბლიკიდან არიან - ქართველები!

- კიდევ ვინ გამოდის? - დაინტერესდა რედაქტორი.

- ზიკინა, მაგომაევი, - ესენი ყველაზე პოპულარული არტისტები არიან, - პიეხაც, ედიტა პიეხა.

- ძალიან კარგი. ჩვენგან ვინ გამოდის?

- მუშათა ანსამბლი და მოვიწვიეთ ცნობილი „ბითლზები“.

- რატომ? „ორერას“ ბიჭები მოუთმენლად ელიან.

- აი, წერილი, ჯონ ლენონი აწერს ხელს.

„ძვირფასო მეგობრებო! ვწუხვარ, რომ ლივერპულში დანიშნული გადაღებების გამო ვერ ვიღებთ თქვენს მოწვევას. ბოდიში ორგანიზატორებს და კვარტეტ „ორერას“. ჯონ ლენონი“.

- მეგი, წერილი გააცანით მეგობრებს, - ურჩია რედაქტორმა თანამშრომელს.

მეგი მაღალი ტანის რხევით მიუახლოვდა თბილისურ კვარტეტს.

- უკაცრავად, მისტერ რობერტ, აი, წაიკითხეთ.

რობერტმა ტექსტს სწრაფად გადაავლო თვალი.

- ასეც ვიცოდი! ირაკლი, როგორც შენ თქვი ის პასუხია. რობერტმა თემურს გადააწოდა წერილი, მან ბიჭებს წაუკითხა. ჩიქოვანი მექანიკურად აყოლებდა თვალს წერილს.

ბოლოს წერილი დავითაიამ ჩაიღო.

- თუმურ! - დაუძახა ირაკლიმ, - ეს წერილი შენ უნდა გქონდეთ, ვინაიდან შენ ჩაიდე ჯიბეში, გაუფრთხილდი, მაგ ხელმოწერას ყველა ვერ იღებს.

- მართალია, - გაიცინეს ბიჭებმა, - ჩვენც მივწეროთ და ისინი ჩვენს ხელნაწერს შეინახავენ, მომავალში გამოადგებათ.

- ირაკლის სახე გაუნათდა.

- წერილი?... წერილი ჩანაწერის თანხლებით. მის მეგი! მაგნიტოფონს ხომ ვერ მოგვიტანდით?

- რატომაც არა? რეპეტიციისათვის გჭირდებათ?

- ჩვენ გვინდა, მისტერ ლენონს ხმოვანი წერილი გავუგზავნოთ, ხომ შესაძლებელია?

- დიახ, სადამოთი უკვე ხელთ ექნებათ.

მალე მაგნიტოფონი მოიტანეს.

- რას აპირებ? - იკითხა კვარტეტის ხელმძღვანელმა.

- მე მინდა „სულიკო“ ვუმღეროთ და რაც მთავარია „ ჩ I თ უშლ“.

- ეგ რაღაა? ჩვენ რომ არ ვიცით?

- ეს სიმღერა 67-ში ჩაწერეს! მოდი, გასწავლი. აი, როგორი აკორდებია. გასაგებია? მისამღერში ასეთი ფონი მომეცით, აბა თავიდან.

ბიჭები ნახევარი საათი უკრავდნენ და მღეროდნენ, მათთვის სრულიად ახალ, უჩვეულო სიმღერას.

- ო, კვი, - თქვა რობერტმა, - მოდი, ჩავიწეროთ.

„სულიკო“ უცებ ჩაიწერეს. მეორე სიმღერის წინ ჩიქოვანმა ტექსტი ჩაწერა: მისტერ ლენონ, მისტერ მაკარტნი, მისტერო ჯორჯ, რინგო! მოგესალმებით შორეული საქართველოდან, ჩვენ გვაქვს თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია. საქმე მომავალს ეხება, ერთ-ერთი თქვენგანის უსაფრთხოებას. იმისათვის, რომ დაგვიჯეროთ და მოახერხოთ ჩვენთან შეხვედრა, ჩვენ ვწერთ ლენონისა და მაკარტნის სიმღერას „ბექ ინ ზე უესესა“. ეს სიმღერა შევა თქვენს 1967 წლის ალბომში. მოისმინეთ და გვერწმუნეთ, აუცილებლობაა, გაგაფრთხილოთ. ველით თქვენს პასუხს.

კვარტეტი „ორერა“.

ამის შემდეგ ბიჭებმა არაჩვეულებრივად შეასრულეს ეს ცნობილი როკ-ენ-როლი „ისევ საბჭოთა კავშირში“. სიმღერას „მორწინებ სტარელები“ აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

- ახლა კი სადილზე გიწვევთ, ამხანაგებო! - დაიძახა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. ინგლისურად ნათქვამი „ამხანაგებო“ უფრო ეწოთირა ჩიქოვანს.

- რა უნდა ამ ხალხს, ასე კარგად ცხოვრობენ, რა „ამხანაგობა“ აუტყდათ? - გაიკვირვა რობერტმა.

- მაგით ჭამენ პურს. მოსკოვი აცხოვრებს, - აუხსნა ჩიქოვანმა.

- კარგი რა თუ ძმა ხარ, მოსკოვი რა შუაშია. ვერ ხედავ, მეგი რა „იდეიანია“?

- ყოფიერება ამ შემთხვევაში ცნობიერებას განსაზღვრავს, მოდი ჩანაწერი ლივერპულში გავაგზავნოთ, ვისადილოთ და მერე აგისხნი, რა სისტემა მუშაობს მოსკოვსა და მათ შორის. კარგი?

- ძალიან კარგი. მის მეგი, ფლიზ!

- დიახ, გისმენთ. - მიუახლოვდა მეგობრებს მეგი.

- თუ შეიძლება, ეს ჩანაწერი ახლავე გაუგზავნოთ ჯონ ლენონს ლივერპულში.

- ასე, ამ სახით? - მეგიმ ფირი შეათვალიერა.

- მაშ, როგორ? ხმოვანი ფოსტა არსებობს?

- ჩვენ შეგვიძლია, რადიოთი დაგაკავშიროთ. ჩვენ პირდაპირ ეთერში გავალთ, სახელმწიფო არხით, იქიდან მიმართეთ!

- სახელმწიფო კომუნისტებს დროს გითმობთ? - გაიკვირვა ჩიქოვანმა.

- საბედნიეროდ, ესენი ყველაფერს ყიდიან, მათ შორის ეთერის ნაწილს, მაგრამ სამწუხაროდ მცირე ნაწილს, - გაიცინა მეგიმ.

- იცი, რა? ჯობია ლენონი აქ ჩამოვიდეს, ეს ფირი პირდაპირ ხელში გადასცენ, შესაძლებელია?

- დიახ, გავაგზავნით კურიერს. ნო, პრობლემა! - მხრები აიჩეხა მეგიმ. „ორერელებმაც“ თავი დაუქნიეს.

- ასე სჯობია! ვინ იცის, რა შეკითხვას დაგვისვამს, უფრო დეტალურად გავაგებინებ ყველაფერს.

- თუ არ ჩამოვიდა?

- ბოლო-ბოლო წერილს გავუგზავნი და ეგ იქნება! ჩვენ მაინც სამი დღით ვართ აქ, მეტს არ გავგაჩერებენ.

- რაო, უკან ბრუნდები? - შეეკითხა „ორერას“ ხელმძღვანელი ჩიქოვანს.

- არ ვიცი, უნდა ვიფიქრო, ყველას გაგაფუჭებენ. მე თუ დავრჩი, იმათაც, იმ ახალ წევრებს, თბილისში რომ დარჩნენ, იმათაც მოუსპობენ მომავალს.

- მართალი ხარ. ძნელია გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ რა უნდა ქნა, იცხოვრებ საბჭოეთში?

მშვენიერ სასადილოს მიაღვინე, მუშათა სასადილოს - თვითმომსახურებაა.

„ორერას“ ხუთივე წევრი მისატანი დაფებით შეიარაღდა. სისუფთავე და წესრიგი, აი, რაც გამოარჩევდა ამ სასადილოს ანალოგიური საბოთა სასადილოებიდან.

- ალბათ საჭმელიც გემრიელი აქვთ!

- ამხანაგებო, ჩვენთან ერთად სადილობს აქაურობის, ამ ფირმის მეპატრონე. გაიცანით, მისტერ ელოუ! - ყველამ ტაში შემოჰკრა.

- მე ყოველთვის აქ ვსადილობ, რათა მუშებს ეჭვი არ ჰქონდეთ, რომ მათ ცუდი ხარისხის საკვებით ვუმასპინძლებით, მით უმეტეს, მუშები აქ უფასოდ იკვებებიან. მისტერ ელოუ წინ წაუძღვა სტუმრებს და მათთან ერთად დაიკავა ადგილი.

- ა, ბიჭო! კომუნიზმი აქ არ ყოფილა?

- კი, ვინც მუშაობს, რა უჭირთ, მაგრამ უმუშევრებმა რა ჰქნან? - გულუბრყვილოდ იკითხა დავითაიამ.

- აი, ჭეშმარიტი ლეიბორისტი! - გაიცინა რობერტმა. - უმუშევრობო, გულშემატკივარი უკვე გყავთ მისტერ დავითაიას სახით! - ყველამ გაიცინა. ცოტა სასმელიც გაიმეტა მისტერ ელოუმ. მან დალოცა სტუმრები საბჭოეთიდან.

- მართალია, კაპიტალისტი ვარ, მაგრამ ალბათ დამემოწმებით, მუშები მიყვარს. მუშები და არა პროლეტარები, ანუ არაფრისმქონენი. საშიშია ადამიანი, რომელსაც დასაკარგი აღარაფერი აქვს! - ელოუმ მოსვა და დადგა.

ქართველები ფეხზე წამოდგნენ და მასპინძლის, კეთილი ადამიანის სადღეგრძელო შესვეს.

- მნიშვნელობა არა აქვს სიკეთეს ვინ ჩადის, კაპიტალისტი თუ კომუნისტი, მთავარია, კეთილის მთესველმა ადამიანმა იმრავლოს, - ასეთი ვერსია განავითარა ჩიქოვანმა.

ინგლისელი კომუნისტები მეტად გააოცა ასეთმა მსოფლმხედველობამ.

- თქვენ მართლა საბჭოთა კავშირიდან ხართ? - იკითხა მეგიმ.

- კი, ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვიდივართ! - ორაზროვნად უპასუხა ირაკლიმ.

- ახლა კი სასტუმროში დასვენება! სადამოს ცხრაზე საიუბილეო კონცერტი იწყება.

- რობერტ, სანამ წავიდოდეთ, მის მეგის დელიკატურად ჰკითხე, სად იბეჭდება თქვენი გაზეთი-თქო.

რობერტი მეგის მიუახლოვდა. ქალი ოდნავ შეცბუნებული ჩანდა.

- მის მეგი, გვაინტერესებს თქვენი გაზეთი რომელ ქალაქში იბეჭდება?

- ზუსტად არ ვიცი, - მეგიმ მხრები აიჩეჩა, სხვათაშორის უხდებოდა.

- თქვენ ქმარი გყავთ? - ჩასჩურჩულა რობერტმა.

- ეს უფრო გაინტერესებთ, თუ სტამბის ადილსამყოფელი? - რობერტმა გაიღიმა.

- სადამოს შეეხვებით! ყველანი სასტუმროში! - ბრძანება გასცა მის მეგიმ, ამხანაგმა, რა თქმა უნდა.

სპორტულელებში გამოწყობილი მუსიკოსები ლოგინზე წამოწნენ „მორნინგ სტარით“ ხელში.

- რა სულელური გაზეთია! - შენიშნა რობერტმა.

- მოსკოვში იბეჭდება.

- რა უნდათ მოსკოვში? აქ სტამბა არა აქვთ?

- ჩემი არა გჯერა?

- მჯერა. ესე იგი, იმიტომაც არ დამისახელა ქალაქი? - ინტერესი აღედრა ბარძიმაშვილს.

- შეიძლება არ იცის. ესენი მეხუთე კოლონა არიან თავისი ხალხისათვის.

- ეს როგორ? მტრები არიან? - გაიხსენა მეხუთე კოლონის მნიშვნელობა „ორერას“ ხელმძღვანელმა.

- ერთგვარი. მოსკოვი აფინანსებს არა მარტო მათ გაზეთს, არამედ ამ იუბილეს, მათ ბანკეტებს, მათ ცხოვრებას, ბინას, გართობას და ყველაფერს, ყველაფერს მოსკოვი აფინანსებს არა მარტო აქ, არამედ ამერიკაში, პარიზში, ვიეტნამში და ყველგან, სადაც კი კომუნისტური პარტია არსებობს.

- კი, მაგრამ... დახმარება, ხელის გაწვედენა გასაგებია მოძმე პარტიებისათვის, მაგრამ...

- ესენი აგენტები არიან, მუდმივი მოქმედი თვალყური, დაქირავებული აგენტები. ამაში უხდიან ფულს, მაგრამ გაბედუ და კრინტი დაძარი, რა დღეს დაგაყრიან! მარქსიზმი ამ შემთხვევაში მათი „დავერობოკების“ სანაცვლოა. ვითომ ათმათ კომუნიზმი უნდა თავიანთი ქვეყნისათვის? ტყუილია! ამათ ზუსტად ის აწყობთ, ახლა რა მდგომარეობაშიც არიან, ისინი ვითომ მოღვაწეობენ კომუნიზმის გასამარჯვებლად ინგლისში და ამ ვითომში ნაღდ ფულს იღებენ.

- ესე იგი, ჩვენს ფულს? - მიუხვდა რობერტი.

- არა მარტო. ახლა ისეთ რამეს გეტყვი, თმები ყალყზე დაგიდგება! „კომუნიზმის საფრთხე“ საშუალებას აძლევს მმართველ კლანს მეტი და მეტი თანხების ამოღებისა ობივატელებისაგან, ანუ რიგითი გადასახდის გადამხდელებისაგან. გასაგებია? საფრთხე, რომელიც შორს არის, არც ისე აშინებს ადამიანებს. ამიტომ „ესენი“ აქვე, თავიანთ ქვეყანაში ჰყავთ. ამათი კლანი შეერულია საბჭოთა, ხრუშოვისეულ მმართველობასთან, იგივე ლენინურ (საკუთარი ხალხის გამყიდველ) მმართველობასთან. იღებენ რა საბჭოთა მუქარით შეშინებული მოსახლეობისაგან ფულს, ნაწილს საბჭოეთს აძლევენ, რათა მათგან დაფინანსდნენ აქაური მარქსისტ-ლენინელები, უფრო სწორად, მათი უზრუნველყოფილი ცხოვრება. ასეთები ისე გაზარმაცდნენ, გაზეთის გამოშვებაც არ შეუძლიათ. მოსკოვი გამზადებულ ტირაჟს თვითმფრინავით უგზავნის ოფისისთვის. ინგლისელები ამ გაზეთს არ ყიდულობენ, ისევ ჩვენთან სადღება, ვითომცდა ინგლისელ კომუნისტთა გაზეთები. გაიგე, რატომ არის ეს დაპირისპირება კაპიტალისტებთან, რატომ არ მოეწონა მეგის ჩემი საუბარი კეთილ ადამიანებზე?

რობერტი წამოჯდარიყო, სიგარეტი ფილტრამდე დაეყვანა.

- რას ეწევი? - უცებ ჰკითხა ჩიქოვანმა.

- „მარლბოროს“.

- კარგია! ესეც ერთ-ერთი მფლობელია მსოფლიო ფინანსების, „ფილიპ მორისი“. საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ - ლენინის ჰამერი მიაღვა, ჩაწოლილი ორთქლმავლები მყავს და იყიდო, მერე მე რაო? რაო და თქვი, რომ ოცი მილიონი ღირს და ნახევარი შენი იყოსო! ვინმენ შეამოწმა ბელადი, სადაური ორთქლმავლებია, როგორია, რა ღირსო? ბელადმა თქვა და მორჩა, იყიდეს. იყიდეს და ამით გაყიდეს საკუთარი ხალხის ინტერესი.

- რას ამბობ ირაკლი? ლენინზე რას ამბობ! შენ მართლა დაგიჭერენ! - წამოხტა რობერტი.

- მართლა დამიჭერენ! - ნაღვლიანად თქვა ირაკლიმ. - ამიტომაც მეშინია საბჭოეთში დაბრუნების. უკან გზა აღარ არის!

- შენ უნდა გამიგო, უკან დაბრუნება ჩემთვის არ შეიძლება, მე ვეღარ გავჩუმდები. ვეღარ ვიცხოვრებ კურდღელივით, აი, შენ ხომ ხედავ, ლენინზე არ დაიჯერე! არადა, მე რომ დავთვრე და მოვყვე ის, რაც ვიცი, გამაქრობენ! დაჭერას ვილა დაეძებს? - სიჩუმე გამეფდა.

- რა გეშველება? - უიმედოდ თქვა რობერტმა.

- ვნახოთ, ლენონი თუ გამოგვეხმაურა, იქნებ სულ შეიცვალოს ჩვენი ცხოვრება.

- აქეთ ლენონი, იქით - ლენინი! რა დღეში ვართ! - სიგარეტი თვითონ ჩაქრა.

დარბაზი გაივსო. უფასო, საქველმოქმედო კონცერტი ყველგან და ყველა დროში უყვართ. სიტყვები წარმოთქვამს ინგლისის კომპარტიის პირველმა მდივანმა, გაზეთ „მორნინგ სტარის“ რედაქტორმა, საკავშირო კომკავშირის წარმომადგენელმა, გაზეთ „პრაიდის“ რედაქტორის მოადგილემ. იმდერეს - მაგომაევა - „„კარაღევა კრასოტი“, ბაბაჯანიანის ტვისტი. ზიკინამ - „ტიჩიოტ რეკა ვოლგა“. ინგლისელმა მომღერლებმა რამდენიმე როკ-ენ-როლი შეასრულეს და ბოლოს „ორერა“ გამოიძახეს. ქართული მრავალხმიანი სიმღერა მალამოსავით მოეფინა მსმენელთ და უცებ რობერტი აცხადებს: ჩვენ გვინდა შევასრულოთ ერთი ინგლისური სიმღერა, რომელსაც „ აცკ ინ ტჰე შშდ“ ეწოდება. ამ სიმღერას თქვენ ჯერ არ იცნობთ, მაგრამ ძალიან მალე პოპულარული გახდება, როგორც ამას ჩვეუნი მეგობარი მისტერ ჩიქოვანი ამტკიცებს. ის თავადვე იქნება სოლისტი, ჩვენ კი უბრალოდ დავეხმარებით. ბიჭებმა გიტარებს ჩამოჰკრეს. ერთ-ერთმა გიტარა გადააბრუნა და დრამერის\* ფუნქცია იკისრა. ყველა აცეკვდა. სიტყვებს „იუ ეს ბექ!“ ერთხმად გაიძახოდა მთელი დარბაზი, გაჩერება შეუძლებელი იყო. საყოველთაო აღტკინება, ყინი, აჟიოტაჟი, მღელვარება გამოიწვია ახალმა სიმღერამ.

\* დრამერი - მედოლე.

- შესანიშნავი პროპაგანდაა! - გაიძახოდა მეტი სიმღერა დამთავრებული არ იყო, ჩოჩქოლი ატყდა, ყველა თმებმოშვებული, სათვალისანი ახალგაზრდისაკენ შეტრიალდა: „ჯონ“ „ჯონ“ - გაისმა ქალიშვილების წივილ-კივილი ტირილში გადაზრდილი. დიახ, ეს ჯონ ლენონი გახლდათ.

ბიჭები გახარებულნი შეეგებნენ სტუმარს:

- „ჯონ, ეს ქართული ჯგუფია, - წარუდგინა მის მეგობ „ორერა“.

- მე უკვე მეორედ მოვისმინე ისინი, საუცხოოა! მომეჩვენა, რომ ხალხი, რომელიც ასე მღერის, არ ტყუის და აი მე აქ ვარ! ას სამოციოთ მოვდიოდით!

- ზუსტად ისეთი ხარ, როგორც წარმომედგინა! - გაიცინა ჩიქოვანმა.

- ჯონ, ერთი წუთით, აქეთ მოიწი, არ მინდა, ყველამ გაიგონოს...

ჯონი მორჩილად გაჰყვა.

- მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრა. 1980 წელს მარკ ჩეპმენი ნიუ-იორკში სადარბაზოსთან დაგხვდება და გესვრის. ყველაფერი ცუდად დამთავრდება.



ლენონი გაოგნდა. ხმას დიდხანს არ იღებდა.

- მაპატიე, ამას რომ გეუბნები, მაგრამ მე მინდა, ძალიან მინდა, ეს აიცილო, წადი სხვაგან, სხვა ქალაქში, ან უბრალოდ დაცვა აიყვანე... - სხაპასხუპით მიაყარა ჩიქოვანმა.

- რომელ რიცხვში? - ცივად იკითხა ჯონმა.

- რვა დეკემბერს. შენი ალბომი „დაბლ ფანტაზი“ ახალი გამოსული იყო, შენ და იოკო (ლენონს თვალები გაუფართოვდა) ბრუნდებოდით სტუდიიდან და ის მოგიახლოვდა ფირფიტით, ავტოგრაფი გთხოვა... შენ ამოიღე კალამი და ამ დროს დისკის ქვემოდან დამალული რეკოლგერი გავარდა.

- მოიცა, მოიცა! შენ ხომ არ მაპროგრამებ? იქნებ სხვანაირად მოხდეს ყველაფერი, მე ეს არ მაინტერესებს... მართალიც რომ იყოს, - გაბრაზებული შეტრიალდა ჯონი. სიჩუმე ისევ ჩიქოვანმა დაარღვია:

- ჯონ!

ჯონმა გამხედა. ამ სცენას მთელი დარბაზი გატრუნული უცქერდა.

- ჯონ! 27 ნოემბერს შენ ფირფიტა გამოეცი „ეატლეს ფორ სალეს“, დეკემბრის ბოლოს საშობაო შოუში გამოხვალთ „იარდბერდთან“ ილკი ქრუქსთან ერთად! - ცოტა ხნით ჩაფიქრდა, შუბლი მოისრისა.

- 1967 წელს ბრაინ ებსტაინი დაიღუპება. მაშინ ხომ გამიხსენებ?

- კარგი არაფერი იცი, იღუმალო სტუმარო?

- უდიდეს მუსიკოსად, მოღვაწედ გადიარებენ...

- ჰო, - გაიცინა ლენონმა, - ეს კარგია, მომეწონა.

- ინგლისი ჩემპიონი გახდება?

- აუცილებლად. 4:2 გერმანიასთან.

- გერმანიასთან? ო, ასტერი\* გაგიჟდება.

---

\* ასტერი - გერმანელი დიზაინერი ქალი, ბითლზის ვარცხნილობის ავტორი.

- მოკლედ, რომელიმეზე გაგახსენდება!

- ეგ ყველაფერი... მახარაშნამ გითხრა?

- არა. მომავლიდან ვარ, იმიტომ ვიცი შენი სიმღერა, ჰო მართლა კასეტა წამოგიღე!

- რა კასეტა?

- „ბითლზების“ საუკეთესო ოცი სიმღერა უნდა გაჩუქო.

ლენონმა უცნაური ნივთი შეათვალიერა...

- წამოდი ჩემთან, ბიჭებიც წამოშიყვარე...

ჯონი წინ წავიდა, ჩიქოვანმა თვალი ჩაუკრა რობერტს.

- როგორიც მეგონა, ისეთია. წავვდივით!

ჯონის მანქანაში ხუთივენი მოთავსდნენ.

- ჩემთან წავიდეთ, ლივერპულში! - თქვა ჯონმა.

ბიჭებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს...

მანქანა ჩქარა მიქროდა. ჯონი იყურებოდა წინ, ტრასას თვალს არ აშორებდა...

- მაჩვენე კასეტა.
- ირაკლი ჩიქოვანმა კასეტა ამოიღო, ჯონს გაუწოდა.
- ეს ძალიან პატარა კასეტაა, უფრო პატარა, ვიდრე ჩემს მაგნიტოფონში მდის. საოცარია!
- მართლა, ჯონს რამდენადმე დიდი კასეტები ჰქონდა.
- არა უშავს, ფირს გამოვიღებ და შენს კასეტაზე გადავახვევ.
- ჰო... ეს შესაძლებელია? ვინ გასწავლა?
- საბჭოთა ცხოვრება რას არ გასწავლის! ყველაფერს მონატრებული ხალხი თვითონ ჩხირკედელაობს, ზოგი რას აკეთებს, ზოგი - რას!
- რა, არ მოგწონთ თქვენი წყობა?
- არ ვგიჟდებით, - ჩაილაპარაკეს ბიჭებმა.
- რას არ გაიგებს კაცი. მე მეგონა ამათი პროპაგანდა იყო. რამდენიმე საათში, გვიან ღამით პატარა ბინას მიაღვინებ.
- აქ ვცხოვრობდი ბავშვობაში, მოდი, დეიდა მიმის არ გავაღვიძებ... ჩუმად შევიპაროთ... ჯონმა გასაღები გადაატრიალა თუ არა...
- ჯონ ეს შენ ხარ? - გაისმა ხმა.
- ჰო, ჰო, დეიდა, - ჯონმა დემონსტრაციულად ჩაიქნია ხელი, - სტუმრები მყავს შორეული საქართველოდან.
- საქართველოდან? - ასანთით ხელში გამოცხადდა შუახნის ქალბატონი. - სად არის მერე ეგ საქართველო?
- ზუსტად არ ვიცი, სადღაც კავკასიაში! - ლენონმა ისე შეხედა ბიჭებს, თითქოს უთხრა, „ხომ მართალს ვამბობო“, მთელი „ორერა“ დათანხმდა.
- ბიჭები კედელზე გაკრულ აფიშებს ათვალიერებდნენ.
- ეს ვინ არის? - იკითხა ზურაბ იაშვილმა.
- ეს პიტ ბესტია, ჩვენი ყოფილი დრამერი. გავუშვით, ჯორჯ მარტინმა დაგვიწუნა და მაგივრად რინგო ავიყვანეთ. მოდი, აქ ჩამოვსხდეთ ხალიჩაზე! ვერ ვიტან სკამებს, თქვენთან ხომ ხალიჩებზე სვამენ ჩაის? - იკითხა ჯონმა.
- ჰო, ჩვენგან არც ისე შორს, ხალიჩებზე სვამენ, - გაიცინა რობერტმა.
- ჩვენ უჩვეულო სტუმრები ვართ, - წამოიწყო თამაზმა.
- ჰო, ძალზე უჩვეულო, ზოგი საბჭოთა კავშირიდან და ერთიც მომავლიდან! ჰოი, პოლი გაგიჟდება, რომ ვუამბობ. ჯორჯი - საერთოდ. თითი საფეთქელთან მიიღო და დაუსტვინა - ისედაც ვერ არის!...
- ისე, არც ეს ჩანს დალაგებული, - ჩაიბურტყუნა დავითაიამ.
- ჩვენი გაგებით, თორემ... შეეპასუსხა ბარძიმაშვილი.
- იცით, რა უნდა გითხრა, მე ქართული კონიაკი წამოვიღე, - გაიცინა რობერტმა - შენ თუ მუსიკა არ დაგავიწყდა, ჩემო ირაკლი, მე მთავარი არ დამავიწყდა! - ჯონმა ჭიქები მოარბენინა.
- სუპერ ხალხი მესტუმრა, სუპერი!
- 1001 ღამის ზღაპარში მგონია თავი!
- შენს გამზრდელ დეიდას გაუმარჯოს! - ირაკლიმ ჭიქა მიუჭახუნა ჯონს. ჯონს ცრემლები მოერია.

- მომავალში ყველანი ასეთ სადღეგრძელოებს ამბობთ?
- ჰო, ოღონდ საქართველოში, - დაახუსტა „ორერას“ ხელმძღვანელმა.
- თქვენ რა გქვიათ?
- რობერტი! ჩემს ძმას კი - ჯონი!
- ოოო, ჯონ! ჯონ! ჩემი მოსახელე! მომიკითხე!
- აუცილებლად. ახლა კი გიტარა მომაწოდე!
- სიამოვნებით მოგისმენთ, შენ კი, მომავლის კაცო, იქნებ გააკეთო ის, რაც შემპირდი...

- აიღე ეს კასეტა და როგორაც თქვი, იქნებ გადაახვიო შენი ფირი. ჩიქოვანი განცალკევდა. ჩხირკედელაობას შეუდგა. პატარა დანით გახსნა ლენონის მიერ მიწოდებული კასეტა, ამოიღო ფირი და ცალკე გადადო. შემდეგ თავისი კასეტა გახსნა, ამოიღო ორივე რგოლი და დიდ კასეტაში გადაიტანა. ისევ დაუჭირა „ვინტები“.

- კატრიჯი მზადაა. - მიაწოდა სტუმარმა.
- ო, კეი! ო, კეი! ახლავე დავლევ ქართულ კონიაკს და სმენად ვიქცევი. მარწყვის მდელის გაუმარჯოს! - წაიღულულა და გადაჰკრა.

- კარგი კონიაკია, აბა კატრიჯი მომეცი!

ირაკლიმ მიაწოდა, ჯონმა მანქანის მაგნიტოფონი საყოფაცხოვრებო გამაძლიერებელს მიუერთა, დინამიკები შეამოწმა და კასეტა ჩადო.

- „ო, დარლინგ!“ გაისმა დინამიკებში, ისე მძლავრად და ენერგიულად, რომ ყველანი კედელს მიეკვრნენ... ოთახი სიგარეტის კვამლში ჩაიძირა... ლენონი გაოცებული თვალებით დიდხანს, დიდხანს ისმენდა ამ ფანტასტიკურ მუსიკას, მისი და პოლის მუსიკას, ოღონდ მომავალში ჩაწერილს, თუმცა „ში ლავზ იუ“ აქაც იყო. გაიცინა, უცნაურად გაიცინა ჯონმა. სიტუაციის ზღაპრულობამ ზენიტს მიაღწია, ფანჯარაში ლივერპულის თოვლჭყაპი, ბინაში ჯონი, მიმი, „ორერა“ ერთად“ და ეს მუსიკა, რომელსაც თითქოს პირველად ისმენდა ირაკლი ჩიქოვანი.

\* \* \*

- ჩვენ წავალთ, უკვე თენდება, - რობერტი ფეხზე წამოდგა, ბიჭებიც წამოიშალნენ.

- ეს მუსიკა მსოფლიოს შეძრავს! - დასძინა „ორერას“ ხელმძღვანელმა.
- ჭეშმარიტად! - დაუდასტურა ჩიქოვანმა. - ჯონ, მე ამ სიმღერებზე გავიზარდე. ახლა ორმოცი წლის ვარ, კიდევ ბევრი თაობა გაიზრდება ამ სუსიკაზე.

ჯონი დადუმდა. თავს უხერხულად უკრავდა და ბიჭებს კარებისკენ მიაცილებდა, მისი ფიქრები კი რომელიღაც მარწყვის მდელის დატრიალებდა სიზმრების ქვეყნიდან...

გარეთ თენდებოდა, ჯონს ათოვდა, ბიჭებმა ხელი დაუქნიეს მასპინძელს.

- იცით, რა? მომკლან, არ დავეძებ, - ჩაიბუტბუტა მან.
- ჯონ, რამე მითხარი? - დაიძახა ირაკლი ჩიქოვანმა.
- არაფერი! იტს ოლ რაიტ! შეხვედრამდე!

ავტობუსი დაიძრა. ჯონი, უკან-უკან იხევდა, ნელ-ნელა პატარავდებოდა და ბოლოს მოსახვევის მიღმა დარჩა...

- კასეტა წამოვიდე, არ დავტოვე! - უთხრა რობერტს ირაკლიმ. - არ მინდოდა თავის თავში ეჭვი შეეცანა...

- რა თქმა უნდა... ამას მაინც გააკეთებს, ამ კასეტის გარეშეც, უბრალოდ საკუთარი თავის რწმენა მოემატება, არა? - პაუზის შემდეგ სევდიანად დააყოლა: - ჩვენი კასეტაც რომ გქონოდა!

- ხომ იცი, როგორც მოხდა ყველაფერი, 1973 წლიდან მომავალში გავრბოდი, მომდევდნენ, რა მეკასეტებოდა, ამათ კასეტას კი მე ყოველთვის თან ვატარებ!

- ბედნიერები არიან... შემთხვევით არაფერი ხდება.

- რა ვიცი... ხანდახან ვფიქრობ, რა მინდოდა ამ წარსულში, რა დავკარგე, მაგრამ თქვენ რომ გაგიცანით, ჯონი, სხვები და სხვები, ყველაფერ ამის გარეშე გამიჭირდებოდა...

- ხედავ, როგორ თოვს, ეს თოვლი ახლა ჩემთვის მოდის, ასე ხდება ხოლმე! სხვებისათვის უბრალოდ ბუნების მოვლენაა, ზეცის ნალექი, ჩემთვის კი... ეს ჩემი თოვლია, ჩემი ბავშვობიდან მოსული... ნეტა ყველას შეეძლოს წარსულის დაბრუნება და ბავშვობის თოვლის ცქერა!

რობერტმა არაფერი თქვა, სადღაც შორს, სივრცეში იცქირებოდა, მომავლის გეგმებში ჩაფლულიყო... ლონდონს მიაღვინენ... ქუჩაში კანტიკუნტად მოჩანდნენ გამვლელები.

- ცირკი! - დაიძახა ზურაბმა.

- ვა, რა ლამაზია! - დაუდასტურეს ბიჭებმა. ჩიქოვანი სკამიდან წამოიწია, ფანჯარაში გაიხედა...

- გააჩერეთ! გააჩერეთ! რაღაც გამახსენდა!

ავტობუსი გაჩერდა. რობერტი ირაკლი ჩიქოვანს ჩაჰყვა. ბიჭები ფანჯრიდან უთვალთვალებდნენ მათ. ირაკლი ცირკის კიბეს მიუახლოვდა, ზურგით იდგა, ცხრა საფეხური აიარა და გაჩერდა. რობერტს გამოხედა, რაღაც უთხრა, რობერტმა თავი დაუქნია. ირაკლი გაქრა... ბიჭებს გაოცებისაგან თვალები გადმოსცვივდათ, დაორთქლილ ფანჯრებს უმოძრაოდ აკვირდებოდნენ, რობერტი იდგა ერთხანს, შემდეგ შემობრუნდა, სიგარეტი გადააგდო და მძლოლს უთხრა: - წინ!

\* \* \*

... ირაკლი ჩიქოვანი კიბეზე დაეშვა, ავტობუსი არსად ჩანდა, ვიღაც გრძელთმიანი, წვერებმოშვებული დახეულ-ჯინსიანი მიუახლოვდა.

- სიგარეტი არა გაქვს? - თან ინტელიგენტურად ჩაცმულ მამაკაცს ათვალთვრებდა... ჩიქოვანმა სიგარეტი მიაწოდა. მან გააბოლა. ირაკლიმ ყურადღებით შეათვალთვრა მიდამო...

ბიჭები, გოგონები ქუჩაში ყვარნენ, ვიღაც გიტარაზე უკრავდა...

- ლენონი მოკვდა? - უცებ იკითხა ირაკლი ჩიქოვანმა.

- ლენონი უკვდავია! - თქვა უცნობმა და თავისიანებს მიაშურა...

\* \* \*

მოსკოვის პირქუშ სახლში მკაცრი გამომეტყველების მამაკაცი რობერტ ბარძიმაშვილს ფურცელზე მიუთითებს:

- დაწერეთ ახსნა-განმარტება, რატომ დარჩა ირაკლი ჩიქოვანი ინგლისში.

რობერტმა კალამი გამოართვა, ქაღალდს დახედა და თითქოს თავისთვის თქვა:

- ის არ დარჩა, ის მომავალში, თავისუფალ საქართველოში დაბრუნდა...